

საპირით ჩანს, ხელშია



გამომცემლობა „საბოთა საქართველო“
ჭუთაისის ფილიალი

1983

დავით ჯანელიძის მონოგრაფიაში გაშუქებულია ქართველ ძალთა თავგადასავალი და კულტურულ-საზანაუნათლებლო მოღვაწეობა უცხოეთში—ტრიკო-ლიტანიაში, ეგვიპტეში, ოსმალეთში და სხვ. (XI—XVIII სს.)

წიგნი ემყარება ფრანგულ-ინგლისურ-გერმანულ და რუსულ-ქართულ კუბლიკაციებს, აგრეთვე — ისტორიკოსთა შრომებს, რომლებიც საქართველოში ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობი-ლი.

გამოცემა

რედაქციონი

ჭ.ოფ. ჯოღარ შენგელია

ДЖ $\frac{70302-166}{M 601(08)83}$ 348—83

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
ქუთაისის ფილიალი, 1983 წ.

ბევრი რამ დაწერილა ტყვედ წაყვანილ ქართველთა თავგადასავალზე. არაერთი ფილოსოფოსი, ბუნებისმეტყველი, ისტორიკოსი, მწერალი, მოგზაური, დიპლომატი, სამხედრო მოღვაწე შეეხო ამ თემას. მარტო გატაცებული ქართველი მზეთუნახავების პოლიტიკური და სამწერლო საქმიანობა იკმარებს საიმისოდ, რომ მუზის უთვალავ ქურუმთა გული და სული შესძრას. ამ თემას მიეძღვნა ევროპელი მწერალი ქალის ბელგიოჯოზოს არაერთი მოთხრობა, ინდოელი განმანათლებლის ბონკიმჩონდრო ჩოტოპადხაის ისტორიული რომანი „რაჯ სინგხ“, პუშკინის პოემა „ბახჩისარაის შადრევანი“, პეტრო დელა ვალეს, შარდენის, ფურმონის, ტავერნიეს, ოლივიეს, ვოლნეის, დავრილის, კლოდ სავარის, ივის, ტოტის, ფერიერ-სოვბეფის, სონინის, ა. დიუმას, ბოდენშტადტის, ჰანვაის, ელისეევის და სხვა მრავალი მწერლისა და მოგზაურის ჩანაწერები; ჟაკ სავარ დებრიულონის ენციკლოპედია, პოლკოვნიკ ბურნაშოვის წიგნი „საქართველოს სურათი“, მირზა ფათალი ახუნდოვის ისტორიული მოთხრობა „გაწბილებული ვარსკვლავები“, გრიგოლ რჩეულიშვილის ნაწარმოები „თამარიანი“; — შემდეგში ვალექსილი სიმონ გუგუნავას და რ. ერისთავის მიერ ცალკ-ცალკე, ანტონ ფურცელაძის „მაცი ხეტია“, იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა“, გალაკტიონის „ერთხელო, ჰყვება შარდენი“, გიორგი ლეონიძის „ვინ მემდურება“ და ა. შ.

გვაგონდება აკაკის გულში ჩამწვდომი სიტყვები: „იმ გაჭირვების დროს ქართველი ქალები ორ გუნდად იყო გაყოფილი. ერთი გუნდი საქართველოში რჩებოდა გამირების აღმ-

ზრდელად, მეორე კი მოფენილი იყო მთელი აზიის პარამხანებში. ტყუილად კი არ ამბობს უცხოელი გეოგრაფი, რომ აზიის ტიპი ქართველმა ქალებმა გადააქეთესო. ისინი სამშობლოს მოსხლეტილნი, სამშობლოზე ხელალებულნი, პარამხანებში გამომწყვდეულნი, თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ წმინდა გულზე ავგაროზად პეშვი მიწა ედოთ და დღედაღამ საქართველოზე ოცნებობდნენ! ბევრი მაგალითი ყოფილა, რომ მათგან მონიბლულ მტარვალებს შეუყენებიათ გულისწყრომა და საქართველოსადმი მტრობის აზრი შეუცვლიათ“.

მაგიური ძალით ეღერს გიორგი ლეონიძის სიტყვები: „მთის სუნთქვის შვილი გახდი მხევალი, გერგო მონობა უსუნთქებლივი. დაყიდულებო, თქვენი წყევანი გულზე მხედებია ნასროლ ქვებივით. გარეკილებო მათრახის ცემით, დამკარგველებო თავისუფლების, იქნებ შადრევნის მარგალიტ-ცრემლით ღამ-ღამ სამშობლოს ესაუბრებით. რად ვერ მოქსოვეთ თეთრი აფრები საქართველოში გადმოსაფრენი, მშვენიერების ამაყ დიდებით, სხვის ცის კიდურებს რომ ამდიდრებდით, ვისთვის ჩალუბეთ თქვენი მშვენება, ვით გაზაფხულის გამოსვენება. ეხლა რა გიყოთ, რით მოგარჩინოთ, მოურჩეველ ჩემო წყლულებო! რით დაგაბრუნოთ, თეთრო აჩრდილნო, სხვის ხომალდებზე მიბაწრულულებო!“ ბიზანტია, იკონიის სასულთნო, ოტომანების იმპერია, ირანი, ინდოეთი, მონღოლეთი, რუსეთი, ევროპა, ტრიპოლიტანია, იემენი, — სად არ გაშლილა საასპარეზო ქართველი ღამაზმანებისა, უცხო ტახტის პომპეზს მუდამ რომ ერჩიათ ამაყი და სანუკვარი სამშობლოს მიწის წიაღში სიკვდილი.

მცირე წვლილი შევიტანოთ ამაღელვებელი ისტორიული ეპოპეის შესწავლის საქმეში — აი, ჩვენი ნაკალმევის დანიშნულება.

ლამაზი ლეგენდა

არსებობს მომხიბლავი ლეგენდა. იგი ქართველი ასულის სულიერ სილამაზეს და ევროპაში მის სახელგანთქმულობას მოწმობს. ლ. მიქაძე სტატიაში „ლამაზი ლეგენდის გაგრძელება“ მოგვითხრობს:

„შორიდან, ძალზე შორიდან მოდის ლეგენდა. შუა დუნაის ნაპირებთან ცხოვრობდა ერთი ლამაზი პრინცი. სენი შეეყარა ჭაბუკ მადიარს. ველარაფერი ველარ შეელოდა. ხელი აიღეს აქიმებმა. იხმეს მკითხავი. დაასკვნა მისანმა თურმე: — თუ პრინცს ჯვარს დასწერთ, თუ პატარძლად ნათელას მოკვრით და თუ კი ტურფას თან მუსიკის ნიქმა მომადლა, ჩენი პრინცი გადაგვირჩება. ბევრი ეძიეს თუ ცოტა, ბოლოს მიაკვლიეს მზეთუნახავს. კოლხეთში, ცად აზიდულ მწვერვალთა იქით, მწვანე წალკოტში ცხოვრობსო, და მადიარებმა შესთხოვეს კოლხთა მბრძანებელს თურმე, შეერჩია თორმეტი ტურფა კოლხი ქალწული. დანიშნულ დღეს თეთრონზე ამხედრებული პრინცი მოადგა ფაზისს. თორმეტი ნათელას კაბების შრიალი სასახლის აიენიდან შორს მიჰქონდა ნიავს. მადიარს ფაზისის გოროზმა ზვირთებმა გზა გადაუჭრა. მხედარი ტალღებმა ჩაითრია, მდინარემ მოიტაცა, თორმეტივე ქალწული ნაპირ-ნაპირ თან გაჰყვა განწირულ რაინდს. სიმღერით ამხნეებდნენ მას. მხედარს ამ გალობამ ძალა გაუასკეცა,

გადაურჩა ფაზისს, ნაპირს გავიდა. კოლხთა მბრძანებელი მიეგება გულად სტუმარს. უცხოელს არჩევანი შესთავაზა. განკურნებულმა ვაჟკაცმა იუარა — ჩემს მხსნელ ასულებს გულს როგორ დავწყვეტ, თორმეტივე ნათელა ერთნაირად თვალწარმტაცია, ამიერიდან თორმეტივე და იქნება ჩემი“.

ლეგენდა — ისტორიის პოეზია არისო, ამბობდნენ ევროპაში. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ხსენებულ ლეგენდაზე შევავსოთ მკითხველის ყურადღება.

როდის უნდა შექმნილიყო ეს ლამაზი ლეგენდა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის ცდისას საჭიროა წუთიერად თვალი გადავავლოთ უნგრული ტომების მოძრაობის ისტორიას.

ცნობილია, რომ ძველი (VII-VIII სს.) საქართველო იცნობს ჰუნებს. საერთოდ კავკასიაში ისინი IV საუკუნიდან სჩანან. შემდეგში ისინი თავს ესხმოდნენ სპარსეთსა და საბერძნეთს, და არც თუ იშვიათად, უკავშირდებოდნენ ამიერკავკასიის ხალხებს. ჰუნთა ტომების ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიაში დასახლდა. ჰუნები და მადიარები ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში შეხვდნენ ერთმანეთს და აქ V-VII საუკუნეებში მოხდა მათი აღრევა. ფიქრობენ, რომ ამ ფაქტმა ხელი შეუწყო იმ ლეგენდის წარმოშობას, რომელიც ჰუნებს და უნგრელებს ერთმანეთთან ანათესავენ. V საუკუნეში აზოვის ზღვის აღმოსავლეთით დასახლებულმა ჰუნთა რამდენიმე ტომმა (ოგურები, ონოგურები და სარაგურები) ლაზიკის გავლით დაამყარა კონტაქტები ბიზანტიასთან. შესაძლებელია, ზემოთმოტანილი ლამაზი ლეგენდა ქართველი მზეთუნახავების უნგრელ ჰუნებთან შეხვედრის შესახებ გაჩნდა ლაზიკასთან ჰუნებისა და მადიართა ტომების ხსენებული კონტაქტების ზეგავლენით. ისიც შეიძლება, რომ ლეგენდის წარმოშობა უკავშირდებ-

ბოდეს ირანის იურისდიქციაში ერთი წყება უნგრული ტომების ყოფნის პერიოდს (VI-VII სს.). მადიარების ერთ-ერთი სამეფო დონისა და დნებრის მიდამოებში მდებარეობდა და მას ლევაღია ერქვა. იგი IX საუკუნეში მოსპეს მტრებმა და მისი ნაშთები დაიძრნენ ირანისაკენ. ამ ფაქტს შეეძლო შეექმნა ქართველებთან მათი კონტაქტების შესაძლებლობა. ევროპელმა მკვლევარებმა XIX ს. პირველ ნახევარში ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაძებნეს მადიარების კვალი და სცადეს ქართულ-უნგრული ლინგვისტური შეხვედრების დეტალიზაცია. ჟან-შარლ დე ბესემ 1829-1830 წლებში კავკასიის ტოპონიმიაში დაადასტურა შრავალი მადიარული სახელის არსებობა. მანვე გამოთქვა აზრი, რომ სახელი ელბრუსი უნგრული ენისაგან წარმოსდგებოდა.

ამგვარად, ლამაზი უნგრული ლეგენდის წარმოსაშობად და სიცოცხლის გასაგრძელებლად საშუალო საუკუნეებში ხელსაყრელი ნიადაგი არსებობდა.

II

ოპროს ბორაკილვაში

ბერძნულ და ქართულ ცნობებს შემოუნახავთ ბიზანტიის ქართველი დედოფლის მარიამის ვრცელი თავგადასავალი.

ბაგრატ მეოთხეს (1027-1072) საბერძნეთში ზისი ყოფნის დროს კვისარმა მოსთხოვა ასული მართა აღსაზრდელად. ფი-

ჭობენ, რომ ეს მართა (შემდეგში მარიამად წოდებული) მძევლად უნდოდათ: ბერძნებს სურდათ მიეღოთ ბაგრატის შეურყეველი ერთგულების საწინდარი. 1054 წელს ხუთი თუ შვიდი წლის მართა გაგზავნეს კონსტანტინოპოლში, მაგრამ მალე საქართველოში დაბრუნდა. 1065 წელს იგი მამას ბერძნებმა რძლად მოსთხოვეს და 1071 წლამდე მართა კეისართა სასახლეში იზრდებოდა.

თველორე უსპენსკი მართას (მარიამს) შეცდომით თვლიდა სომეხი მეფის შვილად, ბერძენი მემკვიდრე ზონარა კი — ალბანელად. პროფ. ი. კულაკოვსკი არ ეთანხმება ამ აზრს და იხრება იოანე ცეცეს კონცეპციისაკენ — მარიამს დედა ჰყავდა ალანი, სახელად ბორენა, რომელიც ოსეთის მეფის დურღულელის და იყო.*

ძველი აზრი, რომ მარიამი გაათხოვეს (კეისარ მიხეილ მეშვიდე დუკა პარაპინაკზე) ზუსტად 1071 წელს, სარწმუნოდ მიიჩნია გ. თოგოშვილმა. მას ამ დათარიღებაში მხარი დაუჭირა თ. ბრეგაძემ. მაგრამ მათ მტკიცებას არ იზიარებს ი. ნოღია. მისი აზრით, მარიამი უნდა გათხოვილიყო 1066 წლის ახლო ხანებში. ეს დათარიღება ახლოსაა იმასთან, რასაც ამტკიცებდნენ ვახუშტი, მარი ბროსე და ივანე ჯავახიშვილი. ი. ნოღიას თავისი დათარიღების საბუთად მოჰყავს ანაწმიდას ეკლესიის ხელნაწერზე შესრულებული სიმონ დვალის მინაწერი. ამასთან იგი ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ბიზანტიური სამართალი ნებას იძლეოდა გაეთხოვებინათ 13-14 წლის ქალი, ამ ასაკში კი მარიამი იყო 1065-1066 წლებში.

* Кулаковский. Аланы по сведениям классических и византийских писателей, Киев, 1898 г. стр. 55.

ქართული აგიოგრაფიის მასალებიდან ირკვევა, რომ საქართველოდან პატარძლის — მართას (მარიამის) საბერძნეთში წაყვანა მდიდრული ცერემონიალით მოხდა. ამალის შემადგენლობაში ქართველი აგიოგრაფი ასახელებს ვინმე არონს (აპრონი, რონი). პროფ. ვ. დონდუას აზრით, ეს არონი იყო მაგისტრი არონი — იბერიელთა ფემის (ოლქი) ყოფილი კატეპანი* (1050—1056), შვილი ბულგარეთის უკანასკნელი მეფის იოანე ვლადისლავისა. საწვიმო ესკორტში ყოფილან დაბალი საზოგადოების (ერის) წარმომადგენლებიც. მართას (მარიამს) ბიზანტიაში მიაცილებდა იოანე ცეცეს დიდედა, ტომით აფხაზი. ეს ქალი მარიამის ახლო ნათესავი იყო დედის მხრიდან. იგი მარიამთან ერთად იმყოფებოდა ბიზანტიის დედოფლის ევდოკია მაკრევილოტიისას კარზე. ამ დედოფალმა მიათხოვა იგი თავის ძმას — ბიზანტიის მალალ მოხელეს. ხახულის ერთ-ერთ ხატზე მოთავსებულია მარიამისა და მიხეილ პარაპინაკის დაქორწინების გამოსახულება. მეფე და დედოფალი წარმოდგენილი არიან სრულ საპარადო ბიზანტიურ სამოსელში, რასაც წინ ოქროქსოვილი დაჰყვება ფარის ფორმისა. ეს ქსოვილი ძვირფასი ქვებით არის მოოჭვილი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ დედოფალი იყო ჩაცმული იმგვარად, როგორც ეს იყო მიღებული აღდგომის დღესასწაულზე ბიზანტიის დედოფალთა გამოსვლისას. მარიამს მარჯვენა ხელი გულმკერდზე აქვს მიღებული, მარცხენაში კი უჭირავს კვერთხი (სკიპტრა), ჯვრით დამშვენებული. ეს ჯვარი ისეთი ფორმისაა, რომ სავსებით მიჰყვება ქართული ხელოვნებისათვის დამახასიათებელ უძველეს ტრადიციას. ასეთივე კვერთხი უჭირავს მარიამ დედოფალს მარჯვენა ხელით პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული იოანე ოქროპირის თხზულება-

* კატეპანი — უმაღლესი სამხედრო მეთაური XI ს. ბიზანტიის ოლქებში.

თა ბერძნული ხელნაწერის მინიატურაზე. ქართველი დედოფალი ყველა საზეიმო ცერემონიალზე, როგორც ოფიციალური პირი, გამოდიოდა ქართული სკიპტრით, ბიზანტიაში გათხოვების შემდეგ მარიამი ორჯერ მანც არის ჩამოსული საქართველოში. საბერძნეთის კეისრის ტახტზე მისი პირველი ქმრის მიხეილ მეშვიდის ასელიდან (1071 წ.) ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა მეფე ბაგრატ მეოთხე. მარიამი ჩამოვიდა სამშობლოში, რომ გამოსთხოვებოდა მომაკვდავ მამას. თან ჩამოიტანა ძვირფასი ხატი, სადაც მისი ბიზანტიაში დაქორწინების სცენა იყო განოსახული. ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკაში დაცულ ფსალმუნზე, რომელიც ეკუთვნის კონსტანტინოპოლის სკრიპტორიის მხატვრულ ხელნაწერთა კოლექციას, მეფურ სამოსელში გამოსახულია მარიამი და მისი ვაჟიშვილი, მარცხნივ რომელიდაც მესამე ფიგურა წაშლილია. ის უნდა იყოს ან მიხეილ მეშვიდის, ანდა მარიამის მეორე ქმრის — ნიკიფორე ბოტანიატეს გამოსახულება. (ამ ბოტანიატემ 1078 წელს ტახტიდან ჩამოაგდო მიხეილ მეშვიდე და შეირთო მარიამი, რომელსაც პირველი ქმრისაგან უკვე ჰყავდა ვაჟი კონსტანტინე პორფიროგენეტი). ზემოხსენებული ფსალმუნი, როგორც ი. ნოდია შენიშნავს, 1080 წლით თარიღდება.*

ბიზანტიის ქართველი დედოფლის მარიამის (ბაგრატ მეოთხის ასულის) თავგადასავალს ცნობილი ბერძნული წყარო „ალექსიადა“ ასე მოგვითხრობს: მიხეილ მეშვიდეს — მარიამის პირველ ქმარს — დიდხანს არ უმეფიაო. იგი ტახტიდან ჩამოაგდო მის წინააღმდეგ აჯანყებულმა ბოტანიატემ. მიხეი-

* „ბიზანტინოლოგიური ეტიუდები“, თბ, 1978 წ. გვ. 149 (ი. ნოდიას შტატია).

ილი ბერად აღიკვეცა, შემდეგ არქიელის ანაფორაც ჩაიკვა, ტიარაც დაიხურა, ომოფორიც. ეს გადააწყვეტინა იოანე კეისარმა*, მამის ძმამ. ამ უკანასკნელმა კარგად იცოდა მაშინდელი მმართველის სიმჩატე და ეშინოდა — უარესი არაფერი შემთხვეოდა მის ძმისწულს. დაირხა ხმა, რომ აჯანყებათა უსაზიზღრესმა მოთავემ ბერმა რექტორმა მიხეილ მეშვიდის სახე მიიღო და მზაკვრულად გამოცხადდა რობერტთან**, როგორც მზახალი მზახალთან, შესჩივლა — მე, მიხეილი ტახტიდან ჩამომავდესო, თან სთხოვა დახმარება. შენა ასული ელენე, ჩემი ვაჟის საცოლე, რჩება უმწეო მდგომარეობაში, დაქვრივებული ჯერ კიდევ დაქორწინებამდეო. ჩემი ვაჟი კონსტანტინეც და დედოფალი მარიამი იმით გადარჩნენ, რომ თავისი ნების წინააღმდეგ ქედი მოიხარეს ბოტანიატეს ტირანიის წინაშეო. ასეთი ჩაგონებით მოჯანყემ რობერტი წააქეზა საომრად. ანა კომნენის ყურამდე მიაღწია სხვა, უფრო სარწმუნო ხმამ: არავინ მისულა რობერტთან და არ წაუქეზებია იგი ბიზანტიელებზე იერიშის მისატანად. ყველაფერი ეს მოიგონა თვითონ გაიძვერა ბარბაროსმა რობერტმა, რომელიც დიდი ხანია შესდგომოდა საომარ სამზადისს. სწორედ მან გაითამაშა სცენა, ვითომ მასთან მისული ბერი იყო მეფე მიხეილი და ამ უკანასკნელმა შესჩივლა მას, ბოტანიატემ წამართვაო ცოლი მარიამი, ვაჟი კონსტანტინე, ტახტი. ყოველივე ეს სიკეთე მიხეილმა ბერის ანაფორაზე იძულებით გასცვალა. ბოტანიატეს გამეფებას ბიზანტიელი ისტორიკოსი — სკილიცეს გამგრძელბელი (მეთერთმეტე საუკუნე) ასე გადმოგვცემს: თითქმის მთელი იმპერიის დიდებულები და ეკლე-

* ამ ტიტულს ატარებდნენ ბიზანტიის სამეფო სახლის წევრები XI ს. ბოლომდე; ნიშნავდა „მეფესაც“. აქ პირველი მნიშვნელობითაა.

** ნორმანი მმართველი იტალია-სიცილიისა.

სიის მესვეურნი შეიკრიბნენ აია სოფიის ტაძარში და ბოტანიატე გამოაცხადეს მეფედ. აჯანყებულებს მეთაურობდნენ ანტიოქიის პატრიარქი და იკონიის მიტროპოლიტი. მათ შეუერთდნენ სამღვდლოება და დარბაზის ერი, აგრეთვე — თითქმის მთელი სატახტო. დიდებულები ფრატრიებად დაიყვნენ, წამოაყენეს ერისმთავარნი და ბრწყინვალე სარდლები დააყენეს საქმის საქესთან, სწრაფად დაეუფლნენ სასახლეებს, დაიმორჩილეს დაქირავებული ჯარი. მეფე მიხეილ მეშვიდე, მისი მეუღლე მარიამი და ვაჟი კონსტანტინე პორფიროგენეტი გაიქცნენ ვლახერნის სასახლეში. მიხეილი მოაშორეს ცოლ-შვილს და სახედრით გაგზავნეს სტუდიელთა მონასტერში. ეს მოხდა შაბათს, როდესაც მორწმუნენი დღესასწაულობენ ლაზარეს მკვდრეთით აღდგომას.

ტახტზე ბოტანიატეს ასვლისთანავე მისი პირველი ცოლი ბერდენე დედოფლად გამოაცხადეს, მაგრამ ეს ქალი ამის შემდეგ მალე გარდაიცვალა. ვის არ სთავაზობდნენ ცოლად ახალ მეფეს, მან არჩევანი დუქას მეუღლეზე — მეორედ გათხოვილ ევდოკიაზე შეაჩერა და კაცები მიუგზავნა. ევდოკია დიდი სიხარულით გამოცხადდა სასახლეში. ეს რომ შეიტყო სათნოებით სახელგანთქმულმა მონაზონმა, ვისაც დიდი და პატარა „ყოვლად წმინდას“ ეძახდა, მივიდა სასახლეში და ევდოკიას დაუშალა უმსგავსო საქციელი. ევდოკიამ დაუჭერა. ახლა ბოტანიატემ მოაყვანინა ქართველი მარიამი და ყოვლად უსირცხვილოდ მას შეეუღლა წმინდა ქორწინებით. მღვდელი, ვინც მათ ჯვარი დასწერა, შერისხეს, ხოლო ტახტიდან ჩამოგდებული მიხეილ მეშვიდე პატრიარქის დადგენილებით ეფესოსს არქიელად გაამწესეს. მაგრამ მიხეილი ეფესოში მხოლოდ ერთხელ წავიდა. უკან რომ დაბრუნდა, დარჩა მანუელის

სახელობის მონასტერში და თავს საკუთარი შრომით ირჩენდა. ერთი ისტორიკოსის აზრით მარიამის პირველი ქმარი მიხეილი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, აგრეთვე ცოცხალი იყო ბოტანიატეს მეორე ცოლიც. ამდენად ის მღვდელი „ცოდვას სჩადიოდა მეძაობისა და სამ-ცოლიანობის კურთხევით“.

ქართველ დედოფალს მზრუნველად გამოუჩნდა იოანე ღუკა. იგი ურჩევდა ნიკიფორე ბოტანიატეს ცოლად შეერთო მარიამი. ამას იოანე ღუკა* იმით ასაბუთებდა, რომ მარიამი უცხოელი იყო, გარს არ ეხვია ნათესავთა ზროვა, რომელთა გამო მეფეს შეიძლებოდა სხვადასხვა უსიამოვნება შეხვედროდა. ამავე დროს იოანე ღუკა აქებდა მარიამის გვარი-შვილობას და ხორციელ სილამაზეს. მართლაც, ბიზანტიური წყაროებით, მარიამი კვიპაროსივით მაღალი და ტანადი ქალი იყო, თოვლივით თეთრი. პირისახე ჰქონდა არც თუ ძალიან მრგვალი, მაგრამ გაზაფხულის ვარდევით აღისფრად გაფუჩჩქვნილი. არავის შეეძლო აღეწერა მარიამის თვალთა ბრწყინვალეობა. წამწამები ჰქონდა გრძელი და განსაკვიფრებელი, თვალები — ცისფერი. მხატვრის ხელი ხშირად გადმოგვეცემს ხოლმე იმ ყვავილების ნაირფერობას, რომლებითაც გვასაჩუქრებს წლის სხვადასხვა დრო, მაგრამ დედოფლის სილამაზისა და მომაჯადოებელი მიმზიდველობის სრულქმნა აღემატებოდა ხელოვანის ყალმის ძალას. არც აპელესს, არც ფიდიასს, არც რომელსამე სხვა მოქანდაკეს, — ბიზანტიელ ავტორთა აზრით, არ დაუტოვებია ისეთი ნაწარმოები, რომელიც შეიძლებოდა შეგვედარებინა მარიამის სილამაზესთან.

* ღუკა მეთაურს, უფროსს ნიშნავს, აქვს მეორე მნიშვნელობაც — წარჩინებული საგვარეულოც არსებობდა ღუკებისა.

ამბობენ, — გორგონას თავი აქვავებდა იმ მამაკაცებს, ვინც მას შეხედავდა, ხოლო ვინც შემოხვევით დაინახავდა მარიამ დედოფალს, უსაზღვრო განცვიფრებისაგან ტყვექმნილს, თითქოს ერთმეოდა გონებაცა და სულიც. ადამიანის სხეულის ასეთი თანაზოჭიერება, მის ასოთა და ნაკეთთა ასეთი შეხამება, მთელისა ნაწილებთან და ნაწილებისა მთელთან, არავის უხილავს ადამიანის სხეულში. მარიამი იყო ცოცხალი ქანდაკება, რომელიც ხიბლავდა მშვენიერების თაყვანისმცემელთ. იოანე დუკამ ისარგებლა მარიამის განუმეორებელი თვისებებით და მეფის გული შოათვინიერა, თუმცა ბევრი ურჩევდნენ, ცოლად შეერთო დედოფალი ევდოკია (ევდოკია დალასენი — ხელმწიფე კონსტანტინე დუკას ქვრივი. დ. ჯ.). ამგვარად, იოანე დუკამ მოახერხა საქმის დაბოლოება და დაარწმუნა ბოტანიატე მარიამ დედოფალზე დაეწერა ჯვარი. ამის წყალობით მის წინაშე დიდ პატივში იყო.*

გასაოცარი სილამაზის, საუბარში მეტად თავდაქერილ, ზრდილობით აღსავსე ქალად გვიხატავს ქართველ დედოფალს მარიამს ბიზანტიელი ისტორიკოსი მიქელ პსელოსი.

პირველი ქმრისაგან — მიხეილ მეშვიდე დუკასაგან მარიამს, როგორც უკვე ითქვა, ჰყავდა შვილი კონსტანტინე. მარიამი ოცნებობდა — თავისი მეორე ქმრის — მოხუცებულ, და უშვილო ნიკიფორეს შემდეგ კონსტანტინე აეყვანა კეისრის ტახტზე. ეს პრინცი ქართველ დედას ჰგვანებია — ისეთი პირმშვენიერი ყოფილა, რომ მიქელ პსელოსი პირდაპირ ამბობს — ასეთი მიწიერი სილამაზე არ მინახავსო.

* ს. ყაუხჩიშვილი. ძველი ქართული წყაროები ბიზანტიის შესახებ. I. თბ. 1974, გვ. 108-109.

ანა კომნენის „ალექსიადაში“ ვხვდებით შემდეგ საინტერესო ეპიზოდს: რაც შეეხება მარიამ დედოფლის ვაჟს პორფიროგენეტ კონსტანტინეს, მისი მამის მიხეილ მეშვიდის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ მან თავისი ნებით გაიხადა წითელი წაღები და ჩაიცვა უბრალო შავი წაღები. ნიკიფორე ბოტანიატემ, კონსტანტინეს მამის მიხეილ მეშვიდეს შემდეგ ტახტი რომ მიიღო, მაშინვე უბრძანა, გაეხადა შავი და ჩაეცვა ფერადი აბრეშუმის ქსოვილისაგან შეკერილი წაღები. ბოტანიატე პატივს სცემდა ამ ზნეობითა და სილამაზით სრულყოფილ ქაბუკს, აფასებდა მის გვარიშვილობასა და სულიერ სიქველეს, მაგრამ მაინც შურით უყურებდა, კონსტანტინეს წაღებს რომ ძოწეულის აღმური ასდიოდა და მხოლოდ იმის ნებას აძლევდა, წაღები მარტო ალაგ-ალაგ შეეფერადებინა.

მარიამს კი სურდა — თავისი ვაჟიშვილი ეხილა ბიზანტიის კეისრის ტახტზე, მაგრამ მოხუცი გვირგვინოსანი ნიკიფორე ბოტანიატე სხვა მემკვიდრეს ეძებდა, რამაც საგონებელში ჩააგდო ქართველი დედოფალი. ამ დროს მარიამს გამოუჩნდნენ მოკავშირეები — ალექსი და ისააკ კომნენები. გიორგი გოზალიშვილის აზრით, რასაც მხარს უჭერს გ. თოგოშვილი, კომნენები ქართული წარმოშობის პრინცები იყვნენ კაპადოკიიდან და ამ გარემოებამ გააიოლა მარიამისა და კომნენების დაახლოვება. მაგრამ კომნენების ქართულ წარმოშობას უარყოფენ ნ. ლომოური და გ. ლუდუშაური, მათი არგუმენტები ანგარიშგასაწევია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანა კომნენი თავის „ალექსიადაში“ მიუთითებს მარიამ დედოფალთან კომნენების ტომობრივ ნათესაობაზე.

ქართველი დედოფლის, ნიკიფორე ბოტანიატეს და ალექ-

ქსი კომუნის ურთიერთობაზე ვრცელი ცნობები მოიპოვება ალექსის ქალიშვილის — ზემოხსენებული ანა კომუნის წიგნში „ალექსიდა“. აქ მოვიყვანთ ამ საინტერესო მასალას: კეისარმა ნიკიფორემ ალექსი კომუნის გაგზავნა დასავლეთში, ნიკიფორე ვრიენის დასათრგუნავად. ეს ვრიენი ჯერ კიდევ მიხეილ მეშვიდეს დაენიშნა დირახიუმის დუკად და იმავე მიხეილს გადასცდგომოდა, ახლა კი მთელი დასავლეთი აფთორიაქებინა, კეისრის გვირგვინი დაეხურა და ბიზანტიის მეფედ თავი გამოეცხადებინა. იმ დროს ილირიკის დუკა იყო გიორგი მონომახატი. იგი იქ გაგზავნა კეისარმა ბოტანიატმა. ჯერ უარს ამბობდა ილირიკის გამგებლობაზე და არც თუ სრული მორჩილებით მიიღო ეს პოსტი, მაგრამ ბარბაროსები ბორილე და გერმანე შურით იყვნენ ალესილი მონომახატის მიმართ, დაუსრულებლივ საშინელ ბრალდებებს მიაწერდნენ მას, ბოლოს ისე განარისხეს მეფე მის წინააღმდეგ, რომ ერთხელ კეისარმა დედოფალ მარიაშს უთხრა: „მე ვეჭვობ, რომ მონომახატი რომაელთა ხელისუფლების მტერია“. ეს სიტყვები გაიგონა იოანე ალანმა, მონომახატის საუკეთესო მეგობარმა. იოანემ იცოდა, რომ მონომახატი სძულდათ სკვითებს, აცნობა იმ ორი ბარბაროსის ინტრიგების ამბავი და მეფის ნათქვამიც გადასცა. თანაც ურჩია, ეზრუნა თავის უშიშროებაზე. მაშინ მონომახატმა, როგორც ჭკვიანმა კაცმა ინახულა მეფე, გული მოუღბო მას პირმოთნე სიტყვებით და თანამდებობაც გამოსტყუა დირახიუმში.

აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მარიამ დედოფალს ბიზანტიის ხელმწიფე ეთათბირებოდა სახელმწიფო საქმეებზე. როგორც ეტყობა, ქართველი დედოფალი დიდი პოლიტიკური გავლენით სარგებლობდა. თვითონ მარიამი ერთადერთი ვაჟიშვილის მომავლის ინტერესებით

სულდგმულობდა, მისთვის სამეფო ტახტის უზრუნველყოფას ცდილობდა, ამ მიზანს შესწირა მარიამმა თავისი სიცოცხლე. მაგრამ მიეყვით საქმის ვითარებას.

დავუბრუნდეთ ანა კომნენის წიგნს. იქ ნათქვამია, რომ ნიკიფორე ბოტანიატე დიდად აფასებდა ანა კომნენის მამის — ალექსი კომნენის სამხედრო ნიჭს. ხშირად ესმოდა მისი გმირობის ამბავი, როცა ალექსი ჯერ კიდევ აღმოსავლეთში იბრძოდა თავისი ძმის — ისააკის მხარდამხარ. ანა კომნენს განსაკუთრებით დაამახსოვრდა ალექსის მიერ რუსელიოსის განადგურება. ამ ბრძოლის დიდებულად წარმართვის გამო შეიყვარა კეისარმა ნიკიფორე ბოტანიატემ ალექსი კომნენი. კეისარი ორივე ძმას გულში იკრავდა, სიხარულით ხვდებოდა მათ, ნადიმებზეც ხშირად იწვევდა კომნენებს. ამან აღძრა შური ბორილესა და გერმანეს გულში. ისინი ჭკუას კარგავდნენ კომნენებისადმი კეისრის კეთილი განწყობის შემყურენი. მათ შურს ისიც აღვივებდა, რომ უძლურნი იყვნენ რაიმე ევნოთ კომნენებისათვის. ბორილე და გერმანე „დროდადრო ისროდნენ სიძულვილის ისრებს“, მაგრამ ამაოდ. ალექსი კომნენი ჯერ კიდევ პირტიტველა ჭაბუკი იყო, როცა ბოტანიატემ ოძებში მოპოვებული წარმატებების გამო დანიშნა დასავლეთის სრულუფლებიან სტრატეგოსად* და უბოძა პროედროსის მაღალი ჩინი. ალექსი კომნენმა დასავლეთში უამრავი ნადავლი იგდო ხელთ, მრავალი მოღალატეც დაამარცხა და დატყვევებული მიჰგვარა ბოტანიატეს. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა მათდამი ბორილესა და გერმანეს სიძულვილს. ისინი ხან უჩუმრად ბუზღუნებდნენ კომნენებზე, ხანაც აშკარად, ხან კი იღუმალ აღიზიანებდნენ მეფეს. ამას სჩადიოდნენ უშუალოდ, და-

* სტრატეგოსი — სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქის ნაცვალის ბიზანტიაში.

უფარავად, ზოგჯერ კი სხვების მეშვეობით. კომუნებსაც არ ეძინათ. ასეთ ვითარებაში ალექსიმ და ისააკმა საჭიროდ დაინახეს თავიანთ მხარეზე გადაებირებინათ სასახლის ქალები, რათა მათი შემწეობით ქართველი დედოფლის მარიამის ყურადღება დაემსახურებინათ. კომუნები მოხერხებული აღამიანები იყვნენ, იცოდნენ როგორ მოეგოთ აღამიანთა გულები. ისააკმა მალე მიაღწია ამას. ანა კომუნის სიტყვით, იგი ბევრ რამეში ჰგავდა თავის ძმას. როგორც კი დაუნათესავდა მარიამ დედოფალს, ისააკმა დაიწყო ზრუნვა თავის ძმაზე. ახლა ისააკი ცდილობდა, ალექსი დედოფალ მარიამთან დაეახლოებინა. ამბობენ, ორესტეს და პილადეს* ისე უყვარდათ ერთმანეთი, რომ ბრძოლის დროს არც ერთი მათგანი არ აქცევდა ყურადღებას მოწინააღმდეგეებს, მხოლოდ მეგობარს იცავდნენ და იმისკენ წასულ ისრებს თვითონ ეგებებოდნენ მკერდით. კომუნებიც ასე მოქმედებდნენ. ისააკის ჩაგონებით, სამეფო კარის ქალებმა დაიყოლიეს ქართველი დედოფალი მარიამი, რომ მას ეშვილა ალექსი კომუნი. შვილად ალექსის აყვანა მოხდა ძველთაგანვე დადგენილი წესების დაცვით. მარიამის ამ წყალობამ მრავალი უსიამოვნება ააცდინა მომღვენო ხანებში დასავლეთის ჯარების დიდ ღომესტიკოსს**. ამის შემდეგ პრინცი კომუნები ვიზიტების დროს დიდხანს რჩებოდნენ მარიამ დედოფალთან სამასლაათოდ. ამ გარემოებასაც გაამძაფრა შური კომუნების მიმართ. არც ეს გამოპარვით კომუნებს. სცადეს გამოენახათ უებარი საშუალება თავიანთი უშიშროებისათვის. დედასთან მოთათბირების შემდეგ ეს შეძლეს კიდევ. გადაწყვიტეს ესარგებლათ ამა თუ იმ საპატიო საბაბით და მისულიყვნენ დედოფალ

* ორესტე — აგამემნონის და კლიტემნესტრას ვაჟი.

** ღომესტიკოსი — მთავარსარდალი.

მარიამთან საკუთარი საიდუმლო ზრახვების გასამჟღავნებლად. ამ სურვილს ისინი კარგა ხანია გულში ღრმად ინახავდნენ. ერთი პირობა გაქცევაც კი დააპირეს, მაგრამ ამის თქმა ვერ გაბედეს დედოფალთან — ვაი თუ კეისარ ბოტანიატეს უამბოს ყველაფერიო. კომნენებმა ხელი აიღეს გაქცევის განზრახვაზე და ამჯობინეს, ხელსაყრელ შემთხვევას დალოდებოდნენ. აწასობაში კეისარმა ნიკიფორე ბოტანიატემ თავისი მოხუცებულობის გამო დაჰკარგა ყოველგვარი იმედი, რომ ოდესმე მემკვიდრე გაუჩნდებოდა, მაგრამ ამ ბოროტმა უზურპატორმა დედოფალ მარიამის ვაჟი კონსტანტინე პორფიროგენეტი არ ისურვა ტახტის მემკვიდრედ. არჩევანი თავდაპირველად ვინმე სინადინზე შეაჩერა, რომელიც წარმოშობით აღმოსავლეთის წარჩინებულთა შტოს ეკუთვნოდა, ლამაზიც იყო, დიდად ჰქვიანიც, თანაც ახალგაზრდა და კეისარის ნათესავიც. ანა კომნენის სიტყვით, ეს იყო ბოროტი განზრახვა. ბოტანიატე ძალაუფლებას ისე უყურებდა, როგორც მამამისის დატოვებულ ქონებას. ანა კომნენის აზრით, კეისარ ბოტანიატეს შეეძლო სიკვდილამდე უზრუნველი ყოფილიყო, თანაც სამართლიანი კაცის სახელი მოეხვეჭა, თუ ძალაუფლებას დედოფალ მარიამის ვაჟს გადასცემდა, როგორც მამაპაპეულ მემკვიდრეობას. ეს რომ ექნა, დედოფალი მარიამიც მეტის ნდობით მთვებდებოდა მას, ვითარცა მეუღლეს და კეისარს. მაგრამ უსაშარტლო არჩევანით ბოტანიატე თვითონ გახდა საკუთარ უბედურებათა გამომწვევი მიზეზი. მისი განზრახვა დედოფალმა მარიამმა შეიტყო. საფრთხე მის პირშოს — კონსტანტინეს ემუქრებოდა. თავის შეშფოთებას მარიამი არავის უმხელდა. მაგრამ პრინცმა კომნენებმა გაუგეს ხვაშიადრე, უკეთეს შემთხვევას ვერც იპოვიდნენ და გადაწყვიტეს

დედოფალთან მისვლა. დედამ ისააკ კომნენს ურჩია — მარიამს მოლაპარაკებოდა ძმის — ალექსის თანდასწრებით. როცა კომნენები მივიდნენ დედოფალთან, ისააკმა აჲ უკანასკნელს უთხრა, „ქალბატონო! ჩვენ ვერ გხედავთ ისეთს, როგორიც წინათ იყავით, რალაც მძიმე ფიქრებს მისცემიხართ, ნუთუ არავინ გყავთ, რომ შეგეძლოთ მასზე დანდობა და საიღუმლოების გამხელა“.

დედოფალს არ სურდა გაემჟღავნებინა მათთვის საიღუმლო, მხოლოდ მძიმედ ამოიხვნეშა და თქვა: „რად აძლევთ ასეთ შეკითხვებს უცხო ქვეყნელ ქალს? მარტო ესეც უდიდესი სატანჯველია მისთვის. მე კი, საუბედუროდ, სადარდებელი უამისოდაც ბევრი მაქვს და ვინ იცის, კიდევ რას უნდა ველოდე ახლო მომავალში!“ მარიამ დედოფლის ამ სიტყვების შემდეგ კომნენებმა უკან დაიხიეს და ხმა აღარ ამოუღიათ, თვალები დახარეს, გულხელდაკრეფილები ერთ ხანს იდგნენ ჩაფიქრებულნი, მერე მარიამს გამოემშვიდობნენ და აფორიაქებულნი შინ წავიდნენ. გავიდა ხანი და კომნენები კვლავ ეახლნენ მარიამს. ახლა, დედოფალი შედარებით მხიარულად გამოიყურებოდა, რამაც ისინი გაამხნევა და უთხრეს: „შენ ხარ ჩვენი მეუფე ქალბატონი, ჩვენ კი შენი უერთგულესი მსახურნი, რომელნიც მზად არიან შენთვის ყველაფერი აიტანონ. ნუ შეგაშფოთებს ნურავითარი ფიქრი, ნუ გაივლებ გულში ნურავითარ ექვს!“ კომნენებს საჭე სურდათ.

კომნენებმა გაუმხილეს მარიამს თავიანთი იღუმალა ზრახვები, რასაც დღემდე გულში ღრმად ინახავდნენ. დაჰპირდნენ, რომ არასოდეს მოაკლებდნენ თანადგომას და ყველა სურვილს შეუსრულებდნენ, ჭირსა და ლხინს მასთან ერთად გაიყოფდნენ. — გაგვხადეო ღირსი, ვითვლებოდეთ შენს თვის-

ტომებად და მეგობრებად, ოღონდ დაუყოვნებლივ გვაცნობე ხოლმე, რასაც ჩვენზე ეტყვიან მეფეს, რომ მოულოდნელად არ გავებათ მტრის მახეშიო. ამას სთხოვდნენ ისინი მარიამს — ქართველ დედოფალს, ამხნევებდნენ და აიძულებდნენ, ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ შენს ვაჟს კონსტანტინეს სამეფო ტახტი არ დაეკარგოსო. აღუთქვეს — ამ ჩვენს გადაწყვეტილებას ფიცით დავადასტურებთო. იქვე დასძინეს — ჩვენი აქ ხშირად სიარული არ ივარგებს, რადგან გარეშე და შინაური მსტოვარი თვალყურს გვადევნებსო.

ქართველ დედოფალ მარიამთან აღსარებით კომნენებმა შეიმსუბუქეს თავიანთი ნალველი და გამხნევედნენ. იმ დროიდან მოკიდებული, ისინი უფრო თავისუფლად და მხიარულად ესაუბრებოდნენ მეფესო, გვაუწყებდნენ ბიზანტიური წყაროები. ორივე პრინცი, განსაკუთრებით — ალექსი, მარჯვედ ნიღბავდნენ თავიანთ იღუმალ ზრახვებს. თურქების მიერ კვიზიკის აღებამ დიდად დაამწუხრა კეისარი ნიკიფორე ბოტანიატე, კომნენები შეეცადნენ, სულეერად გაემხნევიანთ იგი. აღუთქვეს, ქალაქს უკან დავიბრუნებთო. „მხოლოდ შენი მეუფება იყოს დღეგრძელი, ქალაქის მიტაცებას კი ერთი ათად ვაზღვევინებთო“. ამ სიტყვებმა მეტისმეტად გაახარა მეფე და მან მთელი დღე სადილის შემდეგ უღარდელ განცხრომაში გაატარა. კომნენებმა უფრო მოუხშირეს სასახლეში სიარულს. ეფერებოდნენ კარისკაცებს, რათა ბოროტგანმზრახველთათვის სიძულვილის არავითარი საბაბი არ მიეცათ, პირიქით, მოემკოთ მათი სიყვარული და შეექმნათ ისეთი ვითარება, რომ იმათ კომნენების სასარგებლოდ ეფიქრათ და ელაპარაკნათ. ამავე დროს ისინი დიდის მეცადინეობით განიმტკიცებდნენ მარიამ დედოფლის თანადგომასა და წყალობას. არწმუნებდნენ მას, რომ მისით სულდგმულო-

ზდნენ. განსაკუთრებით გაბედულად ეჭირა თავი მარიამთან ისააკს, როგორც ნათესავს, დედოფლის დისწულის (თუ ძმისწულის) ქმარს. ხოლო ალექსი კომნენს, როგორც მისი ასული ანა კომნენი მოგვითხრობს, მარიამთან ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა, როგორც მის ნაშვილებს. ამიტომ კომნენების საქციელი არავის აღუძრავდა ეჭვებს. ალექსიმ ხომ კარგად იცოდა აღზევებულ ბარბაროსთა მძვინვარე ბოროტება და ბოტანიატეს უკიდურესი სიმჩატე. ამიტომ ქართველად დედოფლის კეთილგანწყობილებას ისინი ძალზე უფრთხილდებოდნენ. მოსწრებულად ამბობს ანა კომნენი: მხოლოდ ქარაფშუტა ადამიანები არიან ცვალებადნი და ევრიპეს მსგავსად მერყეობენ აზრთა მდინარების დროსო.

ბორილემ და გერმანემ, — ნათქვამია ბიზანტიურ წყაროში, — როცა დაინახეს, კომნენების დაღუპვა არც ისე ადვილი საქმე იყო და კეისარი ბოტანიატე სულ უფრო მეტ კეთილგანწყობილებას იჩენდა მათ მიმართ, გადაწყვიტეს, ერთ ღამეს მეფის ნამალავად მოეწვიათ კომნენები, გადაეყენებინათ თანამდებობიდან და რაიმე ბრალდების საბაბით თვალები დაეთხარათ მათთვის. კომნენებმა შეიტყვეს ეს ამბავი და გადაწყვიტეს, მოეწყობთ ამბოხება. ამის შემდეგ სულ მალე ალექსი კომნენს უბრძანეს, გაელაშქრა კვიზიკის ამოხრებელ თურქებზე. იგი ხომ დასავლეთის დომესტიკოსი იყო. მან ისარგებლა შემთხვევით და თავისი ერთგული ჯარები კონსტანტინოპოლში დაიბარა. ბორილემ განგაში ატეხა კეისარ ბოტანიატესთან — კეისარმა მიიხმო დომესტიკოსი ალექსი კომნენი და ჰკითხა, შენი ბრძანებით მოდიან პროვინციიდან სატახტო ქალაქში ჯარებიო? ამ საუბარს თვითონ ბორილეც ესწრებოდა. ალექსი კომნენმა შესძლო გაეფანტა კეისრის ეჭვები. მაშინ ბორილემ და გერმანემ გადასწყვიტეს, დაეს-

წროთ კომუნებისათვის. ბორილე თვითონ ესწრაფვოდა, ხელთ ეგდო ბიზანტიის იმპერიის საჟე. ამაზე ისინი ახლა დაუფარავად ლაპარაკობდნენ. ეს საფრთხე კომუნებს აცნობა — წოდებით მაგისტრმა და ტომით ალანმა, კეისართან დაახლოებულმა კაცმა. იგი შუალამისას გამოვიდა სასახლიდან და კომუნებთან მივიდა, რათა ყველაფერი მოეთხრო მათთვის. სხვა გადმოცემებით, ალანი მაგისტროსი კომუნებს მიუგზავნა მარიამ დედოფალმა. ალექსიმ შეიყვანა მაგისტროსი თავის დედასთან და ძმასთან, ერთად მოისმინეს იმ ალანისაგან საგანგებო ცნობა. ახლა კომუნებმა აუცილებლად ჩასთვალეს საშუალოზე გამოეტანათ ყველაფერი, რასაც აქამდე მალავდნენ. ალექსი კომუნებმა რომ შეიტყო ჯარი მესამე დღეს მიუვიდოდა ცურულში (თრაკიის საზღვარზე მდებარე პატარა ქალაქი), ღამის პირველი გუშაგობის უამს წავიდა სომეხ სევესტოსთან*. ალექსიმ უამბო ამ დიდ მოხელეს, თუ რას იზრახვიდნენ ბორილე და გერმანე. სომეხმა სევესტოსმა მას აღუთქვა დახმარება და დაცვა, ოღონდ იმ პირობით თუ დაუყოვნებლივ და გაბედულად იმოქმედებდა. სევესტოსმა უთხრა კომუნებს: „თუ ხვალ, დილით ადრე, აქედან გახვალ, მეც გამოგყვები და თავგამოდებით დაგიცავ, ხოლო თუ კი გადადებ შენი განზრახვის სისრულეში მოყვანას, იცოდე, მე თვითონ დაუყოვნებლივ მივალ კეისართან და ყველაფერს გაუუმხელო“. ალექსიმ და სევესტოსმა ფიცით აღუთქვეს ერთმანეთს ერთგულება. ალექსიმ სევესტოსს სიტყვა მისცა, რომ, როგორც კი ტახტზე ავიდოდა, მას მიანიჭებდა დომესტიკოსის პატივს, რომელიც ახლა თვითონ ჰქონდა. შემდეგ მოინახულა იმპერატორის კარზე თვალსაჩინო კაცი — არიმანიოს უბერტოპულესი და მასაც

* სევესტოსი — ტიტული ბიზანტიის სამეფო კარზე XI ს. შუახანებიდან.

გააცნო თავისი განზრახვა, ასულიყო ტახტზე, აუხსნა გაქცევის მიზეზი და მოუწოდა, ხელი შემოწყვეო. არიმანიოსი შეჰპირდა თანადგომასა და ერთგულებას.

როგორც ითქვა, მარიამ დედოფლისა და კომნენების დაახლოება არ გამოპარვია ორ ყივჩაღ, თუ პაქანიგ მოხელეს — ბორილეს და გერმანეს, ისიც აღენიშნეთ, რომ ისინი მტრობდნენ ალექსი და ისააკ კომნენებს და საკუთარი მდგომარეობის განმტკიცებას ლამობდნენ. ბორილე თვითონ ცდილობდა ხელთ ეგდო ტახტი და გერმანეც ხელს უწყობდა. ქართველმა დედოფალმა, მარიამმა, — მოგვეაგონებს გიორგი თოგოშვილი, — ალექსი კომნენი იშვილა, ხოლო ისააკ კომნენმა მოახერხა დანათესალება მარიამთან — ცოლად შეირთო მისი უახლოესი ნათესავი. ბორილესა და გერმანეს ავებელითი გეგმები, შიმართული მარიამისა და კომნენების წინააღმდეგ, ცნობილი გახდა მაგისტროსისათვის*. მან კომნენებს აცნობა ყველაფერი. ალანი მაგისტროსი მარიამის თანამოაზრე და თანამდგომი იყო. ალექსი კომნენმა ეს მოხელე თავის დედა ანა დალასინასთან და ისააკთან შეიყვანა. მათაც მოისმინეს, თუ რა ავი ზრახვები ჰქონდათ ბორილესა და გერმანეს. ამიტომ გადაწყვიტეს, დაესწროთ მათთვის. ყველაფრიდან ჩანს, რომ კომნენებს ჩაფიქრებული ჰქონდათ მარიამის დასტურით ხელთ ეგდოთ ტახტი, მაგრამ ბოლომდე მაინც არ ენდობოდნენ მას და ფრთხილობდნენ, ეშინოდათ, რომ დედოფალი მათ მხოლოდ თავისი შვილისათვის ტახტისაკენ გზის გასაკაფავად იყენებდა. შესაძლებელია, ბორილესა და გერმანესაგან მომდინარე საფრთხე მარიამმა განზრახ გააზვიადა, რომ კომნენები იძულებული გაეხადა გადამწყვეტი ნაბიჯი გადაედგათ. მარიამის მდგომარეობა, ალბათ,

* მაგისტროსი — წარჩინებულ მსახურეულთა ფენის უმაღლესი ტიტული ბიზანტიაში XII ს-მდე.

მყარი არ იყო. იგი სასწოროზე დებდა თავისი ვაჟიშვილის მო-
მავალს. ალექსი კომნენის პირობა, რომ წარმატების შემ-
თხვევაში მარიამის ვაჟს კონსტანტინეს თანამეფედ გაიხდიდა,
სრულიადაც არ იყო საიმედო.

კომნენებმა ჩამოაგდეს ნიკიფორე ბოტანიატე და აიძულეს
ბერად აღკვეცილიყო. მარიამ დედოფალი სასახლეში დარჩა:
ჯერ ერთი, მის შვიდი წლის ვაჟიშვილს კონსტანტინეს დაცვა-
მფარველობა სჭიროდა, მეორეც, ერთი კომნენი — ისააკი მისი
სიძე იყო, ალექსი კი — შვილობილი. ანა კომნენი წერს, —
სხვაგვარად როგორ უნდა მოქცეულიყო მარიამი, იგი ხომ
უცხოელი იყო და თვისტომთაგან არავინ ჰყავდა სიახლოვესო.
შვილს სასახლეში საფრთხე, ისიც ასეთ დროს, ყოველთვის
მოელოდა. მარიამის ვაჟს სილამაზეს და მიმზიდველობას უქ-
ებს ანა კომნენი და ბოდიშობს — ნურავინ დაჰმძრახავს, რომ ასე
ვაქებ ჩემიანებსო, თვით საქმის არსებითი მხარე მათქმევეინებს
ამასო. ყრმა კონსტანტინე თმის და კანის ფერით იყო ქერა
და ჰგავდა კვირტიდან ახლად გამოსულ ვარდს, თვალები შე-
ვარდნისა ჰქონდა და ისე უბრწყინავდა ხშირ წამწამებში,
როგორც ოქროს ჩარჩოებში. ეს იყო არა მიწიერი, არამედ
ციური სილამაზე. ვინც ამ ყრმას დაინახავდა, უთუოდ იტყოდა,
ასე დახატავენო ეროსს. აი, ნამდვილი მიზეზი, თუ რატომ
აყოვნებდა დედოფალი სასახლეში. ანა კომნენი დასძენს, მე
ხომ ბავშვობიდანვე ვიზრდებოდი მარიამ დედოფალთან, რვა-
წლისა ძლივს ვიქნებოდი, ბოტანიატე რომ ჩამოაგდესო. ძა-
ლიან ვუყვარდი დედოფალს და ყველა თავის საიდუმლოებას
მიზიარებდაო. მარიამს თვითონაც ხშირად უთქვამს, თუ რა
დიდი შიში გაუღაიტანა ვაჟის გაშო, როდესაც ნიკიფორე ბო-
ტანიატეს უარი ათქმევეინეს სამეფო ტახტზე.

ალექსი კომნენი რომ გამეფდა, დედოფალმა მარიამმა,

კონსტანტინეს დედამ, თხოვნით მიმართა მეფეს, მიეცა მისთვის (მარიამისათვის) წითელი მელნით დამოწმებული და ოქროს ბეჭედდასმული წერილობითი დასტური იმისა, რომ მას და მის ვაჟს არათუ ხელს არ ახლებდნენ, არამედ უკანასკნელი, გარდა ამისა, ალექსის თანამმართველიც იქნებოდა, ჩაიცვამდა წაღებს, თავზე გვირგვინს დაიდგამდა და, ალექსისთან ერთად, მასაც უწოდებდნენ მეფეს. ამ თხოვნაზე მარიამს უარი არ უთხრეს: უკანასკნელმა მიიღო ოქრობეჭედი, რომლითაც მისი ყველა სურვილი დაადასტურეს. ასე რომ, კონსტანტინეს გახადეს აბრეშუმის წაღები, რომლებიც იქამდე ეცვა, ჩააცვს წითელი წაღები, სამეფო სიგელებში იგი ზღვს აწერდა წითელი მელნით ალექსი მეფის შემდეგ და საზეიმო ცერემონიალის დროს სამეფო თავსაბურავით შემკული უკან მიჰყვებოდა მას. ამბობდნენ, მარიამ დედოფალმა, ჯერ კიდევ კომნენების აჯანყების წინ, დაადებინა ალექსის ეს პირობა და მოითხოვა, რომ მის ვაჟს ასე მოჰყრობოდნენ. ამის შემდეგ მარიამი სათანადო პატივით შობილი სტოვებს სასახლეს და ბინავდება სამეფო პალატებში, მთავარმოწამის გიორგის სავანის მახლობლად, რომელიც კონსტანტინე მონომახმა ააგო და მდებიურ ენაზე მანგანა ერქვა. ამ სავანეში მიაცილა იგი სევასტოკრატოსმა ისააკმა.

ანა კომნენი გვიამბობს, რომ მისი დაბადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მშობლებმა „მიუძღვნეს“ მას გვირგვინი და სამეფო დიადემა. ამავე დროს „რადგან წინანდელი მეფის მიხეილ VII ვაჟი კონსტანტინე მეფის, მამაჩემის, თანამმართველად ითვლებოდა და მასთან ერთად წითელი მელნით აწერდა ხელს ნობათებს, საზეიმო ცერემონიალის დროსაც

მას ახლდა ტიარით თავზე და წარმოთქმებშიც მეორე ადგილას იხსენიებოდა (მეფის შემდეგ), ამიტომ იმათ, ვისაც ეს წარმოთქმები ეხებოდა საზეიმო ცერემონიალისა, ბრძანება გასცეს, რომ იქ მეც ვყოფილიყავი მოხსენებულნი და წარმოთქვათ: „კონსტანტინე და ანა“. ზოგორც ჩემი ნათესაეებისა და მშობლებისაგან გამიგონია, ეს შემდეგაც კარგა დიდხანს გრძელდებოდა“.

„ალექსიადაში“ მარიამ დედოფლისა და მისი ვაჟიშვილის კონსტანტინეს შესახებ ნათქვამი იყო: „ბევრნი საეჭვოდ მიიჩნევდნენ დედოფლის დარჩენას სასახლეში, ჩურჩულებდნენ: — ახლანდელ ტახტის მპყრობელსაც განზრახული აქვს, როგორც ჩანს, მარიამის ცოლად შერთვაო. მხოლოდ დუკები* ამის მსგავსს არაფერს ფიქრობდნენ. დუკებმა იმთავითვე კარგად იცოდნენ, რომ კომნენების დედას სძულდა ისინი, ამიტომაც უყურებდნენ ამ ამბავს ეჭვით და ფრთხილობდნენ კიდევ. გიორგი პალეოლოგიც, როდესაც მოვიდა ფლოტით და საზეიმოდ მიესალმა მეფეს, კომნენების ზურგს უკან მდგომთა ანიშნეს, ალექსისთან ერთად არ მიელოცა ირინესათვის. გიორგი პალეოლოგი რისხვისაგან აენტო და დაბლა მდგომმა უთხრა მათ: „თქვენი გულისათვის კი არ ვიწვალე ამდენი, არამედ იმისათვის, ვისაც თქვენ ირინეს უწოდებთო“.

ხსენებული ირინე იყო მეფე ალექსის ძმის — ისააკ კომნენის მეუღლე, ზონარას გადმოცემით — მარიამ დედოფლის და (ბაგრატ მეოთხის მეორე ასული), ანა კომნენის აზრით კი — მარიამ დედოფლის დისწული თუ ძმისწული (ბაგრატ მეოთხის შვილიშვილი).

* მარიამის პირველი მეუღლის — მიხეილ მეშვიდის საგვარეულოს წარმომადგენლები.

გიორგი პალეოლოგმა მაშინვე უბრძანა საზღვაო ძალებს, ალექსისთან ერთად ირინესაც მისალმებოდნენ. ამან ძალიან შეაშფოთა დუკები, ჭორიკანებს მასალა მიეცათ მარიამ დედოფალი ეპაგებინათ, ხოლო მეფე ალექსის აზრადაც არ მოსვლია ასეთი რამ (დაქორწინება მარიამზე. დ. ჯ.). ჩაიბარა თუ არა მართვა-გამგეობა, მან, როგორც უაღრესად გამჭვრიახმა კაცმა, მაშინვე ხელი მოჰკიდა საქმეებს. ხოლო იოანე დუკა ცდილობდა, რაც შეიძლება მალე განთავისუფლებულიყო დედოფლისაგან და სასახლიდან გაეძევებინა მარიამი. ამით სურდა მოესპო ყალბი ექვები. ერთის მხრივ, ყოველნაირად ელაჭუცებოდა პატრიარქ კოზმას, ცდილობდა თანამზრახველად გაეხადა და არაფერს უთმობდა კომნენების დედას. მეორე მხრივ, მარიამ დედოფალს არწმუნებდა, მეფისათვის ეთხოვა — სიგელი პირადად თავისი და საკუთარი ვაჟის უშიშროების უზრუნველსაყოფად და გასცლოდა სასახლეს. ამგვარად, იგი იმეორებდა პატროკლეს ამბავს.

რამდენიმე დღე გავიდა სასახლის გადატრიალებიდან და კომნენებს ფიქრადაც არ გაუვლიათ მარიამის სასახლიდან გაყვანა.

მასალების მიხედვით, ირკვევა:

1) ალექსი კომნენის გამეფებისას ძლიერი იყო ტენდენცია კომნენების დინასტია შეეერთებინათ დუკათა გვართან, ამიტომ თავდაპირველად ფიქრობდნენ დაექორწინებინათ ალექსი და მარიამი — მიხეილ მეშვიდის ცოლყოფილი და კონსტანტინე უფლისწულის დედა.

2) მაგრამ შემდეგში ამავე მოსაზრებით პრინც კონსტანტინეზე დაინიშნა ანა კომნენი (ალექსი კომნენის ასული).

რომელიც სიყრმიდანვე ითვლებოდა ბიზანტიის ტახტის მომავალ მემკვიდრედ*. ე. ი. პრინცესა ანა კომნენი ქართველი დედოფლის მარიამის სარძლო იყო.

ამ დედოფლის შვილი კონსტანტინე ალექსი კომნენის თანამმართველი იყო 1081-1089 წლებში (ბოტანიატეს ჩამოგდების შემდეგ). ეს დასკვნა გამოიტანა სიმონ ყაუხჩიშვილმა სხვადასხვა ცნობათა გულმოდგინე ანალიზის საფუძველზე. თვითონ ალექსი კომნენი ალექსი პირველის სახელწოდებით კეისრის ტახტზე იჯდა 1081-1118 წლებში. ამ დროს სცენაზე გამოჩნდა ახალი მოჯანყე სახელად — ნიკიფორე დიოგენე. მან შეთქმულება მოაწყო ალექსი კომნენის წინააღმდეგ და მოიწადინა შეთქმულებაში ჩაეთრია ქართველი დედოფალი მარიამი. დიოგენე მისი მაზლი იყო — მიხეილ მეშვიდის ძმა დედით. დიოგენესაც და მის ძმასაც ლეონს ალექსი კომნენი დიდი სიყვარულითა და მზრუნველობით ეპყრობოდა. ამან ხელი არ შეუშალა იმას, რომ დიოგენეს გულში ბოროტი ზრახვა ჩაედო. ანა კომნენი მოგვითხრობს: სერარის** მიდამოებში რომ იყო, კონსტანტინე პორფიროგენეტმა, მარიამის ძემ, რომელიც თვითმპყრობელ ალექსის თან ახლდა, სთხოვა მას — ჩემს აგარაკზე დაისვენეთო, სასიამოვნო ადგილია, კარგი ცივი ჰასმელი წყალი ჩამოჩუხჩუხებს და კეისრის მისაღებად საჭირო ოთახებიც მაქვსო (ამ ადგილს პენტეგოსტი ეწოდება); ალექსიც დაჰყვა მის მიპატიჟებას და შეისვენა იქ, მაგრამ მომდევნო დღესაც, წასვლა რომ დააპირა, პორფიროგენეტმა არ გაუშვა. სთხოვა, ცოტა მომავრდი და აბანოშიც ერთად წავიდეთო. კონსტანტინეს უკვე მოეშაადებინა ალექ-

* Ф. Успенский. История Византийской империй, т. III. 1948. стр. 171—172.

** თრაკიის ქალაქი

სისათვის მდიდრული ნადიმი. ალექსი კვლავაც დაჰყვა პორფიროგენეტის სურვილს. როდესაც ალექსიმ იბანავა და აბანოდან გამოვიდა, ნიკიფორე დიოგენემ, რომელიც დიდი ხანია ხელსაყრელ შემთხვევას ელოდა მის წინააღმდეგ შეთქმულებისათვის, შემოირტყა მახვილი და შევიდა სახლში, თითქოს ჩვეულებისამებრ ნადირობიდან დაბრუნებულიყო. ეს რომ დაინახა ტატიკიმ, რომელმაც კარგად იცოდა, როგორი ზრახვები ედო დიოგენეს გულში, გარეთ გაიყვანა და უთხრა, რატომ შემოხვედი ასე უწესრიგოდ, ისიც მახვილშემორტყმულიო. დიოგენე მიხვდა, რომ გაუგეს ზრახვები და გადასწყვიტა, გაქცევით ეხსნა თავი. პირველი, რაც გაიფიქრა, ეს იყო მარიამის ქრისტეპოლისის მამულში შეეფარებინა თავი.

ალექსი კომნენი მიხვდა, სადამდე შეიძლებოდა მიეყვანა ასეთ განუსჯელობას. მან გადასწყვიტა შეეპყრო ნიკიფორე დიოგენე. ეს უკანასკნელი ჩქარობდა ჩაფიქრებული გეგმის განხორციელებას და მოინდომა იმავე ღამეს წასულიყო ქრისტეპოლისისაკენ. «ამ მიზნით მან სალამოს კაცი გაგზავნა კონსტანტინე პორფიროგენეტთან (თავის ძმის შვილთან, ე. ი. მარიამ დედოფლისა და მიხეილ მეშვიდის ვაჟთან. დ. ჯ.), შეუთვალა, მეფისაგან ნაჩუქარი ფეხმარდი. ცხენი მათხოვეო. მან უარი შემოუთვალა. სცადეს გამოეტეხათ ნიკიფორე დიოგენე, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მაშინ ერთ-ერთმა მოხელემ, მუზაკემ, აწამა დიოგენე და იგიც ყველაფერში გამოტყდა. დიოგენეს დაკითხვის ჩანაწერებიდან და სხვადასხვა პირთა წერილებიდან სჩანს, რომ დედოფალმა მარიამმა იცოდა დიოგენეს შეთქმულების ამბავი, მაგრამ იგი გადაქრით წინააღმდეგი იყო ალექსი კომნენის მოკვლისა, დაბეჭილებით ურჩევდა დიოგენეს, თავი შეეკავებინა არამარტო მკვლელო-

ბისაგან, არამედ ამოეგდო თავიდან მისი ტახტიდან გადაყენების განუხორციელებელი ზრახვები. ალექსი დაკითხვის მასალებს რომ გაეცნო, იქ წააწყდა ბევრ ექვემიტანილთა სახელებს. ყველანი წარჩინებულები იყვნენ, ამიტომ ალექსი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. მან მოინდომა დედოფალ მარიამის საქმეები არ გაემქლავნებინა. ალექსი აცხადებდა, არაფერი ვიციო, რადგან მარიამის ერთგულებისა სწამდა. ყველგან ავრცელებდნენ ხმებს, რომ დიოგენეს ზრახვები მეფეს მარიამის ვაჟმა კონსტანტინე პორფიროგენეტმა გაუმხილაო. სინამდვილეში კი საქმის ვითარება სხვაგვარად იყო. შეთქმულების ამბები თანდათან ხდებოდა ცნობილი თვით დიოგენეს თანამზრახველთა წყალობით“.*

წყაროები იმასაც გვამცნობენ, რომ თავდასხმა ალექსი კომნენზე უნდა მომხდარიყო დაღმაციაში მისი ლაშქრობის დროს, ე. ი. 1094 წლის თებერვალში. ამ ლაშქრობაში ალექსი კომნენს თან ახლდა კონსტანტინე. როცა ლაშქრობის მონაწილენი ჩავიდნენ ქალაქ სერრში, კონსტანტინესათვის ცხადი გახდა, რომ ახლოს იყვნენ პენტიგოსტისთან, სადაც ცხოვრობდა მარიამი. ჭაბუკმა კონსტანტინემ მოისურვა დედის ნახვა და სთხოვა ალექსი კომნენს — ყველანი იქ შეჩერდით, დელაჩემის მამულში, იქაური ბუნებაც ლამაზია და ცივი სასმელი წყალიც უხვად იშოვებაო. პენტიგოსტისში, სადაც ალექსი დასასვენებლად შეჩერდნენიკიფორე დიოგენემ (ის დაღმაციის ლაშქრობაში მონაწილეობდა) სცადა მოეკლა იმპერატორი. ზოგიერთი მეცნიერი (ი. ნოდია) ფიქრობს, რომ შესაძლებელია, გვირგვინო-

* გეორგია. VI, 1966, გვ. 88-93.

ზნის დასვენების ადგილად განზრახ იქნა შერჩეული მარია-შის ვილა. შესვენების შემდეგ ალექსი კომნენმა მოიმიზეზა კონსტანტინე პორფიროგენეტის სუსტი ჯანმრთელობა და დატოვა იგი დედასთან, თითქოს მასზე ზრუნავდა. არ წაიყვანა სალაშქროდ. რამდენიმე ხნის შემდეგ კონსტანტინე, ტახტის მემკვიდრეობაზე უფლებააყრილი, გარდაიცვალა და დაიტირეს დედამ მარიაშმა და საცოლემ ანა კომნენმა. ამ უკანასკნელის მოგონებებმა კონსტანტინეს შესახებ ჩვენამდე მოაღწია და ამ მხრივ იგი ერთ-ერთ სარწმუნო და საიმედო წყაროს წარმოადგენს. ფრანგი ბიზანტიოლოგი ბ. ლეიბი წინადადებას იძლევა, გადაისინჯოს ბიზანტიის მმართველთა სია და ამ სიაში ადგილი დაუთმონ კონსტანტინე პორფიროგენეტს — ქართველი დედოფლის მარიაშის შვილს, ვითარცა ალექსი პირველი კომნენის ოფიციალურ თანამმართველს.

ალექსი კომნენმა საკმაოდ მკაცრად დასაჯა შეთქმულების მონაწილენი, მათ შორის მარიაში. დიოგენეს ამბოხებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მარიაშ დედოფალი, როგორც ჩანს გადასახლებაშია კუნძულ პინკრიპოზე. ამას მოწმობს ბულგარეთის არქივებისკოპოსის თეოფილაქტე ოხრიდელის (ქაბუკ კონსტანტინე პორფიროგენეტის აღმზრდელი) წერილი მარიაშ დედოფლისადმი. ამ წერილით იგი უხდის ბოდიშს დედოფალს, რომ მასთან კუნძულ პინკრიპოზე ვერ შეიარა ნიკომედიიდან ოხრიდაში მოგზაურობის დროს, რადგან ცივი ქარი ქროდაო. ეტყობა, თეოფილაქტე ოხრიდელმა თავი აარიდა შერისხული დედოფლის მონახულებას. ამ წერილიდან ისიც ჩანს, რომ დასჯილი ბასილისა კვლავ ინარჩუნებს ერთგვარ გავლენას ბიზანტიის კარზე: თეოფილაქტე სთხოვს მას რომელიღაც საქმეში დაეხმაროს მის ძმას. რაც შეეხება

ნიკიფორე დიოგენეს, როცა მისი პირველი ცდა მარცხით დასრულდა, პეტრიწონში გაქცევით უშველა თავს, სადაც სამფლობელოები ჰქონია მარიამ დედოფალსაც.

ამ ქართველი ბასილისას სახელი მოიხსენიება მე-11 საუკ. საზღვარგარეთის სამონასტრო-კულტურული მშენებლობის ისტორიაში. მან და დედამისმა ბორენამ იერუსალიმში, ალ. ხაკიმის* მიერ დანგრეული ძველი მონასტრის ადგილას, მთავარანგელოსის სახელზე დააარსეს ქალთა მონასტერი კაპპი. შემდეგში ეს მონასტერი ქართული მწიგნობრობის თვალსაჩინო კერად იქცა. მე-11—13 საუკუნეებში მონასტერში იყო საკმაოდ მდიდარი წიგნთსაცავი, რომელიც არაერთხელ დაარბიეს მუსულმანთა ველურმა ბრბოებმა. იქაური ხელნაწერებიდან ყურადღებას იქცევს „წიგნი სინაის მთის მარტილობაზე“. იგი შეიცავს აგიოგრაფიული ძეგლების მეტაფრასტულ რედაქციას. გადამწერი მოწიწებით ახსენებს მარიამს და ბორენას, როგორც კაპპის დამაარსებელთ. კ. კეკელიძის აზრით, მონასტერი უნდა აეგოთ 1071-1080 წლებს შორის. თავისი დედოფლობის დროს მარიამი დიდ ზრუნვას იჩენდა და ეხმარებოდა ათონის ივერთა მონასტერს. ამას მოწმობს მონასტრის აღაპები. მარიამს შეუმსუბუქებია ათონის სავანისათვის სავადასახადო ტვირთი. მისივე ბრძანებით, თეოფილაქტე ბულგარელს შეუსრულებია იოანეს სახარების კომენტარები. (პალეოგრაფიული მონაცემებით ეკუთვნის პეტრიწონის სკოლას)*.

* ალ-ხაკიმი—არაბეთის ხალიფა (985—1021), დევნიდა არამუსლიმანებს.

** კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. V, გვ. 209.

საინტერესოა, რომ ფრანგმა მეცნიერმა ფ. ხალანდონმა კომენტების შესახებ დაწერილ ორტომიან მონოგრაფიაში 69 გვერდი დაუთმო მარიამ დედოფლის თავგადასავალს.* (ფერდინანდ ხალანდონი იყო რომის ე. წ. „ფრანგული სკოლის“ დამსახურებული წევრი, თანამდებობით — პალეოგრაფიის არქივისტი).

მარიამ დედოფალზე არსებობს ისტორიული რომანიც. ავტორია მაქსიმ დე კონსტანი და წიგნს ჰქვია „ბიზანტიისაკენ“.** 172 გვერდი ეძღვნება ქართველი ბაზილევსას ოდისეიას. როგორც ვხედავთ, მას არ მოჰკლებია არც ისტორიკოსთა და არც მწერლების ყურადღება და ევროპაშიც დიდი სახელი გაუვარდა.

მეთორმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში დავით აღმაშენებელმა თავისი ასული ქეთევანი ბიზანტიის კეისარს ისააკს მიათხოვა, რომელთანაც შეეძინა ანდრონიკე პირველი კომნენი, შემდეგში — ბიზანტიის კეისარი. ამ ცნობას გვაწვდის თამარის პირველი ისტორიკოსი, რომლის მიხედვით უნდა ვიგულისხმოთ, რომ ანდრონიკე პირველი იყო თამარის ბაბუის დემეტრე პირველის (1125-1156) დისწული. მაშასადამე, ანდრონიკე კომნენი დედის მხრიდან დავით აღმაშენებლის შვილიშვილია და გიორგი მესამის მამიდაშვილი. ამიტომ იყო საქართველოს სამეფო კარი მეთორმეტე საუკუნეში

* Chalandon F., les Comnènes, v. 1—2. P. 1900-12.

** Maxime de Constan. Pour Byzance! Roman historique. P. 1909.

უღრესად სიმპათიურად განწყობილი კომნენებისადმი. გიორგი მესამის დროს ანდრონიკე სიყვარულით მიიღეს საქართველოში და იგი ქართველებს ბრძოლებში ენერგიულად ეხმარებოდა. 1204 წელს ტრაპიზონის საკეისროს სათავეში თამარმა ანდრონიკეს შვილიშვილი ალექსი ჩააყენა. რუსუდანის ასული თამარი გათხოვილი იყო იკონიაში.

კარგად ცნობილია ისიც, რომ თამარ მეფის შვილიშვილი — რუსუდანის ასულის გათხოვებას სელჩუკთა სულთანზე წინ უსწრებდა თვით რუსუდან დედოფლის სასიყვარულო თავგადასავალი, რაზედაც მოგვითხრობენ მუსლიმანი ისტორიკოსები იბნ ალასირი და აბულ-ფიდა. აი, რას წერს უკანასკნელი: „მოხდა მუსლიმანთა სამყაროსათვის არნახული და გასაკვირი ამბავი: არზრუმის მფლობელმა გაგზავნა საქართველოში ელჩი, რათა ქართველი დედოფლის რუსუდანის ხელი ეთხოვა“.

ისტორიულ ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი თამარ მეფის შვილიშვილის — მზეთუნახავი ქართველი ქალის თავგადასავალი უცხოეთში. რუსუდანმა, თამარ მეფის შვილმა, 1223 წელს დაიწერა ჯვარი, ხოლო ასული ერთი წლის შემდეგ შეეძინა. ცამეტი წლისა თამარი, ეს ასული, განსაცვიფრებელი სილამაზისა შექმნილა. იგი ჯალალედინის ძმას — ყიასდინ ქეიხუსრევ მეორეს მოსწონებია. ერთი ვერსიით, ყიასდინი მზად იყო თავისი სჯული დაეგდო, თუ თამარის (რუსუდანის ასულის) ხელს ეღირსებოდა, და თანაც ქალის დედ-მამას ზღაპრულ მზითევს ჰპირდებოდა. რუსუდან დედოფალი დათანხმებულა ყიასდინის სიძობას იმ პირობით, რომ თამარს დასტოვებდნენ წინაპართა სჯულზე. სხვა ვერსიას გვაწვდის თურქი ისტორიკოსი ოსმან თურანი (მის ნაშრომში ვრცლად არის საუბარი თამარ რუსუდანის ასულის ქორწინებისა და მოღვაწეობის შესახებ სელჩუკთა სახელ-

მწიფოში). თურანის სიტყვით, როდესაც 1232 წელს სელჩუკთა ლაშქარი საქართველოში შეიჭრა და ქართველთა მეფემ ზავი ითხოვა, რუსუდანი დასთანხმდა თავისი ქალიშვილი მიეცა ალ-ად-დინ ქეიყობადის ვაჟ ყიას ად-დინ ქეიხუსრევისათვის. მაშინ ეს უკანასკნელი ერზინჯანის* მელიქი იყო.

არსებობს იბნ ბიბის ვერსია: მცირეაზიელი სელჩუკების ხშირი თავდასხმებით შეწუხებულმა რუსუდანმა გადაწყვიტა მათთან დამოყვრება. მან იკონიაში გაგზავნა წერილი, სადაც სწერდა: მშვიდობა-სიწყნარისათვის მინდა ჩემი ასული თამარი, რომელიც სელჩუკი დავუდისაგან მყავს, მივათხოვო მალიკ გიიას ად-დინ კეი-ხუსრეგ მეორესო. (როგორც მკვლევარი ბუნიატოვი დაასკვნის, იბნ ბიბის ეს ცნობა ადასტურებს რუსუდანისა და არზრუმის მფლობელის ვაჟიშვილის ცოლქმრობას, რაზედაც წერენ იბნ-ალასირი და აბულ-ფიდა).

„ქართლის ცხოვრებაში“ დაცული ვერსიით, „ხოლო ვითარ აღიზარდა ასული მათი თამარ, ესმა საბერძნეთის სულტანსა, ძესა ნუქარდინისსა, ყიასდინს, ქნულკეთილობა მეფისა ასულისა, ევედრა მრავალთა ნიჭთა და ძლუნთა მიერ, რათა მისცეს ცოლად ასული თამარ, და აღუთქუა ფიცით არა დატევება სჯულისა ქრისტიანეთასა, რომელი ისმინა მეფემან რუსუდან, და მისცა ასული მისი სულტანსა ყიასდინს, რომელი ესე უჯერო იყო ქრისტიანთა მიერ, ხოლო დიდითა დიდებითა მისცა აწყურნი ზითვად“.

ნასავის ცნობით, თამარი ჩაიყვანეს კაისერიეში და იქ გაიმართა ქორწილი. თამართან ერთად ქეიხოსროვის სამეფოში ჩავიდა მისი ძმა დავითი (მომავალი მეფე დავით მე-4 ნარინი), არის ცნობები, რომ ქორწილი კაისერიეში გაიმართა

* ერზინჯანი — მეტწილად სომხებით დასახლებული ქალაქი ევფრატის მარჯვენა ჩრდილოეთ სანაპიროზე.

1237 წელს, მაშინვე, როგორც კი ტახტზე ავიდა ქეიხოსროვ მეორე.

ბარებრეის ვერსიით, ქეიხოსროვ მეორემ ისე ძლიერ შეიყვარა თავისი ქართველი ცოლი, რომ სულ ააღო ხელი სახელმწიფო საქმეებს. სხვა წყაროებითაც ცნობილია, რომ ყიასდინ სულტანს ისე გაგიჟებთ ჰყვარებია თამარი, რომ მონეტებზე მისი სახის ამოტივთრა დაუპირებია. მაგრამ ამის მაგიერ მას თურმე ურჩიეს: ლომის ზევით მზის გამოსახვა — თანამეცხედრის ბედნიერების ნიშნად. იკონიელებიც ჰკუჯნებენ არ იყვნენ რძლის — გურჯი ხათუნის სილამაზით, ცოდნა-განათლებით და პოლიტიკური გამჭრიახობით. თამარი — გურჯი ხათუნი მეგობრობდა აღმოსავლეთის ერთ-ერთ უდიდეს პოეტ ჯელალ ედ-დინ რუმთან. უკანასკნელს ზღაპრული გავლენა ჰქონდა იკონიის სელჩუკი სულთნების კარზე. ქართველ დედოფალს — თამარ რუსუდანის ასულს მან აჩუქა იღუმალი ყვავილები — სერენდიბში, ანუ ცეილონზე რომ ხარობდა. ამ ყვავილებით ქართველი დედოფალი თურმე ჰკურნავდა ბრმებს — მათ მხედველობას უბრუნებდა. ქართველ დედოფალს თამარს შეეძინა ვაჟი — მომავალი სულთანი რუქნადინ კილიჩ არსლან მეოთხე (შემდეგში დაახრჩვეს ქალაქ აქსარაიში). ამ პიროვნებას შეჰყვარებია ჯელალ ედ-დინ რუმი და მას თურმე „მამას“ ეძახდა. ხსენებული სულთნის დედა — ქართველი დედოფალი თამარი დიდის მოწიწებით ეპყრობოდა იმავე პოეტს. როგორც ვ. გორდლევსკი წერს, თამარმა დაახატვინა ჯელალ ედ-დინ რუმის სურათი და ამ სურათს ყველგან თან დაატარებდა. მანვე დიდძალი ფული — ორი ათასი ჩერვონეცი გადაიხადა, რომ ეშოვა ჯელალედინის

ტანსაცმელი და ჰქონოდა, როგორც წმინდა სახსოვარი რელიქვია.*

„ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, რომ რუსუდანმა სიძეს და ქალიშვილს მისწერა — მოჰკალით ჩემი ძმისშვილი, მანდ რომ დიდი ხანია გყავთო. რუსუდანს უნდოდა თავისი შვილისათვის გაეკათა გზა ტახტისაკენ. „რამეთუ ამათ უამთა დაივიწყა შიში ღმერთისა და ანდერძი ძმისა და ფიცი იგი რომელ ამცნო ძმამან მისმან რუსუდან მეფესა, და განიზრახა ზრახვა უცხო, რათა დაუმკვიდრო მეფობა ძესსა მისსა დავითს, და წარავლინა კაცი საბერძნეთს (აქ: თურქ-სელჩუკთა სამეფო იკონია. დ. ჯ.) სულტანსა სიძეს და ასულსა თამარს წინაშე რათა ძმისწული მისი დავით ყრმა, რომელ პირველ წარავლინა მათდა, რათა ბოროტი რა ეყოს მათ მიერ, და არა რა ბოროტი ეყო, აწ რომელი წარწყმიდონ და მოაკუდინონ, და მიერიტგან უზრუნველად ეპყრას მეფობა მას და ძესა მისსა დავითს“. რუსუდანს სურვილი არ შეუსრულეს. ცნობილია, რომ შემდეგში მონღოლებმა იკონიაში დილეგის კარი გაუღეს დავით მეფეს (მომავალი დავით მე-4 ულუ) და მღვდლებს.

თამარის დედოფლობა იკონიაში საკმაოდ შფოთიანი გამოდგა.

გუილიომ რუბრუკვისის ცნობით, კანონიერ მემკვიდრეა თურმე ტახტს ეცილებოდა ყიასდინის მეორე ვაჟი (ბერძენი ქალისაგან) და თითქოს ამაზე თავისი ძმის (ქართველი თამარის შვილის) თანხმობაც მიუღია. მაგრამ უკანასკნელის ყველა ნათესავი დედის მხრიდან, ე. ი. იბერიელები, ანუ ქარ-

* В. А. Гордлевский, Избранные сочинения. т. 1, М., 1960, стр. 195-196, 207-208.

თველები, ამის გამო აღშფოთებულან. ვ. გორდლევესკის აზრით, თამარის ძე უნდა იყოს შემდეგში რუმის სულტანი ალედინ კეიკუბად მეორე. როცა ყიასდინი მოკვდა, სულტნობა მიიტაცა მისმა მონაყოფილმა ფარმანმა და მანვე ცოლად დაისვა თამარი — გურჯი ხათუნი.

დიდ ინტერესს იწვევს მზეთუნახავ თამთას ისტორია.

დოსონის „მონღოლთა ისტორიაში“ ნათქვამია, რომ პრინც აშრაფის მეუღლე იყო ქართველი ქალი თამთა. 1245 წელს მონღოლებმა ამ დედოფალს გადასცეს მათ მიერ აღებული ერთ-ერთი ციხე-სიმაგრე ვანის ტბის ჩრდილოეთით დაკავებულ ქალაქთა რიცხვიდან.

მზეთუნახავ თამთას ამბავს ნასავე გვიყვება ჯელალ-ედინის ბიოგრაფიის ოთხმოცდამეერთე თავში. „როცა სულტანი ერაყში იყო, განჯის მხარეს დიდი ზარალი მიაყენა ბახრამ ქართველის თავდასხმამ. როცა სულტანი განჯაში ბრუნდებოდა, ბახრამზე საჩივრების ნაკადი დაიძრა. სულტანი გემართა მის წინააღმდეგ დიდი ძალებით, მრავალათასიანი ჯარით, კარვებითა და ალალებით. სულტანის სპა გაიფანტა ბახრამის ოლქის სხვადასხვა კუთხეში, ძარცვავდა და სწვავდა ამ ქვეყანას, ხოცავდა და მიერეკებოდა მოსახლეობას. სულტნის ჯარებმა წაართვეს ამ ხალხს, რაც კი დამალული და შემონახული ჰქონდათ, ადამიანებს ცოცხლად ჰყრიდნენ ბორცვებიდან და მთის მწვერვალებიდან. სულტანი აღიძრა შაკკანის ციხე სიმაგრეზე, აიღო იგი თავისი ძალითა და მოხერხებით, დასწვა მისი კიათირები ცეცხლით, შემდეგ გაილაშქრა ალიაბადის ციხეზე, დედოფალ (მალკას) თამთას რომ ეკუთვნოდა. სწრაფად აიღო ეს ციხე, დასტრგუნა მისი ძალები, დაუხოცა მოსახლეობა და იქ გააკეთა ყველაფერი, რაც უნდოდა. შემდეგ სულტანი გაეშურა ვაგისა და კავაზინის ციხეებისაკენ

და მათთვის სამ თვეს ჰქონდა ალყა შემორტყმული. ქართველების მდგომარეობა ძნელი გახდა და მათ ზავი ითხოვეს, გარკვეული გამოსასყიდის ფასად. გადახდას მაშინვე კისრულობდნენ. ამის თაობაზე შუამავლები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, შემდეგ ქართველებმა ფული გადაიხადეს და სულტანი ხილათის ალყის შემოსართყმელად გაეშურა“.

ხილათი რომ აიღო, ჯელალედდინს ტყვედ ჩაუვარდა ალმალიკ ალ-აშრაფის ცოლი— ტამტა (თამთა), ეს დედოფალი ერთხანს ცოლად ესვა ჯელალედდინს. მონღოლების მიერ უკანასკნელის განადგურების შემდეგ თამთა გამარჯვებულთ ჩაუვარდა ხელს, დიდხანს იყო მონღოლეთში და იქიდან საქართველოში დააბრუნეს რუსუდანის თხოვნით. მენგუ ხანმა თამთას დაუბრუნა ყველა სამფლობელო ხილათის სანჯაყში. ივანე ჯავახიშვილის აზრით, ეს თამთა ივანე ათაბაგის ასული იყო. მარი ბროსე ვარაუდობდა, რომ სტეფანოზ ორბელიანის მიერ მოხსენიებული და ივანესი — თამთა, უნდა ყოფილიყო იგივე ხორი შაჰი ვახტანგ ხაჩენელის მეუღლე. ნ. ბერძენიშვილს დასაშვებად არ მიაჩნია ასეთი გაიგივება. ბუნიატოვს არ ეეჭვება, რომ თამთა, ხაჩენის დედოფალი იყო ამირსპასალარ სარგისის ასული, ზაქარია მხარგრძელის შვილიშვილი, ხაჩენის მფლობელის ვახტანგის ცოლი. მისივე აზრით, ალი აბაღის ციხე ეკუთვნოდა იმ თამთას, ვინც ივანე ათაბაგის და იყო.

ყოველ შემთხვევაში უფლისწულ აშრაფის მეუღლეც ქართველი დედოფალი აღმოჩნდა და ვახტანგ ხაჩენელის თანამოსაყდრეც. სახეზე გვყავს ორი ქართველი თამთა — უცხოეთში გადაკარგულები.

სატურნის ღარტყმა

კარგად არის ცნობილი, რომ მეთოთხმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, სახელდობრ, 1386-1403 წლებში საქართველოს თავს დაატყდა არნახული და არსმენილი უბედურება — თემურ ლენგის ლაშქრობები. „საერთაშორისო სამართლის ამ საშინელმა გამქელავმა“, როგორც თემურ-ლენგს ეძახის ფრანგი სწავლული მოგზაური ბაპტისტინ პუჟულატი, ჩაიფიქრა ბნელზე ბნელი საქმე — ქართველი ერის მოსპობა. მართალია, ეს ჯოჯოხეთური განზრახვა შუააზიელმა ნაბუქოდონოსორმა ვერ შეისრულა, მაგრამ საქართველოს აუწერელი ზიანი და გაპარტახება კი მოუტანა. ვენახების და თუთის ხეების ამოძირკვაც სათვალავში რომ არ ჩავაგდოთ, ჩვენს გულს და გონებას მუდამ ძრწოლას მოჰგვრის ასეულ-ათასობით ტყვე ქართველის გარეკვა შორეულ მხარეებში. სად არ მიწვდა სიცოცხლეს შესამუსრად და მოსატაცებლად თემურ-ლენგის მახვილი. უმწეო ქალი და ბავშვი ვერც მიუდგომელმა ციხე-კოშკებმა დაიფარა, ვერც მონასტერთა გალავნებმა, ვერც მთამ, ვერც წყალმა. სად არ შეაღწია, სად არ გადაიზრიალა სიკვდილის მეწყერმა, რასაც თემურ-ლენგი ერქვა. ადამის მოდგმის ამ წყევლამ და რისხვამ გაცელა ქართველი ხალხი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს თემურს სამარეში ჩაჰყვა ჩვენი მოურევლობის ბოღმა, იგი მოწამლა იმის ძირმწარე შეგნებამ, რომ მან ვერა და ვერ აღკვეთა სიცოცხლე ქელდაუდრეკელ ჩვენს ქვეყანაში. არ ელოდა „შეშლილი ხარი“ თუ ვინმე გაუმაგრდებოდა მის კვეთებას, ურჯულობის ბეჭდით.

დამოწმებულ სატანურ ენებას. გამარჯვების ბაირალებით გადაიარა ქართველმა ხალხმა საბედისწერო უღელტეხილი თავისი ლეგენდარული ისტორიისა. მაგრამ უკან მოხედვა კაემზნით სეტყავდა. ეამთა სვლამ დიდხანს ვერ გადაარეცხა თემურ-ლენგის სისხლიანი ნაკვალევი. ვინ იცის, რამდენი ქართველი ლამაზმანის ოცნება და სიყვარული ჩაიმარხა ყარაყორუმის ქვიშაში და გურგანის მიდამოებში, რამდენი ჩვენი მზეთუნახავის სიცოცხლე ჩანელდა შორეულ მერიდიანებსა და პარალელებში, რამდენი ქართული აკვანი დაობლდა, რამდენი კერია ჩაიფერფლა, რამდენი ბაღა და ბაღი გადაფარა გლოვის ღრუბლებმა, რამდენი მშობელი დაიმარხა უპანაშვიდოდ და უზაროდ, რამდენი ქართველი პირმშვენიერი ასულის გულამომჯდარი ტირილი შეერია აზიის ქარიშხლების ზმუილს, რომ მათში სამუდამოდ და უგზო-უკვალოდ ჩაკარგულიყო... „სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი სადით ძირსა“, რა დიდებულად, რა მაგიურად უთქვამს უკვდავ შოთას. გულთმისანი პოეტი თითქოს ხედავდა ყველა მოსალოდნელ განსაცდელს, რაც კი მის ერს უდარაჯებდა საისტორიო ბედის ეკლიან გზაზე. რუსთაველის სიტყვები საერთო მემორიალურ ძეგლად ნიესადაგება უცხოეთში ჩალუბულ უთვალავ ქართველ ლამაზმანთა მარად მიუგნებელ, უკვარო და უეპიტაფიო საფლაგებს. ბერძენი მემატთანე მიქაელ პანარეტი გადმოგვცემს, „გამოვიდა (თემურ-ლენგი) ჩინეთის მთებიდან, და როგორც მცოდნენი ამბობდნენ, თან ჰყავდა 800 000-ზე მეტი კაცი, მოვიდა და დაიპყრო მთელი სპარსეთი. შემდეგ შეიჭრა იბერაის მთებში, გააჩაღა ბრძოლა და ხელთ იგდო გასაოცარი ქალაქი ტფილისი. მან ტყვედ წაიყვანა მხნე მებრძოლი ბაგრატი მეფე, მისი ცოლი, ჩვენი მეფის ასული, მშვენიერი კირანა და მისი ვაჟი დავითი, ხოლო მცხოვრებნი ამოწყვიტა და

მოსრა. როგორ მოაოხრა მან ყოველივე, რამდენი ხატი გაძარცვა და დაწვა, რაოდენი ძვირფასი თვლები, მარგალიტი, ოქრო და ვერცხლი წაიღო თან, ამის აღწერა არავის შეუძლია და მოხდა ყოველივე ეს ნოემბრის 21-ს, 895 (1386) წელს“.*

მაშინდელი სომეხი ისტორიკოსი თომა მეწოფელი თემურ-ლენგზე წერს: „დიდძალი ჯარით გაეშურა ფაიტაკარან-ტფილის ქალაქისაკენ, დაიპყრო იგი და ურიცხვი და უამრავი ტყვე წაასხა. საფიქრებელია, რომ მოკლული მეტი იყო, ვიდრე ცოცხლად დარჩენილი“.

იმავე თომა მეწოფელის სიტყვით, საქართველოში მეხუთე ლაშქრობის დროს თემურ-ლენგმა ტყვედ წაასხა 60 000 სულზე მეტი. დიდებულებს ჰკლავდნენ, მდაბიონი კი ტყვედ მიჰყავდათ. ეს ლაშქრობა ენით უთქმელი მტარვალობა იყო. მოვუსმინოთ დასახელებულ სომეხ ისტორიკოსს: „ხოლო მათ ცეცხლითა და მახვილით დაამხვეს ქართველთა მთელი ქვეყანა, დააქციეს ეკლესიები, წაასხეს ტყვეები და მოიყვანეს ჩვენს ქვეყანაში ტიტველნი და ფეხშიშველნი, მშიერ-მწყურვალნი. ყოველ 5 ჩალათაელს 20 ტყვე ჰყავდა. მათი უმეტესი ნაწილი გზაში იხოცებოდა, ხოლო ჩალათაელები იღებდნენ ქვას და უჩეჩქავდნენ თავებს, რომ ცოცხალი არ დარჩენილიყვნენ. მათ ტოვებდნენ, თვით კი თავიანთი გზით მიდიოდნენ. ყოველივე ვიხილეთ ჩვენივე თვალთ და ვისმინეთ. ვაი და ვუი მოედო ქრისტიანთა ამ ტომს. ვხედავდით ტყვექმნილთ. შევლა კი არ შეგვეძლო და სულშეხუთულები ტირილითა და გოდებით მოვერიდეთ და გავეცალეთ მათ“.**

* ვ. ს. ნალბანდიანი, თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, თბილისი. 1959. გვ. 112-113.

** ვ. ს. ნალბანდიანი, დასახ. მონოგრაფია გვ. 119-120.

1403 წ. 12 აგვისტოს, უმაგალითო წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ, ბირთვისის ციხე რომ აიღეს, თემურ-ლენგის ჯარისკაცებმა დატყვევებული მამრი მოსახლეობა ციხის პატრონ თორელთან ერთად თემურის თვალწინ დახოცეს. თორელის ცოლი თემურმა შირვანის მპყრობელ შეიხ იბრაჰიმს მისცა.

ერთი ბიზანტიელი ისტორიკოსის მშვიდი გადმოცემა ჩვენს ხალხის ისტორიული ტრაგედიის თაობაზე მთელი სიციხადით ააშკარავებს, თუ რა ღვარ-სეტყვის ეპოქა დაუდგა ჩვენს ხალხს, რა სოდომის ზარი და მეხი დაატყდა კოლხეთის მოსახლეობას მეთოთხმეტე საუკუნის მიწურულში.

დამახასიათებელია თემურ-ლენგის მუქარა, რომელიც გაეგზავნა ბაგრატ მეხუთეს. „და რა მიართვა ფეშქაში, არა აღილო ლანგ-თემურ, რამეთუ სწყრებოდა ფრიად, და შეუთვალა ესრეთ, ვითარმედ: „უკეთუ გინდა წაუხდენლობა ქვეყნისა ამისა, მოდი ჩემთან და გათათრდი და თუ გათათრდები, არცა გთხოვ ხარკსა და მოგცემ ხელშეუალად ქვეყანასა მაგას და სხვასაცა მრავალსა საბოძვარსა. და უკეთუ არა გათათრდები, დაიდევ ხარკი ჩემი და მოდი ჩემთანა და მოგცემ ქვეყანასა მაგას, და, როგორც განუტევე შვილი კეისრისა, აგრეთვე შენცა არას გავნებ და განგიტევე მშვიდობით, რამეთუ იგიცა შენის სჯულისა იყო. და უკეთუ არ მოხვალ, დავასრულებ ჯავრსა ჩემსა შენზედა და ქვეყანასა შენსა ზედა, ანუ დავასრულო ცხოვრება შენი და ქვეყანაცა. და უკეთუ მოხვიდე, მიფიცავს თავსა მაჰმადისასა, რამეთუ უკეთესი პატივი მოგცე შენ კეისრისაგან და მშვიდობით განგიტევეო, და უკეთუ არა მიეცნენ ძენი და ასულნი შენნი ტყვეობად“.*

* ქართლის ცხოვრება. II ტ. თბ. 1959. გვ. 336.

ქართველთა მეფე არც გათათრებას აპირებდა, არც ფარხმალის დაყრას. ეს იწვევდა მომხედურის გაშმაგებას.

თემურ-ლენგის მიერ დატრიალებულ ბევრ საშინელებას ფარდას ხდიან ჩვენი მეზობელი ხალხის მემკვიდრეები. 1399 წელს თემურ-ლენგის ლაშქრობაზე სომხურ წყაროში ნათქვამია: „დაიძრა ქართველთა მეფე, დიდძალი, მრისხანე ლაშქრით, მიადგა ერნჯაკის ციხეს, გამოიყვანა აჰმად ხანისძე, ჩალათაელთა აოტა ჯარი, გააძლიერა მეციხოვნენი, ეს რომ თემურ-ბეგს შეატყობინეს, კვლავაც დაიძრა განრისხებული, დაბრუნდა ქალაქ სამარყანდიდან თავზარდამცემი, სასტიკი ჯარით, ვეებერთელა ბევრი სპილოთი და სხვა მზაკვრული მანქანებით. მოვიდა შემოდგომის ხანს სომეხთა ათელის რვაასორმოცდარვას (1399) და ზაფხულამდე აღარ წასულა; აწიოკებდა, სპობდა ქართველებს მთელი შვიდი თვის მანძილზე; მოკლულთა რიცხვმა ასი ათასს გადაამეტა და უფრო მეტი იყო ტყვეები, ველარ მოხერხდა მათი დათვლაც კი, არაფერს ვამბობ ცხენტა მიერ გათელილებსა და კლდეებიდან გადაყრილებზე“.*

საქართველოდან ასი ათასი ტყვე წაიყვანა მტერმა 1400 წელს, ვინ იცის, რამდენი იქნებოდა ამ ტყვეთა შორის პირმშვენიერი ქართველი ქალი?

სომხურ და ბიზანტიურ წყაროებში თემურის ლაშქრობათა საშინელება მკაფიოდ არის მოხაზული. ეს წყაროები ავსებენ და ამდიდრებენ „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებს, თუმცა ეს მონაცემები, თავის მხრივ, ძალზე კოლორიტულია და მჭევრმეტყველური.

* სომხურ ხელნაწერთა... ჰიშატაკარანების ცნობები... თბ. 1978. გვ. 42—43 (ჰიშატაკარანი ანდერძის სიგელს ნიშნავს). თარგმნა და გამოსცა ალექსანდრე აბდლაძემ.

თემურის შემდეგაც ქართველ ხალხს არ ეწერა მოსვენება, როცა 1416 წელს მუსლიმანმა აგრესორებმა ახალციხე აიღეს, ქალები და ბავშვები ტყვედ წაიყვანეს.

სომხური წყაროებიდან ცნობილი ხდება, რომ 1442 წელს ჯპანშა მირზამ დალაშქრა საქართველო, აიღო სამშვილდის ციხე, მრავალი სული დახოცა, ხუცესნი გაათოკვინა და ჩაქოლვინა, ყველა დანარჩენებისათვის თავები წააცლევინა და ორი ათასი სული ქალი და ბავშვი დაატყვევა.

სამშვილდის ტრაგედიას ერთი სომხური ჰიშატაკარანი ანე აღწერს: „ტყვეთა რიცხვმა 9000-სს გადააჭარბა. ისინი გაინაწილეს ერთმანეთში. ნახავდით გაუბედურებულ მშობელთა და ნაშობთ, რამეთუ დააცილეს დედა შვილს და შვილი დედას, ძმა — ძმას, პატარძალი — ნეფეს და ნეფე პატარძალს, ჩილი ბავშვები უწყალოდ მოგლიჯეს დედების კალთიდან და მდინარეში გადაჰყარეს, ხოლო მტირალი დედები, რომელთაც გულ-მუცელი ეწვოდათ, ტყვეებად წაასხეს, ზოგი მათგანი წაიყვანეს აღმოსავლეთში, ხორასანში, ზოგი დასავლეთში, რუმში, ზოგიერთი — სამხრეთში, არაბისტანში, ზოგაც ჩრდილოეთში ლაკისტანში, ძველი ებრაელებივით ქვეყნის 4 მხარეს გაიფანტნენ. დაშორდა მამა — ძეს, ასული — დედას, შეყვარებული — შეყვარებულს, მეგობარი — მეგობარს. წავიდნენ ისინი ტაჯიკთა ქვეყანაში და აღარასოდეს დაბრუნდებიან“.*

კონსტანტინეპოლის აღებამ ოსმალთა თურქების მიერ (1453 წ.) კიდევ უფრო დაამძიმა საქართველოს ხვედრი, მკვეთრად იმატა ტყვის სყიდვამ და აოხრებებმა. საქართველო იქცა ირან-ოსმალეთის გაუთავებელი ომების ასპარეზად და

* იგივე პუბლიკაცია, გვ. 65-66.

დანაწილების ობიექტად. კონსტანტინოპოლის დაცემა და საქართველოს დაშლა ცალკეულ სამთავროებად მეთხუთმეტე საუკუნის ორი მთავარი უარყოფითი ფაქტორი იყო, რასაც არ შეეძლო საბედისწერო გავლენა არ მოეხდინა ქართველი ხალხის რიცხოვრივ შემცირებაზე, ქართული ფეოდალიზმის სტაგნაციასა და ქვეყნის დაჩიხულობაზე. „ლეიანობა“ კონსტანტინოპოლის დაცემის შორეული, მაგრამ პირდაპირი შედეგი იყო. დე ფაქტო და დეიურე შეიკრა კონკორდატი ერთის მხრივ თურქულ სტამბოლსა და მეორეს მხრივ უცმების, მოისუმების და მოლების დაღესტანს შორის. მართალია, როგორც მიუთითებენ მკვლევარები, კონსტანტინოპოლის დაცემამ ობიექტურად განაპირობა საზღვაო გზის აღმოჩენა აფრიკის გარშემო, მაგრამ „მარადიული ქალაქის“ დაჩოქებამ აუწერელი ზარალი მოუტანა ქრისტიანულ ცივილიზაციას და კავკასიის, ევროპის, აფრიკის, და ახლო აღმოსავლეთის ხალხების ისტორიული განვითარება შეაფერხა. მხედველობაში რომ არ მივიღოთ იანიჩარების ინსტიტუტი და შავი ჭირას ეპიდემიების კულტი,* სად წაუვალთ სულთნების ყაჩაღურ ომებს, აღვირახსნილ ექსპანსიას, „უსასტიკესი ასიმილაციების“ (ი. სტალინი) პოლიტიკას? განა უსაფუძვლოდ ამბობდნენ მეცხრამეტე საუკუნეში ძველი ოსმალები — „ჩვენს ძარღვებში უთვალავი ხალხის სისხლი ჩქეფსო“ (ამას ოსმალეთის მწერლებიც არ მალავენ, მალავენ კი არა და ეპიგრაფად უმძღვარებენ თავიანთ ისტორიულ რომანებს ხსენებულ სენტენციას). ყოველ შემთხვევაში, ქართველი ხალხის მდგომარეობა და ხვედრი დიდად გააუარესა კონსტანტინოპოლის

* W. Eton, tableau de l'Empire Ottomane... v, I (თარგმანი ონგლისურიდან), გვ. 318-330.

დაცემამ. მართალია, სხვა რეგიონში ქრისტიანობის დროშა უკვე წარმატებით უტევდა „აგარიანების“ ლანქერს: 1480 წელს მოსკოვმა დაამხო თათარ-მონღოლთა უღელი და ეს ნიკოლოზ ბერძენიშვილმა შეაფასა სიტყვებით — „ჩრდილოეთში ინათაო“. მაგრამ საქართველოსათვის რუსული ქრისტიანული რეგიონის ამ წარმატებებს საკეთილდღეოდ თავი რომ ეჩინა, რამდენიმე საუკუნეს უნდა გაეელო. ამასობაში თურქული ექსპანსია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში და კავკასიაში თავის შავბნელ საქმეს აკეთებდა. მე-16-17 საუკუნეები ხომ, ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ოსმალეთის „დიდი საერთაშორისო გამზიდაობის ხანა“ იყო. მართალია, სულთნის ჯარის ღირსახსოვარი დამარცხება ვენის კედლებთან 1683 წელს მოასწავებდა სულთნის ძლიერების მზის ჩასვენებას და იმედის კიდევ ერთი ვარსკვლავის ანთებას მუსლიმანურ გარემოცვაში მომწყვდეული ქართველი ხალხისათვის, მაგრამ სამშვიდობოზე გასვლას მაინც ბევრი უკლდა.

თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის კონსტანტინოპოლის აღებას ოსმალთა თურქების მიერ, ნათლად გვიჩვენებს შედარება მონათვაქრობის იმ პირობებისა, რაც არსებობდა ამ საბედისწერო მოვლენამდე და მის შემდეგ. ამ შედარების კვალობაზე გარკვეულად ისახება ორი ეპოქის კონტრასტი. მონათვაქრობა სხვა ხასიათისა იყო კონსტანტინოპოლის დაცემამდე, და სხვა გახდა ამ მარადიული ქალაქის დაცემის შემდეგ. არამარტო შეიკრა წრე მუსლიმანური გარემოცვისა საქართველოს გარშემო, არამედ მნიშვნელოვანი ცვლილებებიც მოხდა მონათვაქრობის გეოგრაფიულ და ეთნიკურ არეალებში. ჯერ იყო და ტყვეებით ვაქრობას დიდად უწყობდა ხელს მე-13-16 სს. მამლუქთა სახელმწიფოს არსებობა ეგვიპტეში. მე-13 ს. შუა ხანებიდან მამლუქები ადგილობრივ

მოსახლეობაში ვერ პოულობდნენ საკმარის სამხედრო ძალას და იძულებული იყვნენ მონები ჩრდილოეთის ქვეყნებში შეესყიდათ. ამ ქვეყნების შვილნი კარგად უძლებდნენ ლაშქრობათა განსაცდელს. მამლუქები ორივე სქესის მონების შესასყიდად აგენტებს გზავნიდნენ ყველგან, სადაც კი ტყვის შოვნა შეიძლებოდა. არ ივიწყებდნენ ქრისტიანულ ქვეყნებს, მაგალითად — ე. წ. „მცირე სომხეთს“. ტყვეების რელიგიური განსხვავება მამლუქთათვის არავითარ როლს არ ასრულებდა. მაგრამ ეგვიპტის გამგებელთა აგენტები ამჯობინებდნენ მონების წამოყვანას იმ ქვეყნებიდან, სადაც ისლამი გაბატონებულ რელიგიას შეადგენდა. მუსლიმანური სახელმწიფოების ადგილობრივ ეაჰრ²⁾ ეგვიპტეში ჩაჰყავდათ ტყვეთა უზარმაზარი მასები. სატალიასა და კანდეროლის ნავთსადგურებიდან (მცირე აზიის ის ნაწილი, რომელიც თურქ-სელჩუკებს მორჩილებდა) ეგვიპტეში შეჰყავდათ ტყვე გოგონები და ბიჭები. მას შემდეგ, რაც აღრიანოპოლი და გალიოპოლი ხელში ჩაუვარდათ ოსმალებს, ამ ქალ ქებიდან დამიეტა-ალექსანდრიისაკენ მიეშურებოდნენ მრავალი ასეული მონით დატვირთული ბერძნებისა და სხვა ქრისტიანი ხალხების ხომალდები, შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებში ტყვეებით ვაჭრობამ განსაკუთრებით მაღალ საფეხურს მიაღწია. მამლუქთა ძალაუფლების საგანგებო განმტკიცება ეგვიპტეში და ისლამის გავრცელება ე. წ. „ყივიჩაღეთისეულ მონღოლეთში“ წარმოადგენდა ორ პარალელურ (დროში თანამთხვევად) მოვლენას, რომელიც გახდა ეგვიპტისა და ოქროს ურდოს ურთიერთობის გაცხოველების მძლავრი სიგნალი. ამ მომენტიდან მამლუქთა აგენტები შავი ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებში მოქმედებდნენ. მამლუქების სულთანმა ბაიბარსმა (1260—1277) საელჩოების და საჩუქრების მეშვეობით მიაღწია იმას, რომ

ბიზანტიის იმპერატორმა მიხეილ პალეოლოგმა (1261-1282) ბრძანება გამოსცა ბოსფორის სრუტეში ეგვიპტის სავაჭრო ხომალდები გაეტარებინათ. თავდაპირველად ეს ნებართვა ერთ ხომალდს შეეხებოდა, მაგრამ მალე იგი ორზე გავრცელდა. ამ ხომალდებს ბოსფორში გავლით ეგვიპტეში შეჰყავდათ ტყვეთა დიდძალი მასები, რომელთაც უნდა შეეცსოთ და გაეძლიერებინათ მამლუქთა ჯარი.*

პირობები, რომლებშიც მაშინ დედამიწის ეს რაიონი იმყოფებოდა, უაღრესად ხელსაყრელი იყო მონებით ვაჭრობისათვის. თუმცა თათრები სოლიდურად გაბატონდნენ თავიანთი ყივჩაღეთის იმპერიაში, მაგრამ აქ მუდამ იყვნენ დაუმორჩილებელი ტომები, რომელთათვისაც ომები და ხელჩართული შეტაკებანი ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ამ ბრძოლების დროს ჩერქეზები, რუსები, მადიარები, ალანები თათრებს ტყვეებს ართმევდნენ და მონებად ყიდდნენ. სამაგიეროდ თათრებს თავისთან მონებად ჰყავდათ კავკასიიდან მათ მიერვე გატაცებული ადაშიანები. ხდებოდა ისეც, რომ საზოგადოებრივი განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხები, როცა მათ შორის სურსათ-საწოვავის გაუგონარი ნაკლებობა ჩამოვარდებოდა, ანდა, როცა ისინი გადასახადებით მეტისმეტად შევიწროებული აღმოჩნდებოდნენ, მათდა საუბედუროდ და სამარცხვინოდ ჰყიდდნენ საკუთარ ბავშვებს, განსაკუთრებით ქალიშვილებს. ამ შემთხვევაში იყიდებოდნენ ჯან-ლონით სავსე, ტანბრვე და ცოცხალი ჰკუთით დაჯილდოვებული ადამიანები, მაგრამ არც ოქროს ურდოს თათრებს

* W. Heyd, Histoire de commerce du levant, t. II, 1886, pp. 555-556. Ф. И. Успенский. Византийские историки о монголах и египетских мамлюках — «Византийский вестник», XXIV, стр. 1-4.

და არც მათ მორჩილებაში მყოფ ხალხებს არ გააჩნდათ დიდი სავაჭრო ნავსადგურები. კაფა, ტანაისი და სხვა იტალიელთა ხელში აღმოჩნდა, რასაც შედეგად მოჰყვა მათთან მონებით ვაჭრობის კონცენტრაცია. ეს შეეხება პირველ რიგში და უმთავრესად კაფას, რომელიც მამლუქთა ტყვეთმსყიდველი აგენტებისათვის დანიშნულების ჩვეულებრივი ადგილი გახდა. ამ აგენტების ერთმა ნაწილმა კაფაში რეზიდენციაც გაიჩინა. ესპანელი მოგზაურები კი აქ ყიდულობდნენ ორივე სქესის მოქალაქეებს და ესპანეთში მიჰყადათ. გენუელები უნდა შერიგებოდნენ იმას, რომ ტყვეებით ვაჭრობის ცენტრად მათი კაფა გამხდარიყო. მამლუქთა სულთნის აგენტებისათვის ხელის შეშლა საფრთხეს შეუქმნიდა გენუელების სავაჭრო ურთიერთობას ეგვიპტესთან და მათი კოლონიების არსებობაც კითხვის ქვეშ დადგებოდა. 1431 წელს გენუამ ეგვიპტის სულთანთან არაერთი მოლაპარაკება გამართა. რესპუბლიკამ განაცხადა თანხმობა, რომ ეგვიპტის სულთნებს კაფადან მონები გაეყვანათ, მაგრამ კოლონიური ხელისუფალნი მონობით ვაჭრობას მკაცრ კონტროლს უწევდნენ. ყველა მონის წინასწარი დაკითხვა ხდებოდა. ტყვეს ეკითხებოდნენ — მუსლიმანი იყო, თუ ქრისტიანი. თუ მონა განაცხადებდა, რომ ქრისტიანი იყო, ანდა აპირებდა ქრისტიანულ რჯულზე მოქცევას, გენუელთა კონსული გამოისყიდდა მას და თავისთან ინახავდა, ეს კონსული ნებას რთავდა, ტყვეებად წაეყვანათ მხოლოდ და მხოლოდ მუსლიმანები. „მცირე სომხეთის“ მეფე ლეონ მესამემ (1269-1288) გენუელებს სიტყვა ჩამოართვა, რომ ისინი „სარაციებს“ ლეონ მესამის არც ერთ ქვეშევრდომს არ მიყიდდნენ. მონები, რომელთაც მიეღოთ გადაწყვეტილება ქრისტეს რჯულზე მონათლულიყვნენ, არქიეპისკოპოსის ბი-

ნაში პოულობდნენ თავშესაფარს, ამ სასულიერო მოხელეს პატივს სცემდა სამოქალაქო ხელისუფლება. უფრო მეტიც: გენუის რესპუბლიკას მტკიცე მეთვალყურეობა ჰქონდა დაწესებული, რათა კაფას არცერთი მცხოვრები მონად არ გაეყიდათ. ბოლოს, ტყვეებით ვაჭრობაზე გენუის რესპუბლიკამ საგანგებო გადასახადი დააწესა და, მამლუქი სულთნის პროტესტის მიუხედავად, ეს გადასახადი 1431 წელს ენერგიულად დაიცვა. სულთანმა — საპასუხო ღონისძიებას მიმართა, ეგვიპტეში მოკალათებულ გენუელ ვაჭრებს თექვსმეტი ათასი ლუკატის ოდენობით კონტრიბუცია შეაწერა. ამგვარად, მონებით ვაჭრობა გენუის კოლონიურმა ხელისუფლებამ ლეგალურად დაუშვა, მხოლოდ მუსლიმანების მიმართ და იმ პირობით, რომ ეგვიპტეში მუსლიმან ტყვეებს გადაიყვანდნენ მხოლოდ მუსლიმანი ვაჭრები და მხოლოდ მუსლიმანთა ხომალდებით. გენუის გემთა კაპიტნებს დიდი ჯარიმის მუქარით აეკრძალათ ტყვეების ეგვიპტეში გადაყვანა, ანდა მათი წაყვანა ბერბერების (ჩრდილო აფრიკა) ქვეყანაში და ესპანეთის იმ ნაწილში, რომელიც არაბებს ეკავათ. ყველა გენუელს სასტიკად ეკრძალებოდა ტყვეთა სყიდვისათვის ხელის შეწყობა, რა სახითაც არ უნდა ყოფილიყო ეს. სათანადო კანონი 1403 წელს გამოსცეს. საკითხი შეეხებოდა ორივე სქესის ტყვეებს. ტანაისიდან გასულ გენუელთა ხომალდების ეკიპაჟებს ეკრძალებოდათ თავშესაფარის მიცემა იმ მუსლიმანი და თათარი ტყვეებისათვის, რომელიც ეგვიპტეში წასაყვანად იყო გათვალისწინებული, მაგრამ ამკრძალავი რეგლამენტები ხელს არ უშლიდნენ შავი ზღვის ჩრდილოეთით მცხოვრებ ამა თუ იმ ქრისტიანს მონები ეგზავნა ეგვიპტეში.*

* W. Heyd, დასახ. მონოგრაფია, II, გვ. 557-558.

ერთი საუკუნის შემდეგ კაფაში, ტანაისსა და სხვა ქალაქებში ქრისტიანები და ებრაელები ყიდულობდნენ რუს, ჩიქალან, მეგრულ და აფხაზ ტყვეებს და შემდეგ სარაცინებზე (არაბი სოფდაგრები) ჰყიდნენ მათ. ამ საქმეში მოგება ათკეცად აღემატებოდა ტყვე კაცის თავდაპირველ საბაზრო ღირებულებას. „ეს უბედურნი, — წერს კავკასიელ ტყვეთა შესახებ ჰეიდი, — რომელინიც მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ, იძულებული ხდებოდნენ რკული შეეცვალათ, რათა ისინი მუსლიმან ბატონებს თავიანთი საზიზღარი ვნების დასაკმაყოფილებლად არ გამოეყენებინათ“. პაპი მარტინ მეხუთე (1417-1431) ამ ვაჭრობაში შემჩნეულ ქრისტიანებს ეკლესიიდან განკვეთით დაემუქრა, ხოლო ებრაელებს დაჰპირდა — ტანსაცმელზე შეურაცხყოფელ ნიშნებს მიგაკერებთ, თუ მონით კიდევ გივაჭრიათო. ეს ედიქტი 1425 წელს გამოიცა. ალექსანდრიაში საგანგებო თათრული ფონდაკო არსებობდა ტყვეებით მოვაჭრეთათვის, დაშიეტასა და ალექსანდრიის მეშვეობით კაიროს დიდ ბაზრობაზე ჩაჰყავდათ ორი ათასამდე პოტენციური მამლუქი, რომელთაც ფასს უდგენდნენ სულთანის მიერ შერჩეული საგანგებო ექსპერტები. ყველაზე ძვირად თათრები ფასობდნენ (130-140 ლუკატი). ტაფური ამბობს, რომ კაფაში თათარი ტყვე სამჯერ უფრო ძვირი ღირდა, ვიდრე სხვა ეროვნების წარმომადგენელი. იმავე ავტორის სიტყვით, ასეთი განსხვავების საიდუმლოებას შეადგენდა თათრის არაჩვეულებრივი ერთგულება პატრონისადმი. ცხადია, რომ ეს თვისება დიდად დაფასდებოდა ეგვიპტეში, სადაც ტყვე მამაკაცი ჯარისკაცად უნდოდათ; ჩერქეზებში იძლეოდნენ 110-120 ლუკატს, ბერძენში — 90-ს, ალბანელსა და სლავში 70-80-ს, ვაჭრებს რჩებოდათ ორმაგი მოგება, აგრეთვე ეგვიპტის მბრძანებლისაგან დიდი დაფასება, რომ ისინი ასეთ

სამსახურს უწევდნენ ისლამის დროშას. აღმოსავლეთიდან შავი ზღვის ჩრდილოეთი სანაპიროებისაკენ წაყვანილი ყველა ტყვე როდი გადაჰყავდათ ეგვიპტეში. მათ ნაწილს თვით გენუელთა კოლონიის მოქალაქენი ყიდულობდნენ და ტყვეების გადაყიდვითაც რიგიანად ითბობდნენ ხელს. ვინმე ქალი ფატიმა (ალბათ, მუსლიმანი) იყიდა გენუელმა მოქალაქემ ნიკოლოზო დე მიურატმა, შემდეგ იგი დაუთმო წმინდა ლავრენტი გენუელის ეკლესიის მღვდელს. უკანასკნელმაც ფატიმა გაჰყიდა — შესამედ, გენუელს მისცა ოთხასი ახალი სომხური დირჰემის საფასურად. ანალოგიური კონტრაქტები ფამაგუსტაშიც იდებოდა. საერთოდ გენუის რესპუბლიკა პირადი საქიროებისათვის მონების ყიდვას თავის კოლონისტებს არ უკრძალავდა.*

იყო შემთხვევები, როცა ქართველი ქალიც გაუყიდიათ დასავლეთ ევროპაში. ძნელი სათქმელია, ვისი ბედი იყო უფრო სანარბიელო — ეგვიპტეში გაყიდული მამაკაცებისა, თუ იტალიაში ჩაკარგული ტყვე უცხოელი ასულების. პირველთ — ცუდი დღე ადგათ, ვიდრე სამხედრო იერარქიის დაბალ საფეხურზე იდგნენ, მაგრამ ჰქონდათ შესაძლებლობა — ასულიყვნენ მაღალ საფეხურზე და სულთნებადაც კი შეიძლება გამხდარიყვნენ. მეორეთ კარგად უვლიდნენ, ხშირად თავისუფლებასაც ანიჭებდნენ, მაგრამ საზოგადოების თვალში მუდამ დაბალი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. გენუელების კოლონიის ისტორიაში მონებით ვაჭრობის ბრწყინვალე პერიოდი ემთხვევა კათასა და ტანაისის აყვავებას, მაგრამ 1395 წელს ამ ქალაქებს საშინელი რისხვა დაატეხა თავს

* W. Heyd, დასახ. მონოგრაფია, 557-559 გვ. II ტ.

თემურ-ლენგმა და ისინი შემდეგ წელში ველარ გაიმართნენ.* რუსულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში შენიშნულია, რომ პორტუგალიის ქალაქებში ხვდებოდნენ ტყვეებს საქართველოდან — კერძოდ, მეგრულ მონებს (მე-14-15 სს.).

1453 წელი დიდი გარდატეხის თარიღია ტყვეებით ვაჭრობის ისტორიაში. სტამბოლის ამღებმა მუჰამედ მეორემ სასტიკად აკრძალა ტყვეებად მუსლიმანების გაყიდვა. ეს „ბედნიერება“ მან მთლიანად ქრისტიანებს გადაუღოცა.

იმ საბედისწერო თარიღის შემდეგ მალე საქართველოს თავს დაატყდა თურქმენების შემოსევა. 1476 წელს ტყვედ წაიყვანეს ოცდათორმეტი ათასი ქართველი, 1478 წელს — ორმოცი ათასი. როგორც სომხური წყარო გვამცნობს, უზუნძასანმა 1477 წელს მარტო თბილისიდან სამოცი ათასი ტყვე წაიყვანა. სომხურ ანდერძთა სიგელებში სწერია, რომ ჰასან პარონმა (ბატონმა) საქართველოდან 1478 წელს ტყვედ წასხნული გოგონები და ქაბუკები მთელს დუნიაზე გაჰფანტა. ექვსი წლის შემდეგ ჰასანის შვილი იაყუბ-ბეგი თბილისს შემოესია, ამოწყვიტა ქალაქის მოსახლეობის ერთი ნაწილი, სხვები ტყვეებად წაიყვანა.**

ამ დროიდან დიდად გაუარესდა ჩვენი ქვეყნის ვითარებაც. ნ. ბერძენიშვილი სრული საფუძვლიანობით სწერდა მე-15-16 სს. საქართველოს მდგომარეობაზე. ძველი სავაჭრო გზა, რომელიც დასავლეთ საქართველოს წინა კავკასიასთან და ირანის და მცირე აზიის კულტურულ ქვეყნებთან აკავშირებდა, გზა, რომელსაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის განვითარებისათვის, უკვე მე-15 ს. მეორე ნახევრი-

* W. Heyd, დასახ. მონოგრაფია, გვ. 559-562.

** სომხურ ხელნაწერთა... ცნობები... თბ., 1978 წ. გვ. 9 (№ 114 კომტაკარანი); გვ. 179.

სათვის (და ამ დროიდან ყველა შემდგომი საუკუნისათვის), სავსებით დაყრუვდა, ხოლო კავკასიის მთიან ნაწილში სავსებით გაუვალი გახდა მშვიდობიანი მოგზაურობისათვის, მით უმეტეს — ვაჭრებისათვის; აქ მძინვარებდა ყაჩაღობა... ღია საზღვაო გზები, რომლებიც შავი ზღვისაკენ და უფრო შორეულ ქვეყნებში მიდიოდა... ოსმალთა ხელში აღმოჩნდა. მე-16 საუკუნიდან შავი ზღვა ოტომანთა სახელმწიფოს შიდა ზღვად გადაიქცა და აღებ-მიღებობა შავი ზღვისპირეთის ქვეყნებთან ოსმალთა ვაჭრების მონოპოლია გახდა... ბოლოს ოსმალების პოლიტიკური მეზობლობა და მით უმეტეს მათი პოლიტიკური ბატონობა თავისი შედეგებით შეუდარებლად უფრო მძიმე და საშიში იყო დასავლეთ საქართველოსათვის, ვიდრე ყიზილბაშური ირანის ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოსათვის. ოტომანების სახელმწიფო იყო „ტყვეების“ (მონები) ინტენსიური მომხმარებელი. ამ ტყვეებს იყენებდნენ ჯარში (იანიჩრები), პარამხანებში (მხეველები და საჭურისები) და ოსმალთა საზოგადოების მჭონებელი კლასების სახლებში, ქარავნების მენახირებლად, მოსამსახურე პერსონალად, საომარ და სავაჭრო ხომალდებზე. ტყვეებს ყიდულობდნენ ანდა მიჰყავდათ ხარკის სახითაც. ამიერკავკასია, ყუბანი, ყირიმი და უკრაინა იყვნენ ამ „საქონლის“ მთავარი კონტინგენტის მიმწოდებლები. ტყვეებით ვაჭრობა ამიერკავკასიის ხალხთა სამეურნეო პრაქტიკაში ძველთაგანვე არსებობდა. ფეოდალურ საქართველოშიც იგი სავსებით არასოდეს არ გადაშენებულა. მაგრამ „ტყვეებით ვაჭრობა სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახის იყო, სხვადასხვა მნიშვნელობა და ინტენსიურობა ჰქონდა იმისდა მიხედვით, თუ რა საზოგადოებრივ ურთიერთობათა და რა საგარეო პოლიტიკურ პირობათა დროს არსებობდა. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში ქვეყნის საზოგა-

დობრივი განვითარებისათვის დადებითს თუ უარყოფითს — „ტყვეებით ვაჭრობას“ — კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით არასოდეს არ მიუღია ისეთი მახინჯი ფორმები და საზოგადოების განვითარებისათვის ისეთი საშიში ხასიათი, როგორც მე-16-18 საუკუნეების საქართველოში. ბატონყმური საქართველოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფონზე „ტყვეებით ვაჭრობა“ გამოიყურება სოციალურ მოვლენად, რომელიც ნათლად მიუთითებს ქართული ფეოდალური საზოგადოების საშიშ ავადმყოფობაზე. როცა ყმას უკიდურესი გაჭირვების გაშო (ეს გაჭირვება კი იმავე ბატონყმურ ურთიერთობათა შედეგი იყო) არ ძალუძს გამოკვებოს „ზედმეტი“ ბავშვი და მას ან მიწაში ცოცხლად მარხავს, ანდა რამდენადმე წამოზრდილს, ტყვეებით მოვაჭრეებს ფულში აძლევს, როცა ფეოდალი სხვადასხვა საბაბით, ანდა სრულიად უსაბაბოდაც დაუსჯელად ჰყიდის თავის ყმებს ოსმალეთში ოსმალ ვაჭართაგან მისთვის აუცილებელი საგნების შესაძენად, როცა ცენტრალური ხელისუფლება იმდენად სუსტია, რომ არ ძალუძს ებრძოლოს ამ საშიშ მოვლენას, როცა ტყვეებს (წაიკითხე: გლეხნაწარმოებლებს) ჰყიდის სუყველა, მთავრებიც, თავადებიც, აზნაურებიც და ყაზახებიც კი (გლეხები, რომლებმაც ხელი აიღეს სოფლის მეურნეობაზე და ყაჩაღად გავიდნენ) — ჰყიდიან არა მარტო ტყვეებს, არამედ საკუთარ ყმა-მწარმოებელთ (და ეს არ წყდება საუკუნეების მანძილზე), რასაც შედეგად მოჰყვა გლეხთა რიცხვის კატასტროფული შემცირება, — ყველაფერი ეს უდავოდ გვიჩვენებს, რომ ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივმა ურთიერთობამ ისეთი დამახინჯებული ფორმა მიიღო, რომელმაც

ქართველი ხალხი, ფიზიკური გადაგვარებისა და გადაშენების საფრთხის წინაშე დააყენა“.

გვიან საშუალო საუკუნეებში „ტყვეთა სყიდვა“ მთელს საქართველოში გავრცელდა, მაგრამ დასაყვედურით საქართველოში იგი განსაკუთრებით აყვავდა. აქ მან მე-16 ს. შუახანებში ისეთი საშიში ხასიათი და მასშტაბები მიიღო, რომ ბაგრატ მესამის მიერ მოწვეული საგანგებო საეკლესიო კრების მსჯელობის საგანი გახდა. ამ საეკლესიო კრებაზე დაწესდა სიკვდილით დასჯა იმათთვის, ვისაც „ტყვის სყიდვაში“ გარეულად სცნობდნენ. მაგრამ ასეთი ზომების მიუხედავად „ტყვის სყიდვა“ დასაყვედურით საქართველოში მე-19 ს. მეორე ნახევრამდე გრძელდებოდა.**.

რა არ მოჰხდარა საქართველოში ირანის მბრძანებლის შაჰ-თამაზის შეძოსევის დროს (მე-16 საუკუნის მესამე მეოთხედი). აი, ერთი ეპიზოდი: „შაჰ თამაზ მივიდა გორს და აიღო ციხე წედისისა“, ციხე ძალათ აიღეს და ვერის ციხე ნებით მოსცა ფარსადან და უვნებლად ციხოვანნი მორჩინენ, და იქილამ მიადგა ციხესა ატენისასა, რომელ არს თავსა საცავისასა, რაღეთუ მას შინა იყვნეს დედა და დაი მეფისა ლუარსაბისი, და სხუანი მრავალნი ჯალაბნი თავადთანი. ამისთვის გარედამ ყაენის ლაშქარი შემოადგა და შიგნილამ ქართველნი, დაუწყეს ერთმანეთს ცემა და ბრძოლა, და მრავალნი ყიზილბაშნი დაიხოცნენ, და ციხის აღება გაძნელდა... ამისთვის რომე არც სიბა მიიტანებოდა და არც შეეთხრებოდა, და არცისით თოფი ესროლებოდა, და თათართ ერთი ფარეში კავ-

* ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი 11, თბ. 1965, გვ. 90-92

** იქვე, გვ. 92.

თისხეველი ბეთიაშვილი, ფარეში მეფის ლუარსაბის დიდისა, დაიჭირეს და სიკვდილს შიშით იმან უთხრა: „თუ არ მომკლავთო, ციხეს აგაღებინებო. და იმათაც უენებლობის ფიცი უთხრეს, და იმან ეს ამბავი უთხრა: „ჰის წყალი დაღვეია, და ჩრდილოეთისაკენ მომცრო წყალი ჩამოუდისო, და იმ წყაროს მისაპარავი გზა აქვსო, გასწავლით და ის დაუჭირეთო. და ღონე გაუწყდებისო, და ციხეს მოგცემენო“... ყიზილბაშთ წყალი უკუ-უჭირეს, ციხოვანთ მშველელი აღარსაია: გაუჩნდათ, და უწყალობამაც ძალი უყო და მრავალი ყიზილბაში და ქართველი იმ ციხის აღებაში ამოსწყდნენ და ციხე აიღეს. დედოფალი ნესტან-დარეჯან, დედა ლუარსაბისი, და დაი, და მრავალი სხუანი ჯალაბნი თავადთანი ტყუე ყვნა და წარვიდა... მეფის ლუარსაბის დედა და დაი ქუეითი წარასხეს ციხითგან ზედა ველამდის და მერვე მეაქლემეთ მისცეს და წარიყვანეს. მეფე ლუარსაბ ხან აჩაბეთის სიძაგრეში (აჩაბეთის ციხე იდგა ქართლში, ლიახვის მარჯვენა სანაპიროზე. დ. ჯ.) და ხან იმერეთს იყო: მაშინ წარმოსტყუენა ციხე იგი ატენისა, და ყაენი აიყარა და ყარაბაღში წავიდა, და წარიყვანა უმრავლესნი ტყუეთანი. ხოლო ესმა რა საქმე ესე მეფესა ლუარსაბს, მაშინ წარმოუდგა უკანა ყიზილბაშთა და ამოსწყვიდნა მრავალნი თათარნი, და წაართვა ურიცხვი ალაფი, და ვერღარა წაართვა დედა თვისი. და რა მივიდა შაჰთამაზ ერევანს, მაშინ სცნა დედამან მეფისა ლუარსაბისმან გაუპატიოება თავისა თვისისა. ამისთვისცა რომელნიმე იტყვიან: „შესვა წამალი სასიკუდინე, და მოიკლა თავი თვისი, და არც შეამთხვია თავსა თვისსა საქმე უჯერო“, ხოლო რომელნიმე იტყვიან: „სასჯელითა და უპატიოებით აღესრულა“.*

* ქართლის ცხოვრება. II, 1959 წ. გვ. 506-507.

ეს ნაწყვეტი ჩვენი მატიანიდან არის დრამატიზმით აღსაგ-
სე პოემა ქართველთა გმირობის და ქართველი დედოფლის
უმწიკვლო ღირსების შესახებ. ასეთი მანდილოსნების კლემა
გზებს უშუქებდა ქართველ ხალხს საუკუნეთა ბნელ ხვეუ-
ლებში. ბევრჯერ დაუბერა ბოროტად მაშრიყ-მალრიბიდან
განრისხებული გიენას დარად შემოვარდნილმა ქარიშხალმა,
მაგრამ ვერ კი ჩააქრო ქართველ მზეთუნახავთა პატიოსნე-
ნების პატრუქებზე ანთებული ჩირაღდნები.

სტამბოლის დაცემის შემდეგ მოხდა ბარბაროსული
შემოსევებით გამოწვეულ დემოგრაფიულ ცვლილებებზე სა-
ინტერესო ციფრობრივი მასალა დაგვიტოვა ზ. ჭიჭინაძემ:
„შაჰ ისმაილის და ამის მაჰმისაგან გადასახლებულთა რიცხვი
ოცდახუთ ათას ქართველზე მეტია, უმეტესი სამხრეთ და ჩა-
ვახეთის საქართველოს ქართველნი, რომელ მხარესაც
დღეს სამხრეთის მაგიერ. „სომხეთი“ ეწოდება. შაჰ თამაზმა
(XVI ს.) გადაასახლა 50000 ქართველი და ხვარასანში დაა-
სახლა, ამ დროს აოხრდნენ ფიტარეთი, ტანძია, ბოლნისი,
ღმანისი და სხვანი. შაჰ-აბასმა გადაასახლა ზოგის თქმით, 80
ათასი, ზოგის — 120 ათასი და ზოგის — 100 ათასი, ზედმი-
წევნით კი 100 ათასი მაინც უნდა ვიგულისხმოთ, რადგანაც
ამ დროს აოხრდა საინგილო, ივრის ხეობა, ქიზიყი, ვარდთა-
ნაშენი, ვართაშენი და დღეს ნახევარი კახეთი. ამ ქართველთა
უმეტესი ნაწილი ამოწყდა სპარსეთში, რადგანაც სპარსეთში
ამათგან ცხენოსანთ ჯარი შეადგინეს, სადაც 30000 სული
ითვლებოდა ქართველთა... აზანმა გადაასახლა 5000 ქართვე-
ლი და ესენი გილანში დაასახლა, აქ დღევანდლამდე დარჩნენ
ესენი და 1840 წლამდე ქართულად ლაპარაკობდნენ. სელიმ-
ხანმა წაიყვანა 10000 ქართველი, შემდეგ დროებში მრავალი
ამათგანი დააბრუნა გამოჩენილმა ხოსრო მირზამ. შაჰ ჰუსე-

ინის დროს წაყვანილ იქმნა 3000 ქართველი. შაჰ-ნადირმა წაიყვანა 5000 ქართველი, ქერიმ-ხანმა — 3000 ქართველი. ზირ ვეისმაც გადაასახლა, გადასახლებულთ ცნობა არ ჩანს. კონსტანტინეს მძევლობის დროს 100 კაცზე მეტი იქმნა წაყვანილი, ლეონ ირანთა მსაჯულის დროს — 200 კაცი, ირაკლი ნაზარალი-ხანის დროს — 100 კაცზე. ხოლო დიმ. თავდადებულის დროს 300 კაცზე მეტი. ბევრი ამათგანი ურუმისკენ* იქმნენ დასახლებულნი. 1795 წელს წაყვანილ იქმნა 10000 კაცი, ვახტანგ მეექვსესაც 100** კაცი წაჰყვა, ერეკლე მეორეს დროს 300 კაცის გამოჩენილი მხედარნი, ამათ უმეტესი ნაწილი ავღანისტანში გაწყდნენ. ჩვენ — განაგრძობს ზ. ჭიჭინაძე — აქ მოვიყვანეთ სპარსეთში გადასახლებულ ქართველთ რიცხვი ჩვენის მიხედვრით და ისტორიულის ცნობების ცოდნით. თუ რიგიანათ დავადექით საქმეს და და მკაცრათ გავარკვიეთ ჩვენი ისტორიის ცნობები, მაშინ ჩვენ ამაზე მეტ რიცხვსაც დავინახავთ გადასახლებულთა. ისე გადაუსახლებიათ და ისე დაღუპულან თავიანთ სამშობლოსათვის, რომ მათ შესახებ არსად ხსონაც არ დარჩენილა. ოსმალეთმაც საკმარისად იჭერა გული. 1580 წ. შემდეგ დაუწყო გადასახლება კარის (ყარისის) ქართველთ, არტაანის (არდაგანის), ოლთისის პირამდე და მრავალთა სხვა ადგილების, რომლებიც არ თათრდებოდნენ. ოსმალთაგან გადასახლებულთ რიცხვი, სულ რომ ცოტა ვსთქვათ, 1600-1844 წლებამდის 300 000 სულზე მეტი ქართველი გადაუსახლებია, რომლებიც ქურთისტანში, ეგვიპტეში და აქა-იქ შორს ქვეყნებში დაუსახლებიათ; ამათ ალაგას საქართველოში კი სხვებს ასახლებდნენ“...

* დღევანდელი ირანის აზერბაიჯანის რეზაიეს რეგიონი.

** ეს ციფრი ფრიალ არაზუსტია, დიდად შემცირებული.

ზ. ჰიქინაძის ციფრობრივ მონაცემებს ასე თუ ისე ავსებენ სხვა წყაროები. არქანჯელო ლამბერტის მოწმობით, საერთოდ საქართველოდან ყოველწლიურად გაყიდული ტყვეების რიცხვი 4 ათას სულამდე აღწევდა. აქედან ნახევარი მართო სამეგრელოდან გადიოდა. თეიმურაზ პირველის 1639 წ. წერილში ნათქვამია, რომ გურიისა და სამეგრელოს მთავრები ყოველ წელიწადს ოსმალეთში 20 ათასიდან 28 ათასამდე ახალგაზრდას ყიდდნენ. გერმანელი ისტორიკოსი იოჰან ცინკ-დიზენი გვაუწყებს, რომ 1786 წ. პირველ ნახევარში სტამბოლში გაყიდეს 3200 ქართველი. ბუტკოვის ცნობებით, მე-18 საუკუნეში დასავლეთ საქართველოდან ახალციხეს ყოველ წელიწადს ხარკად აწვდიდნენ იმერეთი და აფხაზეთი ორმოც-ორმოც, ხოლო გურია — ოცდასამ-ოცდასამ გოგობიკს.

ზაქარია ჰიქინაძის მონაცემებთან დაკავშირებით საინტერესოა სომეხი მეზატიანის ზაქარია სარკავეგის ცნობა: ირანის შაჰმა თაჰაზმა ოსმალეთთან დაზავების შემდეგ გაძარცვა ქართლი და ოცდაათი ათასი კაცი ტყვედ წაიყვანა. ამ წყაროს ნდობას უცხადებს ვ. ს. ნალბანდიანი.

ისკანდერ მუშნის ცნობით, რომელსაც სანდოდ თვლიან დიმიტრი ბაქრაძე და ნიკოლოზ ბერშენოვი,* შაჰ-აბასმა საქართველოდან ასი ათასი კაცი გადაასახლა. ეს ცნობა ასე თუ ისე განამტკიცებს ზაქარია ჰიქინაძის ზემოთმოტანილ ვერსიას.

ქართველ მზეთუნახავთა ისტორიის საინტერესო ფურცელია ირანის დედოფლის შალიკაშვილის ასულის ამაგი ქართველ ტყვეთა გამოხსნის საქმეში.

* Д. Бакрадзе и Н. Берзенов. Тифлис в историческом и этнографическом отношениях. СПб., 1870, гл. 55.

არსებობს ძველი ვერსია იმის შესახებ, რომ შაჰ-აბასის დიდება ქართველი ქალი იყო, ფეოდალ ოთარ შალიკაშვილის ასული. ეს ვერსია დამაჯერებლად უარჰყო დავით კაციტაძემ, მაგრამ ფაქტი ირანის დედოფალ შალიკაშვილის ასულის აღწევებისა, მანვე შეურყეველად აღიარა. ისიც კარგად ვიცით, რომ ირანის სასახლის კარზე ოთარ შალიკაშვილის ასულს დიდი გავლენა ჰქონდა. როცა ირანის ზემოსსენებულმა მბრძანებელმა შაჰ-თამაზმა ქალი თხოვა სამცხის ათაბაგს ქაიხოსროს (1545-1573), უკანასკნელმა, რაკი თვითონ მას ასული არა ჰყავდა, შაჰ-თამაზს ყაზვინში გაუგზავნა თავისი ნათესავის ოთარ შალიკაშვილის ქალიშვილი. ყაენმა ეს ქალი ცოლად შეირთო.

დიდ მშფოთვარე დროს შეესწრო შალიკაშვილის ასული ირანში. ამ საკითხს დაწვრილებით შეეხო ელდარ მამისთვალისვილი*. შაჰ-თამაზის ავადმყოფობა 1573 წელს ტახტისათვის გააფთრებული ბრძოლების საბაზი შეიქნა. ჩამოყალიბდა ორი მტრული დასი: I — შაჰ-თამაზის მეოთხე ვაჟის ისმაილ მირზასი და II — იმავე მბრძანებლის მეხუთე ვაჟის ჰეიდარისა (დედით ქართველის). ჰეიდარი შაჰს გამორჩეულად უყვარდა და მას, შვილთაგან ერთადერთს, სასახლეში ყოფნის უფლება უბოძა, თანაც ტახტის მემკვიდრედ დაამტკიცა. როცა დასნეულებული შაჰი აბანოში უნდა წასულიყო, ისმაილ-მირზას დასი შეშფოთდა — ვინიცობაა ჰეიდარის მომხრე — ქართველების მეთაურს ზაალ-ბეგს (შაჰის მოსამსახურეს აბანოში) არ მოეკლა თამაზ ყაენი. ეს შიში საჯარო სიტყვიერი განცხადებითაც გამოთქვა ისმაილ მირზას დასმა, თანვე მის დაძახილზე სასახლესთან თავი მოიყარა ხუთი ათასმა კაცმა.

* ელდარ მამისთვალისვილი. სეფიანთა სახელმწიფოში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლა და ქართველები... „მაცნე“, 1977, № 1, გვ. 108-112.

ორი ბანაკის შეტაკება თითქოს გარდუვალი იყო. მაგრამ ჰეიდარ-მირზას გამოჩენამ ამ არეულობას ზღვარი დაუდო, თუმცა კონფლიქტის მიზეზები ვერ აღკვეთა. შაჰის ჯანმრთელობა დროებით გამოკეთდა, არეულობის ამბებიც მალე შეიტყო — ყველაფერი მოუთხრო ჩერქეზმა ცოლმა — მისი ასულის ფერიხან-ხანუმის დედამ. ამ ცოლმა ჰეიდარ-მირზას სიძულვილის თესლი ჩაუგდო გულში შაჰს. თუმცა კონფლიქტის მონაწილე პრინცთა მიმართ თამაზს მკაცრი ღონისძიებები არ გაუტარებია; იკმარა ალაშუთში დამწყვდეულ ისმაილ-მირზას დაცვის გაძლიერება. ამ პრინცისადმი თამაზის წყრომის მიზეზი იყო ისმაილის უჯიათი ხასიათი და ამასიის ზავის* წინააღმდეგ გალაშქრება. შაჰს არც ის დამალვია, რომ ალაშუთის ციხის უფროსი ხალიფა ანსარ ყარადაღლუ დამოყვრებოდა ირანის სასახლის კარის უზენაეს ხაზინადარს — ქართველ ფაროხ-ზად-ბეგს — ჰეიდარ მირზას თავგანწირულ მომხრეს. შაჰი შიშობდა ჰეიდარის მომხრეებს ანსარის მეშვეობით არ მოეკლათ ისმალ-მირზა, ამიტომ შაჰმა ყიზილბაშთა სარდლის ამირ ასლან სულთანის ვაჟს უბრძანა სამოცი მებრძოლით მისულიყო ალაშუთის სიმაგრეში და პრინცი დაეცვა. 1576 წ. 1 მაისს შაჰ-თამაზი ხელახლა ჩაწვა. მკურნალთა შორის იყო ჰეიდარ-მირზას მომხრე გილანელი ექიმი იბნ-ნასრი. ამიტომ შემდეგში ხმა გავარდა — იმ მკურნალმა შაჰი პოლიტიკური მოსაზრებით მოწამლაო. გაჩნდა სხვა ვერსიაც — ჰეიდარის დედამ — ქართველმა შალიკაშვილმა მოწამლა შაჰი, რადგანაც შიშობდა შაჰ-თამაზს არ შეეცვალა ად-

* დაიდო 1555 წ. საქართველოს ორ ზონად გაყოფაზე. ოსმალეთის ზონად გამოცხადდა დასავლეთი, ხოლო ირანის საბატონოდ — აღმოსავლეთი საქართველო.

რინდელი ნება და ჰეიდარისათვის არ ჩამოერთმია ტახტის მემკვიდრეობის უფლება; ქართველ დედოფალს სურდა — შაჰის საწუთროს მოსწრაფებით თავისი ვაჟი ტახტზე შეუფერხებლად აეყვანაო. 1576 წ. 14 მაისს შუალაშისას შაჰმა უფლისწულებს შინ წასვლა უბრძანა და სასახლეში მხოლოდ ჰეიდარ მირზა დაიტოვა. იმავე ღამეს შაჰი მიიცვალა და დილით გამოცხადდა, რომ გამეფდებოდა ჰეიდარი. შაჰის ანდერძში ამასთან ერთად იყო სხვა მოთხოვნაც — დაეცვათ ალამუთში დამწყვდეული ისმაილ-მირზა. არ წასთვლემიათ ჰეიდარის მტრებს. სასახლისა და ჰარამხანის დაცვის უფროსმა ვალი-ბეგ ავშარმა, როგორც კი თამაზ-შაჰის სიკვდილი გაიგო, ბრძანება გასცა — სასახლის ყველა კარი ჩაეკეტათ და გარეთ არავინ გაეშვათ. შალიკაშვილის ასულის შვილი პრინცი ჰეიდარი, რომელიც უკვე თავის მიზანს მიღწეულად თვლიდა, სინამდვილეში სასახლის გუშაგთა ტყვე აღმოჩნდა. ჯონ მალკოლმისა და იოზეფ ფონ ჰამერ პიუტგშტალის ვერსიებით, ჰეიდარის ბედ-იღბალში განსაკუთრებული როლი ითამაშა მისმა ნახევარდამ — ჩერქეზი დედოფლის ასულმა ფერიხან-ხანუმმა. ჰეიდარ პრინცმა იცოდა ამ ქალის მტრული მოქმედება 1573 წელს, როცა შაჰ-თამაზი პირველად ჩაწვა. მაგრამ სამი წლის შემდეგ, ე. ი. ახლა, როცა ეს შაჰი გარდაიცვალა, ფერიხან-ხანუმი ფეხებში ჩაუვარდა ჰეიდარს, მიულოცა გამეფება და თხოვა პატიება. სინამდვილეში ჩერქეზი დედოფლის ასული ჰეიდარის სამტროდ მოქმედებდა. თამაზ-შაჰის სიკვდილი მან დაუყოვნებლივ აცნობა თავის ბიძას — ჩერქეზთა მბრძანებელ შამხალს და გააფრთხილა, რომ, თუ

სასწრაფოდ არ მიიღებდა გადამწყვეტ ზომებს, მთელი ძალა-
უფლება ქართველი ხანების ხელში გადავიდოდა.*

ღიაშვიტრალურად საწინააღმდეგო ვერსიას ანვითარებენ
ტომაზო მინალოი და ულულ-ბეგ ბაიათი. მათი აზრით, ფერი-
ხან-ხანუმი თითქოს ათასგვარი გზით ლამობდა ტახტზე ჰეი-
დარის ასელას; იგივე მკვლევარები ამ ნახევრად ჩერქეზ პრინ-
ცესას „ქართველი საჰამალის დისწულად“ თვლიან. როგორც
ელდარ მამისთვალისშვილი შენიშნავს, მართლაც საყურადღე-
ბოა, რომ ტომაზო მინალოი და ულულ-ბეგ ბაიათი „საჰამალს“
(იგივე შამხალი) მიიჩნევენ ქართველად. შალიკაშვილის ასუ-
ლის ვაჟს ჰეიდარ მირზას მრავალი მომხრე ჰყავდა, როგორც
სპარს ფეოდალთა, ისე ქართველ ემიგრანტთა და რენეგატთა
შორის. მათ რიცხვში იყო შაჰ-თამაზის ვაჟი მუსტაფა მირზა,
რომელსაც აგრეთვე ქართველი ჰყავდა დედა. მუსლიმანთა
მთელი ტომებიც (უსთაჯლუ, შეიხავანდი და თალეში) ჰეიდარ
პრინცის მხარეზე გამოდიოდნენ, ასევე — ირანში მყოფი
ყველა ქართველი. ამ ქართველებს ბელადობდნენ ზაალ-ბეგი
და ალიხან-ბეგი. პირველს გერმანელი მეცნიერი ვ. ჰინცი
უწოდებს „თავისი დროის ზიგფრიდს“. ზოგიერთი აღმოსავ-
ლელი მკვლევარი ზაალ-ხანს და ალიხან-ბეგს თვლის ჰეიდარ
და იმამ-ყული მირზების ბიძებად, ჰამერ-პიურგშტალის აზრით
კი იმამ-ყულის ბიძა ისინი არა ყოფილან და ჰეიდარის გარ-

* ელდარ მამისთვალისშვილი, სეფიანთა სახელმწიფოში მიმდინარე პო-
ლიტიკური ბრძოლა და ქართველები (1576-1578 წ.) „მაცნე“, 1977, № 1,
გვ. 108-109.

და ბიძად მოხვდებოდნენ ბაჰრამ მირზას. ამ ორ პრინცს მხარში ედგა ზაალ-ბეგის ძმა ფაროხ-ბეგი.*

ისმაილ-მირზასაც შრავალი მომხრე ჰყავდა, მათ შორის — თორქემანის, ავშარის, შამლუს, ზულყადარის ტომები, ქურთები და ჩერქეზები. ისმაილ მირზას მხარს უჭერდნენ შაჰ-თამაზის მესამე, მეექვსე და მეცხრე ცოლების ვაჟიშვილები.

ზაალ-ბეგს და სხვა ქართველებს დიდი გავლენა ჰქონდათ ჰეიდარ მირზაზე, მის ქართველ დედასთანაც მჭიდრო კონტაქტები დაექირათ. საინტერესოა მუნეჯიმ-ბაშის ცნობა, რომ იმ პასუხსაგებ მომენტში ჰეიდარი მოქმედებდა დედის (შალიკაშვილის ასულის) მითითებით. ვითარების გასაგებად საჭიროა გავიხსენოთ, რომ ყიზილბაშ ამირებს შორის წინააღმდეგობა და ბრძოლა პირველობისათვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. ამ ფაქტორის გამოყენება შეეძლოთ არაყიზილბაშური წარმოშობის უცხო ელემენტებს; ისმაილ-მირზას მიმდევრები მთლიანად ყიზილბაშები იყვნენ (ჩერქეზებს გარდა), მაშინ როცა ჰეიდარ მირზას ბანაკს ეკუთვნოდნენ ირანული მოდგმის ტომები შეიხავანდი და თალეში, უსთაჯლუს ყიზილბაშური ტომი და, რა თქმა უნდა, ქართველები. საინტერესოა, რომ ჰოსეინ-ბეგ უსთაჯლუ იყო აღმზრდელი დედით ქართველი უფლისწულების — მუსტაფასი და იმამ-ყულისა (უსთაჯლუ ყიზილბაშურ ტომებში ყველაზე ძლიერ კომპონენტს წარმოადგენდა. 1576 წლის აღწერით, ასთოთხმეტი ამირადან მას ეკუთვნოდა ოცდაექვსი). ულულ-ბეგ ბაიათის მიხედვით, ჰეიდარზე ზრუნავდნენ დედის (შალიკაშვილის ქალის) ნათე-

* ელდარ მამისთვალისვილი. დსსახ. შრომა, გვ. 110.

** იქვე.

საეგვიპტო. მათ შორის იყვნენ ისა ხან აყთა ჰუსეინი და ფირ მო-
ჰამედი, მაგრამ არა ჩანს მათი ქართული წარმოშობა.*

ახლოვდებოდა დასთა ორთაბრძოლის მძაფრი ფინალი.

1576 წ. 16 მაისს, დილით, როცა სულტანიის მბრძანე-
ბელი სოლეიმან ხალიფა შამლუ ნადირობით ერთობოდა, მან
ანაზღვეულად შეამჩნია საეკვოდ აჩქარებული მხედარი. სო-
ლეიმანმა იგი მყისვე შეაპყრობინა. მხედარს აღმოაჩნდა ზაალ-
ბეგის წერილი ხალიფა ანსარის სახელზე. ამ ანსარს უნდა
მოეკლა ალამუთის ტუსალი ისმაილ-მირზა, რადგანაც 14 მა-
ისს თამაზ-შაჰი გარდაცვლილიყო და ტახტი ჰეიდარ-მირზას
ხელში გადადიოდა. შიკრიკი მაშინვე მოაკვლევინეს. მცირე
რაზმით თავად სოლეიმან ხალიფა ალამუთისაკენ გაფრინდა.
ამ დროს ციხის უფროსი ანსარიც სანადიროდ გამოსულიყო.
სოლეიმანმა თავისუფლად შეატყობინა ისმაილ-მირზას მამის
სიკვდილი. ისინი შეთანხმდნენ, რომ ისმაილი ალამუთში
დარჩებოდა მანამდე, ვიდრე სოლეიმან ხალიფა არდებილში
არ დაბრუნდებოდა მის გამოსახსნელად, არც ისმაილ-მირზა
იჭდა გულხელდაკრეფილი, მან თავისთან იხმო ამირა ასლა-
ნის ვაჟები, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ ისმაილ პრინ-
ციის გუშაგობა, და ახალი ამბავი ამცნო. ერთობლივად შეიმუ-
შავეს მტრის ძლევის გეგმა. ალამუთიდან ხალიფა ანსარის ჯა-
რისკაცები გაიტყუეს, თვითონ დაეპატრონენ იმ ციხეს და
მაშველი რაზმების მოლოდინში მომავალს იმედინად შეპყუ-
რებდნენ. ისმაილ მირზამ მალემსრობოლები აწვია გარეშემო
მდებარე ოლქების ყიზილბაშებს. ამ დროს შაჰის სასახლე-
შიც საინტერესო ამბები ხდებოდა. 1576 წ. 14 მაისის დილას
ჰეიდარ-მირზამ (ფაქტიურად ტყვემ), რომელიც ვერ მიმხვდა-

* ელდარ მამისთვალისევილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 110-111.

რიყო, თუ რა ხიფათი ემუქრებოდა, დაასაჩუქრა კარისკაცები, პარამხანის გუშაგები და მსახურები. შემდეგ, პარამხანის დერეფანში შესულს, გადაპარბებული მოწიწებით მიესალმნენ სასახლის მცველები, ავშარის, შამლუს, ზულყადარის და თორქემანის ტომებიდან. ფერიხან-ხანუმის ბრძანებით სასახლის ყველა კარს საიმედო დარაჯნი მიუჩინეს. ღიად დააგდეს მხოლოდ ერთადერთი ვიწრო გასასვლელი, სადაც ისმაილ-მირზას ერთგული ჯარის სარდლები დადგნენ. მათ უბრძანეს სასახლიდან გამოეშვათ ყველა, გარდა ჰეიდარ მირზას მიმდევრებისა და დამცველებისა. ჰეიდარი სასახლეში დატყვევებული უნდა ჰყოლოდათ მანამ, ვიდრე ისმაილ მირზა არ ჩამოვიდოდა და თვითონ არ გადასწყვეტდა მის ბედს. ჰეიდარის მიმდევრებმა თავმოყრა იწყეს ასეულის წინამძღოლის ჰოსეინ-ბეგ უსთაჯლუს ბინაში. მათ ერთი წუთითაც არ მოუშლიათ კონტაქტები სასახლეში ჩაკეტილ ჰეიდარ-მირზასთან. წერილები ქალებს მიმოჰქონდათ. მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ხაფანგიდან ჰეიდარ მირზას გამოყვანა. ამისათვის ბრძოლის დაწყება სახიფათო იყო, რადგან ჰეიდარის მცველ ყიზილბაშებს ყოველ წამს შეეძლოთ იგი დაუბრკოლებლად მოეკლათ. სალამოთი დარაჯები შეიცვლებოდნენ (მომდევნო ღამეს ჰეიდარ მირზას მოჰხრე უსთაჯლუს ტომის მორიგეობის ჯერი იყო) და სასახლეში ტყვე პრინციის მომხრეთა შესვლა გააძვირდებოდა. უსთაჯლუს ტომის ალამდარმა ალაპ-ყული სულთანმა წამოაყენა წინადადება: ვიდრე ისმაილ-მირზას მომხრის — ჰუსეინ-ყული ხოლაფა რუმლუს ბინაში ჯერ კიდევ არ მოეყარათ თავი მრავალ ყიზილბაშს, გარეთ გამოეტყუებინათ იმ ბინაში მყოფნი და გაეფანტათ. სხენებული მეთაური უსთაჯლუს ტომისა იმედოვნებდა, რომ თუ ეს ოპერაცია წარმატებით ჩაივლიდა,

სასახლის დაცვაც შეშინდებოდა და შაჰის რეზიდენციის ჰიშ-
კარს გააღებდნენ. ისმაილ-მირზას მომხრეებმა ამ გეგმის შე-
ტყობა მოახერხეს და მარჯვედ გაავრცელეს ქალაქში ხმა, რომ
მალე ჩამოვიდოდა ალამუთის ტყვე და ხელისუფლებას სათა-
ვეში ჩაუდგებოდა. ამ ხმამ გაამხნევა ისმაილის მომხრე ყი-
ზილბაშები. მრავალმა მათგანმა თავი მოიყარა ხოლოფას
სახლთან. ჰეიდარის მომხრეები, პირიქით, შეშინდნენ და გა-
დაწყვეტილების შესრულება საღამომდე გადასდეს. როცა მათ
სასახლეზე იერიში წამოიწყეს, უკვე დაგვიანებული იყო. მე-
ტოქეები მრავლად მოსულიყვნენ და საშუალება არ მისცეს
გამარჯვება ეზეიმათ. ჰეიდარის მომხრეები მძიმე მდგომარეო-
ბაში ჩავარდნენ. მათ მტრებს ყოველთვის შეეძლოთ ჰარამხა-
ნაში შეღწევა და ჰეიდარის მოკვლა. უკანასკნელის დასის
ბევრმა მიმდევარმა დაჰკარგა წარმატების იმედი, ბრძოლას
თავი დაანება და შინისაკენ მიაშურა. ამ დროს ქართველთა
რაზმით მოვიდა ზაალ-ბეგი და სასახლის მთავარ კარს ეკვე-
თა, მაგრამ ვერაფერი დააკლო. მაშინ ზაალ-ბეგი გადაეწო
გალავანს, ეზოში შეიჭრა, წინდახვედრილი მტერი ხმლით აკა-
ფა, ჩამოგლიჯა ალაყათი და თავის რაზმებს ეზოში შეგრი-
ლების საშუალება მისცა. ქართველებმა იმძლავრეს, რამდე-
ნიმე კარი ცულებით დალეწეს და სასახლის დარბაზებში შეც-
ვივდნენ, ყველა კუნძულში დაეძებდნენ ჰეიდარს და გაჰყვი-
როდნენ: „შაჰ-ჰეიდარ! შაჰ-ჰეიდარ!“ საქმის ასეთმა შემობ-
რუნებამ დააფრთხო ისმაილ მირზას მომხრენი და მათ ფე-
რიხან-ხანუმის თანხმობით გადაწყვიტეს მოეკლათ ჰეიდარი.
ვიდრე ქართველები ამ პრინცს ეძებდნენ, სასახლის მეორე
მხრიდან ჰარამხანის ბაღში შევიდნენ ხოლათა და ჩერქეზთა
შამხალი, რომელთაც ხელთ ჰქონდათ ფერიხან-ხანუმის მიერ

შიცემული გასაღები. ჰეიდარ-მირზას ეგონა, რომ შინი შტრე-
ბი პარამხანის შეუვალობას არ ხელყოფდნენ, დაეკრძალებ-
ოდნენ და ამიტომ გახდა ქალთა საუფლოს ხიზანი, მაგრამ
ყიზილბაშები არ დაერიდნენ პარამხანის ნაკრძალობის ადათ-
წესებს, შეიპყრეს იქ დამალული ჰეიდარი და თავი მოკვეთეს.
როცა ზაალ-ბეგი და მისი თანამხლებნი შეიჭრნენ სასახლის
ეზოში, მათ სახურავიდან გადმოუგდეს ჰეიდარის გასისხლია-
ნებული თავი. ქართველები მიხვდნენ, რომ წააგეს ტახტისათ-
ვის შინაური ომი და სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. ჰუსეინ-
ბეგ უსთაჯლუმ დედით ქართველი უფლისწულები მუსტაფა
და იმამ-ყული წაიყვანა ყუმისა და ქაშანის მიმართულებით,
რათა ერთ-ერთი მათგანი იქ გაემეფებინა. როგორც ელდარ
მამისთვალისშვილი შენიშნავს, მათი შემდგომი ბედი უცნობია.
ისმაილ-მირზამ დახოცა უმცროსი ძმები, ცოცხალი არ დატო-
ვა არც ერთი ხანი და სულტანი, ვინც კი ჰეიდარ-მირზას
მხარს უჭერდა, სიკვდილით დასაჯეს ზაალ-ბეგიც. ისმაილ
მირზას კორონაციის ცერემონიალი 1576 წლის 27 აგვისტოს
შესდგა.

ასე სავალალოდ დასრულდა ქართველთა და ზოგიერთი
ირანული ტომის ბრძოლა იმისათვის, რომ შაჰინ-შაჰების
ტახტზე ასულიყო ქერივი დედოფლის შალიკაშვილის ვაჟი
ჰეიდარ-მირზა. მაინც არ გატყდა შალიკაშვილის ასული. მას
კიდევ უფრო შეუყვარდა დაკარგული საწმინდო — საქარ-
თველო.

ამგვარად ისახება ვითარება წყაროთა ერთი ვერსიით*.

არის სხვა ვერსიაც. ამ ვერსიით, ირანის დედოფალს შა-
ლიკაშვილის ქალს ჰყოლია ორი ვაჟი: შაჰ-ისმაილი და შაჰ-ხუ-

* „მაცნე“, 1977 № 1, გვ. 108-117

დაბანდა. შაჰ-ისმაილი რომ ტახტზე ავიდა, თითქმის ყველაფერში უჭერებდა თავის დედას — ქართველ დედოფალს*. ამ ვერსიაში შალიკაშვილის ვაჟად სულაც არ არის მოხსენიებული ჰეიდარ-მირზა. არის საფუძველი, რომ ეს ვერსია უსწოროდ გამოვაცხადოთ: ჯერ ერთი ქართველი ზაალ-ბეგი და ირანში დამკვიდრებული მთელი ქართველობა ჰეიდარ მარზასათვის თავს არ გამოიდებდნენ, ის რომ შალიკაშვილის ასულის ვაჟი არ ყოფილიყო, მეორეც — დავით კაციტაძემ დამაჯერებლად უჩვენა, რომ ხუდაბანდა (შაჰ-აბასის მამა) არ წარმოსდგებოდა შალიკაშვილის ასულისაგან.

შაჰ-ისმაილის კორონაციას, როგორც მოწმობს ავტორიტეტულ წყაროთა ვერსია, დასწრებია ალაშუთის ციხიდან საგანგებოდ გამოყვანილი სვიმონ პირველი**.

არის ცნობა: შაჰ-თამაზის შვილი ისმაილი რომ ტახტზე ავიდა, მან დედის — შალიკაშვილის ასულის ჩაგონებით ტყვედმყოფი ორი ქართველი — ქართლის მეფე სვიმონ პირველი და ბაგრატ მუხრანბატონის ვაჟი არჩილი გაათავისუფლა და შირაზიდან ისფაჰანში გაგზავნა. შაჰ-ისმაილის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა მისი ძმა შაჰ-ხუდაბანდა. მან სვიმონ პირველს მოსთხოვა რჯულის გამოცვლა, თან შეჰპირდა რომ სამშობლოში დააბრუნებდა და ხელახლა აიყვანდა ქართლის ტახტზე. თავისი ქვეყნის ჰირ-ვარამით სასომიხდღიმა სვიმონმა რჯული ფორმალურად (ნომინალურად) გამოიცვალა. სვიმონ პირველის მიერ რჯულის გამოცვლამ ძალიან შეაწუხა ირანის ქართველი დედოფალი — შალიკაშვილის ასული. მან თავისთან მიიწვია სვიმონ პირველი, „მისცნა ნიჭნი

* „ქართლის ცხოვრება“, II, გვ. 732, 364-370.

** „მაცნე“, 1977, № 1, გვ. 108-112.

და საზოგადოებრივი სამეფო და წარმოგზავნა თვისსა ქართლად“, თან გამოაყოლა ირანში მყოფი ტყვე ქართველები. ეგნატაშვილი წერს: „შაჰ-ხუდაბანდას დედამ, ოთარ შალიკაშვილის ქალმან, მოიყვანა მეფე სვიმონ, ვითარცა წესი არის ქართველთა დედანი ლეჩაქს მოახვევენ, — და იგიცა ქართველი იყო, — მანცა ეგრეთვე ყო და წარმოუგზავნა ლეჩაქი თვისი და მოუმცნო: „მეფე სვიმონ, გწადდეს ლეჩაქი ესე აიღე და გწადდეს — ხმალიო, ჩვენც მოგვეხმარე და შენსა საბატონოსაცა*. ხმალზე ლეჩაქის მოხვევა ნიშნავდა საქართველოსა და ირანს შორის დედაკაცის შუამდგომლობით სრულ დაურღვეველ მშვიდობას და ერთობის დამყარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ირანის ქართველი დედოფლის — შალიკაშვილის თავგადასავლის ზუსტად დადგენას ხელს უშლის ვერსიების სხვადასხვაობა.

შაჰ-თამაზს შალიკაშვილის ასული გაგიყებით შეჰყვარებია დაქორწინების შემდეგ. „დიდად საყუარელ უჩნდა ქალი იგი, მიერთვან იყო ფრიად კეთილისმყოფელ ათაბაგისა“, ტყუილ-უბრალოდ არ არის ნათქვამი ჩვენს მატრიანეში.**

შაჰ-აბასმა რომ კახეთი აპყარა, მან ირანში აუარებელი ქართველი მონა და მხევალი შეიყვანა (ამას გვაუწყებს იტალიელი მოგზაური პიეტრო დე ლა ვალე). ისინი ეკუთვნოდნენ არამართო მდაბიო წრეებს, არამედ არისტოკრატიასაც. მთელს ირანში სახლი არ დარჩენილა, რომ არ ჰყოლოდეთ ქართველი მონები და მხეველები. არ იყო ისეთი სპარსელი დიდკაცი, რომ არ ესურვა ქართველი ცოლების ყოლა და თვით შაჰის სასახლე საესე ყოფილა ქართველი მონებითა და

* ქართლის ცხოვრება, II, გვ. 372, 364-370.

** ქართლის ცხოვრება, II, გვ. 505.

მხეველებით. ამათგან თითქმის ყველანი ნებით, თუ უნებლიეთ, იძულებული შეიქნენ უარეყოთ სჯული და ამ საბრალოთა მხოლოდ ნაწილია განაგრძობდა საიდუმლოდ მამა-პაპის სჯულის აღიარებას. სპარსელებს იმდენი ქართველი მონა და მხევალი წაუყვანიათ, რომ თურმე მათი დიდი რაოდენობა პირუტყვზე უფრო იაფად გაყიდულა.*

მკითხველს გვინდა მოკლედ გავახსენოთ ქეთევან დედოფლის დიადი მოწანეობრივი თავგადასავალი. როგორც კარგად არის ცნობილი, იგი უაღრავი მოგზაურის, მწერლისა და მეცნიერის მსჯელობის საგნად იქცა. მას ყურადღება და პატივდიდება არც საქართველოში მოჰკლებია და არც უცხოეთში.

იოანე მინჩხის სიტყვები საუკუნეებს გადასწვდება: „ექვეთნეს ქარნი იგი საშინელი განსაცდელთაგან გოდოლსა სულისა... ხოლო ვერ შეარყიეს სიმტკიცე მისი, რაწეთუ დამყარებულ იყო არა ქვიშასა ზედა, არამედ კლდესა ზედა“.

ქეთევან დედოფლის მაგალითის მაგიური ძალა საუკუნეთა განმავლობაში აღფრთოვანებდა ქართველ ტყვეებს უცხოეთის მიწა-წყალზე. ამის შესახებ კარგად წერს არჩილ სულაკაური ლექსში „ნუ გათათრდები“. მოვიტანთ ნაწყვეტს: „მეზვაშიადე არავინ გყავდა, ასე გატარეს დიდხანს და დიდხანს. როცა დაეცი შირაზის კართან, შენ გაიგონე ქართული სიტყვა. გრძნობდი საგულეს აღარ გეტევა გული ჭმუნვაში, დარდში ნათრევი. იქნებ წამოდგა მკვდრეთით ქეთევან და დაიკვილა: — ნუ გათათრდები! იქნებ ის იყო სული უკვდავი შანთით დასერილ წმინდა სხეულის?! იქნებ ის იყო სული უკვდავი იმ სხეულიდან გამოქცეული?! და შენაც სული აზიდე ცამდის დაცემულმა და გზებზე ნათრევმა — ნეტა რას

* გივი ჟორდანი. უცხოელ მოგზაურთა ცნობები ქართველთა შესახებ XVII საუკუნეში, „მნათობი“ №8. 1962, გვ. 174—184.

ერჩი, თათარო, მაგ ბიქს — ქართველია და არ გათათ-
რდება!“*

ლექსის ეპიგრაფში არჩილ სულაქაური მკითხველს მოა-
გონებს საბას ლექსიკონში დაცულ საოცარ ცნობას: „ნუ გა-
თათრდები“ — ეგვიპტის ტრედია, მომცრო ფრინველი, მსგავსი
გვრიტისა, მისირსა და შირაზში ცხოვრობს. ესენი ოდეს
მგზავრს კაცს ნახავენ, იწყებენ ძახილს ქართულის ენით:
„ნუ გათათრდები!“ და ამ მიზეზით თათარნი უწოდებენ
„გიაურ-ყუში“, ვითომც ურჯულო ფრინველი.

ქართველი ხალხი ჰქმნიდა ნაწარმოებებს თავის საამაყო
მზეთუნახავებზე. ქართველმა მემატიაწეებმა და ი. პოპკამ,
ვ. პოტომ, მ. ჯანაშვილმა, დ. ნინოწმინდელმა, შ. არაგვისპი-
რელმა, ქსენია სიხარულიძემ და სხვებმა ყურადღება მიაქციეს
ლამაზ ლეგენდას ხორეშანას შესახებ, ლეგენდა შაჰ-აბასის
დროს შეეხება და მოგვითხრობს ქართველი მზეთუნახავის
პატრიოტულ თავგანწირულებაზე.

ლეგენდა მ. ჯანაშვილის მოთხრობის მიხედვით, გალექსა
დ. ნინოწმინდელმა. ამავე ლეგენდის მიხედვით არის დაწე-
რილი შიო არაგვისპირელის პიესა „შიო თაედი“.

როგორც ვხედავთ, ხორეშანას ლეგენდა საკმაოდ გახმაუ-
რებულია მეცნიერებასა და მხატვრულ ლიტერატურაში. ამავე
დროს ყველა მკვლევართან ზუსტად და სრულად ვერ არის
გადმოცემული მისი შინაარსი. ჩვენ გვინდა მკითხველს და-
ვებმართო.

ვ. პოტოსთან დაცულია ხორეშანას ლეგენდის ვრცელი
ვერსია, თანაც რამდენადმე განსხვავებული მ. ჯანაშვილის
მოთხრობის ტექსტისაგან. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია პო-

* არჩილ სულაქაური. ლექსები. თბილისი, 1980, ვვ. 7-9.

ტოს საინტერესო ვერსიის მთლიანად მოტანა (თვითონ მკვლევარი მიუთითებდა, რომ იგი ეყრდნობოდა რ. დ. პოპკას მონათხრობს).

ერთ დღეს მთელი კახეთისა და აგრეთვე ქართლის ნაწილის დამპყრობელი შაჰ-აბასი თავისი კარვის კარებთან იჯდა. შთავარმა მირზამ (ე. ი. მდივანმა) მას მოახსენა, რომ ქართველმა მეფემ მასთან საჩუქრებით მოავლინა ელჩი. მართლაც შაჰის წინაშე წარსდგა ქართლელი თავადი, მზალაღი და ტანადი, „როგორც მტკვრის სანაპიროზე აღმართული ალვა“. ამ თავადმა შაჰს ფეხთან დაქუდო ახალმოკრეფილი ხილით სავსე კალათი. შაჰმა, ხილი რომ გასინჯა, აქო ძალიან. „ჩოხ გიუზელ“, „ჩოხ გიუზელ“ (ნამეტნავად მშვენიერიაო), იმეორებდა შაჰი. შემდეგ ამოარჩია ყველაზე მოზრდილი ვაშლი, ჩაიტკბარუნა პირი, ხოლო თესლი ხელისგულზე დაიყარა და ბრძანა მოერთმიათ მისთვის შუბი. შაჰმა შუბით მიწა გასჭრა, ჩაჰყარა შიგნით ვაშლის თესლის მარცვლები და ქართლელ თავადს უთხრა „სალამი მიაართვი შენს იმეფეს და უთხარი, რომ სანამ ამ მარცვლებიდან მთელი ბალი არ ამობიბინდება და მისი ხილით არ დავინექტრები, თქვენი ქვეყნიდან ფეხის მომცვლელი არა ვარო. ამ მხარეში მე უკეთესად მძინავს, ვიდრე შინო. „ბელი“ (ყარგიო), უთხრა თავადმა. შაჰის ადგილსამყოფელს რომ გამოშორდა, მან, ღრმად შეურაცხყოფილმა თავისი სამშობლოს და ხელმწიფის დამცირებით, გადაწყვიტა — მსხვერპლად მივიტან ჩემს ძვირფასს, ჩემს სანუკვარ ხორეშანას, სამშობლო ცოლზე ძვირფასიაო... ამ თავადს ეძახდნენ შიოს. მისი სახლი ქართლისა და კახეთის საზღვარზე იდგა. თვითონ იყო ქართლელი, ცოლი კახელი ჰყავდა. მათი თავლის თვეც ჯერ არ გალეულიყო. უნდა ითქვას, რომ შაჰ-აბასმა გასცა ჯოჯოხეთური ბრძანება — ყო-

ველ ახალ მთვარიანობაზე საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში შეეგროვებინათ ორმოცდაათი მზეთუნახავი და მივგვარათ მასთან — სპარსთა ბანაკში. თვითონ შაჰი ანაწილებდა ამ ტურფებს თავის ბეგებზე. მაგრამ იყო ერთი ხანი, სახელად ალავერდი, რომელიც არ ჯერდებოდა „მთვარის ძმის“ საჩუქრებს და თვითონ ითბობდა ხელს სპარსულ ხარკზე. ეს იყო ყველაზე ძლიერი ხანი, თათართა ცხენოსანი ჯარის მეთაური. ეს ჯარი შეადგენდა ყიზილბაშების საუკეთესო ნაწილს (თვითონ ყიზილბაშები არასდროს სათქმელად არ ღირდნენ). ალავერდს ცალკე დაეცა ბანაკი, თელავის ახლოს. ამ დროს საბრძოლველი მას არაფერი ჰქონდა. ამიტომ ყოველდღე სანადიროდ დადიოდა. ცერზე შეეარდენი ეჯდა. საღამოობით მოართმევდნენ ლამაზ ქართველ ქალს ხარკის ანგარიშში. ამასობაში ქართველთა მეფე თავადების მხარდაშეხარ და განადგურებული ჯარის ნაშთებთან ერთად იდგა მცხეთის ახლოს მაგარ პოზიციაზე, რასაც ქმნიდა მტკვრისა და არაგვის შესართავი. როცა გასთელეს სამხედრო ძალა, აღიმართა იმეორე, რომელიც უმკლავდებოდა მტრის დარტყმებს და არ ეცემოდა. თავისი სენაკებიდან გამოვიდა სასულიერო წოდება და სამშობლოს ხსნა იკისრა. ისევე, როგორც ძველ საუფლისწულო რუსეთში, აღნიშნავს ვ. პოტო, სამღვდელოება ერთმანეთთან ძლიერთა შერიგებას ანხორციელებდა, განამხნევებდა სულმოკლე ბრბოს, და ასე შეჰქმნა ძალა იქ, სადაც იგი არ იყო. მთაერები, რომელთაც არასოდეს გულში არ გაუვლიათ შეთანხმებულიყვნენ, ახლა თავს იყრიდნენ სამეფო ბაირალების ქვეშ, ერთმანეთს გულში იკონებდნენ და განგების პერანგზე ფიცს დებდნენ მომკვდარიყვნენ ერთიმეორისათვის. ამჟვე დროს შევლას თხოვდნენ ღვიძლ ძმას იმერეთს და სარწმუნოებით ნათესაეს მოსკოვს. ქართველი მეფის ჯარი დღითი

დღე სულ უფრო იზრდებოდა. ყველას სურდა შეტევაზე გადასვლა. უცდიდნენ მხოლოდ რუსეთის დახმარებას თერგიდან და დნებრიდან. ასეთ ვითარებაში თავადი შიო ეწვია თავის ხორეშანას და უთხრა მას — იხსენი სამშობლოო. გაოგნებულმა ქალმა მიუგო: ნუთუ სუსტ ქალზე მიდგა მშობელი ქვეყნის გადარჩენა, მაშინ, როცა უშამაცესი თავადები უსაქმურად დგანან კუთხეში მტკვარსა და არაგვს შორისო. შიომ უპასუხა: სადაც დები — მტკვარი და არაგვი ჩაეკონენ ერთმანეთს მარადიული კავშირის ნიშნად, ისევე, როგორც მე და შენ, იქვე შეერთდნენ ივერიის დაქსაქსული ძალები. ეს უკვე უკანასკნელი ძალებია. მეტი არაფერი გვაბადია და ესეც ერთი მუქა მხედრობაა, ყიზილბაშები კი უთვალავია. ჩვენ რა შეგვიძლია გავაკეთოთ? მოვკვდეთ პატიოსნად. სხვა არაა ძალგვიძს. ეს როდი იხსნის სამშობლოს, რომელიც დაიღუპება უკანასკნელ თავადთან ერთად. მაგრამ იქ, სადაც უშამაცეს მემორებს არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ, ქალი ყველაფერს მიაღწევს... არა ხელის ძალით, არამედ მოსიყვარულე გულის უსაზღვრო სიდიადით... შესწირე თავი... მიეც საკუთარი სიყვარული, გაასხვისე იგი მოკლე ვადით — სალამოს ვარსკვლავიდან დილის ვარსკვლავამდე, ჩაბარდი ალავერდი ხანს. ხორეშანას მიცვალებულის ფერი დაედო. შიომ განაგრძო — ქართველთათვის საშიშია არა შაჰის ბანაკი, სადაც აურაცხელი ყიზილბაშია. მათი გმირული თავდაჯერება მერყეობს აზერბაიჯანის ლომის — ალავერდი ხანის წინაშე. თუ ეს ლომი შაჰს განუდგება — საქართველო გადარჩენილია. საქართველოს ხსნა კი აუცილებელია. იგი უნდა გადავარჩინოთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს და ეს მხოლოდ შენ შეგიძლია, არა ძალის მეოხებით, არამედ — მსხვერპლით. დარეკა საათმა — უდიდესი, ჭაუგონარი მსხვერპლის გაღებისა. ასეთი

მსხვერპლის მიტანის უფლებას იძლევა მხოლოდ სამშობლოს სიყვარული. კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა კეთილშობილი ქართველი. საკვირველი იყო მისი სიტყვები. ასეთი რამ ჯერ არ სმენია სამყაროს. ხორეშანა ჩაბჯდა ბოლოს და ბოლოს მსხვერპლის სიდიადეს. მან თავისი მოსიყვარულე გულის განუზომელ სიღრმეში იპოვა იღუმალი ძალა და გადასწყვიტა გადაედგა უქნელესი ნაბიჯი. მალე ხორეშანა გამოჩნდა სპარსთა ბანაკში — ათრთოლებული და დარცხვენილი. სიმორცხვე უფრო მშვენიერს ხდიდა მას. ალავერდი-ხანმა დაიფიცა წინასწარმეტყველის გრძელი წვერები, რომ მან ჯერ არასოდეს ენახა ამგვარი მზეთუნახავი. ჩამოწვა უკუნი ღამე. მთებში მეხი-მეხზე გავარდა. კოკისპირული წვიმა გაღმოსკდა ციდან. თავაწყვეტილი ქარიშხალი კარვებს გლეჯდა და წეწდა თათართა ბანაკში. ალავერდის აბრეშუმის საწოლთან ცხარე დავა გამართულიყო. ხანი უარს ამბობდა იმ საფასურზე, რასაც ქართველი ქალი მოითხოვდა. სატრაპი მას სთავაზობდა ყველა თავის საუნჯეს, შაჰის ღალატს კი ვერ კისრულობდა. ხორეშანა ჩალადაც არ აგდებდა ხანის სიმდიდრეს. იგი ხანისაგან შაჰის ღალატს მოითხოვდა, სხვა საფასურზე სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა. ხანი ამ პაემანზე დროდადრო მოთმინებიდან გამოდიოდა, სისხლი ყელში აწვებოდა და მძაფრი ცოფი ეკიდებოდა. მან რამდენჯერმე აღმართა ხანჯალი ხორეშანას გასაგმირავად. ქართველი ქალი არ შეშინდა და საფასურს არ დაუკლო. მეორე ღღეს ხანი დილიდან საღამომდე კარავში იჯდა. დანა პირს არ უხსნიდა. ღრმა ფიქრებში ჩაძირულს და გამძვინვარებულს, ფლავზე ხელი არ უხლია. მთელი ბანაკიც საყდრული მყუდროებით სღუმდა. ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა, შუალამე რომ დადგა, ხანი დაეთანახმა საფასურს, რასაც ხორეშანა მოითხოვდა: წინასწარ-

შეტყველის წვერები დაიფიცა, რომ ქალისათვის მიცემულ პირობას არ გასტეხდა. დილით, მეორე დღეს, მთელი ბანაკი საუბრობდა და მოილხენდა... მაგრამ, აი, რაში მოაგლო შაპის დესპანმა. ამბავი მოიტანა: თერგიდან მეთოფენი და დნეპრიდან კაზაკები ჩამოუვიდნენ ქართველებს და ახლა გიურები მცხეთიდან გამოდიანო. შაპი ბრძანებდა — ალავერდი ხანი ჯარით სამი დღის შემდეგ მასთან ჩასულიყო. ხანმა დადებითი პასუხი გაგზავნა და სალაშქრო თადარიგი დაიჭირა. ბრძანა, დაეჭვდათ ჰუნენი, რათა დიდი აჯამის* ბანაკში დროულად მომოსადებოდნენ შაპ-აბასს. ფიცი დაეიწყებას მიეცა. ხორეშანას სულის სიღრმეში მწიფდებოდა შურისძიება. ქართველმა ქალმა გადასწყვიტა ღამით ფიცის გამტეხისათვის თავი მოეკეთა, მაგრამ იმ წუთს, როცა განზრახვა უნდა აესრულებინა, ქალს ჩაეძინა და საოცარი სიზმარი ნახა. გამოეცხადა ქალართი გადაპენტილი მოხუცი — ძონძებში გახვეული განდევილი. ბერს ნათელი და მშვიდი სახე ჰქონდა. მან ასწია ხელი ხორეშანას დასალოცავად. ქალმა დაიყვირა: მამო, არ არის დალოცვის ღირსი, ვინც თავისი თავი ურჯულოს საწოლში წაბილწა და ახლა მუხანათური მკვლევლობისათვის დანა მოუმარჯვებია. განდევილი ჩააგონებდა: გადასდე განზრახვა შენი, ო, ივერიის ასულთა შორის ყველაზე გამორჩეულო, ნუ ხელყოფ ალავერდი-ხანის სიცოცხლეს. ეს კაცი დიადი საქმისათვის არის მოწოდებული. მისი სიცოცხლე მოასწავებს სამშობლოს გადარჩენას, ხოლო გარდაცვალება — დანგრეული სავანის აღდგენას — ამ სავანის ნანგრევებს მე ხომ მრავალი წელია დავესტირი. შენს მძიმე მსხვერპლს, ასულო, აკურთხებს ეკლესიის დალოცვა და განწმენდს ხანგრძლივი მონაზნური ცხოვრების დიდება და

* აჯამი — აჯემი (არაბ.), ანუ ვრავი.

სახელი. გაჩნდება თუ არა შენთან, ხანს მოსთხოვე ზოგი-
ზადონ კერძი მისი ნანადირევიდან. ერთხელ კიდევ გადასწე-
რა ჯვარი ჩოქმოყრილ ხორეშანას და გაუჩინარდა. დილით
ქართველმა ქალმა ხანს განუცხადა: მინდა მივირთვა ქებაში
ჯეირნის ხორცისა, მხოლოდ ჯეირანი საკუთრივ შენი მოკ-
ლული უნდა იყოსო. იმ წამსვე ხანმა გასცა ბრძანება და
მონადირეთა გუნდი მეზურნე-მედოლეთა თანხლებით დაიძ-
რა ტყისკენ იმ გზით, რომელიც წმინდა გიორგის ზონასტ-
რის ნანგრევებისაკენ მიემართებოდა. ნადირობამ დიდი წარ-
მატებით ჩაიარა. ბოლოს ააფრინეს მიმინოები. „გავაპარტა-
ხეთ ხმელეთი, გავაპარტახებთ ჰაერსაცო“, გაჰყვიროდა აღტა-
ცებული ხანი, და, აი, მისი პირველი საყვარელი მიმინო
გამოენთო გარეულ იხვებს. მაგრამ ყველას ის უყვირდა, რომ
ძველებურად მკვირცხლი ვერ იყო მიმინო, სიზანტემ დასძ-
ლია და იხვებმა მოახერხეს საშიში ზონიდან გასვლა. ალავერ-
დი გაშმაგდა. იგი ცხენით მიჰქროდა და, რაც ძალი და
ღონე ჰქონდა, ჰყვიროდა მიმინოს გასამხნეველად. შორს
კი, ალაზნის კლდოვან ნაპირზე ჩოქმოყრილი განდევილი იდ-
გა. არ ეპუებოდა მცხუნვარე მზეს და უცხო ტომთა მძიმე
შემოსევისაგან სამშობლოს გადაჩვენაზე ლოცულობდა. მი-
მინოც აპასობაში წამოეწია თავის მსხვერპლს. უკვე გაშალა
ჭანგები და ნისკარტით შეეხო იხვის ფრთას. უეცრად იხვმა
გეზი იცვალა, გაეკრა მიწას და თავი განდევილის პერანგს
შეაფარა. მიმინომ ნელა იწყო რგოლების მოხაზვა განდევ-
ლის თავზე. ხანმა დაინახა, თუ სად დაიმალა მისი მსხვერპ-
ლი. ალავერდი მივიარდა განდევილთან და ხმამალა დაუყ-
ვირა — დააფრთხე ფრინველი და გამოაფრინეო. განდევილმა,
თითქოსდა აქ არაფერიო, განაგრძო ლოცვა. შენ გეუბნე-
ბიან, დააფრთხე ფრინველიო, ისევ დასჭექა ხანმა. განდევილი

მთელი გატაცებით და ექსტაზით ლოცულობდა ბედკრული სამშობლოს გადარჩენაზე. მოხუცის გული ცაში შეცურდა, ახლა მთელი დედამიწა ყველა მისი მშვენიერებითა და საშინელებით განდევილისათვის არ არსებობდა. მაშ, შენ არ მისმენ მე, თავხედო გიაურო! დაიყვira ხანმა. ხანჯალმა გაიელვა განდევილის თავზე, მაგრამ როგორც კი მოხუცის წვერებს შეეხო, ნამსხვრეებად იქცა. ხანი ცხენიდან გადმოვარდა და მარჯვენა მისი, ხანჯლის ვადას რომ ბლუჯავდა, მყისვე მიასწა. განდევილი ახლა მტრებზე ლოცულობდა. ამაყი ხანი, თავზარდაცეპული მომხდარი სასწაულით და ქრისტიანული ლოცვის სიტყვის ყოვლისმიმტევებლიოით, დაშოშმინდა. შემინდე ცოდვები, დამიბრუნე ხელი და მე იმ ხელს ქრისტიანების სამსახურს მოვახმარო — მავედრებელი ხმით უთხრა დაზარალებულმა ბერს. განდევილის ლოცვამ სიცოცხლე შთაბერა ალავერდი ხანის ხელს და ამ კაცის ბნელ გულში შეიჭრა რწმენის პირველი სხივი. შაპი და მეფე ქართველთა შეიბნენ. ერთიც და მეორეც ელოდა ალავერდის დახმარებას. და, აი როცა ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი არ იყო, მალლობებზე, როგორც ღრუბელი, დაჩნდა თათართა კავალერია. ეს — მოდიოდა ალავერდი. იგი ეკვეთა ყიზილბაშებს. ისინი პანიკამ უფრო შეიპყრო და ბრძოლის ველიდან გაიქცნენ. თავადი შიო იპოვეს დაღუპულთა შორის. მას დასტიროდა თათრული აბჯრით მოსილი ახალგაზრდა თავადი. ეს იყო ხორეშანა. შუბით ხელში, ჯაჭვის პერანგით ნაზ სხეულზე, იგი გვერდით ახლდა ხანს და განამხნევებდა მას შერყეობის წუთებში. თვითონ ეს ხანი სასიკვდილოდ დაჰკრა და რამდენიმე დღე იცოცხლა. იგი ეზიარა მონათვლის ცხიველმყოფელ შუქს და მოკვდა არა მარტო როგორც ქრისტიანი, არამედ აგრეთვე როგორც მეორე ქმარი ხორეშანასი. სიკვდილის აგო-

ნიაში მყოფმა ალავერდი ხანმა თავისი აურაცხელი საუნჯენი უანდერძა ივერიის მფარველის წმინდა გიორგის საეანის ვანახლების საქმეს. მართლაც, მალე, მთელი თავისი წინანდელი სიდიადით ცაში აიტყორცნა ამ ტაძრის გუმბათები. ხორეშანა განერიდა წუთი-ოთლის დავიდარაბას, რათა თავისი მალალი, მაგრამ ცოფვით დაღუპული გმირობა მზეგრძელი სამონაზნო ცხოვრების დიდებით გაჰოესყიდა. ქართველი მემეტნიანე წერს: „არ ყოფილა და არც იქნება სამშობლოზე ისე შეყვარებული ვაჟიშვილი, როგორც იყო ქართლელი შიო. არ ყოფილა და არც იარსებებს ისეთი მოსიყვარულე ცოლი, როგორც ბრძანდება კახელი ქალი ხორეშანა.“⁹

სრულადა სამართლიანად მსჯელობდა ვ. პოტო, როცა გმობდა რენეგატ ქართველ არისტოკრატებს და განადიდებდა ხალხის მასას: „საქართველო დავალებულია მხოლოდ ხალხისაგან, რომ შეინარჩუნა თავისი სულიერი დამოუკიდებლობა და მომავალი განახლების შესაძლებლობა. ხალხის წიაღიდან ხელახლა გამოვიდა ძლიერი სასულიერო წოდება, რომელსაც უდიდესი გავლენა ჰქონდა მეფეებზე და მაჰმადიან არისტოკრატიაზე. სამღვდელოების მეთაური, კათალიკოსი, საქართველოს შემდგომ ისტორიაში არაერთხელ გამოსულა განმათავისუფლებელ მოძრაობათა წყაროდ“. და მადლიერმა ხალხმაც ასახა სასულიერო წრეების ეს როლი თავის ლეგენდებში. „ეს მარად მომქმედი სული ხალხისა შაჰის დროს გამომუქდავნდა არა მარტო ხალხის მასების წინააღმდეგობაში, რომლებიც მთებში იხიზნებოდნენ, არამედ იმ საგმირო ფაქტებში, სადაც ნათლად ჩანს დაუძლეველი და ზღვარდაუ-

⁹ В. Потто, Кавказская война... т. I, вып. II, СПб. 1897, гл. 250-255.

დებელი ერთგულება წინაპართა რჯულასა და სამშობლოსადმი“
ლეგენდა შიოსი და ხორეშანასი, პოტოს სიტყვით, გვიჩვენებს,
რომ ხალხს არ უნდოდა ელიარებინა შაჰის გამარჯვება,
ხალხს შეგნებული ჰქონდა, რომ შაჰი ვერ დასძლევდა
ხალხის ძალას.

პიეტრო დელლა ვალეს ცნობით შაჰ-აბასის ცოლთა უმეტესობა ქართველი იყო და შაჰის სასახლეში ქართული ლაპარაკი ისმოდა.

აბატი ბერნიე წერდა: აზიის იმპერიების სილატაკის, ცუდე მართველობის, გაუჟაცრიელების და დაქვეითების მიზეზია ის გარემოება, რომ მეფეთა ბავშვები იზრდებიან ქალთა და საჭურისთა შორის. ეს ქალები და საჭურისები ხშირად არიან რუსეთიდან, ჩერქეზეთიდან, სამეგრელოდან, გურჯისტანიდან და ეთიოპიიდან ჩამოყვანილი საბრალო მონები“.*

ბერნიეს აზრს უცხოელი ქალებისა და საჭურისების განმსაზღვრელი უარყოფითი როლის შესახებ სავსებით იზიარებს ახალი დროის ფრანგი ისტორიკოსი ბაიანი. მისი აზრით, სეფევიდების დინასტია ირანში დააქციეს სახელმწიფო საქმეთან მოკალათებულმა უცხოელმა ლამაზმანებმა და საჭურისებმა. ასეთი მტკიცება კრიტიკას ვერ უძლებს. მუსლიმანური იმპერიების დაქვეითება-დაცემის მიზეზები იქ როდია საძიებელი, სადაც აბატი ბერნიე და ისტორიკოსი ბაიანი** ეძებდნენ, მაგრამ ამ საკითხზე აქ სიტყვას ვერ გავაგრძელებთ.

ძველი სამყარო სრულიადაც არ არის იგივე, რაც ახალი

* F. Bernier, Histoire de la dernière Revolution Des Etats Du Grand Mogol. P. 1671, გვ. 43-44.

** Bayani Relation d'Iran avec l'Europe Occidentale. P. 1922.

და ეს ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული, მაგრამ ცდუნებას ვერ ვუძალიანდებით და თავს გვახსენებენ უკვდავი პლატონი და ჟან ჟაკ რუსო. ისინი მიუთითებდნენ, რომ ძველ სპარსეთში ევენუხები კეთილშობილების და ფიზიკური გამძლეობა-სილამაზის პრინციპებზე ზრდიდნენ სამეფოს მემკვიდრე პრინცებს, სწორედ ევენუხებმა და სერალის ქალბატონებმა შეიტანეს გარკვეული წვლილი დისციპლინის მოყვარული სადრ-აზამებისა და შაიხულ ისლამების, ყადილესკერებისა და ბეგლარბეგების, სერასკირებისა და რეისეფენდების, იანიჩარებისა და დელიბაშების, მუხაფიზებისა და მუტასარიმების, იჩოლლანებისა და მუტაფარიკების, შაიხ-ულ ბელადებისა და სულთნების, ამირა-ულ ჰაჯებისა და კაშიფების, ხანებისა და ფაშების, კაიმაკამებისა და ქახია ბეგების, მოისუმეებისა და იმამების, ნაიბებისა და ქალანთარების აღზრდაში. ეს ისტორიული უკუღმართობა იყო საქართველოსათვის. რომ მისი ასულების ერთი ნაწილი მის მჩაგვრელ სახელმწიფოთა ძალასა და ძლიერებას ემსახურებოდა. ტყვეთა გატაცების და ტყვეთა სყიდვის საუკუნეებმა აშითაც მოგვაყენეს საბედისწერო დარტყმა: ჩვენი მიწა-წყლის შვილები არც თუ იშვიათად არამარტო მოუძლოდნენ ჩვენს დამარბეველ და იავარმყოფელ ურდოებს, არამედ მუსლიმან სამეფოთა მმართველი წრეების მებრძოლი ანტიქრისტიანული სულის ჩამოყალიბება-წრთობასაც ამაგდარობდნენ. შავბნელი წარსული ქართველ ხალხს მოევლინა, როგორც მრავალსახოვანი ბოროტი იანუსი.

ჩარლზ დარვინი ქართველებს წმინდა სისხლის ხალხად მიიჩნევდა და ამ გარემოებით ხსნიდა იმას, რომ ირანის შაჰები იჩენდნენ დიდ დაინტერესებას ქართველი მზეთუნახა-

ვებით — სურდათ უკანასკნელთა მეშვეობით კეთილშობილი შთამომავლობა ჰყოლოდათ.*

დიმიტრი ბაქრაძე წერდა: „ერთ ჩვენს უძლურებად თვის ჩვენი ტომის მშენიერებაც ხდებოდა, რადგანაც აზიის მაკ-მადიანთ შავი ხალხები ძლიერ ეტანებოდნენ ჩვენს ხალხსა, ქართველთა შვილებით ამშვენებდნენ თვის მოდგმას“. (ზ. ჭი-ჭინაძის ცნობით, შაჰებს პარამხანის უფროსებად ზოგჯერ ქართველები ჰყოლიათ).

მოგზაური ყან ბატისტ ტავერნიე წერდა: საქართველოში ქალთა მონასტრების რიცხვი მეტია კაცებისაზე. ყმაწვილკაცობა ან ხვანა-თესვით, ან ომებით არის მთლიანად დაკავებულნი... ქალიშვილს კი, როგორც კი ოღნავ წამოიზრდება და დამშვენდება, მუდამ მოტაცების საფრთხე ემუქრება, მოტაცებულ გოგონებს კი უცხო ქვეყნებში ჰყიდიან, როგორც ოსმალეთი, ირანი და თვით დიდი მოგოლის ქვეყანა (ინდოეთი, დ. ჯ.). ეს აიძულებს მშობლებს, რომ ძალიან მცირე ასაკში დამალონ თავიანთი ქალიშვილები მონასტრებში, რათა ამით ისინი დაიფარონ მოტაცება-გაყიდვისაგან. მონასტრებში კი გოგონები გულმოდგინედ ეწაფებიან სწავლას და მათ შორის ისინი, რომლებიც წარმატებას აღწევენ, იქვე რჩებიან მთელი თავიანთი სიცოცხლის განმავლობაში“**.

ტავერნიე აგრეთვე მოგვითხრობს, რომ სამეგრელოში ყველაზე მდიდარი ყველაზე მეტი უფლებით სარგებლობდა, ხოლო მდიდრის უფლება ღარიბის მიმართ იქ ყოველად აბსოლუტური იყო. „იგივე შეიძლება ითქვას ეკლესიის მსახურებზე;

* Ч. Дарвин. Происхождение видов. 1903, гл. 536.

** Livre De lecture sur l'histoire De la Georgie et du Proche Orient. თბ. 1963. გვ. 68.

რომლებმაც იმხელა იურისდიქცია მოიპოვეს ხალხზე, რომ მათ შეუძლიათ მიჰყიდონ ადამიანები როგორც თურქებს, ისე სპარსელებს, რასაც ხშირად სჩადიან კიდეც. ისინი ვაჟებსა და გოგონებს შორის უკეთესებს არჩევენ, რათა მეტ ფასად გაჰყიდონ. ქვეყნის დიდებულები განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობენ ღარიბთა ქალიშვილებისა, თუ გათხოვილი ქალების მიმართ. მომავალ ეპისკოპოსს ჯერ კიდეც აკვანში წყოფ ბავშვთა შორის ირჩევენ და, თუ ამ არჩევანს მეფე არ მოიწონებს, მაშინ ამორჩეულის მხარეზე დგება მთელი სამღვდლოება და იმართება სასტიკი ომი, რომლის დროსაც მთელ სოფლებს მოსტაცებენ ხოლმე ერთმანეთს და ყიდიან საწყალ ხალხს სპარსეთსა და თურქეთში. მამაკაცებისა და ქალების გაყიდვა ისეა ამ ქვეყანაში გავრცელებული, რომ აღებ-მიცენობის ყველაზე შემოსავლიან დარგად ითვლება. ადამიანებით ვაჭრობა ხდება ყოველთვის და უბრალო საბაბით... ეპისკოპოსებს უფლება აქვთ, როცა მოისურვებენ, მაშინ დაარღვიონ ქორწინება, ან განქორწინებულნი ხელახლა დაქორწინონ, ხოლო ყოფილ მეუღლეთა შორის მას, რომელსაც დამნაშავედ მიიჩნევენ, გასაყიდად გზავნიან. თუ ვინმე თავისი ქორწინებით უკმაყოფილოა, ცოლს უშვებს და დროებით სხვას ირთავს, რამდენი ხნითაც სურს, მხოლოდ ფულს უხდის თურქების მსგავსად“. სამეგრელოში „ახალგაზრდობის აღსაზრდელად მრავალი მონასტერი და სემინარია აქვთ, სადაც გოგონები უფრო მეტი სწავლობენ, ვიდრე ვაჟები. ქალიშვილები სწავლაში თვით მღვდლებზე მეტ სიბეჯითეს იჩენენ და კარგად დახელოვნების შემდეგ მონასტერში დარჩებიან. თუ დიდებულთა სამსახურში შევლენ, ღებულობენ აღსარებას: ნათლავენ ყმაწვილებს, აფორმებენ ქორწინებას, ასრულებენ ზიარებას და სხვა ამგვარ საეკლესიო ფუნქციებს. რამდენა-

დაც ვიცი, ასეთი ჩვეულება ამ ქვეყნის გარდა, არც ერთ სხვა ქვეყანაში არ არის“.⁹

ისტორიკოს შოპენის სიტყვით, ქართველი ქალები გამოირჩეოდნენ ფაქიზი და გამოყვანილი წაკვთებით, ნაზი და მიმზიდველი გამოხედვით, თეთრი ქათქათა კანით. სილამაზემ მათ ყველა დროში დიდი სახელი დაუმკვიდრა. როცა კავკასიის პროვინციები რუსეთს ჯერ კიდევ არ მორჩილებდნენ, ქართველი ქალებით იყო დასახლებული აღმოსავლეთის ჰარამხანები და ისინი, ჩერქეზი ლამაზმანების მხარდამხარ, აზიას მბრძანებლებს აძლევდნენ“. ერთგან შოპენი, დარვინის მსგავსად, შენიშნავს, რომ თათრული ხალხების რასა გაამშვენიერა ქართულ და ჩერქეზულ სისხლთან შერევამო.“¹⁰

უნივერსალური სავაჭრო ენციკლოპედიური სიტყვარის ავტორი ჟაკ სავარი დე ბრიულონი სწერდა: „აქ (ე. ი. საქართველოში, დ. ჯ.) ტყვეებით ვაჭრობა ძალზე მნიშვნელოვანია და ყოველ წელიწადს ამ ქვეყნიდან გაჰყავთ მრავალი ათასობით ტყვე ქალ-ვაჟი, თანაც თითქმის ყველა მათგანი ასაკით ოცი წლის ქვევითაა. იმ ტყვეებს, ასე ვთქვათ, ერთმანეთში იყოფენ ოსმალები და სპარსელები, რომლებიც მათი ნაკადებით ავსებენ თავიანთ სერალებს. განსაკუთრებით ამ ერის (ქართველების, დ. ჯ.) ნორჩ ასულთა შორის, რომელთა სისხლი ესოდენ კეთილშობილია და რომელთაგან, როგორც ირწმუნებიან, ერთსაც ვერ იპოვი მახინჯს, სპარსეთის მეფეები და მაღალი არისტოკრატები ირჩევენ თავიანთ საცოლეებს, ანდა უფრო იმ რიცხვმრავალ ხასებს რომლებითაც საერთოდ აღ-

⁹ ე. ბ. ტავერნიე, დიდი სენიორის სასახლის კარის აღწერა (კარლო გურულის გამოცემა) თბ., 1974, გვ. 245-246.

¹⁰ Chopin, Russie, t. II, P. 1838, გვ. 29-30, 42.

მოსავლეთის მეუფეთ უყვართ საკუთარი წუთისოფლის დამ-
შვენება. მკაცრად არის აკრძალული ამ ასულებით ვაჭრობა
სპარსეთის ფარგლებს გარეთ“.*

მეცნიერი მოგზაური ფრანგი ფურმონი მე-18 ს. შუა ხა-
ნებში სწერდა, რომ ეგვიპტელ მუსლიმანებს ეზიზღებოდათ
ის თანამოქალაქენი, ვინც იძულებული იყო ადგილობრივი ქა-
ლები ეთხოვა, მაშინ, როცა თურქებისათვის ლამაზები მოჰყავ-
დათ მოსკოვიდან, აგრეთვე — საქართველოდან და აბისინი-
იდან. მართალია, ამ ორ ქვეყანაში ქალები შავგვრემანები არიან
და მზით გარუჯულნი, მაგრამ მოხდენილი ტანადობით დედა-
მიწაზე ბადალი არა ჰყავთ და ხასიათითაც ერთმანეთს ძლიერ
გვანანო, შენიშნავდა ფურმონი. ამ ქალებს დიდებული იერი
და წარმოსადგობა აქვთ, არიან ფრიად სანდომიანი, ეხერხე-
ბათ სამიჯნურო საქმეები და ინტრიგების დიდოსტატებად
ითვლებიან. ამის მიზეზია მათი პარაზიტული ცხოვრება პა-
რამხანაში, სადაც არც მოკრძალება სუფევს და არც თავდა-
ჭერილობა და სადაც ქმრები ვერ იძლევიან ერთგულების
გაკვეთილებსო, დასძენდა ფრანგი ორიენტალისტი.**

სხვა ადგილას იგივე ავტორი შენიშნავს: „რაც ყველაზე
უფრო საკვირველია, ეს ისაა, რომ საქურისებსაც გააჩნიათ
სერალები, სადაც ჩვეულებრივ ჩამწყვდეული არიან ულამა-
ზესი ქალებიო“***

ქართველი მზეთუნახავების ისტორიული ბედ-იღბლის გასა-

* J. S. Des Bruslons, Dictionnaire de Commerce, I, P. 1723,
გვ. 1116-1117.

** Fourmont. Description Historique et Géographique Des Plaines
D'Hellopolis et De Memphis. A Paris. 1755. გვ. 101-102.

*** Fourmont, დასახ. წიგნი, გვ. 106-108.

თვალისწინებლად საინტერესოა ყირიმის ხანის კრიმ-გირეის განცხადება საფრანგეთის დესპანისადმი: „ჩემი რჯული მე ნებას მაძლევს ქრისტიანებს დაეუბრუნო მამრობითი სქესის ტყვეები, მაგრამ იგივე რჯული მავალებს დავინარჩუნო დედრობითი სქესის მონები, რათა ისინი ჩემს რჯულზე მოვაქციო“. ალბათ, ინიტომ, რომ ლამაზი ასულები უფრო მოგვიცდათ თვალშიო, შენიშნა საფრანგეთის დიპლომატმა. „სრულიადაც არა! მე ვხელმძღვანელობ ყველაზე საღი მოსაზრებით... მამაკაცის მოქცევა სხვა რჯულზე მუდამ სასწაულს წარმოადგენს, ხოლო ქალებისა სავსებით ბუნებრივს და უბრალო საქმეს. ისინი ყოველთვის ეკუთვნიან იმ რჯულს, რომელსაც მათი მიჯნურები მისდევენ“. ეს დიალოგი კიდევ უფრო გასაღებს ხდის, თუ რატომ უწევდა ოსმალეთი ესოდენ ენერგიულ წინააღმდეგობას ქართველი ტყვე მზეთუნახავების განთავისუფლებას.

ქართველი მზეთუნახავების ტრაველიას ყურადღება მიაქცია ფრანგი განმანათლებლების „ენციკლოპედიაში“. მის მეათე ტომში მოთავსებულია ყოველგვარი სტატეები საქართველოზე. ავტორი საგანგებო ყურადღებას უთმობს ქართველთა გარეგნობას, კერძოდ, ქართველ ღმერთებს სიტურფეს და სინანულით შენიშნავს, რომ ეს ასულები მრავლად გვხვდებიან ოსმალეთისა და ირანის წონარქთა სასახლეებში. საქართველოდან აღმზიანების ტყვედ წაყვანის პრაქტიკა ყოველგვარი აღშფოთებას იწვევს.

ფერიერ-სოვბეფის ცნობით, რასაც დაახლოებით მხარს უჭერენ ტოტი და ჟურდენი, — ირანში გავრცელდა ანდაზები ქართველი ქალის სილამაზე-მშვენიერებაზე. ერთ-ერთი მათგანი შეიცავდა კატეგორიულ მტკიცებას: ქვეყნად ბედნიერი ცხოვრებისათვის საჭიროა შეექცეოდნენ შირაზულ ღვინოს,

90

იეზდის პურს, აზერბაიჯანის ხილს და გყავდეს ქართველი ქალიო.

ეურდენის ცნობით, ირანის მმართველს ქერიმ-ხანს (1700 — 1779 წწ.) მრავლად ესვა ქართველი ცოლები და მხეველები. მის წიგნში არის სურათი ქერიმ-ხანისა, ქართველი მონა ქალის გიტარის დაკვრით რომ ერთობა. სურათს აქვს წარწერა: „ქართველი ტყვე ქალი ქერიმ-ხანთან“.

ბარონი ტოტი გვარწმუნებს, რომ ტყვე ქალთა აყვანის ერთადერთი წყარო ოსმალეთში იყო ომი, სულთნის დესპოტიზმიც კი არ აძლევდა მას საშუალებას მშვიდობიან დროს მონად აეყვანა ბერძენი, სომეხი, ებრაელი თუნდაც ვნებათა ღელვას იგი არ მოესვენებინა. მართალა, ბერძნული სისხლი ახლაც ჰქმნის იმ ფორმებს, ოდესღაც შთაგონების წყაროდ რომ ექცნენ პრაქსიტელს,* მაგრამ ოსმალეთის ანალებში ერთი მაგალითიც არ ჩანს — სულთნებს ძალადობა ეხმაროთ ბერძენი ქალების მიმართ; ომები აძლევს ოსმალეთს მონა-მხეველთა რიცხვმრავალ მასასო, შენიშნავდა ტოტი: ახალ სერბიაზე თავდასხმებით ყირიმის ხანმა ოცი ათასი ტყვე იგდო ხელთ. ტყვეთა შოვნის მეორე წყარო იყო აჯანყებული პროვინციის დათრგუნვა, რასაც ყოველთვის მოსდევდა ძარცვა და ტყვეთა წამოყვანა. ტოტის სიტყვით, ასეთი იყო მთელი აზიის საჯარო სამართალი, პრინციპი, რაც ნახევარ დედამიწას მართავდა. სტამბოლის მონათა ბაზრებს საქართველო და ჩერქეზეთი აწარაგებენო, მიუთითებდა იგივე ავტორი. ოსმალეთში ყველა მონა ქალი, თუ იგი რაიმდენადმე ლამაზია, აუცილებლად ჩერქეზია, ანდა ქართველი და ამის გაჰო ფართოდ გავრცელდა შეხედულება ამ ქალების უჩვეულო სილამა-

* პრაქსიტელი — ძველი ბერძენი მოქანდაკე (390-330 წწ.)

ზეზეო. მონობის კიდევ ერთ წყაროს შეადგენდა ლეკთა შესევები. ტოტის თქმით, ლეკები მუდამ ომის მდგომარეობაში იყვნენ საქართველოსთან და ჩერქეზეთთან და მოტაცებულ ქალებს ოსმალეთში ჰყიდდნენ. ტოტის სიტყვით, იყო შემთხვევები, როცა მშობლებიც ჰყიდდნენ საკუთარ ბავშვებს (აქ გამონაკლისებზეა საუბარი).*

ფერიერ სოვბეფის მტკიცებით, კავკასიელებმა იცოდნენ, რომ მათი ასულების სილამაზე იყო ოსმალეთში იმ ბედკრულთა საამური ცხოვრების საწინდარი. ფერიერ-სოვბეფი წერს რომ ვაჟებს არავინ ყიდდა. ამიტომ მამლუქები იყვნენ ის ტყვეები, საქართველოდან რომ გაეტაცებინათ ოსმალებს, თათრებს, და ლეკებს. ქართველი ქალები საერთოდ ლამაზები იყვნენ, შენიშნავდა იგივე ავტორი. მათ ყოველთვის განასხვავებდნენ დიდრონი შავ-შავი თვალები და ვარდისფერი ღაღაღალოვები. ამ ქალებს ვერასოდეს უსაყვედურებო დიდ სისასტიკეს. ლმობიერება უცხოელთა მიმართ არის, ალბათ იმის მიზეზი, რომ ქართველ ქალებს ანიჭებენ უპირატესობას ყველა სხვა აზიელ ქალთან შედარებით. უკანასკნელთ ვერც უყურებენ სახეზე. ჩადრი უშლით ხელს მუშტრებს განქვრიტონ წარმტაცი მშვენება მათიო. ეს იყო, ფერიერ-სოვბეფის აზრით, ქართველ ქალთა პირველობის მეორე მიზეზი.** აქ შეიძლება მოვიგონოთ მამლუქთა ქართველი ცოლების კეთილშობილება და ლმობიერება მტრებთან. რასაც ადასტურებენ ფრანგი ისტორიკოსები და ნაპოლეონ ბონაპარტეს მემორები, აგრეთვე — რუსული საარქივო ცნობები.

განთქმული მოგზაური ყოზეფ მიშო წერდა: „პარამხანე-

* Tott, Memoires... I, 1785. (შესავალი),

** Ferrier-Sauveboeuf, Mémoires... t. I, 1970, გვ. 272-274.

ბის ყველაზე ლამაზი ქალები ჩამოჰყავთ მედენს ძველი ქვეყნიდან, იმ მედენსი, ვინც იასონის ვნებიანი სატროფო იყო და ვისზედაც აძლენი ტრაგედია შექმნილა“. ქართველ სატროფოებს, განაგრძობს ფრანგი მოგზაური, დიდი ხნით იშვიათად გააჩერებდნენ სულთნის პარაჰხანებში, მათ ან უცნობ სახლში მიუჩინდნენ სამულდამო რეზიდენციას, ანდა ხელახლა ჰყიდდნენ ბაზარზე, ან კიდევ ესა თუ ის ფაშა ერთადეა ცოლადო.*

ბაირონის „დონ-ჟუანში“ მთავარი პერსონაჟის ყველაზე ლამაზი, რჩეული სატროფო — დუღუ ქართველი ქალია.

ისტორიკოსი სტენლი ლენ-პული წერს, რომ, როგორც ევენუხები სულთნის სერალისა, ისე ყველა ლამაზბანი, ვინც იმ სერალში ბინადრობდა, უცხოეთიდან იყვნენ. ზოგი მათგანი ბრძოლის ველზე მოპოვებული გამარჯვების შედეგად წამოეყვანათ სულთნებს, ზოგნი კი ეყიდათ საქართველოსა და ჩერქეზეთში, ერთიკი კი არ იყო თურქი იმ ადამიანთა შორის, რომლებიც სერალის შიგნით ფუსფუსებდნენ. თურქები იყვნენ მხოლოდ სულთანი და მისი ოჯახის წევრები. ეს უკანასკნელნიც ხშირად უცხოელი დედების შვილებს წარმოადგენდნენ.

ბარიზში 1864 წ. 16 მარტს დადგეს ოპერეტა „ქართველი ქალები“. როგორც ლარუსის ენციკლოპედია გვაუწყებს, შესანიშნავი ყოფილა ქართველი ქალების ქორო, დასამახსოვრებელი — ფაშას იერი, კაპიტან ზულმა ბუფარის — კუპლეტები, სიტყვები — იულ მუანოსი, მუსიკა — ოფენბახის. ქალები მღეროდნენ მარსელიოზას. მოქმედება ხდებოდა პატარა ქართულ სოფელში. ფაშამ მიიტანა იერიში ამ სო-

* Michaud et Poujoulat, Correspondance D'orient, t III, P., 1834.

ფელზე — ქალთა მოტაცების მიზნით. ქალებმა მოაწყვეს გამობლომა, სასტიკად დააპარცხეს ფაშას ჯარი და ტყვედ იგდეს თვითონ ფაშა. სასიამოვნო იყო ოფენბახის შუსიკა“.*

პარიზის წარმოდგენა მიზნად ისახავდა საქართველოს წარსულის განზოგადობას და იგი მოწმობდა დიდ ინტერესს ჩვენი ქვეყნის ისტორიისადმი. ამ ისტორიის პოპულარიზაცია ხდებოდა და წარმოდგენის ავტორები ამჟღავნებდნენ დიდ სიმპატიებს გმირი ქართველი ხალხისადმი.

სამართლიანად წერს ნ. ორლოვსკაია, რომ „საქართველოს აღწერებიდან არც ერთ ცნობას არ გამოუწვევია ისეთი გამომხაურება, როგორც ჰპოვა ქართველი ქალების სილამაზის თემამ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს შესახებ თითქმის არ არსებობს არც ერთი შრომა, მოგზაურთა არც ერთი აღწერა და არც ერთი სტატია სიტყვარებსა და ნარკვევებში, სადაც არ იყოს საუბარი ქართველი ქალების სილამაზეზე. „თამაზ-ყული ხანის ისტორიის“ ავტორს, როცა იგი ქართველების შესახებ საუბრობს, გულიდან აღმოხდება: „რაც შეეხება ქალებს, ვის არ გაუგონია ქართველი ასულებისა და ბანოვანების ქება? დიდი ხანია, მათ აზიის ყველა ქალზე წინ აყენებენ“. სხვადასხვა შრომაში შეიძლება შევხვდეთ მითითებას სპარსეთსა და ოსმალეთში მოხვედრილი ქართველი ქალების შესახებ.

ინგლისელი სწავლული მოგზაური ტომას ჰერბერტი გვიყვება შაჰ-აბასის ქართველი ცოლების ტრაგედიას. როგორც ეს ავტორი მოგვითხრობს, შაჰ-აბასს მრავალი ცოლისაგან ბევრი შვილი ჰყავდა, ზოგიერთ მათგანზე საგანგებოდ ზრუნავდნენ და ხარჯებს არ იშურებდნენ. ყველაზე დიდ იმე-

* Larousse, le grande dictionnaire universelle, t. VIII, გვ. 1204.

დებს ოთხი ჰაბუკი იძლეოდა. ესენი იყვნენ საუკეთესო სვი-
სებებით შემკული ისმაილი, სეფი-მირზა, ხოდაბანდა სულ-
ტანი და იმან-ყული. პირველი ორი შეეძინა პრინცესა გორ-
დინას — სიმონ ხანის ასულს, ორი დანარჩენი — სკანდერ
მირზას ქალიშვილს მართას. გორდინაც და მართაც, როგორც
ხაზგასმით აღნიშნავს ინგლისელი მოგზაური და სწავლული,
ქართველი ქრისტიანები იყვნენ; პირველი მათგანი ირანში
წაიყვანა შაჰ-აბასის სარდალმა კარჩხაი ხანმა, მეორე — შაჰ-
თამაზ ყული ბეგმა. ორივე ეს დიდკაცი სპარსელები იყვნენ
და ახლოსაც იდგნენ შაჰთან. მათ ირანის მბრძანებელი
უსაზღვროდ აფასებდა. ზემოხსენებული ქართველი ქალებიც
განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩეოდნენ. შაჰ-აბასს დიდ
სიხარულს ჰგვრიდნენ ამ ქალთაგან შეძენილი ყრმები. უკანას-
კნელნი ყველაფერში მამას გამოემგვანენ — მისებრ გამჭრია-
ხობა და მამაცობა დაჰყვათ. მაგრამ საუკეთესო ადამიანებს,
ჰერბერტის სიტყვით, მეტი მტერი ჰყავთ და მეტი განსაც-
დელი მოელით, ვიდრე ცუდებს. სატურნის საბედისწერო ზე-
ვაკლენას უნდა მიეწეროს, რომ ეს პირმშვენიერი და სი-
ჩაუქით განთქმული ყრმები აყვავების ასაკში დაიღუპნენ. მა-
შაცს და უაღრესად კეთილშობილ ისმაილს, როგორც ჰერ-
ბერტი ირწმუნება, ალტაცებით შესცქეროდა მთელი აზია.
იგი, ცხრამეტი წლისა, საწამლავს ემსხვერპლა. სეფი
მირზას დიდად აფასებდნენ, რადგან მან საშიში შეთქმუ-
ლება გახსნა. მაგრამ ისიც ბედკრული ისმაილის ასაკში დაი-
ღუპა. შაჰ-აბასი მასში მეტოქეს ხედავდა და მისი მოკვდინე-
ბა ბრძანა. მესამე ვაჟს — იმან-ყულის ასტროლოგებმა უწი-
ნასწარმეტყველეს, რომ მასაც მალე მოეღებოდა ბოლო და
შიშით გული გაუსკდა. დარჩა მეოთხე ხოდაბანდა, მეტსახე-
ლად სეფი რომ ერქვა. იგი ძალზე ფრთხილად მოქმედებდა.

და ცდილობდა მამას მოსწონებოდა. შაჰ-აბასიც მას პატივს სცემდა და თავს ბედნიერად გრძნობდა, რომ მისი სახით საიმედო შემკვიდრე ჰყავდა. ხოლბანდა მამაციც იყო, გულ-კეთილიც და სამხედრო საქმის საუცხოო მცოდნეც. სად არ გაისმოდა მისი ქება: არა მარტო სპარსელები, არამედ თურქები, არაბები, ინდოელები, თათრები განადიდებდნენ. მის ადგილას საშუალო ადამიანი გულგოროზი და პატემოყვარე გახდებოდა. სხვა იყო ხოლბანდა სეფი. აინუნშიც არ აგდებდა ქათინაურებსა და მედიდურებს ეკრძალებოდა. ყოველ გამარჯვებას, სადაც თვითონ დიდი წილი ედო, იგი მიაწერდა მამის მოხერხებას და მამისავე ბედის ვარსკვლავს. შიშობდა, რამეთი არ დაემცირებინა მშობლის ავტორიტეტი. ამიტომ ვერ იტანდა, როცა საგმირო საქმეთათვის მას ხოტბას ასხამდნენ. მაგრამ, როგორც ჰერბერტი შენიშნავს, რა სისასტიკემდე არ მიიყვანს ადამიანს გაშმაგება, ეჭვი და შური. შაჰ-აბასსაც ეს დაემართა. მას ხომ ყველაზე მეტად უნდა გახარებოდა სეფი-მირზას სიჩაუქე და დიდრანდობა. დიადემის ბრწყინვალეობამ იმცენად დააბრმავა მამა, რომ მან შეურაცხყო ბუნების კანონი და გადაწყვიტა ხოლბანდა-სეფიც მოეკლა. როცა მამა შავ-ბნელ განზრახვებს ელოლიავებოდა, შვილი ჰქუხდა გამარჯვებებით არაბისტანში. ამავე დროს ხოლბანდამ ფარ-ხმალი დაჰყარა ერთი მზეთუნახავის მშვენების წინაშე, ცოლად შეირთო და მალე ორი შვილი ეყოლა მისგან: ვაჟი სეფი და ქალი ფატიმა. ორივე თანაბარი სიღრმით უყვარდათ მამას და პაპას. შაჰ-აბასის უცნაურობა ის იყო, რომ რამდენადაც იგი შვილიშვილებს თავს ევლებოდა, იმდენად სძულდა მათი მამა. ერთხანს მტარვალის შაჰი მალავდა ბნელ ზრახვებს შვილისადმი, ვიდრე სასახლეს სტუმრად არ ეწვია არაბი კაცი, სახელად — მაგარი,

უფლისწული ხოდაბანდას აღმზრდელი. იმის ნაცვლად, რომ შაჰ-აბასს შეექო ეს მაგარი და მადლობა გადაეხადა მისთვის ხოდაბანდას ზღზრდის გამო, პირიქით ჰქნა, საყვედურებით აავსო მოძღვარი — შენ ჩააგონე ჩემს შვილს პატივმოყვარეობაო. საბრალო არაბი შეუდგა ბოდიშებს და თავის შართლებას, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა მბრძანებლის რისხვა. უკანასკნელმა ნიშანი მისცა კაბიჯებს (კარის მცველებს) და მოძღვარი მაგარი შაჰის თვალწინ საბლით მოაშთეს. ეს საქციელი, შენიშნავს ტომას ჰერბერტი, იმდენად უმაგალითო და ბარბაროსულია, რომ ბევრს ახლაც არ სჯერა. უფლისწული ხოდაბანდა ამ დროს ოპერაციებს აწარმოებდა თათრების წინააღმდეგ. შეიტყო თუ არა მამამისის ბარბაროსული მოქმედება ბედკრულ მაგარ არაბთან, გამოეცხადა მას და ჰკითხა, თუ რით დაიმსახურა მისმა აღმზრდელმა სიკვდილით დასჯა. შაჰმა ახლა შვილს წაუყენა ამბოხებისა და ურჩობის ბრალდება. ცილდაწამებულმა უფლისწულმა ზეცას მოუხმო მოწმედ, რომ სრულიად უდანაშაულო იყო. მაგრამ შვილთა მკვლელ შაჰს აინტერესებს მხოლოდ საბაბი, რომ ხალხის წინაშე გაემართლებინა აწ ჩასადენი კიდევ ერთი მტარვალობა. ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებამ ხოდაბანდა სეთი წონასწორობიდან გამოიყვანა. საბრალო პრინცს, როგორც ტომას ჰერბერტი ამტკიცებს, თავგზა აებნა, მას წამით მოეჩვენა, თუ როგორ გაგუდეს მის თვალწინ არაბი მაგარი. პრინცმა ხვალზე იტაცა ხელი, რომ ჯალათებისაგან თავი დაეცვა. ვერაგ შაჰსაც მეტი რაღა უნდოდა. თითქოს მარჯვე საბაბი უკვე ხელთ ჰქონდა, თანაც შიშობდა — შვილმა არ მომკლასო და მას მაცდური მოფერება დაუწყო, შეძლო იარაღი აეყარა მისთვის და დაეყოლიებინა, რომ მეზობელ ოთახში გასულიყო. თვითონ შაჰი ამის შემდეგ სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას —

მოჩიზება ცუდად ვარო და შვილი მარტო დასტოვა. სულ მალე ხოდაბანდა მირზასთან ჯალათები შეცვივნენ. მათ შაპისაგან ნაბრძანები ჰქონდათ საბლით მოეშოთ უფლისწული ხოდაბანდა. ამ სისხლისმწყურვალთა მისიას კარგად შეესატყვისებოდა მათი საშინელი ჩაცმულობა და იარაღი. განწირულმა უფლისწულმა სცადა ხვეწნით ჯალათთა დაშოშმინება, მომეცით დრო, რომ მამაჩემს შევსვდე და გული მოვუღბოო. მაგრამ ეს ამოო გახდა: ყველა ჯალათი ყრუ-მუნჯი იყო. ისინი გაშპაგებით ეკვეთნენ პრინცს. ხოდაბანდა თავს დიდხანს მამაცურად იცავდა, მყისვე უსულოდ დასცა სამი ჯალათი, და, რამე იარაღი ხელთ რომ ჰქონოდა, ყველას გაუსწორებდა ანგარიშს და სამშვიდობოსკენ გზას გაიგნებდა. სუნთქვამ რომ უღალატა და დაუპირეს მოშოთა, მიუსწრო შაპის ბრძანებამ — ხოდაბანდა მირზა არ მოჰკლათ, თვალეზი დასთხარეთ შანთითო. ასეც მოხდა.

მოუსპეს საშუალება — ეცქირა ქვეყნიერებისათვის, ყველასთვის, ვინც თავზე მეტად უყვარდა, მუელლე იყო, შვილები, მეგობრები, ჯარისკაცები, თუ მაგარის ნეშტი; ამ უღმერთობით, როგორც ტოჰას ჰერბერტი ირწმუნება, აზიამ დაჰკარვა უძვირფასესი თვალმარგალიტი, სპარსეთმა თავისი დიდების გვირგვინი, მარსჰა — უსაყვარლესი ფეოორიტი. მთელი ქვეყანა აღშფოთებით გაეპასუხა შაჰ-აბასის ველურობას. არმიამი სეფლიანი დუშილი ჩამოვარდა. დაბრმავებული პრინცი საშინლად წყევლიდა თავისი გაჩენის დღეს, პირსასხლიან მშობელს. ამ დროს მას გამოუჩნდნენ მანუგეშებელნი — ტახტის ყოფილი ფეოორიტები სოლეიმან მირზა, კარჩხაი-ხანი და სხვა ნათესაეზები. ისინი დადიოდნენ ვიზიტით მასთან და საკუთარი მაგალითით მოთმინებას კარნახობდნენ. ჩვენც თავის დროზე სასტიკად ვეწამეთ, რადგანაც შური და ღვარძლი არც

მაშინ ისვენებდაო. ხოდაბანდა ვერაფერმა დაამშვიდა, მაგრამ რაკი არ ძალუძდა ფიზიკურად ევზო შაჰ-აბასისათვის, მან ჩაიფიქრა გაუგონარი და არნახული შურისძიება. შაჰ-აბასს გაღმერთებული ჰყავდა შვილიშვილი ფატიმა — ბედკრული ხოდაბანდა უფლისწულის ასული. ფატიმა იყო ყველა უბედურის ნუგეში. მხოლოდ თვითონ ხოდაბანდამ მასში ვერ ჰპოვა ნუგეშის ვერავითარი ნატამალი და, მტარვალი მამა — შაჰ-აბასი რომ გაემწარებინა, გაშმაგებულმა უფლისწულმა ჩაიფიქრა საკუთარი ასულის მოკვლა. პრინცმა განზრახული აასრულა. არ უშველა ფატიმას დედის გამოსარჩლებამ — გეშლებო, უკივლა გაცოფებულ მეუღლეს, მაგრამ ამოდ. რა იცოდა უბედურმა დედამ, რომ ამით კიდევ უფრო შეუშოკლა წუთისოფელი სანუკვარ ასულს. ცოლი ვერც მოიფიქრებდა, თუ მისი ქმარი საკუთარ ქალიშვილს სასიკვდილოდ გაიჩეტებდა. ანგელოზი და ვერც ძმამ იხსნა. ეს ძმა მივარდა სულთმობრძავ ფატიმას და მასაც მოჰკლავდა ხოდაბანდა, დედას რომ არ გაშოეგლიჯა ამ გამძვინვარებულის ხელიდან.

შაჰ-აბასმა მწარედ გამოიგლოვა შვილიშვილი და შემდეგ გადაწყვიტა საკუთარი ხელით მოეკლა ბრძა ხოდაბანდა. ამ მიზნით მის ოთახში შესულ შაჰს ბედკრულმა შვილმა ისეთი საყვედური უთხრა, რომ ტირანი შაჰი უსიტყვოდ გამოვიდა ოთახიდან და არც კი უფიქრია თავის განზრახვის ასრულებაზე. ორი დღის შემდეგ ხოდაბანდამ საწამლაკი დალია და საუკუნოდ განისვენა. შაჰმა იგი დიდი ბრწყინვალეობით დაასაფლავა. ეს ზედმეტი მოწყალება იყო, ირონიულად შენიშნავს ტომას ჰერბერტი. ხოდაბანდას ცოლმა განმარტოებით იწყო ცხოვრება. კაციშვილს არ ეჩვენებოდა. ვიდრე მისი შვილი ტახტზე არ ავიდა.

ასეთია ტომას ჰერბერტის ვერსია იმის შესახებ, თუ რა

ვერაგულად მოეპყრო შაკ-აბასი თავის ვაჟიშვილებს — ქართველ ცოლთაგან შექენილებს.* პერბერტი არაფერს გვიამბობს იმაზე, თუ რა ბედი ეწიათ უბედურ დედებს — ირანის ორ ქართველ დედოფალს. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ აღვილი წარმოსადგენია მათი ტრაგიკული ხვედრი. ამ ხვედრის ამბავს არ შეეძლო არ გაეზარდა და არ გაეძლიერებინა ქართველი ხალხის სიძულვილი შაჰინ-შაჰებისადმი, მუსლიმანი აგრესორებისადმი. იმავე ხვედრმა, ქართველ ადამიანთა ტრაგედიამ, გააცხოველა ინტერესი ქართული თემისადმი ევროპის სიტყვაკაზმულ მწერლობაში და წარმოშვა არაერთი დრამა, მოთხრობა, პიესა, მეცნიერული ტრაქტატი საქართველოზე.

სისხლი ეყინება მკითხველს ძარღვებში, როცა ქართველ მზეთუნახავთა თავზარდამცემ ბიოგრაფიას კითხულობს. თუ მკაცრი მეცნიერული შემოწმება უჩვენებს, რომ მე-17 ს. ინგლისელი ავტორი ზუსტად არ ასახავს ისტორიულ სინამდვილეს, რჩება ულმობელი კითხვები: რატომ დაჭირდა იმ ავტორს მწარე ფაქტების ესოდენი გამუქება? როგორ და რატომ იყო შესაძლებელი ირანში ჩაკარგულ ქართველ მზეთუნახავებზე შეეთხზათ მსგავსი რეჰეიმები? უმკაცრესი სკეპტიციზმითაც რომ მოვეკიდოთ ინგლისელი სწავლული მოგზაურის ცნობას, მისდამი ინტერესი მაინც არ შენელებს — თუნდაც იმიტომ, რომ იგი ქართველ ტყვეთა თავგადასავლის ევროპული რეზონანსის მაჩვენებელია.

საქმეში ჩახედული მკითხველი შეჩვეულია მსგავს სცენებს აღმოსავლეთის სამფლობელოებში. საშუალო საუკუნე-

* Th. Herbert, Some yeares travels... London 1638, გვ. 173-177. (დედანი). Relation Du voyage De Perse et des Indes. P. 1663. გვ. 282-287 (ფრანგული თარგმანი ვიკტორისა).

თა ეგვიპტე, ოტომანების და მოგოლების იმპერიები, ხშირად გამხდარან სასტიკი სცენების მოწამენი. ტახტისათვის შეუპოვარი აშკარა და ფარული ბრძოლები, გვირგვინის მემკვიდრე პრინცების მკვლელობა, პრეტენდენტთა დასების შეტაკებანი აქ ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ზოვლენები ყოფილა. მუჰამედ ნეორის ნებამ ოტომანების იმპერიაში სულთნის მიერ უმცროსი მემკვიდრე ძმისშვილების მუსვრა კანონადაც კი გამოაცხადა და ეს კანონი საუკუნეთა განმავლობაში მოქმედებდა. დევნილი ოსმალთა უფლისწული ჯემი ცნობილი გახდა ევროპაში. და მის შესახებ არაერთი რომანი დაიწერა ოსმალეთის ფარგლებს გარეთ. წარმოშობით სლავმა დედოფალმა როკსოლანამ ტახტის საუკეთესო მემკვიდრე უფლისწული (სხვა დედოფლის შვილი) მოაკვლევინა ქმარს --- ოსმალეთის სახელგანთქმულ სულთანს სოლეიმან-კანუნის, ანუ სოლეიმან შშენიერს (1520-1566 წწ.). ამიტომ ტომას პერბერტის ვერსია ყურადღების ღირსია. იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც თავისებური პროტესტი ევროპის განათლებული წრეების მხრიდან აზიური ბარბაროსობის წინააღმდეგ. ეს პროტესტი ასე თუ ისე დახმარებას უწევდა ანტიოსმალური კოალიციების იდეას ევროპაში. დასავლეთელი მოგზაურები მეტწილად ხომ ევროპული სავაჭრო კაპიტალის აგენტებაც იყვნენ აღმოსავლეთში. მისიონერები გზას უკაფავდნენ ევროპელ კოლონიზატორთა ფრეგატებს და სამხედრო ექსპედიციებს, თავიანთი ნაკლმევით ამზადებდნენ ამ ექსპედიციებს და თავისებურად ასაბუთებდნენ, თანაც არ ერიდებოდნენ აღმოსავლეთის ვითარების შეფერადებას.

მისიონერები და მოგზაურები ერთიან მხრივ ჩქმალავდნენ აღმოსავლეთის დადებით მიღწევებს, ხოლო მეორეს მხრივ ხელს აფარებდნენ ცივილიზებული ევროპის წყლულებს,

სამისოდ, იშველიებდნენ ქრისტეს მოძღვრებას და ქრისტიანობის დროშას. ყველაფერი ეს, ცხადია, სრულიადაც არ ამცირებს ევროპელ მოგზაურთა მონათხრობის შემეცნებით ღირებულებას საქართველოს ისტორიისათვის.

ტომას ჰერბერტის ნონათხრობის მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მას არასაკმარის აქვს მოტივირებული შაჰ-აბასის ბარბაროსული აქციები შვილების მიმართ. შაჰ-აბასი არც ისე ანგარიშმიუცემელი ტირანი იყო, როგორც ხსენებულ მოგზაურს წარმოუდგენია. შაჰ-აბასს ძლიერი ადგილობრივი ოპოზიცია ჰყავდა ყიზილბაშური არისტოკრატის სახით. ამ ზედა ფენას შაჰმა საგანგებოდ დაუპირისპირა კავკასიური ელემენტები.* შაჰის რისხვის მიზეზი ხომ არ იყო საძიებელი ყიზილბაშური ოპოზიციის ხრიკებში? ამაზე ტომას ჰერბერტი არ ჩაფიქრებულა. ეს მოგზაური ემხრობა ტრადიციულ და მცდარ ევროპულ თვალსაზრისს: აზიის მშართველები ბუნებით ბარბაროსები იყვნენ, ევროპის მესაჭენი კი სათნოების განსახიერება. ამ მცდარ შეხედულებაზე დაშენდა მოვლენის ცალმხრივი გადმოცემა, რასაც ვხვდებით ტომას ჰერბერტთან და არამარტო მასთან.

კარგადაა ცნობილი ქართლის მეფე გიორგი მეათის (მეფობდა 1601-1606 წლებში) შეილთა ტრაგედია. აქ ჩვენ ვგულისხმობთ ლუარსაბ მეორისა და ლელას ბედს. ლელას გარდა გიორგი მეათეს კიდევ ესვა ასული, სახელად ხორეშანი. ლელა უფროსი იყო. იგი ცოლად შეირთო შაჰ-აბასმა. მანვე ხორეშანთან შეუღლებაც მოინდომა. სწორედ ამ ქალს უკავშირებენ წყაროები საქართველოში მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში მოხდარ უბედურებას. 1612 წელს ხო-

* ეს საკითხი გამოიკვლიეს ვალერიან გაბაშვილმა და კარლო კუციაშვილმა.

რეშანი ცოლად შეურთავს თეიმურაზ პირველს და, შარდენის აზრით, ეს გარემოება შაჰ-აბასს გამოუყენებია ქართველების წინააღმდეგ ლაშქრობის საბაზად. რაც შეეხება ლელას, იგი შაჰ-აბასმა 1623 წელს კახეთის მმართველს ფეიქარ-ხანს დაუთმო. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც აბასმა ლუარსაბ მეორე ვერაგულად მოაკვლევინა — აბასი მიზობდა, რომ დას ძმისთვის შური არ ეძია და ირანის მბრძანებელი არ მოეკლა. „პარიზის ქრონიკის“ ცნობით, ირანში ტყვედ მყოფი ლუარსაბ მეორე 1622 წელს შაჰ-აბასის ბრძანებით გულაბის ციხეში შვილდის საბლით მოაშთეს. ლუარსაბის და ფათმა სულთან ბეგუმი ყაენის სახელით გაჰოციყანეს და ფეიქარ-ხანს მისცეს.

კ. კეკელიძის გამოკვლევით, ცნობილია შემდეგი: „1. შაჰ-აბასს ცოლად ჰყოლია ოთხი ქართველი ქალი: ა) ანდრუყათარ ამილახორის და თამარი, ბ) მეფის სიმონის და ფაზრიმ ჯან ბეგუმი, გ) თეიმურაზ პირველის და ელენე, დ) ლუარსაბ მეფის და ლელა. 2. ლუარსაბ მეფეს ჰყავდა არა სამი, არამედ ორი და: ლელა და ხვარეშანი, მათში უფროსი იყო ლელა. 3. ლელა თავდაპირველად უნდა შეერთო რუსთა მეფის — ბორის გოდუნოვის შვილს თევდორეს, მერე ის გამოითხოვა შაჰ-აბასმა, რომელმაც მას უწოდა ფათმან სულთან ბეგუმ. 4. 1623 წელს შაჰ-აბასმა, გარკვეული მოსაზრებით, ის დაუთმო კახეთის მმართველს ფეიქარ-ხანს, რომლისთვის ის უნდა წაერთმია ზურაბ ერისთავს. 5. ხვარეშანი ჯერ უნდა შეერთო არაგვის ერისთავს, ზურაბს, მერე, 1612 წელს, ის შეერთო თეიმურაზ პირველმა შაჰ-აბასის დაყინებითი მოთხოვნის შედეგად. 6. ყოველ საფუძველს მოკლებულია შაჰ-აბასის ბრალდება თითქოს ხვარეშანის შერთვა მას უნდოდა, მაგრამ თეიმურაზმა და ლუარსაბმა ის შეუტყვალეს, ან წაართვეს მას, 7. მცდარია ანტონ კათალიკოსის ცნობა, ვითომც შაჰ-აბასს ცოლად

ჰყავდა აგრეთვე თეიმურაზის ასული თინათინი, ეს უკანასკნელი იყო ცოლი არა შაჰ-აბასისა, არამედ შაჰ-სეფი ყაენისა“.*

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ჰერბერტი სინამდვილის წინაშე ცოდავს, როცა ამტკიცებს—შაჰ-აბასს ცოლად თითქოს ორი ქართველი ქალი ჰყოლოდეს. ევროპელმა სწავლულმა მოგზაურმა რატომღაც ვერ შენიშნა შაჰის ორი სხვა ქართველი ცოლი. სამაგიეროდ, მან სცადა დაწვრილებით აღეწერა მის მიერ შენიშნული ორი ქართველი დედოფლის ის ტრაგიკული თავგადასავალი, რომელზედაც კ. კეკელიძე არ შეჩერებულა. უკანასკნელის კვლევის შედეგების შეპირისპირება ჰერბერტის ვერსიასთან გვაძლევს ვითარების საკმაოდ ვრცელ პანორამას. მაგრამ სრული სურათი მაინც არა გვაქვს. მომავლისათვის ასეთი სურათის შექმნაში უთუოდ ხელს შეგვიწყობს ჰერბერტთან დაცული ცნობები. ჰერბერტის ცნობების მნიშვნელობა ცხადი გახდება თუ გავიხსენებთ კ. კეკელიძის ნათქვამს: „პირველწყაროების მიხედვით, რომელნიც ხშირად ბუნდოვანსა და ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობებს შეიცავენ, შაჰ-აბასს პირველს ცოლად ჰყოლია რამდენიმე ქართველი ქალი, მათი ვინაობა და თავგადასავალი ჭერ კიდევ გაურკვეველი და საძიებელია. ამ ხაზით კვლევა-ძიება კი საჭირო და აუცილებელია, როგორც წმინდა ისტორიული, ისე ლიტერატურული თვალსაზრისით. ამ ქალებს იხსენიებენ არა მარტო საისტორიო, არამედ ლიტერატურული ძეგლებიც, საისტორიო პოემები და აგიოგრაფიული შრომები“.**

ფარსადან გორგიჯანიძე წერს: შაჰ-აბას ყაენს ცოლად ჰყვან-

* კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. IV, თბ., 1957, გვ. 217-226.

** კ. კეკელიძე, ეტიუდები... ტ. IV, თბ., 1957, გვ. 217-218.

და და ნამეტნავად უყვარდა ანდლუყაფარ ამილახორის და თამარი“. ანდლუყაფარ ამილახორი იყო გამაჰმადიანებული ფეოდალი, ერთგული მოყმე სპარსელებისა. მას ცოლად ჰყავდა შვილი ყორჩიბაშისა, შვილიშვილი შაჰ-აბასისა, ცოლისდაი სვიმონ მეფისა. ერთ დროს ეს უკანასკნელი ოჯახობით, გიორგი სააკაძის ბრძანებით, დატყვევებული იყო არშის ციხეში. სხვა წყარო ამ ცნობისა დღესდღეობით არ ჩანს*.

კ. კეკელიძე აღნიშნავს: „არ ჩანს სხვა წყარო იმავე გორგიჯანიძის აზრს მეორე ცნობისა: 1592 წელს ხონთქარს ამბავი მიუვიდა, რომ შაჰ-აბასმა მეფის სვიმონის ქალი შეირთო, ფაჰრიჰ-ჩან ბეგუმი, ცოლად“. საინტერესოა, რომ ჰერბერტის ვერსია ემთხვევა და განატიკიცებს გორგიჯანიძის ხსენებულ ცნობას.

შარდენმაც შემოგვინახა ცნობა გიორგი მე-10 ასულის ხორეშანის შესახებ. ამ ქალის მშვენიება ირანის ყველა პოეტის მიერ ყოფილა შექმებული. დღესაც, წერს შარდენი, სპარსეთში მღერიან სიმღერებს, რაჟაც ხსენებული ქართველი ასულის სიტურფეს უფრო გაუთქვა სახელი, ვიდრე რომელიმე მის თანამედროვეს. სიმღერებშიო, დასძენს შარდენი, ასახულია მშვენიერი რომანი ამ ქალისა და შაჰ-აბასისა. მისი ნათლობის სახელი ყოფილა დარეჯანი (წაიკითხე: „ხორეშანი“). სპარსულ გადმოცემათა მიხედვით, მას რქმევია ფეჰრუ.

თუ მართალია, რასაც შარდენი ამბობს, გამოდის, რომ მე-17 საუკუნის მეორე ნახევრის სპარსულ სიმღერებში ერთმანეთში არეული ყოფილა: 1. ორი ხორეშანი — სვიმონ მეფისა და გიორგი მეათის ქალიშვილები, 2. ისტორია, ქართული ლეგენდა და სპარსული ხალხური ვერსიები. სპარსულ

* კ. კეკელიძე, დასახ. წიგნი, 217-218.

სიმღერებში ფაქტად ყოფილა გასაღებული პოპკას და პოტოს მიერ ჩაწერილი ქართული ლეგენდა, თანაც უკანასკნელი დამახინჯებულად ყოფილა მოტანილი. ხორეშანის მაჯნურად ალავერდი ხანის ირანის სატრაპის მაგიერ შაჰ-აბასი მიუჩნევიან. ზემოთმოტანილი ცნობებით, უკვე ვიცით, რომ ხორეშანი (გიორგი მე-10-ის ასული) შაჰ-აბასს არც ჰყვარებია და არც ცოლად ჰყოლია. სპარსული სიმღერების ავტორებს არც ამ გარემოებისათვის გაუწევიანთ ანგარიში. თუ ქართულმა ლეგენდამ მიჩქმალა ხორეშანის მეფური წარმოშობა, სპარსული სიმღერების ავტორებმა ყველაფერი თავდაყირა დააყენეს. ამგვარად, ქართულმა და სპარსულმა ზეპირსიტყვიერებამ სხვადასხვაგვარად აღიქვა ქართული პრინციპის თავდადასავალი, მაგრამ ორივემ თავისებურად განადიდა იგი.

სპარსი ისტორიკოსები და ფარსადან გორგიჯანიძე მიუთითებენ, რომ 1639 წელს ირანში თეიმურაზ პირველმა გაგზავნა შაჰ-სეფის კარზე თავისი ასული თინათინი, რომელიც ირანის დედოფალი გახდა. სპარსი ისტორიკოსი ისქანდერ ბეგ თორქემანი (1560/1—1634) თინათინის გაგზავნას ირანის კარზე ეძახის თეიმურაზის გამოღვიძებას „ამბოხების მძიმე ძილიდან“ და თავისი დანაშაულის აღიარებას. იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ თეიმურაზს შაჰმა, ასულის მიცემის სამაგიეროდ, გამოუგზავნა დიდძალი საჩუქრები, „საიმედო რაყამი“ და კვლავ დაუბრუნა კახეთი. რუსი ელჩები ადასტურებენ თეიმურაზ პირველის ასულის ირანში გათხოვებას და გადედოფლებას*.

არის ცნობები, რომ თეიმურაზის ქალიშვილი თინათინი

* ნანა გელაშვილი, სპარსული წყარო საქ. შესახებ — „ცისკარი“, 1975, № 8, გვ. 159.

სპარსეთში დაანჩევს. თითქოს არ კმაროდა სხვა სატანჯველთა მრავლობა, შაჰინშაჰებმა რომ დაატეხეს თავს ჩვენს სამშობლოს.

ქართველ მზეთუნახავთა ტრაგედიას თავისებურად ეხმაურება აზერბაიჯანელი კლასიკოსის მირზა ფათალი ახუნდოვის ისტორიული მოთხრობა „მოტყუებული ვარსკვლავები“. იგი შაჰ-აბასის დროს შეეხება. აქ ნათქვამია, რომ, როდესაც ამ მბრძანებელმა, კარის ასტროლოგების რჩევით, დროებით ხელი აიღო ძალაუფლებაზე და სასახლიდან წასვლის წინ, თავის ცოლთა საკრებულოს გამოუცხადა ეს გადაწყვეტილება, რათა გამოერკვია, მათგან ვინ წაპყვებოდა მას განდევნობის ადგილას, ხუთასი ლამაზმანიდან მხოლოდ ორმა უპასუხა უარით — ჩვენ არ წამოგყვებით, სამშობლოში დაბრუნება გვინდაო, ესენი იყვნენ — ქართველი მზეთუნახავი და ყაზვინელი ლამაზმანი. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ეს ადგილი მირზა ფათალი ახუნდოვის მოთხრობისა ძალზე საინტერესოა, მით უმეტეს, რომ მოთხრობის ავტორი ირწმუნება — ჩემი ნაამბობი მხოლოდ და მხოლოდ ისტორიულ სინამდვილეს ემყარებაო.

შაჰ-აბასის გადადგომა (თუ მართლა ასეთი რამ მოხდა) მსოფლიო ისტორიისათვის სენსაციად როდი ჩაითვლება. რომის კეისარი ტიბერიუსიც (1 ს. ჩვ. წ. აღრიცხვამდე) სხვადასხვა საბაბით გადადგა უზენაესი საჭიდან და როდოსს გადაიხვეწა, სადაც უბრალო კერძო მოქალაქის სახით ცხოვრობდა. მირზა ფათალი ახუნდოვის მოთხრობაში მითითებული ფაქტი იმით განსხვავდება ტიბერიუსის საქციელისაგან, რომ შაჰ-აბასი გადამდგარა დროებით (თუ მართლა გადადგა).

საინტერესოა, ამ მბრძანებლის რომელი ცოლი ჰყავს შხედველობაში მირზა ფათალ ახუნდოვს?

ვფიქრობთ, შორს არ ვიქნებით ჰეშმარიტებიდან, თუ ვიტყვი, რომ მირზა ფათალი ახუნდოვის თხზულების პერსონაჟი — შაჰის ქართველი ცოლი საძიებელია გიორგი მეათის ასულთა წრის გარეთ. არც ტომას ჰერბერტის ვერსიის გმირთა შორის უნდა იყოს იგი. ჩვენს დასკვნებს: მხარს უჭერს შემდეგი ადგილი მირზა ფათალი ახუნდოვის ისტორიული მოთხრობიდან: „ერთი მათგანი იყო ქართველი ქალი. იგი შაჰს ჯილდოდ გამოუგზავნა საქართველოს გამგებელმა. ამ ქალმა შეჰკრა მთელი თავისი ბარგი, ძვირფასი სამკაულები, საუცხოო სამოსელი და ურიცხვი ოქრო და მეორე დღეს თავის ბიძაშვილთან ერთად სამშობლოსაკენ გაეშურა. საქართველოში არ დაუჭერეს მის ნაამბობს და ეგონათ ეს ქალები ირანიდან გამოქცეულებიაო. კიდევ უნდოდათ უკან გაებრუნებინათ. ბოლოს და ბოლოს ირანის სადედოფლარი მისთხოვდა ერთ ახალგაზრდა ქართველს და დარჩა საქართველოში“.

მე-17 ს. პირველი ნახევრის სამეგრელოს გამგებლის ლევან დადიანისა და როსტომ მეფის მეორე ცოლი მარიამ დედოფალი (მანუჩარ დადიანის ასული) 1658 წელს, როსტომის სიკვდილის შემდეგ, ყაენმა დაიბარა თავის ჰარამხანაში, მაგრამ დედოფალმა სიბერის ნიშნად ყაენს თავისი თეთრი თმა გაუგზავნა. მაშინ ყაენმა ვახტანგს (შაჰ-ნავაზს) უბრძანა შეერთო.* მარიამი დიდი პატრიოტი ქალი იყო. როცა შაჰ-ნავაზს თანამოსაყდრეობდა. მას ფერეიდნელი ქართვე-

* ფეშანგი, შაჰნავაზიანი. გიორგი ლეონიძის და სოლ. იორდანიშვილის რედაქციით. თბ., 1935. (გ. ლეონიძის შეს. წერილი)

ლებისათვის შეუწირავს მაღალი ხელოვნებით შესრულებული ოლარი. ეს ექსპონატი ახლა დატულია ჯულფის სომხურ ეკლესიაში.

მარიამს დიდი ყურადღება მიაქცია ჟან შარდენმა.

აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ის, რომ ვერც მარიამ დედოფალი აცდა ქართველი ქალიშვილების სპარსთა მბრძანებლისათვის ძღვნად მიცემის სასტიკ ჩვეულებას,* მაგრამ ეს იყო მარიამის მხრიდან უკიდურესი ღონისძიება. თავისმა საქციელმა მარიამს სინდისის ქეჯნა მოჰგვარა, ქველმოქმედებას დაეწაფა, აღარ იცოდა რა ექნა, რომ საკუთარი შეცოდება გამოესყიდა. შარდენის ცნობა ძალზე საყურადღებო და საინტერესოა. „ქართლის ცხოვრება“ მაღალ შეფასებას აძლევს მარიამ დედოფალს, თამარ მეფეს ადარებს მას. (მე17 ს. 40-იან წლებში მარიამის ბრძანებით გადაწერილ იქნა „ქართლის ცხოვრება“. მარიამის თაოსნობით მოხდა მრავალი ტაძრის აღდგენა-განახლება. მან აღადგინა სვეტიცხოველიც, რომლის ერთ-ერთ კედელზე დღემდეა შემორჩენილი მისი და მისი შვილის ოტიას ფრესკული გამოსახულება. მარიამი გარდაიცვალა 1683 წელს).

ხალხმა პატივი სცა მარიამ დედოფალს. მისი აპოლოგიაა ხალხური ლექსი „ნეტა რა არის მისთანა, მარიამ დედოფლისთანა“. უეჭველია, რომ ხალხი მოხიბლა მარიამის არა მარტო მწიგნობრობამ და „ქართლის ცხოვრებაზე“ მეცენატობამ, არამედ მძაფრმა სიძულვილმა ირანის შაჰებისადმი და საერთოდ ყველა მტრისადმი.

* ჟან შარდენის მოგზაურობა... თბ., 1975, გვ. 313-314. მ. მგალობლიშვილის თარგმანი და გამოცემა.

ახალციხის ბეგლარ-ბეგის — ქართველი როსტომ ფაშას (1644—1659) ასული ელენე ირანის დედოფლად იჯდა.

ელენე ათაბაგის ასულის სურათს, ქრისტიანთა კასტელის ალბომიდან ამოღებულს, აქვს ასეთი მინაწერი: „ელენე ათაბაგი, სამცხის პროვინციის, არტაანის მთავრის ასული, იყო მესოპოტამიაში, გახდა სპარსეთის დედოფალი, შაჰ-აბას დიდის ვაჟიშვილის შაჰ-სეფის მეუღლე“.

ელენე ათაბაგის ირანში გადედოფლების შესახებ ჩვენ მოგვეპოვება ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნობა. ერთი ეკუთვნის მიქელ თამარაშვილს, მეორე არქანჯელო ლამბერტს.

პირველის მიხედვით, მესხებისა და ზანების მბრძანებელს — როსტომ ათაბაგს, რომელსაც ისლამი მიეღო იმის გამო, რომ მთავრის ტახტიდან არ გადაეყენებინათ, ესვა ერთადერთი პირმშვენიერი ასული. რადგან ათაბაგი თავის დანაშაულს გრძობდა და გულში ნანობდა რჯულის დათმობას, მას არ უნდოდა, რომ მისი საყვარელი შვილიც ამ დღეში ჩავარდნილიყო. ეს კი მოსალოდნელი ჩანდა. სულთანს რომ შეეტყო ათაბაგის ასულის სილამაზის ამბავი, მაშინვე სრავი წააყვანიებდა, რასაც უეჭველად რჯულის გამოცვლაც მოჰყვებოდა. ამიტომ ათაბაგმა ქალიშვილი ჩააბარა ცოლისძმან მალაქია კათალიკოსს. ვითარება რომ შეიცვლებოდა, ელენე რომელიმე ქრისტიან ქართველ მთავარს მისთხოვდებოდა. მალაქიასთან ახლოს იყვნენ მისიონერები. ელენემ დაიწყო სიარული მათ ეკლესიაში და მონღომებით, დიდი გულისყურით ისმენდა სწავლა-დარიგებებს და ქადაგებებს. მთელს გურიაში გავარდა ელენეს სათნოებისა და სილამაზის ამბავი. მალე მამამისი როსტომ ათაბაგი ოსმალებმა დაატყვევეს. თავის სულიერ მამად და დიდ მოსარჩლედ

ახლა ელენე თვლიდა იტალიელ პატრს — ქრისტეფორე კასტელს. ერთხელ მალაქია კათალიკოსმა ელჩი წარგზავნა ირანში. ელჩი საქმეებს რომ მორჩა და ემზადებოდა სამ-
'ობლოსაკენ გამოსამგზავრებლად, შაჰმა მას უთხრა — ჩემს-
შვილს შაჰ-სეფის შენს ქვეყანაში შეუტრიაე ვინმე დიდი გვარიშვილის, დედოფლობის ღირსი საცოლე, თუ ასეთი ქა-
ლი გეგულებათ. ელჩმა ირანის შაჰს უამბო ელენეს სიმშვე-
ნიერისა, გაზრდილობისა და ღირსებათა შესახებ. გახარე-
ბულმა შაჰმა იმავე ელჩის პირით შეუთვალა მალაქია კათა-
ლიკოსს — შენი დისშვილი ელენე სარძლოდ გამომიგზავნეო.
ელენე უარზე დადგა. მას არ უნდოდა უცხო ერისა და უც-
ხო რჯულის მეფისწულს ცოლად გაჰყოლოდა. ამ დროს გუ-
რიაში მრავლად იყვნენ ოსმალები. მათ სულთანს აცნობეს.
შაჰ-სეფისა და ელენეს ამბავი. სულთანმა მალაქიას მოსწერა,
ელენე ჩემი ქვეშევრდომია, ჩემთვის მინდა, საჩქაროდ მა-
ახელი, თორემ ღვთის რისხვის კერძად გაქცევო. ორ ცეცხლს
შუა მყოფმა მალაქიამ ელენე გაუგზავნა დადიანს. დადიანმა
შემოუთვალა — ნურაფერს შიშობ, სულთანს მისწერე, რომ
როსტომ ათაბაგის ასული ჩემთან არის და ოსმაღეთის
მპრძანებელს მის მიმართ არაფერი ესაქმებაო. დადიანს ელე-
ნე შაჰის ცოლად უნდოდა. სულთანთან მისი გაგზავნა მას.
პოლიტიკური მოსაზრებით უპრიანად არ მიაჩნდა. ქრისტე-
ფორე კასტელს არ სურდა, რომ ელენე მიეთხოვებინათ
მუსლიმანი მეფისწულისათვის. ქალიც მისი იმედის შემყურე
რჩებოდა. მაგრამ იტალიელმა მისიონერმა ვერაფერი გააწ-
ყო. მას დადიანმა ელენეს ნახვა აუტკიძალა. არც ელენეს აჯა
შეისმინა. სასოებაშიხდილმა ქალმა გადასწყვიტა თავი მოეკ-
ლა, ოღონდ ირანში წასვლას და საძულველ ქორწინებას გა-
დარჩენოდა. დადიანმა ხერხი იხმარა და ქალი მოტყუებით

ვაგზავნა ირანში. ჟერ გამოუცხადა: შენ რომ ბედს სწეოდი შაჰის დედოფლობით, ეს მინდოდა, მაგრამ რადგანაც ამ დიდებას ხელი აუკარ, ახლა ვაგზავნი ბიძაშენ მალაქიასთანო. მდიდრული ამალითა და ბრწყინვალეობით ელენე მართლაც გურიისაკენ გაამგზავრეს. ორი დღის დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ ქალი მიხვდა, რომ გურიაში კი არა, ირანში მიჰყავდათ. მაგრამ გვიანლა იყო. ათაბაგის ასულს შაჰის ქვეყანაში დიდებული ზეიმით შეხვდნენ. საგანგებო ქორწილიც გადაუხადეს. ელენე წინაღმდეგობას სწევდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ბედს დამორჩილდა და გახდა ირანის დედოფალი, შაჰ-სეფის (ტახტზე იჯდა 1629—1642 წლებში) მეუღლე.

მეორე ვერსიით, ირანში ელენე ათაბაგის გადედოფლება შემდეგნაირად მომხდარა: შაჰ-სეფის ძლიერ ჰყვარებია ქართული ადათები, ღვინის სმასაც უზომოდ დასწაფებია, რაშიც იგი თურმე ეჯიბრებოდა ირანში ჩასულ ყველა ქართველ დიდებულს. ერთხელ მან დადიანს კაცი გამოუგზავნა და შემოუთვალა: გავიგე შენს სამთავროში გამოჩენილი მსმელი გყოლია და გთხოვთ მიახლო იგიო. დადიანმა ეს მონადიმე დაუყონებლივ გაატანა ირანში შაჰის ახალგაზრდა საცოლეს — ელენეს — არტაანის ათაბაგის შვილს, კათალიკოს მალაქიას დისწულსა და გაზრდილს. შაჰი ერთიორად იყო გახარებული, რომ ახალგაზრდა საცოლეც ჩაუვიდა და მოალაგერდე მსმელიც. ეს უკანასკნელი შერმანდინ ჭილაძე ყოფილა.

მეორე ვერსიაში ვითარება გამარტივებულია. ქართველი მეფეების გამუსლიმანების ეპოქაში ჩვენი ერის ნუგეშად გაისმის ფრანგი მოგზაურის მტკიცება — „ქართველ დიდებულთა უმრავლესობა გარეგნულად აღიარებს ისლამის რჯულსო“, მაგრამ იყვნენ გამოჩაღისები, თავსაც რომ ირ-

ცხვენდნენ და ერსაც არცხვენდნენ. „ზოგი ქართველ დიდებულთაგან ამ სარწმუნოებაზე გადადის იმიტომ, რომ თანამდებობა ჰქონდეს სპარსეთის სასახლეში და სახელმწიფოს ჯამაგირი მიიღოს, სხვები კი იმისათვის, რომ გახდნენ ღირსნი ირანის შაჰისათვის საკუთარ ასულთა მითხოვებისა, ან კიდევ მხოლოდ იმისათვის, რომ ხელმწიფის ცოლებთან მოახლეებად მაინც შეძლონ მათი დაყენება“.

თბილისში შარდენის ყოფნის დროს საინტერესო ამბავი მოხდა. ერთმა ქართველმა ფეოდალმა შაჰს აცნობა, რომ მას იშვიათი სილამაზის მამით ობოლი დისწული ჰყავდა. შაჰმა მყისვე ბრძანა ჩამომგვერეთო. ბოროტმა ფეოდალმა მოინახულა ქერივი და განუცხადა — ირანის შაჰს ცოლად უნდა შენი ქალიშვილი და საჭიროა, სათანადოდ მორთო და მოკაზმო. ქალწულს უყვარდა ახალგაზრდა მეზობელი, ჰაბუჯსაც უყვარდა იგი. ეს კარგად იცოდა ქალის დედამ. მან და მისმა ასულმა ჰაბუჯს შეატყობინეს შაჰის ბრძანება. სასიძო სასწრაფოდ ეწვია საგონებელში ჩავარდნილ სასიდედროს და სატრფოს. შაჰის არ მეშინია, ყველაზე დიდი უბედურება ჩემთვის ის იქნება, რომ მიჯნური წამართვანო, სოქვა ჰაბუჯმა და წამოაყენა გადაუდებლად დაქორწინების წინადადება, მყისვე მოხდა შეუღლება. შაჰს ვაცნობებთ, რომ ქალი უკვე ქალწული არ არის და ჩამოგვეხსნებაო, ფიქრობდა ჰაბუჯი. ქალიშვილის ბიძამ სწრაფად გამოარკვია, თუ რა ცვლილება მომხდარიყო იმ ღამეს და ყველაფერი შაჰს აცნობა. ირანის მბრძანებელმა შემოუთვალა სამივე ჩამომგვარეთო. სიძე, სიდედრი და მისი ასული რამდენიმე თვეს იმალებოდნენ და საფარიდან საფარში გადადიოდნენ, ბოლოს, როცა დაინახეს, რომ საშველი არ იყო და მალე სამი-

ვეს შეიპყრობდნენ, ახალციხეს გაიხიზნენ და იქაურ ფაშას მფარველობა სთხოვეს.

შარდენი ჰყვება, თუ როგორ გაპყიდეს შავიზღვისპირეთში ერთი ქრისტიანი მზეთუნახავი ჩვილი ბავშვითურთ. ეს ცნობა ლექსად გარდასთქვა გალაკტიონმა. მან საისტორიო მასალას არცერთი რეალია არ დაუქარგა და ლექსი სავსებით ინარჩუნებს ისტორიული საბუთის მნიშვნელობას: „... ვაჭრობაც აქ იწყებოდა ქესათა ბრკყვიალ-კიაფად და კაცი იყიდებოდა სულ ჩალის ფასად, იაფად. ოთხ-ოთხ ეკიულ ბავშვები, თორმეტ ეკიულ ქალები, თხუთმეტ ეკიულ ვაჟები, მიირთვი, გენაცვალეები. როგორ, რით შემონაჩარი, — იქვე განაგრძობს შარდენი — ჰვრეტდა ბერძენი ვაჭარი — ქალი დგას და ღირს ამდენი. მოილო ქისა, დათვალა და ჯიბედ კვლავ ჩაიკიდა. ისევ დათვალა და ქალი თორმეტ ეკიულ იყიდა. ოცდახუთი წლის სულ იყო, ჩვენს გემზე შუქთა მთოვარი. თან ჰყავდა თავის სულიყო — პატარა ძუძუმწოვარი. გადასარეველ ლამაზი, შვენოდა სახის ნაკვეთები, ყორნისფრად კრთოდა თმა ნაზი, თმა ყელზე გადანაგდები. რა იყო სინაზე კანის! ფერიც, ო, ფერიც კანისა! ფერი ცვრით გადანაბანის, ნამდვილი მთის შროშანისა...“ გალაკტიონს არ ასვენებდა ქართველ ლამაზმანთა მოტაცების თემა და მას შესწავლილი ჰქონდა სათანადო ევროპული წყაროები. შემთხვევით როლი შეჰქმნა მან დიდებული ჰომერი „მაჰაჯირები“ — სამშობლოდან აყრილი და ოსმალეთში გადარეკილი ადამიანების დასატირებლად. რაც შეეხება შარდენს, მისი ცნობები სანდოდ მიიჩნეის ისტორიკოსებმა. საკმაოდ ცნობილი მკვლევარი, შოპენი წერს, რომ დასავლეთ საქართველოში ოდესღაც ბავშვი იყიდებოდა — 3-4 ეკიულ, ქალი — 12 ეკიულ, მოწითულად

ასაკის მამაკაცი — 15 ეკიუდ და 13-18 წლის ქალიშვილი — 20 ეკიუდ* (ეკიუ უდრიდა 50 კაპიკს).

„ჩალის ფასად“ ქალი საქართველოში იყიდებოდა, თვითონ ოსმალეთში კი საკმაოდ ძვირი ღირდა. მაგალითად, სულთნის ფავორიტს ყიზლარ-ალას მეთვრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ლამაზი ქალი ორი ათას ეკიუდ უჯდებოდა. ბაპტისტინ პუჟულატი თავის საინტერესო წიგნში შენიშნავს, რომ მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში ქართველი ქალი სტამბოლში ოცდაათი ათასი პიატრი (შვიდი ათას ხუთასი ფრანკი) ღირდა (დაახლოებით თვრამეტი ათასი მანეთი). რუსი მოგზაურის, ექიმ ელისეევის მონაცემებითაც ქართველი ქალის ფასი საკმაოდ მაღალი იყო. სტამბოლში ხშირად „სხვადასხვა ეროვნების ტყვეები ქართველებად იყიდებოდნენ, ვინაიდან ეს „საქონელი“ ბაზარზე კარგად ფასობდა. ამასვე ამტკიცებდა რუსეთის ელჩი ვასილ ტამარა თავის 1802 წ. 28 იანვრის მოხსენებაში, სამი წლის შემდეგ ნაპოლეონის წარმომადგენელი კონსტანტინეპოლში უბერიც „მონიტორისათვის“ გაგზავნილ სტატიაში მიუთითებდა ქართველ ტყვეთა სიძვირეზე. წყაროთა ანალოგიური ჩვენებანი შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა, მაგრამ ნათქვამიც საკმარისია.

ცნობილია, რომ იმერეთის მეფეს ალექსანდრე მესამეს მეორე ცოლად ჰყავდა თეიმურაზ პირველის ულამაზესი ასული — დარეჯანი. ხსენებული მეფე 1658 წელს გარდაიცვალა. დარეჯანს გაგიჟებით უყვარდა მკვდარი ქმრის შორეული ნათესავი ვახტანგ ქუჭუნასშვილი, ფ. გორგიჯანიძის სიტყვით — „ბაგრატიონი“. დარეჯანი მისთხოვდა იმ ვახტანგს

* Chopin, დას. წიგნი, ტ. II, გვ. 34.

და მასთან ერთად იმეფა 1660 წლამდე. ამ დროს იმერეთში შემოვიდა ოსმალთა სარდალი ასლან ფაშა, დაატყვევა ვანტანგი და დარეჯანსა და ქეთევანთან ერთად წაიყვანა ოლთისს (ქეთევანი — დარეჯანის ძმისშვილი — თეიმურაზის ვაჟის დათუნას ასული იყო). ქეთევანი დარეჯანმა მძევლად დაუტოვა ასლან ფაშას და ტყვეობიდან თავი გამოიხსნა.

ინგლისელი მკვლევარი სტენლი ლენ პული აურანგზებ იმპერატორზე (1618—1707) დაწერილ თხზულებაში აღნიშნავს: ინდოეთის ამ მბრძანებელს ჰყავდა ქართველი ცოლი, სახელად უდაიპური. უკანასკნელის ვაჟი კამბაკში ძალიან დიხაბლოვა და შეიყვარა მამამ — აურანგზებ იმპერატორმა. მაგრამ ერთხანს ამ მბრძანებელს ეჭვები აღუძრეს ვაბუჯისადმი — მარათხებს დაუკავშირდა შენს ჩამოსაგდებადო. მამამ დაატუსაღა კამბაკში. შემდეგ გაათავისუფლა და დიდებული ურთიერთობა დაამყარა მასთან. აურანგზებ იმპერატორის უკანასკნელი წერილები იმ ვაჟიშვილისადმი გამთბარია მშობლიური სიყვარულის გრძნობითო, დასძენს ინგლისელი ისტორიკოსი.*

ლენ პულის გამოკვლევასთან დაკავშირებით, უნდა მოვიგონოთ მეცხრამეტე საუკუნის ინდოელი განმანათლებელი მოღვაწე — ბონკიმჩონდრო ჩოტოპადხაი. მან დასწერა ისტორიული რომანი „რაჯ სინგხ“, სადაც მოთხრობილია იმპერატორ აურანგზების ქართველი დედოფლის თავგადასავალი, დაკავშირებული მთიელი რაჯპუტი ხალხის გმირულ ბრძოლებთან ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. ინდოეთის ქართველი დედოფალი რომანში მტკიცე ნების-

* Stanley Lene — Poole, M. A. litt. D. *Medieval india under mohammedan Rule.* v I, N. Y. 1970, გვ. 271.

ყოფის პიროვნებად არის გამოყვანილი. ავტორი ირწმუნება, რომ იგი ემყარება ევროპელ მეცნიერთათვის უცნობ ისტორიულ წყაროებს.

ფრანგი აბატი ფრანსუა ბერნიე (1625—1688 წწ.) თორნეტ წელიწადს ცხოვრობდა ინდოეთის ხსენებული იმპერატორის აურანგზების კარზე და საინტერესო წიგნი დასწერა ამ მოგოლი შბრძანებლისა და მისი სამეფოს შესახებ. როგორც უკვე ვიცით, ბერნიე აღნიშნავს, რომ პრინცების აღზრდა მოგოლთა ინდოეთში ხდებოდა იმ ქალთა გარემოცვაში, რომლებიც ჩამოჰყავდათ რუსეთიდან, ჩერქეზეთიდან, სამეგრელოდან, გურჯისტანიდან და ეთიოპიიდან (ბერნიეს გადმოცემით, ოდესღაც ინდოეთში სამი ქართველი მეფე ყოფილა, ხოლო ნიზამ შაჰი — მოგოლების დაუძინებელი მტერი იმ ქართველ მეფეთა მეზუთე თუ მეექვსე შთამომავალი იყო. თვითონ აურანგზებ იმპერატორს ქართველი მცველები ჰყავდა).

მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულში კარემ ფრანგულ ენაზე გამოსცა სქელტანიანი წიგნი: „მოგზაურობა აღმოსავლეთ ინდოეთში მრავალი საინტერესო ეპიზოდის დართვით“. ეს წიგნი მიეძღვნა ჰერცოგ ქალს მონფორტს. პირველ ტომში შეტანილია საგანგებო თავი „ორი ქართველი ქალის ისტორია“, სადაც 35 გვერდზე მოთხრობილია ორი დიდგვაროვანი ქართველი ასულის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი, რამაც ისინი იძულებული გახადა სახლიდან გაქცეულიყვნენ. ლტოლვილი ქალიშვილები ყაჩაღებმა მოიტაცეს და ირანში გაჰყიდეს. აქ ნახა ისინი კარემ. უკანასკნელი გამოესაუბრა მათ ბატონს, თვითონ ბედკრულ ტყვეებსაც და მოხიბლული დარჩა მოტაცებულ ლამაზმანთა მშვენიერებით. სპარს ბატონს მოგზაურისათვის უთქვამს: „თქვენ ნახეთ ეს ასულები

და მათ ხელახლა თვალს ისე ვერ შეავლებთ, რომ აღტაცება არ განიცადოთ. მაგრამ ისინი კიდევ უფრო მოგეწონებათ, როცა მათ თავგადასავალს შეიტყობთ, დარწმუნდებით მათ კეთილშობილ თვისებებში და მათი სიქველის დიდებაში. ამ ქალთა თავგადასავალი უცნაური რამ არის და მისი მსგავსი გაგონილიც არ გექნებათ. იგი მომითხრო მსახურმა ქალმა, უფროსი მათგანი რომ აღზარდა. ჯერ არასოდეს არავის უნახავს, რომ ლამაზმანებს მეგობრობის საკუთრთხეველზე ზვარაკად მიეტანოთ საკუთარ ვნებათა ინტერესები და ქალური სიყვარული მეგობრობის იდეალისათვის შეეწიროთ. აი, სწორედ ეს მოიმოქმედა ამ ორმა ქართველმა მზეთუნახავმა, ისინი ჩემს თვალში მთელს ჩემს სერაღს აიწონიან“.

კარეს მიერ ვრცლად მოთხრობილი თავგადასავლის მოკლე შინაარსი ასეთია: ორივე ლამაზმანი ერთმა დიდგვაროვანმა ჭაბუკმა, სახელად სელიმმა, შეიყვარა. როცა სელიმი ერთთან მივიდოდა პაემანზე, მას არ უმხელდა, თუ მეორესთანაც გამიჯნურების სცენას თამაშობდა. ორივე ლამაზმანს სელიმი ღრმა სიყვარულით შეუყვარდა და ცალ-ცალკე ორივე დარწმუნებული იყო, რომ სელიმის ერთადერთ არჩევანს წარმოადგენდა. როცა საქმე დასასრულს მიუახლოვდა და ლამაზმანთათვის გაირკვა, რომ ჭაბუკი ორთავეს ყვარობდა და საბოლოო არჩევანი ერთ-ერთ მათგანზე უნდა შეეჩერებინა, მზეთუნახავებმა თავიანთი გრძნობა გასწირეს ერთმანეთის სასარგებლოდ და ბოლოს ორივენი გაექცნენ ჭაბუკის სიყვარულს, რომ უმწიკვლო მეგობრებად დარჩენილიყვნენ. ბედს გაქცეულმა ქალიშვილებმა თავი ერთად შეაფარეს ტყეს, სადაც ისინი უხეშმა ძალამ შეიპყრო და ირანელი სოვდაგრის

სერალის ტყვეებად გახადა. მათი საბოლოო ხვედრი უცნობია.*

კარეს წიგნში დაცული ამბის პერსონაჟმა სელიმმა იქნებ მკითხველში დაბადოს აზრი, რომ სელიმი ქართული სახელი არ არის და ამგვარად ამბავიც, შესაძლოა, საქართველოს არ შეეხებოდეს. მაგრამ ასეთი სკეპტიციზმი უსაფუძვლოა. გამოჩენილი მეცნიერი ნიკო მარი (1864—1934) შენიშნავდა: „უკანასკნელ დრომდე მკვლევარები ანგარიშს არ უწყევდნენ, თუ რაოდენ სახიფათოა ის გზა, რომელსაც ისინი დაადგნენ, როცა მხატვრული ნამუშევრის, ანდა ტექნიკური შესრულების მიხედვით მუსლიმების, არაბების, სელჩუკების ნაწარმოებად თვლიან განურჩევლად ყველაფერს, რასაც არაბული წარწერა აქვს, ანდა რითაც სარგებლობდა უკანასკნელ ეპოქებში პოლიტიკურად გაბატონებული ესა თუ ის ხალხი. კვლევა-ძიების ეს პრიმიტიული ხერხი გვაგონებს იმას, თუ როგორ ხდებოდა პიროვნებათა რელიგიის, ანდა წარმოშობის განსაზღვრა მხოლოდ სახელების საფუძველზე, ხოლო ხალხის ეთნიკურ შემადგენლობას ადგენდნენ იმ დინასტიების სახელებით; რომლებიც სათავეში ედგნენ ამ ხალხს. ასეთი საფუძვლით, ვინ იცის რამდენი ქრისტიანი, სომეხი თუ ქართველი უნდა გამოგვეცხადებინა სპარსელად, არაბებად, თუ თურქებად, რასაც ხშირად მართლაც აკეთებენ“.** გვგონია, რომ ამ სიტყვებს კომენტარი არ სჭირდება. ამგვარად, კარე არ ცდებოდა, როცა საქართველო მიიჩნია სელიმისა და მისი ორი სატრაფოს სამშობლოდ და სამივე ქართველებად გამოაცხადა.

* Carre. Voyage des Indes Orientales, mele des plusieurs Histoires Curieuses. t. I. 1699, გვ. 159-194.

** В. В. Бартольд. Сочинения, т. 10, М., 1966, გვ. 214.

ბრიკოლიტანიით გურბანის ზღვაგლე

არც მეტვრამეტე საუკუნე ყოფილა მოლხენის თაზისი ქართველი ნაღვისათვის. საუკუნის პირველ ნახევარში სპარსთა რეჟიმი ოსმალურმა შესცვალა ქართლში, შემდეგ ისევ პირველი იქნა აღდგენილი. დასავლეთ საქართველოში დროდადრო ოსმალები თარეშობდნენ და ქუთაისის ციხეში იანიჩართა ჯარი იდგა. საუკუნის ბოლო მესამედამდე დასავლეთ საქართველოში გრძელდებოდა ტყვეთა სყიდვა და გაყვანა ოსმალეთში. აღმოსავლეთ საქართველოში ერეკლე მეორე რა ღონეს არ ხმარობდა, რომ გამოეხსნა დაღესტანში გარეკილი ქართველი ტყვეები, და მეორეს მხრივ, სტამბოლში რუსეთის დიპლომატიის დახმარებით ქართველი ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვისათვის იბრძოდა. ირანიდან და ოსმალეთიდან არაერთხელ გამოქცეულან ქართველი ტყვეები სამშობლოში. ზოგჯერ მათი სახიზნო რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა გამხდარა.

ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს ოსმალეთზე დამოკიდებულება ხონთქრისათვის ყოველწლიურად მისართმეველის გაგზავნაში გამოიხატებოდა. ამ მისართმეველში შედიოდა „ტყვეები“ — ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი, ძვირფასი ნივთები, ქორ-შევარდნები. დასავლეთ საქართველოს გლეხობაში საამისოდ იყო გამოსადები „საური“, ანუ „სათათრო“, მაგრამ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის ოსმალთა ძალადობა „საურსა“ და „ქრთამზე“ უფრო ტყვის სყიდვით იყო საშიში. ტყვის სყიდვა ქართველის უცხოელზე (ჩვეულებრივ

თურქზე) გაყიდვას ეწოდებოდა. ტყვის სყიდვა ზოგჯერ ისეთ ზომებს აღწევდა, რომ ქვეყნის მეურნეობის განვითარებასა და სამხედრო ძლიერებას საფრთხეს უქმნიდა. ოსმალეთის მთავრობა, რომელიც კატორღათა შენიჩბეებს, იანიჩართა ახალ-ახალ კადრებს და პარემთა დამამშვენებელ ასულებს ჩვეულებრივ „ტყვეთა“ სახით იძენდა, ტყვის სყიდვას აქეზებდა და ტყვის სყიდვის აკრძალვას ქართველ მეფე-მთავრებს ოფიციალურად უშლიდა. ტყვის სყიდვის აკრძალვა ოსმალეთის წინააღმდეგ აჯანყებას ნიშნავდა და მაღალი პორტა (ვაზირთა საბჭო) ასეთ შემთხვევებს სათანადო დამსჯელი ღონისძიების ჩაუტარებლად არ სტოვებდა.

ნადირ-შაჰის დროზე საინტერესო ცნობა შემოგვინახა სომეხმა კათალიკოსმა და ისტორიკოსმა აბრამ კრეტელმა. „3 დღე კიდევ დავრჩი თბილისში, რადგან ხანს ბრძანება გავცა გამოეყვანათ ქალაქიდან სამასი სახლეულობა და წაეყვანათ ხორასანს, ისევე, როგორც აირარატიდან. უბრძანა ერევნის ხანს, აგრეთვე ქალანთარსა და მელიქს, რომ წასულიყვნენ და სამასი სახლი აღეწერათ. ნების გარეშე, ძალით გამოიყვანეს თავიანთ სამკვიდროდან და ხორასანს წაასხეს. ასევე მოიბოქმედეს თბილისშიც. აღწერეს 300 სახლი, იწყეს შეკრება და აავსეს ეკლესია. მრავალნი, როდესაც შეიტყვეს მათი დატყვევება, მოვიდნენ ეკლესიაში, სადაც მე ვიყავი თავშეფარებული, ხმამალა გოდებდნენ, ტიროდნენ და ცას შელაღებდნენ, ყვიროდნენ, მიწაზე ცვივოდნენ და გორავდნენ. მევედრებოდნენ, რომ მეთხოვა ხანისათვის მათი განთავისუფლება და რომ ისინი არ წაეყვანათ უცხო ქვეყანაში. ხოლო მე, ტანჯულმა, ვიხილე რა ხალხის, მამათა და დედათა ეს უბედურება, ამივარდა ქვითინი, დამეწვა გული და სისხლის ყრემლებს ვლვრიდი. ჩამოვიარე, როგორც მწირმა, დიდებულ-

თა კარი, ვემუდარებოდი, ვითხოვდი და ვევედრებოდი, რომ გაენთავისუფლებინათ ისინი მწუხარებისაგან“.*

აბრაამ კრეტელის მონათწრობის გასაგებად, საჭიროა, გავიხსენოთ, რომ 1736 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის არზრუმში დაიღო ზავი, რომელმაც ნადირ-შაჰის იმპერიას მიაკუთვნა აღმოსავლეთი საქართველო, აზერბაიჯანი და აღმოსავლეთი სომხეთი.

ოსმალეთს კუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატის 23-ე მუხლმა აუკრძალა, იმერეთიდან ხარკად მიეღო ყრმები და ასულები („Отроки и отроковицы“). 1784 წლის ივლისის რუსული ცნობებიდან ირკვევა, რომ სტამბოლის ვაჭრები — ტყვის მყიდველები შეწუხებული იყვნენ: ახალციხის ფაშის ლაშქარი ერეკლეს დაუმარცხებია და ტყვეებს ვეღარ მივიღებთო. იყო შემთხვევები, რომ აპარლები თავს ესხმოდნენ სოლომონ პირელის ჯარებს და ბრძოლების შედეგად ხელში ჩაგდებულ ტყვეებს ტრაპიზონსა და სტამბოლში გასასყიდად მიერეკებოდნენ.

1786 წ. 25 აგვისტოს ბრძანება გამოვიდა სტამბოლში, რომ ქართველ ტყვეთა ეგვიპტეში წაყვანა აკრძალულია. ხმა დაეარდა, რომ ასევე აიკრძალა ქართველ ტყვეთა სყიდვა აზიის პროვინციებში. ამ დროს ლეკების რაზმები ახალციხის მხრიდან ესხმოდნენ ქართლს და ტყვეებს იტაცებდნენ. სულეიმან-ფაშა ტყვეების გამოსყიდვაშიც უარით უმასპინძლებოდა ერეკლეს.

მე-18 ს. 90-იან წლებში ოსმალებმა განაწილეს ის აზრი, რომ მათ თითქოს იასის ზავმა (1792 წ.) ქართველი ტყვეების ყოლის საკითხში მას მეტი თავისუფლება მიანიჭა, ვიდრე კუ-

* ვ. ს. ნალბანდიანი. დასახ. წიგნი, გვ. 153-154.

ჩუკ-კაინარჯის ტრაქტატმა, ამას რუსეთი კატეგორიულად უარყოფდა. 1796 წ. ახლო აღმოსავლეთი ისევ ოსმალთა ყურადღების ცენტრში იდგა. მათ აშფოთებდათ მოლოდინი, რომ რუსეთი დამკვიდრდებოდა საქართველოში და იქიდან ტყვეების გამოყენებას აღკვეთდა. ეს საკითხი ოსმალეთისათვის არსებითი მნიშვნელობისა იყო. ამავე დროს ოსმალეთი სიფრთხილის ზომებს ატარებდა. ყარსში ხვანთქრის ბრძანება გამოვიდა — არ ეყიდათ ქართველი ტყვეები, რომლებიც ხელთ იგდეს სპარსელებმა.

ირანში კვლავ დიდ როლს ასრულებდნენ ქართველი სარდლები და ქართველი მეომრები. ეს გავლენას ახდენდა ქართველ ლაშაზმანთა საქციელზე.

ერთმა უცნობმა ქართველმა მანდილოსანმა ირანში უცხოელი მოგზაურებიც განაცვიფრა და მტრებიც. როგორც გიორგი ლეონიძე წერს, „ამ ქალის ვინაობა და მისი გმირული ამბავი მატთანეში არ არის მოხსენიებული, მაგრამ მის შესახებ აღტაცებით გვიამბობენ მომსწრენი — პოლონელი კრუზინსკი და ინგლისელი ჰანვეი“. 1722 წელს აჯანყებულმა ავღანელებმა ისტაჰანი აიღეს. მათთან ბრძოლაში დაიღუპა ერთი ქართველი ჭაბუკი. „ჭაბუკს მხედარს ულამაზესი ქალი ჰყავდა ცოლად. მისი მშვენიერება მთელ ქართლში იყო განთქმული“. მან გადასწყვიტა ირანში წასვლა და შურისძიება ქმრის სიკვდილისათვის. ორი ობოლი ბავშვი თავის ძმას ჩააბარა და ძნელ გზას გაუდგა. „1724 წელს მირ-მაჰმუდი* დიდებით შედიოდა ისტაჰანში. უეცრად საიდანლაც გამოქანდა ცხენზე მჯდომი შუბოსანი მხედარი, მედგრად ეკვეთა მაჰმუდის ლაშქარს და ოცი ავღანი იქვე დააწვინა. მაჰმუდის ამა-

* ყანდარში გიორგი XI მკელელის მირ-ვეისის შვილი.

ლა დაიბნა. როცა გონს მოვიდნენ, გაშმაგებული მხედარი შეიპყრეს. იგი, დაქრილი და დასახიჩრებული, მიჰგვარეს მაჰმუდს. მირ-მაჰმუდი განცვიფრდა, რომ მამაცი მხედარი ქალი იყო, რომ ქალმა შური იძია ქმრის სიკვდილისათვის; ბრძანება გასცა — შეენდოს ყოველივე; ამ ქალმა მამაცობით დაიმსახურა, შესაფერი პატივით მოვექცეთ“. კრუზინსკი წერს, რომ ავღანებს ძვირად დაუჯდათ იმ ქალის ქმრის სიკვდილი, ქალმა „მოკლა სხვადასხვა დროს ოთხმოცდაათი კაცი და მაშინ იცნეს, რომ დედაკაცთაგანი იყო, როდესაც დაატყვევეს, მაგრამ პატივი სცეს იმის გმირულს განწირულებას და გაანთავისუფლეს“.

სამართლიანად შენიშნავდა გ. ლეონიძე: „ჩვენი მატთანე უმეტესად ოფიციალურ სახელმწიფო მოღვაწეთა მოქმედებას აგვიწერს. რაც შეეხება ხალხის ამბავს, მოკლედ იცის მოკრა: სიგრძისათვის დავიდუმებო, ამ ღუმილში კი იმალება საქმენი და ღვაწლი ქართველი სახალხო გმირებისა, ვაჟკაცებისა, ქალებისა, დედებისა, მათი შეუდრეკელობა, კეთილშობილება, თავდადება, სამშობლოსადმი უზომო სიყვარული, ის, რამაც საქართველო ისტორიულ ქარიშხლებში გადაარჩინა განადგურებას და აღგვას დედამიწის პირიდან“.*

ქალი, რომელზედაც გ. ლეონიძე წერდა, დამკვიდრდა მეთვრამეტე საუკუნის ევროპულ მხატვრულ ლიტერატურაშიც. იმ ქალის საოცარი ბედის თავისებური ანარეკლია მარმონ დიუ ოშანის რომანი „რუსპიის ისტორია, ანუ მშვენიერი ჩერქეზი ქალი“. სათაურის მიუხედავად, მთავარი გმირი დედით ქართველია და მისი ბედიც მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს ისტორიულ ამბებს. რუსპია დაიბადა ყაზარდოში, მაგრამ

* გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები. 1958. გვ. 426-428.

ადრე დაჰკარგა მშობლები და აღიზარდა ბიძამის ვახტანგ მე-
ექვსესთან, რომელიც, როგორც ისტორიულად ცნობილია,
ჩერქეზ ქალზე იყო დაქორწინებული. რუსპიას ქმარი — ირა-
ნის არმიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წინამძღოლი იყო და
დაიღუპა ავღანებთან ბრძოლაში. ამ ავღანებმა ტახტიდან ჩა-
შოაგდეს ირანის შაჰი ჰუსეინი. ქმრის დაღუპვა რომ გაიგო,
რუსპიამ ფარულად საქართველო დასტოვა და ერთადერთი
მსახურის თანხლებით გაემგზავრა ირანში. მან გადაიცვა მა-
მაკაცის ტანისამოსი და იარაღით ხელში მამაცურად შეება
ავღანებს, დახოცა ბევრი მათგანი და ტყვედ ჩავარდა. ტყვე-
ობაში რუსპია თამამად აცხადებს, რომ მისი მიზანია შური
იძიოს ქმრისათვის. ავღანთა მეთაური, ვინც ირანის ტახტი და-
იკავა, შეაძრწუნა რუსპიას მამაცობამ. მან გაათავისუფლა
რუსპია და ჯულფამდე გაღწევაში უშველა. იქედან რუსპიას
უნდოდა საქართველოში დაბრუნება, მაგრამ შეიტყო, რომ
ვახტანგ მეექვსე იძულებული გამხდარიყო სამშობლოს გას-
ცლოდა. ბიძის ძებნაში რუსპიას თავს გადახდა უამრავი ფა-
თერაჯი. ბოლოს ქალი აღმოჩნდა გოაში (ინდოეთის პროვინ-
ცია), სადაც მზადდებოდა მისი ქორწილი პორტუგალიის ვიცე-
მეფესთან. ასე თავდება რომანი*.

1737 წელს თეიმურაზ II ისფაჰანში გაიწვიეს. თეიმურაზმა
თან ჩაიყვანა შვილები ერეკლე და ქეთევანი. როგორც ცნო-
ბილია, ერეკლე ინდოეთში წაიყვანა ნადირ-შაჰმა, ქეთევანი
ჰარამხანის ტყვე გახდა, მეტად სამწუხარო ხარკი გაიღო გმი-
რი მეფის მამამ. ალბათ, თვითონაც გული უკვდებოდა თეი-
მურაზს, მაგრამ რა მსხვერპლი არ მოუთხოვია სამშობლოს
გადარჩენას...

* Н. Орловская. Грузия в литературах Западной Европы.
тб. 1968 წ. გვ. 125-127.

არსებობს ვერსია, რომ ნადირ-შაჰი, როცა მას მკვლელები კარავში შეუცვივდნენ, ქართველი მზეთუნახავის მკლავებში ნებივრობდა. მაგრამ ვერსიაში კონკრეტულად არ არის მითითებული ამ მზეთუნახავის ვინაობა (თუმცა არსებობს ხსენებული ვერსიის უარყოფელი სხვა ცნობები).

სომეხი მოღვაწე იოსებ ემინის ცნობით, ქერიმ-ხანს ერეკლე მეორისათვის 1762 წ. ბოლოს შეუთვლია — ირანში გამომიგზავნე შენი რძალი — უფროსი ვაჟიშვილის ქვრივი, შენი მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი და სიძე დავით უფლისწული, აგრეთვე — თორმეტი ჰაბუკი არისტოკრატიული ოჯახებიდან და თორმეტი ნორჩი მზეთუნახავი; უკანასკნელთა ასაკი თორმეტ წელიწადს არ უნდა აღემატებოდესო. ქერიმ-ხანი დამუქრებია ქართველთა მეფეს: თუ ამ სურვილს დაუყოვნებლივ არ ამისრულებ — შემოგესევი და ქვას ქვაზე დაგიდუღებო. ზოგიერთმა სულმდაბალმა ქართველმა მეფეს ურჩია დათანხმებოდა მძევლებისა და „ცოცხალი ხარკის“ გაგზავნას ირანში, მაგრამ მეფემ უარპყო ქერიმის მოთხოვნა, ირანის გამგებელმა კი მუქარა ვერ აღასრულა, რადგანაც იძულებული იყო სხვაგან გაეგზავნა ჯარები. საქართველოს თავკაცები ისე დასწათებიან კორუფციას, რომ ისინი ოცდაოთხი საათით სატანაზე ადრე უნდა იყვნენ დაბადებულნიო — დასძენდა იოსებ ემინი.*

ემინის მონათხრობთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერთ პორტუგალურ დოკუმენტს, 1766 წელს რომ დაბეჭდეს და სადაც წერია: „მაჰმადიანები ავზორცობით არჩევენ ყოველ წელიწადს სულთნისა და მისი ნაზირ-ვეზირებისათვის საქართველოს ყველაზე კეთილშობილ და

* Malcolm. Histoire de Perse t. III, P., 1821. (თარგმანი ინგლისურიდან).

ყველაზე ლამაზ ასულებს, აინუნშიაც არ აგდებენ მათ გვარიშვილობას და წოდებას. მოხელენი, ვისაც ეს საქმე მიანდეს, წარმოუდგენელი ტირანობით ირჯებიან, ზესასწაულებრივ მშვენიერებას ტალახით სვრიან. ქართველი ლამაზმანები, რომელნიც იძულებული შექმნილან შეეგუონ უღმობელ ძალადობას, ერთსა და იმავე დროს ჰკარგავენ კდემამოსილებასაც და მათ გულთათვის ესოდენ სანუკვარ თავისუფლებასაც. საქართველო საშინლად იტანჯებოდა იმით, რომ მრავალი წლის განმავლობაში იხდიდა ბარბაროსულ ხარკს და საშუალება არა ჰქონდა უღმობელ ბედს გაქცეოდა, მაგრამ განგების სამართალი აღაშფოთა ამ ჯოჯოხეთურად მკრეხელურმა საქმემ და მან საქართველოს მოუვლინა სახელოვანი პრინცი ერეკლე, რათა უწმინდურნი დასცილიყვნენ ისე, როგორც მათ შეეფერებოდათ“.* ასეთივე აზრისაა ავტორი ხალხური ლექსისა „ქალი მოვიდა ურუმით“. აქ ერეკლე მოხსენებულია, როგორც ქართველ მზეთუნახავ ტყვეთა ქომაგი.

ერთი ქართველი მზეთუნახავის ბედ-იღბალი გადაეხლართა მე-18 ს. არაბეთის ცნობილი გმირების — ბანდარ-რიგას შეიხის და მისი შვილის მირ მოჰუნას თავგადასავალს.

უკანასკნელმა თავდაპირველად სახელი გაითქვა ზღვაზე მეკობრეობით და ირანზე შესევებით. ამ შესევების დროს იგი არაერთხელ მისულა შირაზის ალაყაფამდე. მაგრამ მირმოჰუნას ყველაზე დიდი საქმე იყო ბრძოლა ჰოლანდიელი კოლონიზატორების წინააღმდეგ. მან ისინი განდევნა კუნძულ ხარაკიდან, რომლის მიდამოები განთქმული იყო მარგალიტის საბადოებით. ამან მოუპოვა მირ მოჰუნას დიდი

* „Revue de Kartvèlogie“, v. XXVII, P., 1970, გვ. 103.

სახელი ევროპულ ისტორიოგრაფიაში. მამამისი მირ-ნასერი და უფროსი ძმა შესანიშნავი ადმინისტრატორები აღმოჩნდნენ. მათ ააყვავეს ბანდარ-რიგას ალებ-მიცემობა და ოქროს ფურცლები ჩასწერეს სპარსეთის ყურის ისტორიაში. ბოლოს შეიხ მირ-ნასერის ოჯახში დიდი უბედურება დატრიალდა. ისტორიოგრაფიამ შემოგვინახა ასეთი ვერსია: მირ-ნასერმა თავის უმცროს ვაჟიშვილს მირ-მოჰუნას წაართვა ქართველი ცოლი და პოლანდიელ კოლონიზატორთა თავკაცს მაინირ კნიპჰაუზენს საჩუქრად გადასცა. ამით გაბოროტებულმა მირ-მოჰუნამ ალყა შემოარტყა საკუთარ მამას, შეიპყრო იგი და მოჰკლა ისე, რომ მშობელმა წინასწარ ვერავითარი ეჭვის ალება ვერ მოასწრო. ამ სისხლიანმა ანგარიშსწორებამ აიძულა ყველა, ვისაც კი პატიოსნების ნატამალი შერჩენოდა, გაქეულებოდა ბანდარ-რიგადან, რის გამოც ხსენებული ქალაქის ალებ-მიცემობა ჩაკედა, მირ-მოჰუნამ ბანდარ-რიგაში მიიტყუა უფროსი ძმაც (მამამისის სახელოვანი თანამოსაგრე), რამდენიმე თვეს ამართვინა ქალაქი და შემდეგ იგიც მოაკვდინა. ტირანი მირ-მოჰუნა სისხლის წყურვილს ნათესავების მუსვრით იკლავდა. ამიტომ მას ყველა მომხრე განუდგა. უკმაყოფილო ადამიანთა რისხვას მირ-მოჰუნა ძლივს გადაურჩა გაქევიტ და 1769 წ. თებერვალში თავი ქ. ბასრას შეაფარა. აქ იგი შეიპყრო ბასრას მოთასალემმა (მმართველმა), რომელიც წინასწარ იყო გაფრთხილებული დამნაშავის გამოჩენის შესახებ. მირ-მოჰუნა გადასცეს ბაღდადის ფაშას, რომელმაც იგი ჩამოახრჩო 1769 წლის 25 მარტს.*

ზოგიერთმა მეცნიერმა ეჭვი შეიტანა ქართველი მზეთუ-

* A Chronicle of the Carmelits... london, v. 1. 1939, გვ. 670.

ნახავის ზემოთ მოთხრობილი თავგადასავლის სისწორეში. მაგრამ მათი მტკიცებიდან ნათლად არ ჩანს ისინი არასარწმუნოდ თვლიან საერთოდ ქართველი დედოფლის ბანდარიგაში არსებობის ფაქტს, თუ იმას, რომ ეს დედოფალი შეიხმა მირ-ნასერმა აჩუქა პოლანდიელ ოფიცერს? ვფიქრობთ, რომ მეცნიერებმა საცილობლად გახადეს მეორე, ქართველი დედოფლის პოლანდიელ ოფიცერზე გადაცემის ფაქტი. ეს საცილობლად გახდა იმიტომ, რომ პოლანდიელი კოლონიზატორებისათვის ასე იყო საჭირო. ჩვენის აზრით, ნაკლები საფუძველი ჩანდა საიმისოდ, რომ უარეყოთ ბანდარიგაში ქართველი დედოფლის არსებობის თვით ფაქტი.

თუ სწორია ცნობა იმის შესახებ, რომ შეიხმა მირ-ნასერმა მირ-მოჰუნას ქართველი ცოლი პოლანდიელ ოფიცერს ძისცა შვილის უკითხავად, მაშინ აშკარა დანაშაულთან გვაქვს საქმე: მამამ შვილი სასტიკად დაამცირა, აბუჩად აიგდო და პირადი ბედნიერება მოუსპო. მირ-მოჰუნას რისხვა საფუძვლიანია. ამიტომ მისი წარმოდგენა უანგარიშო ტირანად სწორი არ იქნებოდა. ასეთი წარმოდგენა; ალბათ, პოლანდიური წყაროებიდან მომდინარეობს: პოლანდიელებს მართლაც ჰქონდათ საფუძველი ჩრდილი მიეყენებინათ მათი დაუძინებელი და ძღვევამოსილი მტრისათვის. სწორედ პოლანდიელებისათვის იყო ხელსაყრელი, რომ შეიხ მირ-ნასერის დანაშაული (რძლის გაცემა) უარეყოთ და ამით შელახულიყო მირ-მოჰუნას ავტორიტეტი.

დამოუკიდებლად იმისგან, თუ როგორ გადაწყდება საკითხი მომავალში, ჩვენ შეგვიძლია დავსვათ სავსებით კანონიერი კითხვა: რატომ მაინცდამაინც ქართველ ქალზეა შემონახული ასეთი საინტერესო გადმოცემა? თუ გავითვალისწინებთ იმ უტყუარ ფაქტს, რომ ტყვე ქართველ ლა-

მაზმანებს დიდი მოწონება ჰქონდათ ირანში (და არამარტო აქ), მაშინ ზემოთ მოთხრობილი ისტორიული გადმოცემა ბან-დარ-რიგაში ქართველი დედოფლის არსებობის შესახებ დაუჯერებელი არ უნდა იყოს. თუ ვერსია შეთხზული იყო მირ-მოჰუნას საქციელის გამართლების მიზნით (და ეს ასეცაა), იგი (ვერსია) განა რამეს წააგებდა, რომ სხვა ერის მზეთუნახავი გაერიათ მირ-მოჰუნას და ჰოლანდიელი ბარონის კონფლიქტის სიუჟეტში? ყოველ შემთხვევაში, ზემოთ მოტანილი ვერსია საინტერესოა ისტორიკოსისათვის, როგორც აღმოსავლეთში ქართველი ლამაზმანების მაღალი რეპუტაციისა და ფართო პოპულარობის ერთ-ერთი დამადასტურებელი ლიტერატურული ფაქტი. საგულისხმოა, რომ „კარმელიტების ქრონიკის“ ავტორებს ვერსიის გასაბათილებლად ვერავეთარი კონკრეტული საბუთი ვერ მოაქვთ.

ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ სრულიად არ არის დაუჯერებელი რამ არაბისტანში და სპარსეთის ყურის რეგიონში ქართველი დედოფლის არსებობა. იემენშიც არის დადასტურებული ქართველი დედოფლების ყოფნა XVIII საუკუნეში. ისინი აქ ნახეს ფრანგმა მოგზაურებმა 1708—1713 წლებში. ამის შესახებ მოგვითხრობს უან დელა როკი თავის ვრცელ წიგნში: „იემენის მეფის ძალმოსილების და ბრწყინვალეების ერთ-ერთი ნიშანია მრავალი მანდილოსნის ყოლა სასახლეში. ასეთი ჩვეულება ხომ საერთოა აღმოსავლეთის მბრძანებელთათვის. იემენის მეფეს ექვსას-შვიდასამდე ქალი ჰყავს, მათ რეზიდენციად ითვლება მუაბის ციხე-კოშკი. ისინი წარმოშობით სხვადასხვა ერს ეკუთვნიან. ჩვენ გვარწმუნებდნენ, რომ მათი უმრავლესობა ქართველია. საქართველოს ქალები დიდი სილამაზით გამოირჩევიან. მათ გარდა აქ ნახავთ თვითონ არაბთა ასულებს. სასახლის დედოფლები ჩამოჰყავთ

ხოლოჲ აუაიის ციხე-კოშკიდან და აქლემებით მიჰყავთ სამე-
ფო კარზე, სადაც განსაკუთრებულ დარბაზში, სულ მცირე
ოცდაათამდე ტახტრევანი დგას. თითოეულ აქლემს მიაქვს
ფანჩატურის მაგვარი რამ, ლაჟღა წითელი ფერის ქსოვი-
ლით გადაფენილი, გარშემო შემომწკრივებული ჰაწაწინა
კალათებით. მეფის სასახლეში ხსენებული დედოფლები შეჰ-
ყავთ ვიწრო შესასვლელით. სახეზე აფარებული აქვთ ჩაღ-
რი — ფაქიზად მოხატული ძვირფასი ტილოს ქსოვილი“.*

ქეშმარიტად უკიდევანო იყო ის გეოგრაფიული არეალი,
სადაც საშუალო საუკუნეებში მიჰყავდათ ქართველი ტყვე-
ები.

მკითხველს გვინდა მოვაგონოთ მეთვრამეტე საუკუნის
ქართველი მონაზონი ქალი, თავდადებით რომ ემსახურებო-
და ქართული კულტურის კერებს პალესტინაში, გულის
ძარღვები რომ ასტკენოდა იმ კერების ძნელბედობით და
თავგამოდებით მოუწოდებდა ქართველ მამულიშვილებს პა-
ლესტინისაკენ მიეხედათ. მართას სახე მუდამ დაამშვენებს
ქართველ ქალთა ისტორიას. ასეთ უებარ ამორძალებსაც
მიესადაგება გიორგი ლეონიძის ოქროსიტყვები, თქმული,
ფეელი ქართველი მწიგნობრებისადმი: „დიდება მიწას, რომ
გეაკვანათ, თქვენი მადლი რომ დაუფენია. ნეტა რა ძალამ
ამოაქანა შუქნასხივარი თქვენი გენია“.

საჭიროდ მიგვაჩნია, მოვიტანოთ პატრიოტი ქართველი
ქალის მართას საინტერესო წერილი გრიგოლ კათალიკოსო-
სადმი: „ამისთანა რა გასაჭირი არის, რომ აქაურობა ასრე
დაკარგეთ?.. წამობრძანდით, ამათა აღარ უნდათ ჩვენი კაცი,

* Jean de la Roque Voyage de l'Arabie heureuse. 1716. Amster-
dam. გვ. 217-218

რომ მონასტრები, საქართველო ამათ ჩაიგდეს ხელად და კამენ. რა უანგარიშო საქონელი გამოზიდეს ჩვენი მონასტრების!.. ამანათი არის, ხვალ ზეით პატრონები მოვლენ და ეშურებიან... ნუ იქთ, ნუ დაკარგავთ ამ მეუფის სახლს, ყოველი სული ამისთვის კვდების, რომ აქ ერთის ტრაპეზის დასადები ადგილი იგონოს, და თქვენ სულ იერუსალიმი დაკარგეთ. ეს წმინდა ადგილი სრულიად ქართველის ყოფილა, და ეხლა ლამის რომ სულ გამოვიდეთ. წმიდას საფლავზედ ფრანგნი ეამს სწირავს. ერთის სიტყვით მისცა ხვანთქარმა და ასრე უბრძანა, რაც გურჯის ბატონების ზიარეთი და სალოცავი იყოსო, არა კადროთ რამეო; ხმა დიდი არის მაგ ბატონების და ხათრიც, მაგრამ ერთი ელჩი რომ გამოგზავნოთ სტამბოლს, რა იქნება? დიდი სირცხვილი არ არის ეს, რომ პატიოსანი დიდი წმიდა იაკობის მონასტერი სომხებმა, იშონეს? ხვანთქარი მოატყუეს და ახლა სომეხს აქუს, ბეთლემი ფრანგმა აიღო, მაგრამ მაგათი შიში და მოლოდინი აქეს და ჩვენი სამწირველი ისევ მორთული არის. თუ არ მოხვალთ, დააქევენ. საბრალო პატრიარქმა რა ქნას, თუ ქრისტიანი არ ამოუდგებით? ერთი ელჩი გამოგზავნეთ ხვანთქართან, ისრევ მოგცემსთ. უსაცილოდ გოლგოთასაც და გესამანიას დაიჭირავს ფრანგი, თუ არ მოეშველებით, ამათი კერძო გოლგოთა დაიჭირა, ჩვენი ჯერ კარგათ არის. ერთი თავი ჯვარის მამა გაიჩინეთ, რომ წამოვიდეს, ან ერის კაცი ან ბერი გამოაშურეთ ამ ქვეყანას, თვარამ წახდა საქმე. უსათუოდ შავი ზღვით გამოაგზავნეთ კაცი და საპატრიარქოში და სტამბოლს მოვიდეს და იქიდამა ვეზირი ნახოს, თუ ასრე არა იქთ, ეს მონასტრები და იერუსალიმი დაგეკარგვიან. ნუ იქთ, სხვას ნუ უყურებთ, თავისის ფეხით იარეთ და ვინც ბატონები იყოს ან გურიას ან ოდიშს, ან იმერეთს და ქარ-

თლით, პირობა დასდევით და ამგვარად კრება და ვეზირობა ქენით, თუ იერუსალიმი დაგეკარგვიან, რასლა სჯული და ან რასლა პირჯვრის წერა გექნებათ. მოსკოვმა ვერა ქნა რა. და მანდაური შიში უფროსი მოსდის. მოგვეხმარენით, თავს აღარ იქნა, თხუთმეტი წელი არის პატრიაქი არ მოსულა. ეს უნდა დაუწეროთ ხვანთქრის წიგნშიდ, რომ ანბავი მოვიდა, იერუსალიმი გაგიცემიათქო, ჩვენი ბერი გავგზავნეთქო და სალოცავი, რაც ქართველის არის, ყველა გაგიცემიათქო. ან გაგვათათრე, ან დაგვხოცე და ან სჯულსა და სალოცავს ნუ წაგვართვამთქო, თვარა არ იქნება“.*

მართას წერილი გვახსენებს ფრანგების 1740 წლის შეთანხმებას, რომლითაც სულთანმა ამაგი გადაუხადა ვერსალის კარს რუსეთსა და ავსტრიასთან მძიმე ომში ქმედითი დიპლომატიური დახმარებისათვის. ხსენებული შეთანხმებით, როგორც ცნობილია, ფრანგებმა დიდი გავლენა მოიპოვეს პალესტინის წმინდა ადგილებზე.*

როგორც გერმანელი თურქოლოგი იოზეფ ფონ ჰამერ პიურგშტალი ამტკიცებს, ოსმალეთის სულთნის სელიმ მესამის (1762—1808 წწ.) დედა ქართველი ქალი იყო. თეოფილ გოტიეს ცნობით, ამ ქალის მეზობლეუმი სტამბოლში თვალსაჩინო ადგილზე მდებარეობდა. ეს ავტორი წერს: „ეიუბის გარეუბანი, ოქროს რქის ძირში აღმართული, ატარებს მეჰმედ მეორის თანამებრძოლის სახელს. ეს თანამებრძოლი სტამბოლზე მიტანილი პირველი იერიშისას მოჰკლეს. მას მეჰმედ მეორემ მეჩეთი აუგო. ხსენებული გარეუბანი სკუტარ-

* საქართველოს სიძველენი. ტ. 1, გვ. 37-39 (სტილი დაცულია).

** Saut-Priest, Memoires sur l'Ambassade de France dans le Levant. P. 1877. გვ. 475-523 (ხელშეკრულების ფრანგული პირი).

თან ერთად თურქთა შორის ითვლება საუკეთესო ძვალშესალაგად. ეიუბის მეჩეთიც გარშემორტყმულია სასაფლაოებით. თეთრი მარმარილოთი ნაგები ეს მეჩეთი ყურადღებას იქცევს თავისი სილამაზით და ხუროთმოძღვრების სტილით. თვალს ატყვევებს კოხტა გუმბათები და მდიდრულად მორთულ-მოკაზმული გალერეებით დამშვენებული ორი მინარეთი. ჭადრებით გადაბურულ ერთ-ერთ ეზოში აღმართულია ეიუბის საფლავის ნაგებობა. იქ მუდამ ლაპლაპებს ლამპები. მეჩეთის გარშემო განლაგებულია სელიმ მესამის დედის სულტან ვალიდეს მავზოლეუმი და მარმარილოთი ნაგები საფლავები ჰუსეინ ფაშისა და სხვა მაღალი რანგის მოხელეთა, აგრეთვე მავზოლეუმი შეიხ-ულ-ისლამისა — მუსლიმანური რელიგიის ბელადისა. ეიუბის გარეუბანში აღმართულია მექმედ-ალი ფაშას სასახლე და რკინის ფაბრიკა“. როგორც ვხედავთ, ქართველი დედოფალი — სელიმ მესამის მშობელი, დიდი პატივით დაუკრძალავთ ოსმალებს.

გამოჩენილმა გერმანელმა ისტორიკოსმა იოჰან ცინკაიზენმა ყურადღება მიაქცია ამ ქართველი ლამაზმანის თავგადასავალს. სელიმ მესამის დედას ეს მკვლევარი ეძახის „ულ-რესად ჰკვიან ქალს“ („Sehr Klugen Frau“). ამ ქალბატონს თავისი შვილის გამგებლობის პირველ ხანებში დიდი გავლენა ჰქონია პოლიტიკაზე.*

ცნობილია, რომ ეგვიპტის მამლუქთა სახელოვან ბელადს ალი-ბეის 1768—1769 წლებში მამამ საქართველოდან ჩაუყვანა ულამაზესი და. ეს მზეთუნახავი ალი-ბეიმ თავის უახლოეს თანამებრძოლს მუჰამმად აბუ-ზაჰაბს მიათხოვა.**

* I. V. Zinkeisen, Geschichte des Osmanischen Reichs in Euzopa, Gotha. B. VI-VII, 1859.

** Klod Savary. Lettres sur l' Egypte, Paris t. I. 1785.

ცნობილია, რომ ეგვიპტის მამლუქთა გამოჩენილ ზეღადს, 1768—1773 წწ. დიდი ანტიოსმალური აჯანყების წინამძღოლს — წარმოშობით ქართველს, ალი-ბეის ულამაზესი ცოლი ჰყავდა. იმ ქალს ევროპელი ისტორიკოსები სეტი ნეფისეს უწოდებდნენ. ალი-ბეის დაღუპვის (1773 წ.) შემდეგ იგი დაქორწინდა მურად-ბეგზე, რომელიც წარმოშობით თბილისელი ქართველი იყო. მურადის ქართველობაში გვარწმუნებს ოლგა შარკოვას მიერ მოსკოვის ისტორიულ შუზეუმში აღმოჩენილ საბუთი, რომელიც ადასტურებს ძველ ევროპულ ევრსიას მურად-ბეის ქართულ წარმოშობაზე.

ზოგიერთი მკვლევარი სეტი ნეფისეს წარმოშობით სლავად (მაგალითად — უკრაინელად) მიიჩნევს. ეს აზრი საკიროებს გადასინჯვას. სეტი ნეფისეს ქართველად თელის ფრანგი ისტორიკოსი ფელიქს მენგინი, რომელმაც ეგვიპტეში ოცდაათი წელიწადი გაატარა (რაც თავისთავად მეტყველებს მისი ცნობების კომპეტენტურობაზე)*.

დიდი ეგვიპტელი ისტორიკოსი — აბდ არ-რაჰმან ალ-ჯაზარტის (1756—1825) ვრცელი ქრონიკის რამდენიმე ტომის ნთარგმნელს ხ. ი. კილბერგს განოყენებული ლიტერატურის სიაში დასახელებული აქვს ფელიქს მენგინის მონოგრაფია, მაგრამ არ ჩანს — იცნობს თუ არა მას იგი, რადგანაც, როცა კომენტარებში დედოფალ სეტი ნეფისეს ეხება, კილბერგი არაფერს წერს იმაზე — ეროვნებით ვინ იყო ეს ქალი, ჩქმალავს მის ქართულ წარმოშობას და თავს არიდებს — გამოარკვიოს საკუთარი დამოკიდებულება მენგინის ევრსიასთან. ნეფისეს (ანუ ნაფისას — ჯაზარტისთან) ეროვნულ წარმოშო-

* Felix Mengin. Histoire De l'Egypte sous le Gouvernement De Mohhamed Ali... P. t. II; 1823, გვ. 62-63.

ბას არ ეხება ი. მ. ფილშტინსკიც, რომელმაც თარგმნა და გამოსცა ჯაბარტის ქრონიკის ის ნაწილი, სადაც ბონაპარტეს ექსპედიციაზეა საუბარი.

ფელიქს მენგინი იძლევა ეგვიპტის ხსენებული დედოფლის ბიოგრაფიას, რომლის ქართულ თარგმანს აქვე ვთავაზობთ მკითხველს: „სეტი ნეფისე ქართველი ქალი იყო. მას სახელგანთქმული ალი-ბეი ნაზი სიყვარულით ეტრფოდა და სასახლეც აუგო ეზბეკიეს მოედანზე. ალი-ბეის სიკვდილისთანავე სეტი ნეფისე ცოლად შეირთო მურადმა. ეს კავშირი ეგვიპტისათვის ბედნიერების დღეს მოასწავებდა. ხსენებულმა დედოფალმა ისე დაიპყრო თავისი ქმრის (ე. ი. მურადის — მამაცი და მრისხანე მამლუქი ბელადის. დ. ჯ.) გული, რომ შესძლო მისი მძვინვარე ხასიათის შერბილება და ხშირად შეაცვლევინა მას სასტიკი გადაწყვეტილება. თანდაყოლილი ნიჭის წყალობით სეტი ნეფისემ კარგად შეითვისა არაბული ენა. წიგნების კითხვით გონება გაიმდიდრა. ცოდნის წყურვილით გატაცებამ იგი ააცდინა სულიერ სილატაკეს და ქარაფშუტობას. რაც ესოდენ ჩვეულებრივი რამ არის ინტრიგების საბუღრის — ჰარამხანის კედლებში. შეიხები, მამლუქები. მთელი მოსახლეობა სეტი ნეფისეს უდიდეს პატივს სცემდნენ. ეს დედოფალი კეთილშობილი და გულუხვი იყო, მაგრამ ამით თავი არასოდეს მოჰქონდა. უყვარდა ღარიბ-ღატაკნი. მუდამ მათ ჟომგად იდგა. მაშინაც კი, როცა ამ დედოფლის ვარსკვლავმა ჩასვენება იწყო, მრავალმა ადგილობრივმა საგვარეულომ შეინარჩუნა ის ფინანსური დახმარება, რაც მათ დაენიშნათ მისი ზეობისა და ზღაპრული სიმდიდრის ხანაში. სეტი ნეფისე საზოგადოებრივი აზრის მბრძანებელი იყო. იმ გავლენამ, რაც მან საზოგადოების ყველა ფენაზე მოიპოვა, საზღვარგარეთ გაიტანა მისი პირადი დიდება. ეს დედოფალი

ენერგიულად მთარველობდა მრეწველობას და ვაჭრობას. ამავე დროს მას, რამდენადაც მისი ძალები გაწვდებოდა, ეხერხებოდა — აეცდინა ხალხისათვის მამლუქი ბეგების ძხრიდან დამცირება და შეურაცხყოფა. საფრანგეთის კონსულს ფ. ნ. მაგალონს მთავრობამ დაავალა მიერთმია ნეფისესათვის ალმასებით მოვარაყებელი საათი. ამით გამოხატა ვერსალის საძეგო კარმა მადლიერების გრძნობა ქველმოქმედი დედოფლისადმი. როცა საფრანგეთის არმია ეგვიპტეს შეესია, მურადბეის ქალბატონი არ გადახვეწილა, დარჩა კაიროში და მამლუქთა ინტერესებს ისე თავისუფლად ესარჩლებოდა, რომ ჰეშმარიტად ქების ღირსი იყო. მთავარსარდლები მას ყოველთვის უპირისპირად დიდ პატივს სცემდნენ. სეტი ნეფისე შუაწელად გამოვიდა, როცა ფრანგებსა და მის ქმარს შორის ზავი უნდა დადებულიყო და უეჭველია დიდად შეუწყო ხელი იმას, რომ მხარეთა შორის უცვლელად არსებობდა კეთილი თანხმობა. არმიის წასვლის შემდეგ სეტი ნეფისე სამიზნე გახდა იმ სიძულვილისა, რითაც ოსმალები საერთოდ მამლუქებს გაუმასპინძლდნენ. ყურშიდ-ფაშა არ ერიდებოდა ნეფისეს მიმართ შეურაცხმყოფელ გამოხდომებს. სწორედ ამ დროს იჩინა განსაკუთრებით თავი იმ დაფასებამ, რაც სეტი ნეფისეს მოეხვეჭა შეიხთა შორის და მოსახლეობაში. ეს დედოფალი ახლაც ინარჩუნებდა მათზე გავლენას. მუჰამედალმა მას ჩამოართვა ადგილ-მამულები და დიდი მწუხარება განაცდევინა. „სეტი ნეფისეს ხელიდან გამოეცალა ცხოვრების ყველა სახსარი და სიღატაკეში მოკვდა“.

როგორც ვხედავთ, ცნობილმა ფრანგმა ისტორიკოსმა — ეგვიპტოლოგმა დასაბუთებული აპოლოგია უძღვნა ეგვიპტის მამლუქ დედოფალს, რომელიც საქართველოდან იყო გატაცებული.

ეგვიპტელი მუსლიმანი ისტორიკოსი აბდ არ-რაჰმან ალ-ჯაბარტის მრავალტომიანი წიგნი „წარსულის საკვირველი ისტორია ბიოგრაფიებსა და ამბების ქრონიკებში“* შეიცავს მასალებს, სადაც ბრწყინვალედ დასტურდება ფელიქს მენგინის მონათხრობი. აი, რას წერს ჯაბარტი ნეფისეს, როგორც დევნილთა მოსარჩლის და მფარველის, შესახებ: „ამ თვის ძეხუთე რიცხვის შაბათს (1788. 21. 4) ინბაბაში ბაზარი გაძარცვეს. სწორედ მაშინ ჰამზა-კაშიფმა, მეტსახელად ად-ღუ-ვაიდარი რომ შერქმეოდა, მოჰკლა ბერძენი ქრისტიანი — ოქრომჭედლობის ოსტატი. ამ კაცსა და მის ცოლზე რაღაც ეკვი მიიტანეს. ბერძენი ქრისტიანი დააპატიმრეს და რამდენიმე დღის განმავლობაში აწამებდნენ. მას დათხარეს თვალები, ამოგლიჯეს კბილები, მოსჭრეს ცხვირი. ბოლოს მარწუხებით ამოხადეს სული. იმ ბერძენს წამება დაუწყეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჰასან-ბეი ალჯიდაჯისაგან სათანადო ნებართვა გაიცა. როცა ხსენებული ბერძენი დააპატიმრეს, მის ფარულში არსებული მთელი ქონების — ძვირფასი ნივთების, ოქრომჭედლობის ნახელავთა და სხვა საგნების — საკონფისკაციოდ ჰასან-ბეიმ ხალხი გაგზავნა. ის ქონება ეკუთვნოდა სხვა პირთ. ოქრომჭედლის ცოლი გაეყარა ქმარს, რადგანაც მისი მოკვლაც უნდოდათ. ეს ქალი გაიქცა ქალბატონ ნეფისასთან — მურად-ბეის ცოლთან“.

არაბი ისტორიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს სეტი ნეფისეს დიდ აღმშენებლობით საქმიანობას, კერძოდ, მისი სიტყვით ამ დედოფალმა კაიროში საზოგადოებრივი შადრევნები ააგებინა. მენგინის ცნობას ქართველი დედოფლის სათნოებაზე

* Абд Ар-Рахман Ал-Джабартн. Египет под властью Мухаммада Али. 1963. გვ. 258—259, 412, 420, 485 და სხვ.

ეს არაბი ისტორიკოსი ადასტურებს. იგი წერს, რომ ნეფისე იყო „ცნობილი თავისი გულკეთილობით“.

მენგინის ცნობას სეტი ნეფისეს გულუხვობის შესახებ ადასტურებს არაბი ისტორიკოსის შემდეგი გადმოცემა, რომელიც 1808 წლის ეპიზოდს შეეხება: „ომარ-ბეი დაქორწინდა ქალბატონი ნეფისა ალ-მურადიიას ერთ-ერთ მონა ქალზე. ნეფისამ თავის ანგარიშზე მდიდრული მზითევი გაატანა ამ მონას“.

ფრანგი მკვლევარის ცნობებს სეტი ნეფისესთან ნაპოლეონ ბონაპარტისა და ეგვიპტეში მისი მემკვიდრე გენერლების ლოიალობის თაობაზე ნათლად ადასტურებს ჯაბარტი: „ფრანგებმა გამოაცხადეს, რომ ამირების ცოლებს აღუთქვამდნენ უშიშროების გარანტიას. ამ ლამაზმანებს შეეძლოთ საკუთარ სასახლეებში ეცხოვრათ, ოღონდ ვალდებულნი იყვნენ დაუყოვნებლივ გაეთქვათ თავიანთი ქმრების ქონების სამალავები. თუ ხსენებულ ქალბატონებს არ გააჩნდათ მათ ქმართაგან დანატოვარი მატერიალური ავლადიდება, ნება მიეცათ კონტრიბუციის გადახდის შემდეგ თავ-თავის ბინებში დაბრუნებულიყვნენ... მურად-ბეის მეუღლეს — ქალბატონ ნეფისას და მის მხლებელ ბანოვანთ — ამირების და კაშიფების თანამოსაყდრეებს შეაწერეს თავისუფლების გამოსასყიდელი, რაც შეადგენდა ასოციათას ფრანგულ რეალს. ამ გადასახადის ასაკრეფად ნეფისას და სხვა ამირათა ცოლებს შინ მიუგზავნეს საგანგებო მოხელენი — ქრისტიანი სირიელები და ადგილობრივი წარმოშობის (ე. ი. ეგვიპტეში დაბადებული დ. ჯ.) ევროპელები“.

იგივე არაბი ისტორიკოსი ჯაბარტი ამტკიცებს, რომ მას შემდეგ, რაც ფრანგებმა მურად-ბეისთან ზავი დასდეს და მას ზემო ეგვიპტის გამგებლობა უბოძეს (1799 წელი), მის

ცოლს ნეფისას ყოველთვიური შემწეობის სახით დაუნიშნეს ასი ათასი ფარა (ე. ი. დაახლ. ათას ხუთასი მანეთი. დ. ჯ.). როცა მურად-ბეი გარდაიცვალა (1801 წ.), იმავე ჯაბარტის თქმით, სეტი ნეფისეს ეგვიპტეში მყოფი ფრანგთა არმიის მთავარსარდალმა აბდულაჰ მენუმ ყოველწლიურ პენსიად დაუნიშნა ას ორმოცი ათასი ფარა, (ე. ი. ორი ათას ასი მანეთი).

ჯაბარტის გადმოცემით, როცა ფრანგ ხელისუფალთ მოახსენეს — ზემო ეგვიპტეში დისლოცირებული მამლუქი ბელადები მურად-ბეის სიკვდილის შემდეგ მორჩილებიდან გამოვიდნენ და ნილოსის დასავლეთი სანაპიროს გზებით ქვემო ეგვიპტისაკენ მოეშურებიანო, ამ ხელისუფლებმა დაამშვიდეს ნეფისა, რომ მისი და სხვა მამლუქი ქალბატონების უშიშროება დაცული იქნებოდა და ქმრების მოქმედების მიზეზით არავინ დაისჯებოდა. საყურადღებოა, რომ ფრანგთა კომენდანტი თვითონ ეახლა სეტი ნეფისეს.

მენგინის მტკიცებას მუჰამედ ალის მიერ სეტი ნეფისეს პიროვნული იმუნიტეტის შელახვის შესახებ ბრწყინვალედ ადასტურებს ზემოხსენებული არაბი ისტორიკოსი. უკანასკნელი მოგვითხრობს, რომ 1809 წ. 29 მაისს, ორშაბათს, გამოვიდა ფაშას ბრძანება — ბულაქში* მყოფ მის ცოლს იქ ოთხშაბათ დილით უნდა შეხვედროდნენ მაღალი რანგის ქალები და ყველანი, რომლებიც მულტაზიმების (ფეოდალები) სიებში მოიხსენიებოდნენ. ქალბატონმა ნეფისა აღ-მურადიიამ ბოდიში მოიხადა, რომ ავადმყოფობის გამო სიარული და გარეთ გამოსვლა არ ძალუძდა. მაგრამ ამ ბოდიშს და იმ ქალბატონის მდგომარეობას არავითარი ანგარიში არ გაუწიეს.

დედოფალი სეტი ნეფისე მაღალადამიანური ღმობიერების და სიკეთის ობოლი სხივი იყო აღვირახსნილი ფეოდალუ-

* კაიროს გარეუბანი.

რი ტირანიის სამყაროში (ეს სამყარო ოსმალთა ორსაუკუნე-
ნახევრის ბატონობამ შექმნა. ოსმალთა რეჟიმის დროს მოხ-
და მამლუქთა ინსტიტუტის გადაგვარება. მოისპო „მამლუქის“
წოდების თაობიდან თაობაზე გადასვლის დემოკრატიული წე-
სი, ინდივიდის უნარის პრიმატს რომ ემყარებოდა. პრაქტი-
კაში დაინერგა შთამომავლობითი მამლუქობა — მამიდან
შვილზე „მამლუქის“ წოდების გადაცემა. ოსმალებმა შეიტა-
ნეს ეგვიპტეში გაუგონარი კორუპცია. მათვე შექმნეს პირო-
ბები მამლუქთა ზედაფენის დეცენტრალიზაციისათვის, დაპი-
რისპირებული დასების კულტივირება ოსმალეთის სულთანთა
პოლიტიკის ქვაკუთხედი იყო).

გვაგონდება კონსტანტინ ფრანსუა შასებო ბუაჟირე დე
ვოლნეის მტკიცება: ეგვიპტის მაღალი თანამდებობის მამ-
ლუქები ცოლებად თაკილობდნენ ადგილობრივ ლამაზმანებს
და ამჯობინებდნენ საქართველოდან ჩამოყვანილ მზეთუნახა-
ვებზე დაქორწინებასო. რუსული საარქივო ცნობებით ვლინ-
დება, რომ ოსმალეთის სულთნის ერთ-ერთმა ქართველმა
ცოლმა 1785—1786 წლებში გადამწყვეტი როლი შეასრულა
იუსუფ-კოჯას დიდ ვაზირად გამოცხადებაში. ეს იუსუფი იმ
დედოფლის დეიძლი ძმა ყოფილა.*

კლოდ სავარიმ თავის წიგნში „წერილები ეგვიპტეზე“ სა-
განგებო თავი დაუთმო ქართველი მზეთუნახავის გაქცევას
ეგვიპტელი ბეგის ჰარამხანიდან.

პალესტინის უსასტიკესი გამგებელი ჯეზარ ფაშა კარგად
არის ცნობილი ისტორიკოსთათვის. იგი ფაშალიკს განაგებდა
მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეთა მიჯნაზე. მის უთვალავ

* Архив внешней политики России, фонд «Сношения России с
Турцией» д. № 669. ფურც. 3—10.

დანაშაულებრივ აქციებს, როგორც ფრანგი ისტორიკოსი ფელიქს მენგინი შენიშნავს, დაემატა ერთი საზარელი ფაქტიც: მან აღმოაჩინა, რომ ბევრი მისი მამლუქი ინტიმურად დაკავშირებოდა მისი ჰარამხანის ქართველ ლამაზმანებს. ყველა მამლუქს ჯეზარ-ფაშამ ცხვირები დასჭრა და ქვეყნიდან გააძევა, ხოლო ქალები, იმ მამლუქთაგან ფეხმძიმედ რომ იყვნენ, ჯალათებს საბლით გააგუდვინა და ზღვაში გადააყრევინა. ესოდენ შავბნელი საქციელით გაშმაგებულმა ძველმა მამლუქებმა ალყა შემოარტყეს ჯეზარ-ფაშას მის სასახლეში. მაგრამ ამ ფაშას მზაკვრობა და ეშმაკობა უხვად ჰქონდა მომადლებული. მან ჯარისკაცულ სამოსელში გამოაწყო მუშები, ციხეში რომ ჰყავდა დასაქმებული; განალაგა ისინი გალავნის ბურჯებზე მეზარბაზნეთა გვერდით და მოჯანყებებს მოაჩვენა — თითქოს მრავალრიცხოვანი გარნიზონი ჰყავდა. მოალყევებმა იფიქრეს — აქ საკვირველი, მაგიური მოქმედება არისო, ნოქნეს ალყა და ჯეზარს დამორჩილდნენ.

ადელ ჰომაირ დე ჰელი მოგვითხრობს* იმ ქართველი მზეთუნახავის ამბავს, სტამბოლში თავისი მოგზაურობის დროს რომ გაიცნო და შემდეგ 1870 წელს პარიზში გამოცემული წიგნით მთელს ევროპას წარუდგინა. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საყოველთაოდ გავრცელებული აზრით, „ქართველი ქალი“ და „ულამაზესი ქალი“ შინაარსით იდენტური ტერმინები იყო. იგივე ავტორი წერდა: მსოფლიოში ყველაზე მეტი მომხიბლაობა მცირე აზიელ ქალებს აქვთ და ეს მათი ბუნების არსს შეადგენსო. ცხადია, აქ ავტორი გულისხმობდა ტრაპიზონის, არზრუმის, ყარსის და არდაგანის, ტაოსა და კლარჯეთის ქართველ ქალებს. ტექსტის სხვანაირი გაგება

* Adele Hommaire De Hell. A travers Le Monde... 1870, გვ. 50—63.

ნიშნავს ავტორს დაეწამოთ შინაგანი წინააღმდეგობრიობა — ას შერვე გვერდზე იმის უარყოფა, რასაც წერს ორძოცდამეათე-სამოცდამესამე გვერდებზე.

რუსული წყაროებით ცნობილია, რომ ვალერიან ზუბოვმა (რუსთა ოცდაათიათასიანი საექსპედიციო კორპუსის სარდალმა კასპიისპირეთში 1796 წლის ლაშქრობის დროს) სამშობლოში დაბრუნებისას ქართველი ტყვე ქალი წაიყვანა რუსეთში. იმ ტყვე ქალისაგან წარმოსდგა რუსთა წარჩინებული საგვარეულო. უკანასკნელმა რუსეთს გამოჩენილი მოღვაწეები მისცა.*

ინგლისელი კონსულის ცოლისდა მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში ათ წელიწადს ცხოვრობდა ჩრდილოეთ აფრიკაში — ტრიპოლიტანიის ამირას კარზე. აქ გაეცნო იგი ამირას დაახლოებულ პირს — გამოჩენილ არაბ დიპლომატს ჰაჯი აბდარაჰიმანს და აღწერა უკანასკნელის ჭკუა-გონებით განთქმული ცოლის — ქართველი ქალის თავგადასავალი (მეთვრამეტე საუკუნის ოთხმოციანი-ოთხმოდდაათიანი წლების ამბებში). შემდეგ ეს ბიოგრაფია მაკარტიმ გამოსცა ორტომიან წიგნად. უკანასკნელის ფრანგული თარგმანი 1819 წელს დაბეჭდეს პარიზში.

უნდა შევნიშნოთ, რომ თხზულების ავტორი ქართველ ლამაზმანს „ბერძნად“ ნათლავს და ამ შემთხვევაში გულისხმობს ქალის თავდაპირველ სარწმუნოებას — ბერძნულ რჯულს (ე. ი. მართლმადიდებლურ ქრისტიანობას), თუმცა სრულიადაც არ ეპარება ექვი ხსენებული მზეთუნახავის ქართულ წარმოშობაში. მართლაც, წიგნში არაერთხელ არის მოხსენიებული ტრიპოლიტანიელი დედოფლის ქართველობა და მისი ურთიერთობა საქართველოსთან, იქ დარჩენილ ბელჯრულ დედ-მამასთან.

* Русский Архив, 1894, кн. I, № 1—3, გვ. 119—219.

აქ მოვიტანთ ერთ ფრაგმენტს წიგნიდან,* აგრეთვე — წიგნის შინაარსის მოკლე მიმოხილვას.

„მე მჯერა, რომ ერთი ბერძენი მზეთუნახაეის ამბავი, მის შიერვე მოთხრობილი, გამოიწვევს თქვენს ინტერესს. ეს ქალი არის მეუღლე ელჩ ჰაჯი აბდარაჰმანისა, ვისაც თქვენ მალე ლონდონში ნახაეთ. ეს ელჩი არის დიდად განათლებული პიროვნება, მონახულებული და შესწავლილი აქვს ევროპის მრავალი პირელი რანგის სასახლის კარი. მისი ბრწყინვალე საქმიანობით აღფრთოვანებულმა ბევრმა მონარქმა უბოძა მას სხვადასხვა სახის ძვირფასი წყალობა. ლამაზი ბერძენი (ე. ი. ჰაჯი აბდარაჰმანის ქართველი მეუღლე. დ. ჯ.) ყველასთან თავს იწონებს ქმრის ასეთი დამსახურებით. აქ მან (ჰაჯი აბდარაჰმანმა. დ. ჯ.) მოიხვეჭა დიდი ავტორიტეტი და საყოველთაო სიყვარული, როგორც ქრისტიანთა ისე მავრთა შორის, საკუთარი ოჯახი ხომ აღმერთებს მას და ის არის. იმ ბერძენმა ქალბატონმა ჩვენ უაღრესად საინტერესოდ მოგვითხრო თავის ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდი. მან ჩვენ პაემანი დაგვინიშნა. მისი ჩაცმულობა უაღრესად ფაქიზი და სანაქებო იყო და ეს ქალი არაჩვეულებრივად ლამაზი ჩანდა. მას მავრიტანულად ემოსა, მაგრამ ამით იგი კმაყოფილებას ვერ გრძნობდა. მან ამოიოხრა და თქვა — ხელი ავიღე ბერძნული (ე. ი. ქრისტიანული, დ. ჯ.) ტანსაცმლის ტარებაზე მაშინვე, როგორც კი მიმალეზინეს მაჰმადის რჯულით. სხვა სარწმუნოებაზე მოქცევა ქორწინების დღეს მომხდარა. ყოველ შემთხვევაში, ეს ქალი, რამდენადაც შესაძლებელია, თავს არიდებდა ყველა დამატებით რიტუალს, რასაც მავრი ქალე-

* Maccarthy, Voyage à Tripoli... t. I, P, 1819, გვ, 119-133 (თარგმანი ინგლისურიდან).

ბის მორთულობა და მოკაზმულობა მოითხოვდა. ამ ქალბატონის ბრილიანტები სხვა ბრწყინვალეებს გამოსცემდა, ვიდრე მავრი ქალებისა. თავის მოწონების ყველა საშუალება, რასაც ეს ქალი იყენებდა, ბუნებრივი იყო და კეთილშობილების იერს ანიჭებდა მის ფიზიონომიას. ყველა კომპლიმენტი, რითაც ჩვენ, მისი მომხიბლაობის შემყურენი, ჩვენს ალტაცებას გამოვხატავდით, მასში დიდ წუხილს იწვევდა. ამ შემთხვევაში იგი სინანულით ამბობდა: თქვენი შექება მწარე მოგონების ბურუსში მხევეს, თვალწინ დამიდგება ჩემი წარსული სილამაზე, მშვენება მაშინდელი, როცა აბდარაკჰმანმა მიყიდაო. ეს სინანული იმდენად გულწრფელი იყო, რომ მოწმობდა მისი აღზრდილობის მაღალ კულტურას, ამ დროს იგი სავსებით თავისუფალი სჩანდა იმ ბავშვური თავმოწონებისგან, რასაც მის ადგილას სხვა ქალი ვერ აცდებოდა. ქალბატონი, რომლის შესახებაც მოგითხრობთ, წინდახედული და გონებადამჭდარი, ფრიად გულითადი და თავაზიანი, ტანადი და უაღრესად ლამაზი აღნაგობისა იყო. მომხიბლავი ცისფერი თვალებითა და პატარა თეთრი კბილებით. მისი ფიზიონომია, თუმცა ცოცხალი და ჭკვიანური, თავის თავად წარმოადგენდა უმანკოების განსახიერებას. ჩვენთან შეხვედრისას ის ჩაცმული იყო იმდენად მდიდრულად, რამდენადაც ამის საშუალებას იძლეოდა მავრებში მიღებული წესი. სხეულის ზემო ნაწილზე ემოსაცისფერი გამჭვირვალე მოსასხამი — ე. წ. „ბარაკანი“, მხრებთან ბრილიანტების ნასკვით შეკრული. მკლავებზე ოქროს ორმაგი სამაჯურები უელავდა. ქულისულ ოქროსი ეხურა და ზედ ძვირფასი ქვებით მოოჭვილი შავი სახევეი ჰქონდა შემოყოლებული. მოკაზმულობას აგვირგვინებდა ალმასის, მარგალიტისა და სხვა ძვირფასი ქვების ექვს-ექვსი საყურე. მთელი ჩვენი ვიზიტის განმავლობაში ორი

შაჯანიანი მონა ქალი ფერხთით ეჭდა ამ ლამაზმანს. ისინი მას აჩრდილივით ყველგან თან დაჰყვებოდნენ, სადაც წავიდ-წამოვიდოდა. ორი სხვა მხევალი სულ ზურგში ედგა ლამაზ-მანს. არცერთი მავრი ქალი არ ცხოვრობს ისეთი ბრწყინვა-ლებით როგორც ბერძენი (წაიკითხე: ქართველი, დ. ჯ.) და ჩერქეზი ლამაზმანები. აბდარაჰმანმა რამდენიმე წელიწადი სიქვრივეში გაატარა, მის უდროოდ გარდაცვლილ თანამე-საყდრეს შრავალი ბავშვი დარჩა. მავრმა დიდკაცმა, ხელახლა ცოლის თხოვა რომ გადაწყვიტა, არჩევანი შეაჩერა არა თავის ტომის ლამაზმანზე, არამედ შაჯანიან მონა ქალზე, რომელიც მისი აზრით, დიდი მზრუნველობით მოეკიდებოდა მინდობილ ოჯახს, ხელახალი გაყიდვის, ანდა მოკვლის პერსპექტივით დაშინებული. სწორედ ამ დროს ხსენებულ მავრ მაგნატს აზ-რად მოუვიდა გამგზავრება ლევანტში,* რათა იქ ერთი ბერ-ძენი (ე. ი. ქართველი, დ. ჯ.) ქალი თავისთვის ამოერჩია, ხო-ლო მეორე — ძმისწულისათვის. საბედო ლამაზმანთა ძიების დროს აბდარაჰმანი გადაეყარა ორ უცხო ასულს — დებს, თანაბრად პირმშვენიერნი რომ იყვნენ. ბევრი მავრი უარს იტყოდა დების ყიდვაზე, შეტადრე — თუ ისინი ერთსა და იმავე ოჯახში შეჰყავდა საპატარძლოებად, მაგრამ კეთილი ბუნებით დაჯილდოებული აბდარაჰმანი სრულიადაც არ ჰგავდა ექვიან და შურიან მავრს. ამიტომ იგი იმედოვნებდა, რომ, თუ ბედნიერება ეწერა, ამ ორ ლამაზმანში შესძლებ-და აღედგრა სიყვარულის გრძნობა, როცა თვითონ მათი ზია-რი ზრუნვა — ყურადღების საგანი შეიქნებოდა. აბდარაჰ-მანმა გადასწყვიტა დალოდებოდა იმ საათს, როცა გამოიკვე-თებოდა რომელიმე დის უპირატესობა მისდამი სიყვარულში

* ახლო აღმოსავლეთი.

და მას მიეცემოდა საფუძველი ცოლად დაესვა ერთ-ერთი მათგანი, ხოლო მეორე ძმისწულისათვის მიეთხოვებინა“.

უცნაური რამ მოხდა! გარიგება ორივე ლამაზმანის თაობაზე დაიდო ამნანის (ასე დაერქვა მავრთა ენაზე აბდარაჰმანის მომავალ ქართველ მეუღლეს. დ. ჯ.) მამასთან თვით ამ ასულის თანდასწრებით, და ამნანი გაიყიდა უფრო ძვირად, ვიდრე მისი და, რადგანაც მას (ამნანის) შეეძლო ხატვა, სიმღერა და მუსიკის ნიჭი ჰქონდა. დედ-მამამ თავიდანვე იზრუნა ამნანის ბუნებრივი ტალანტის განსავითარებლად, რადგანაც, როცა ქართველს ქალიშვილი შეეძინებოდა, ინგლისელი ავტორის აზრით, მშობლის მთელი იმედები იმ ქალიშვილის ნიჭზე იყო დაფუძნებული. ქართველი ასულს განიხილავდა, როგორც წმინდა სპეკულაციის ობიექტს. ინგლისელი ავტორი განაგრძობს: ტალანტს მოკლებული სილამაზე ბაზარზე უპირატესობას არ იძლევა და ასეთი ქალი უბრალო მონას უთანაბრდება. ქალიშვილის დაბადებისთანავე მშობლები ყველაფერს ღონობენ, რათა მასში ხელოვნური, თუ ბუნებრივი გრაცია დააბუდონ, მუსიკაც შეასწავლონ მას, სულერთია, ეოკალური იქნება, თუ ინსტრუმენტალური, გაწაფონ ხელგარჯილობაში, ერთი სიტყვით — განუვითარონ ყველაფერი, რაც კი მის მომხიბვლელობას გაზრდის. ამნანი ენთუზიასზმით მოგვეთხრობდა თავის სამშობლოზე, უწოდებდა მას ვრცელ ბალნარს, დედამიწის ყველაზე მდიდარ კუთხეში მდებარეს, სადაც უძვირფასესი ყვავილები და ხეხილი ბუნებრივად ხარობს. იმ ქვეყნის ბინადარნი აყენებენ ისეთ ღვინოებს, ქვეყნიერებაზე რომ ბადალი არ მოეპოვება, თანაც — იმდენს, რამდენსაც მოისურვებენ. საამისოდ ისინი იყენებენ მთელი დაკრეფილი ყურძნის ნახევარს. ეს ყურძენი მოუვლელადაც მშვენივრად ხარობს და ყველა ბორცვი დაუფა-

რავს. ამნანი, როგორც ინგლისელი ავტორი ირწმუნება, მღელვარებას ვერ იკავებდა, როცა თავის თანამემამულე ლამაზმანთა სასტიკ ხვედრზე ლაპარაკობდა. მონებად დაბადებულთ, ბორკილები ელოდებათო აკვანში. ადამიანის გრძობაჩაკლული დედა მოუთმენლად ადევნებს თვალს თავისი ბავშვის სილამაზის ამომავალ ვარსკვლავს. ამ უკანასკნელის მომხიბვლელობის ყოველი შტრიხი მას ალავსებს სიხარულით, რაც გამოწვეულია არა დედობრივი სიყვარულით, არამედ, ჰოი სიმახინჯევ, — საზიზღარი იდეით, მოიხვეჭოს ოქრო, ასული რომ მისცემს მას მოზრდილ ასაკში, როცა გულუხვ მუშტარზე გაიყიდება. დედა ამ შემთხვევაში დედინაცვლის როლში გამოდის, და იგი უცდის ფასის შეთავაზებას გარკვეული წრის ოსმალთაგან; უკანასკნელთ ჩვეულებად აქვთ შეისყიდონ ეს ბედკრული ლამაზმანები არა თავისთვის, არამედ მონებით მოვაჭრეთათვის, ანდა წაიყვანონ ისინი სხვა ბაზრებზე, სადაც იმედოვნებენ, დიდი სარფით მიჰყიდონ განწირული მზეთუნახავები ცბიერ ვაჭართა ბრბოს. ამ ქმნილებათა შორის ისინი, ვისი მშობლებიც გრძობებებით არ ჰგვანან თანამემამულეთა უმრავლესობას, ანდა საკმაოდ მდიდრები არიან და ამიტომ არ ეწევიან შვილებით ვაჭრობას, ხლებიან აგრეთვე ასეთივე სასტიკი, ანდა კიდევ უფრო უარესი ხვედრის ადამიანებად. მათ იტაცებენ ოსმალთა ქურდული ბანდები, რომლებიც შესევებს აწყობენ მათ ქვეყანაში, რათა ხელთ იგდონ ქალები. და, ამრიგად, იაფად იშოვონ ეს მსოფლიოში ულამაზესი ქმნილებანი. ხსენებული ყაჩაღები ცხენებით იტაცებენ მშობლიური ბინებიდან შორს გასულ ქართველ ლამაზმანებს, რომელთაც რამდენიმე შინაური მხეველიდა ახლავთ. მოტაცებულ ქალს ცხენზე შემოისვამენ, თითქოს ხარახურა საგნების შეკვრა იყოს და ელვისებური სისწრაფით

ოსმალეთისაკენ მიაქროლებენ. თურქები შესევებს ანხორცი-
ელებენ ისეთი ტემპით, რომ ვერავენ ახერხებს მათ დროზე
შემჩნევას და ბედკრულ ტყვეთა გამოხსნას. უკანასკნელნი
იძულებული არიან უდაბნოებზე ნაძალადევი, საშინელი და
მრავალდღიანი მოგზაურობის მთელი სიმწარე იგემონ, ვიდრე
ახალი ბინადრობის ადგილს მიაღწევდნენ. ყაჩაღები მხოლოდ
რმაზე ზრუნავენ, რომ თავიანთ მსხვერპლს მისცენ საზრდო
და წეულებათაგან დაიფარონ; ამ შემთხვევაში, იქმნება ისე-
თი ვითარება, თითქოს საქმე შეეხებოდეს პირუტყვების ჯოგს.
ნეჯოგენი, რემას, თუ ჯელგას პატრონები, ხომ დაინტერესე-
ბული არიან, რომ პირუტყვის დაცემამ, ანდა სიგამხდრემ არ
შეამციროს ის სარფა, პირუტყვთა გაყიდვით რომ გამოელიან.
დაღლა და განსაცდელი, რასაც ტყვე ქალები მოგზაურობის
დასაწყისში განიცდიან, ხშირად საბედისწეროდ მოქმედებს
მათი სხეულის მდგომარეობაზე და მომტაცებელთა თვალში
მათ ფასს ამცირებს. როგორც კი ყაჩაღები თავს სამშვიდო-
ბოზე იგრძნობენ, ტომრებში ამწყვედევენ თავიანთ ტყვეებს,
რათა მზემ და სხვა ფაქტორმა არ ავნოს ტურფა ქმნილებათა
მშვენებას, ასეთი ტომრები იმ ყაჩაღებს მუდამ თან აქვთ;
რა წარმოუდგენელიც არ უნდა გეჩვენოთ თქვენ ყველა ეს ტან-
ჯვა-წამება, — შიმართაჲს მეგობარს ინგლისელი ლედი, მალე
მოგიტხრობთ სხვა ბერძენი (წაიკითხე: ქართველი. დ. ჯ.) ქა-
ლის ამბავს, რაც იქნება ლილა ამნანის ისტორიის გაგრძელე-
ბა. ის სხვა ქალი ახლა ცხოვრობს აქ და მანაც გამოსცადა
ყველა ტანჯვა, რაც ამნანიმ დაგვისურათა.

ამნანი, განაგრძობს ინგლისელი ავტორი, არის მავრიტა-
ნული სახელი, რომელიც მიანიჭეს ქართველ ლამაზმანს აბ-
დარრაჰმანზე დაქორწინების დროს. იგი ძლივს იქნებოდა
ჩვიდმეტი წლისა, როცა თავის უმცროს დასთან ერთად აღექ-

სანდრი. ში ჩამოიყვანეს: აბდარაჰმანმა თავდაპირველად ყურადღება მიაქცია იმ უმცროს დას და ანნანი სავსებით უგულვებელყო. ტრიპოლიტანიაში ჩასვლისთანავე ამნანის და სრულიად გულგრილად უყურებდა მთელს იმ თადარიგს, რაც აბდარაჰმანის ოჯახში გაჩაღებულყო მის მისაღებად, მაშინ, როცა ამნანი ვერ მალავდა ცრემლებს აბდარაჰმანის ძმისწულ სიდი მუსტაფასთან მიძი შეხვედრის დღის დადგენისას. ეს შენიშნა აბდარაჰმანმა და სწორედ მაშინ იყო, როგორც თვითონ ამნანმა თქვა, რომ აბდარაჰმანმა მკაცრი მზერა ესროლა ორივე დას, უბრძანა თანვე მათ დარბაზს გასცლოდნენ და მოესვენათ. აბდარაჰმანის სხვა მკაცრი მზერა ამნანის არ ახსოვდა. ამის შემდეგ საკმაოდ დიდი ხანი გამოხდა და დებს არაფერი სმენიათ თავიანთ ბედ-იღბალზე. ორივე მწარე საგონებელში ჩავარდა. შიშობდნენ და ცახცახებდნენ, როცა გაიფიქრებდნენ — ვაი, თუ ხელმეორედ გაგვიდონო. განსაკუთრებით დარდობდა ამნანი. მას უყვარდა აბდარაჰმანი. ორივე ლამაზმანთან ხელახალ შეხვედრაზე მაგრმა დიდკაცმა ამნანის და წარუდგინა თავის ძმისწულს, ხოლო ამნანის სთხოვა — შენი თავი ჩემი შვილების დედად ჩასთვალე და მათზე ზრუნვით დამიმტკიცე, რომ ჩემი ერთგული ხარო. იმ ხანებში, ამნანი, როგორც თვითონ განაცხადა ინგლისელ ლედისთან საუბარში, ბედნიერების ზენიტზე იდგა და სწორედ ამ ზენიტზე დგომისას იგრძნო, რომ მამაცობა ღალატობდა. მან ასე წარმოიდგინა, რომ ფიზიკურად ძლიერ შეიცვალა, რადგანაც ზღვაზე მოგზაურობით გამოწვეულ დაღლილობას ჯერ კიდევ მთლად არ გაეფლო. უფრო მეტად იმას შიშობდა, რომ მომავალში კიდევ მეტად მკვეთრი ცვლილებანი არ მომხდარიყო მასში, თორემ შეიქმნებოდა საფრთხე ერთბაშად დაეკარგა ტკბილი

ცხოვრება — მისთვის ყოველივე სანატრელის უხვად მოკ-
ნიჭებული. ამნანის სჭირდებოდა ყველაფერი ელონა, რათა
წიქლო მხიარული და კმაყოფილი ადამიანის იერი, რომ აბ-
დარაჰმანის მეგობრები დაერწმუნებინა ქმრის ოჯახისადმი
თავის უსაზღვრო ერთგულებაში. ეს ოჯახი მცირეწლოვანი
ბავშვებისაგან შესდგებოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ
უფროს ასულს: უკანასკნელი ამნანის კბილა იყო და მამის
ფავორიტი. ამნანი მავრების ენაზე ერთ სიტყვასაც ვერ ლა-
პარაკობდა. იგი იყო ბერბერულ ოჯახში გადანერგილი ქრის-
ტიანი. აქ ერთადერთი განათლებული კაცი, ვისთანაც მას
შეეძლო ესაუბრა, აბდარაჰმანი აღმოჩნდა. უცხოეთიდან
უკანასკნელის ჩამოსვლის პირველი დღეები ამნანმა გამოიყე-
ნა იმისათვის, რომ მავრი ქმრის მახვილ თვალს ვერ ენახა ვე-
რაეითარი კვალი იმ დეარძლისა, რითაც მას (ამნანის) უმას-
პინძლდებოდნენ აბდარაჰმანის ოჯახის ქალები. ამნანი სწო-
რად ფიქრობდა, რომ მის უკმაყოფილებას, როგორც არ უნდა
ყოფილიყო ამ უკმაყოფილების მიზეზი, შეეძლო კიდევ უფრო
გაეღიზიანებინა ის ქალები და საბოლოო ანგარიშით. უფრო
გაერთულებინა მისი მდგომარეობა. იგი ნებაყოფლობით დას-
თმობდა მათი განუწყვეტელი ვიზიტების მასპინძლობას, თუ
მათის მხრიდან გამოცდებს და შემოწმებებს როგორმე თავს
დააღწევდა. აბდარაჰმანის შიშითაც მას ცუდად ვერავინ მო-
ექცეოდა, მაგრამ ამნანი მაინც მონის მდგომარეობაში რჩე-
ბოდა. რაც მას უკარნახებდა მოწინებით შეესმინა ზემოხსე-
ნებულ ქალთა რჩევა-დარიგებანი (ის, რასაც ეს ბანოვანები
მას ურჩევდნენ, ხშირად ეწინააღმდეგებოდა მის ინტერესებს).
ბოლოს და ბოლოს ამნანიმ მოიპოვა აბდარაჰმანისა და მისი
ასულის ღილა იუდიუციას საკმაო ნდობა, რათა მოქმედების
თავისუფლებას ღირსებოდა. მავრმა დიდკაცმა ამნანის მალე

უბოძა ეს უპირატესობა. ასე სჩანდა: აბდარაჰმანს უკვე იმდენად სჯეროდა ამნანის სიკეთენი, რომ რითაც არ უნდა დაეჭილდოვებინა, იგი ვერ შეძლებდა ამ სიკეთეთა დაფასებას და სათანადო ერთგულებით მას ვერასოდეს გაეპასუხებოდაო, ამტკიცებს ინგლისელი ლედი; ბოლოს, უსაზღვრო ნდობის ნიშნად, აბდარაჰმანმა ამნანის უბოძა ისეთი თავისუფლება, როგორც სრულიად ახალი რამ იყო მავრთა შორის — ნებადართო მას მიეწერა წერილები მეგობრებთან და მიეღო საპასუხო წიგნები. ეს წყალობა ამნანის ებოძა მავრ დიდკაცთან ოფიციალური ქორწინების შემდეგო, ამტკიცებს ინგლისელი ავტორი. ქორწილი, გამართული ამნანის ტრიპოლიტანიაში ჩასვლიდან ერთი წლის შემდეგ, უდიდესი ბრწყინვალეობით და ზარ-ზეიმით გამოიჩინოდა, იგი დაემთხვა ვაჟიშვილის დაბადებას. ინგლისელი ავტორი იუწყებოდა, რომ ის ვაჟიშვილი ცოცხალი იყო მისი წიგნის გამოცემის დროს (ე. ი. ძეცურამეტე საუკუნის პირველ დეკადაში). ამნანის ეს ყრმა ზღაპრული მშობლიური სიყვარულით უყვარდა, ამ სიყვარულს საფუძვლად ჰქონდა ის მოტივიც, რომ ყრმის დაბადებამ სწრაფად დაუდო ზღვარი დედის მონობას, აქცია იგი აბდარაჰმანის ნამდვილ მეუღლედ და დააყენა ტრიპოლიტანიის სამეფოში ისეთ დონეზე, რაც საშუალებას იძლეოდა ქვეყნის მბრძანებლის სასახლის კართან ახლოს ყოფილიყო. აბდარაჰმანმა ამნანი წარუდგინა ამირას ნათესავებს, ვითარცა ისეთივე ღირსი მბრძანებლის პატივისცემისა, როგორც თვითონ იყო. ამნანი მიიყვანეს ლილა კებიერასთან. ეს უკანასკნელი დიდხანს ლოიალურად ემსახურებოდა სასახლის კარზე ტრიპოლიტანიის ფაშას და დიდი უფლებები ჰქონდა მოხვეჭილი. მან ლილა ამნანი (ქართველი მზეთუნახავი) უაღრესად თვალისმომჭრელი ბრწყინვალეობით მიიღო.

შინ ბედნიერს, სასახლეში დიდად დაფასებულს, ძლიერებითა და ძალაუფლებით მალა მდგომს ყველაზე, ვისაც კი შეეძლო მისთვის ევნო, გაღმერთებულს მთელი ქვეყნიერების მიერ, ამნანის თავი უნდა ეგრძნო ნეტარების მწვერვალზე, როცა მან საქართველოდან მიიღო მშობლების უკიდურესი გაჭირვების ამბავიო, შენიშნავს ინგლისელი ლედი. ამნანის მამა ძლიერ უყვარდა, თუნდაც იმ აღზრდის მიზეზით, რაც მან ასულს მისცა. ამიტომ მიუტევა ამნანიმ მამას გაყიდვის დანაშაულიო, მიუთითებს ინგლისელი ავტორი (თუ როგორი „გაყიდვა“ იყო ეს და რამდენად ცდებოდა ავტორი, ჩვენ ქვემოთ ვაჩვენებთ მოტანილი მასალის ანალიზის დროს). ამ დროს აბდარაჰმანის და მრავალი სხვა მავრი ფეოდალის მამულთა შემოსავალი ტრიპოლიტანიაში მკვეთრად შეამცირა მოუსავლიანობამ, უკანასკნელს ბოლო არ უჩანდა და ზრდის ტენდენცია ეტყობოდა. ძნელბედობამ აბდარაჰმანი აიძულა შეეკვეცა ხარჯები, მით უმეტეს, რომ მისი ოჯახი რიცხოვრებულად გაიზარდა. ამნანი იყო კეთილშობილი და მორიდებული. იგი მშობლების გაჭირვების გამგები, ჩუმად კვნესოდა. შეწყვიტა ლირაზე დაკვრა. მისი სიმღერები უკვე არ განავრცობდნენ ხალისსა და სილაღეს, მისი სახე მოლუშული გახდა, ცრემლის ხშირი კურცხალი უნებლიეთ თუ გაამჟღავნებდა მის კაეშანს. თავისი დუმილის საშიშროება ამნანიმ შენიშნა მხოლოდ მაშინ, როცა იგი აბდარაჰმანის თვალეში ამოიკითხა. ქმარი უჩიოდა ამნანის ხასიათში მომხდარ ცვლილებებს და ცდილობდა მოულოდნელი გარდატეხის მიზეზი შეეტყო. ქმრის საყვედურმა შეაშფოთა ქართველი მზეთუნახავი და მან გადასწყვიტა გაემხილა მისთვის კაეშნის მიზეზი ისე, რომ მაინცდამაინც არ შეეწუხებინა მავრი ქმარი დახმარების თხოვნით, მაგრამ არც ბედის ანაბარა დაეგდო საყვარელი

მშობლები. მაშინ, როცა ამნანი თავის სათქმელს გულში ამწოდებდა, აბდარაჰმანი მოულოდნელად დანიშნეს, ამჯერად — მესამედ, ტრიპოლიტანიის ელჩად შვედეთში. ამნანიმ ეს ამბავი მყისვე შეიტყო. დანიშვნის დღესვე გაამზადეს საგანგებო ხომალდი ტრიპოლიტანიის ელჩის შვედეთში წასაყვანად. აბდარაჰმანი ფაშას სასახლიდან შინ რომ დაბრუნდა, ამნანი ცოცხალ-მკვდარი დაუხვდა. ამნანიმ ახლა კი გაუმხილა მას თავისი პირველი კაეშნის მიზეზი — დედ-მამის უკიდურესი შეჭვივრება. მაგრამ, როგორც ინგლისელი ლედი ირწმუნება, ეს კაეშანი უკვე გაცილებით უფრო მსუბუქი ჩანდა იმასთან შედარებით, რასაც ახლა ამნანის გულში ბადებდა აბდარაჰმანთან დროებითი განშორება. ქმარმა ამნანის სთხოვა — მეორედ არ მაწყენინო, მიმიჩნიე შენს ერთადერთ მისანდობელ მეგობრადო. მცირე დრო, რაც შვედეთში გამგზავრებამდე დარჩა, მავრმა დიდკაცმა მოანდომა ტრიპოლიტანიის ფაშასთან აუდიენციას და ზოგიერთ სხვა საქმეს. ოჯახთან გამოსათხოვარ პაემანს რამდენიმე წუთიღა ღეითმო. ირისათვის, რომ ენუგეშებინა ამნანი იმ სივალაღეში, რაშიაც იგი ნებსითაც ჩავარდნილიყო, მას აბდარაჰმანმა განუსაზღვრელი ძალაუფლება დაუტოვა ყოველივე იმაზე, რაც მას (აბდარაჰმანს) ეკუთვნოდა. ამავე დროს ამნანი მან ჩააბარა თავის ძმას, რათა ამ უკანასკნელს მისთვის გაეწია მფარველობა, როცა ამნანის ეს დასჭირდებოდა. ასეთი ქომავობა გამორიგხავდა მიზლისადმი რაიმე სახის მორჩილებას. ასე ისურვა აბდარაჰმანმაო, ამტკიცებს ინგლისელი ლედი. შემდეგ უკანასკნელი დასძენს: ეს იყო ამ ქვეყნისათვის საკმაოდ უჩვეულო მფარველობა, რადგანაც მავრი ქალები ყოველთვის ქმრის საგვარეულოს მეთვალყურეობის ქვეშ არიან ქმრის შინ არყოფნის დროს. აბდარაჰმანის გამგზავრებიდან მცირე ხანი

რომ გამოხდა, გარდაიცვალა მისი ერთი შვილი. პირველი მეუღლისაგან შეძენილი. ამნანი სამართლიანად შიშობდა, რომ ქმრის საგვარეულოს სხვადასხვა განშტოება მას ბრალს დასდებდა ბავშვის სიკვდილში, დასწამებდა გირის მოუვლელობას, რათა ქმრის თვალში ლაქა მოეცხოთ ქართველი მზეთუნახავეისათვის, მაგრამ როგორც თვითონ ამნანიმ გვითხრობ, გვიამბობს ინგლისელი ლედი, არაკეთილმოსურნეთა ღვარძლმა ვერ შესძლო აბდარაჰმანის გულში შეღწევა. მას არ შერყევია დადებითი აზრი ქართველ ცოლზე. ამნანიმ დაიჟიწყა იმ ქვეყნის ჩვეულება და ზემოხსენებული ბავშვის სიკვდილის შემთხვევაში არ უბრძანებია, რომ დაეღწიათ სარკეები და ყველაზე საუკეთესო ავეჯი. ეს მას მჭარღელ უსაყვედურეს იმ ადამიანებმა, რომლებსაც საერთოდ მისი მტრობა სჭირდათ. მათ მას ბრალი დასდეს, რომ ოჯახს სათანადო პატივისცემით არ ეპყრობოდა. ამნანის ყველა მტერი დარწმუნებული იყო — ეს ქალი იმდენად საძრახისად მოქმედებდა ქმრის არყოფნის დროს, რომ მავრი დიდკაცის დაბრუნების შემდეგ გარდუვალი გახდებოდა მათი განქორწინება. არ გამართლდა მტერთა მოლოდინი. დაბრუნდა თუ არა, აბდარაჰმანმა ახალი საჩუქრებით აღაწო ლილა ამნანი, ლევანტში კაცი გაგზავნა მისი ამის მოსაძებნად და ამნანის მშობლებსაც საზრდო გაუჩინა. მავრი ქმრის დამოკიდებულება ამნანისთან არასოდეს ოდნავადაც არ შეცვლილა. ამნანი ხშირად ცისკენ მადლობით აღაპყრობდა ხელებს, რომ არ ასრულდა მისი ადრინდელი სურვილი — მოხვედრილიყო ქვეყნის მბრძანებლის პარამხანაში. მართლაც, ინგლისელი ლედის სიტყვით, რა სახარბიელო უნდა ყოფილიყო ეს პარამხანა, როცა ამნანის ბედის შედარებაც კი არ შეიძლებოდა ტრიპოლიტანიის უკანასკნელი ფაშას სამი დედოფლის ხვედრთან. ის დედოფ-

ლები ტუსაღო მდგომარეობაში იყვნენ და ევალებოღო მთე-
ლი სიცოცხლე ფაშას ციხე-კოშკში გაეტარებინათ.

აქ თავდება ინგლისური წიგნის ის ფრაგმენტი, ლილა ამ-
ნანის ტრიპოლიტანიაში ჩაყვანას და ცხოვრებისა და აღზევე-
ბის პირველ პერიოდს რომ შეეხება.

მოტანილ წყაროს კრიტიკული წაკითხვა სჭირდება. ჩვენ
პკითხველს შევთავაზებთ ასეთი წაკითხვის ჩვენეულ ვარი-
ანტს. ვფიქრობთ, რომ ამნანის მამა, რალაც ოფიციალური
მისიით საქართველოს გარედ მყოფი, პირადად შეხვდა ტრი-
პოლიტანიელ ელჩს აბდარაჰმანს და მასთან დასდო შეთან-
ხმება ასულის მითხოვების შესახებ. ეს ასული მამას თან
ახლდა უცხოეთში და არც თუ უხალისოდ მისთხოვდა აბ-
დარაჰმანს, რადგანაც ისედაც ოცნებობდა ეგზოტიკურ მხა-
რეში ცხოვრებაზე. სავსებით ბუნებრივი შეთანხმება ქალი-
შვილის ქორწინების გარშემო, ინგლისელმა ლედიმ მონათლა
ქართველი ასულის გაყიდვად. ამავე დროს მან განაზოგადა
ასეთი შემთხვევა, რაც არასწორი იყო.

ინგლისელი ავტორის მონაობრობში, ცხადია, ყველაფერი
არ შეიძლება ზუსტი იყოს. მაინც ის ფაქტი, რომ საქართვე-
ლოდან შორეულ ქვეყანაში გადაკარგულ მზეთუნახავზე
მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ორტომიანი წიგნი გამო-
ვიდა ინგლისურ-ფრანგულ ენებზე, დიდად საინტერესოა და
იმსახურებს ყოველმხრივ და დაწვრილებით შესწავლას.

წიგნიდან ირკვევა, რომ ამნანიმ ინგლისელ მოგზაურებს
მოუთხრო ვენეციელი ლამაზმანისა და მამელუკის თავგადა-
საღალი. მანვე ზღაპრული ბანკეტი და დღესასწაული გამართა
მავრი ქმრის დაბრუნების აღსანიშნავად. ამაზე ადრე ამნანმა
აუდიენცია მისცა ინგლისელებს და ბევრი სიმძიმილიც გამოი-
ცადა იმის გამო, რომ მტრები ცდილობდნენ არაწესიერად

წარმოედგინათ მისი ცხოვრება ქმრის უცხოეთში ყოფნისას. წიგნის მეორე ტომში აღწერილია აბდარაჰმანის სიკვდილი და ლილა ამნანის გამოუთქმელი მწუხარება, რასაც ინგლისელი დამკვირვებელნი დიდ ყურადღებას უთმობენ.

1782-1787 წლების ჩრდილოეთ კავკასიაში ანტიქრისტიანული აჯანყების ერთ-ერთ ბელადს მონტემიურლის — ოსმალ ფანატიკოსთა მიერ შესიად გამოცხადებულს, — საინტერესო ვრცელი ევროპული ვერსიის მიხედვით, ჰყავდა ქართველი დედა — ირანში ავღან სარდალზე გათხოვილი ქალი (ეს სარდალი ნადირ-შაჰის თანამოსაგრე იყო). ხსენებულ ვერსიას ჩვენ მიეკვლიეთ მოსკოვის ერთ-ერთ არქივში; იგი შედგენილია ფრანგულ ენაზე და დათარიღებულია 1786 წლით. მისი ავტორია რუსეთის გენერალური კონსული ოსმალეთში — პეტრე ფერიერი, წარმოშობით იტალიელი, ქალაქ ლივორნოდან.* სპეციალური გამოკვლევით, ჩვენ ხსენებული საბუთი სანდოდ მივიჩნიეთ.**

როგორც ცნობილია, 1808-1821 წლებში ეგვიპტესა, ერაყსა, ირანსა და ინდოეთში იმოგზაურა რუსმა გლეხმა დემენტი ივანეს ძე ციკულინმა. ირანში მან ნახა ქართველი ტყვე ქალი. ამ ქალმა, სპარსი სარდარის მონამ, გააქცია ციკულინი სარდარის სასახლიდან — თოკით გადაბმული ქოლოკების საშუალებით მაღალ კედელზე გადაიყვანა (უფრო ადრე ციკულინი მწყემსად ჰყავდა ქირმან-შაჰის გუბერნატორს, აძოვებდა მისი პირუტყვის ჯოგს. მაგრამ მას შემდეგ, რაც რუს მონა მწყემსს თავს დაესხნენ ქურთი ყაჩაღები, ქირმან-

* Архив внешней политики России, фонд «Сношения России с Турцией», дело № 682, ფურც. 50-58.

** „მნათობი“, 1962, № 3; П. Г. Бутков, материалы для новой истории Кавказа, СПб. 1868, в. II, „დამატება“.

შაჰის გამგებელმა ციკულინი „ოცდაათ არიალად“ სპარს სარდალს მიჰყიდა).*

ინგლისელი დიპლომატი ჟაკ მორიე მოგვითხრობს ქართველი ტყვეების ცხოვრების ერთ ეპიზოდს და მას რომანის სიუჟეტის მასალად თვლის:

„საქართველოში ერთ-ერთი მორიგი მძარცველური შესევის დროს ერევნის სერდარმა დაატყვევა ლამაზი ქართველი ასული და თავის ჰარამხანაში მოათავსა. იმ ასულს ჰყავდა საქმრო — ულამაზესი ქართველი ახალგაზრდა, რომელზედაც კიდევაც იყო დანიშნული და სულ მალე უნდა დაქორწინებულიყო. შეყვარებული ჰაბუჯი სატრფოს ერევნამდე დაედევნა. ასულმა შეიტყო საქმროს ჩამოსვლა. მათ იპოვეს გზები ერთმანეთს პაემანზე შეხვედროდნენ და გაქცნავეს დაეგმეს, მაგრამ ორთავეს გამოედევნენ, შეიპყრეს და დააბრუნეს. ქართველ ჰაბუჯს უბრძანეს დაეტოვებინა ერევანი. იმ წამს, როცა ჰაბუჯი გადიოდა ზენგიზე გადებულ ხიდს (ეს მდინარე უფსკრულ ხეობაში მიედინებდა), სატრფომ მას თვალი მოჰკრა და უშველბელი სიმალლიდან ძირს გადახტა, რათა ან შეერთებოდა თავის გულისწორს, ანდა საწუთროს გამოთხოვებოდა. ბედკრული ასული შემთხვევით ორი ტირიფის ტოტებს გამოედო და დალუპვას გადაჩა. იპოვეს დაჭრილი და ნელახლა მიჰგვარეს სერდარს. კრილობები სახიფათო არ აღმოჩნდა. სერდარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან არ მოისურვა თავის ტირანულ საქციელში უფრო შორს წასვლა, მიჯნურები ერთმანეთს შეახვედრა, ორთავეს თავისუფლება უბოძა და სა-

* «Северный Архив», № 8, 1895 г. გვ. 350-357.

თანადო ესკორტის თანხლებით ისინი საქართველოში მშობლებთან გაგზავნა*.

ახლაც არ დაუქარგავს ინტერესი ზაქარია ჭიჭინაძის შემდეგ ცნობას: „წინათ ქრისტიანად დარჩენილ ქართველთ გარდა, სომხის, ფრანგის და აისორების ეკლესიებში ხანდისხან გათათრებული ქართველებიც დადიოდნენ, ესენი დიდის პატივით ეპყრობოდნენ საეკლესიო საქმეებს და სახლებში თუ რამ გააჩნდათ, ხატები ან წიგნები, პატრონის სიკვდილის შეძლეგ ყველა ამეებს ეკლესიებში აწყობდნენ, სხვაგან სად რას წაიღებდნენ. სომხის კათოლიკის და აისორების ეკლესიების გალავნები ძველად სავსე ყოფილა ქართველთა საფლავებით. რაფის სიტყვით, ალექსანდრე ბატონიშვილიც თავრიზის სომეხთა ეკლესიის კარებშია დასაფლავებული. ურუმიაში ძველად ქართველების რიცხვი დიდი ყოფილა. თვით ალექსანდრე ბატონიშვილიც იქ იმყოფებოდა და აისორთა მღვდელმთავრის მარშიმონის (მამა სვიმონის) ეზვეგობრებოდა, მის ნათესავ ქალს ირთავდა. ბრიტანიის ერთმა მქადაგებელმა შამშა იმომ გარდმომცა, რომ მე თვით მოვესწარ ქართველ მოხუცებულ ქალებს. რომლებიც ურუმიაში ცხოვრობდნენო. ისინი და იმათი დედ-მამა ამ საუკუნის პირველ წლებში ურუმელთ დაეხსნათ სპარსთა ხელიდან და შინ მოეყვანათ, სპარსეთის ქრისტიანთ ეკლესიებში კაცი ბევრს ნიშნებს და განძებს ნახავს ქართველთა ერისასაო“.

ზ. ჭიჭინაძის გადმოცემას ურუმიაში აურაცხელი ქართველის ჩასახლების შესახებ კარგად ეხმაურება, ავსებს და აკონკრეტებს 1939 წელს ლონდონში გამოცემული კარმე-

* J. Morier, Seconde voyage En Perse... t. II. 1818, გვ. 255-256.

ლიტების ორტომიანი კაპიტალური ქრონიკის — ქალაქ დიარ-ბექირში მეთვრამეტე საუკუნეში ათი ათასი კაცი ცხოვრობდა და ყველა მათგანი მოტაცებული ქართველი ტყვე იყო. ჰარამხანის ლამაზებს წარმოგვიდგენენ, როგორც ისოლოდ და მხოლოდ ხორციელი ტკობის საგანს*. ეს არ არის მართალი. დანიელ ბურნაშოვის ცნობით, ქართველი მზეთუნახავები სიცოცხლის რისკის ფასად სტამბოლის სერალიდან მეტად საყურადღებო ცნობებს აწვდიდნენ ერეკლე მეორეს ოსმალეთის სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ყალბ ევროპულ ვერსიას უარყოფს ოლივიეც. იგი ხომ წერს: ბაღდადში ენახე ლამაზმანთა არისტოკრატია, მან მომხიბლა განათლებით და მრავალი ენის ცოდნით. ეს ლამაზმანები ყველანი საქართველოდან და ჩერქეზეთიდან ყოფილანო. ამგვარად, ბათილდება ზოგიერთ პორტუგალურ ცნობაში მოცემული მტკიცება — ყველა ლამაზმანი ჰარამხანაში ფუქსავატობას ეწაფებო. ყოველ შემთხვევაში, ეს ყველაზე ნაკლებად ქართველ ტყვე მზეთუნახავებს შეეხებოდა.

ახლა — ზოგი რამ ალა მაჰმად-ხანის დროზე.

პოტომ ჩაიწერა თქმულება: „ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს სპარსელ ჯაფარ-ბეგს თავი შეაქლა (იმ ბეგის მოტყუების გზით) ტყვედ ჩავარდნილმა თავადის ლამაზმა ქალმა — ქართველმა სალომემო. განმეორდა აკაკის „ბაში-აჩუკში“ მოთხრობილი ამბავი.

ალა-მაჰმად-ხანის ძიერ საქართველოში დადგმული საშინელი „სცენარი“ მკაფიოდ არის წარმოდგენილი სომეხი მწერლების წიგნებში და მათივე აშუღების ლექსებში. მარ-

* Briot, Histoire de l'Etat Present de l'Empire Ottomane, P. 1670, გვ. 7-73 (თარგმანი ინგლისურიდან).

თალია, ზაქარია კიკინაძე ამტკიცებს — ალა-მაჰმად-ხანმა 1795 წელს საქართველოდან ათი ათასი ტყვე წაიყვანაო, მაგრამ როგორც ვიცით, ისტორიკოსი შოპენი ორჯერ მეტს ანგარიშობს. შოპენის ვერსიას არაპირდაპირად ეხმაურება სომეხი ავტორის სერობის შრომა „სომხეთის ისტორიის არქივი“, სადაც ნათქვამია: „ბერ მონაზონთაგან ზოგს ყელს სჭრიდნენ, კრავსავით ჰკლავდნენ, ზოგს ატყვევებდნენ და ყიდდნენ. აგრეთვე საძლვდელოთაგან ზოგს ნავთს ასხამდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ, ზოგს ჰკლავდნენ, ზოგს ეკლუსიის ჭურჭლებს ჰკიდებდნენ საჩვენებლად და ზოგნი მიჰყავდათ ტყვედ. ასევე ერისკაცთაგან ზოგს თავს ჰკვეთდნენ, მიჰქონდათ ეს თავები ბოროტმოქმედთან და თითოეული თავის ფასად სამ თუმანს იღებდნენ. ზოგიერთებს დაღავდნენ გავარვარებული რკინითა და სხვა სატანჯველი იარაღით, ზოგიერთები მიჰყავდათ ტყვედ. ასევე ექცეოდნენ დედაბრებს, ხოლო ყრმა ახალგაზრდა გოგო-ბიჭები უვნებლად მიჰყავდათ თავიანთი ბილწი გულისთქმისათვის და ძვირფას ნივთად“.

სომეხი აშულის შაჰჩი-მელქოს გოდება განამტკიცებს ზემოთ მოტანილ ცნობებს: „ტყვემ წასულმა ქალაქიდან არაბისტანს მიაღწია. ვინ შაქს მოხვდა, შირვანს, ყუბას, ვინ დაღესტანს მიაღწია. ვინ სად თავრიზ-თეირანში მონად ვისთან მიაღწია. შინ დაყრილი მშობლები კი შებლაოღნენ დედაქალაქს. ერთს სახლს ვიდრე, იქ შევიტყვე, წაიყვანა მტერმა მამა. წყვილ-წყვილ და-ძმაც მიაყოლეს, გამამწარა ძალზე ამან. მამაც მოკლეს, დედაჩემიც ყიზილბაშმა გაშიწა. შამჩი-მელქოს თვალებიდან სისხლის ცრემლმა იკაშკაშა. ექვსი ყიზილბაში მოჰკლა, მიაყოლა ხანიც თანა“.*

* ვ. ს. ნალბანდიანი, დასახ. მონოგრაფია, გვ. 166-167.

სომეხი აშულის გოდებაში მხოლოდ გაკვირით არის ნახსენები არაგველების თავგანწირულება. ეს იმით აიხსნება, რომ ავტორი, მოზღვავებული უბედურების უამრავი ფაქტით შეძრწუნებული, ვერ იცლის იმისათვის, რომ ძალთა კონცენტრაცია მოახდინოს კრწანისის დრამის აღსაწერად.

მოაენის სიტყვით, როგორც ზემოთ ვნახეთ, აღა-მაჰმად-ხანმა თბილისიდან ოცი ათასი ტყვე წაიყვანა (1795). ალბათ ამ დროს გაიტაცეს უცნობი ქართველი ქალიც, რომელიც განჯის ხანის სასახლეში იტანჯებოდა, აქედან სამშობლოში შემადრწუნებელ წერილებს იწერებოდა და ფოლკლორის გმირადაც იქცა. მე-18 ს. ბოლოს აზერბაიჯანსა და ირანში უამრავი ქართველი ტყვე იყო. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ მარტო ქრისტეფორე კეჟერაშვილმა 1796 წელს განჯის აღების დროს შვიდასი ქრისტიანი ტყვე ოჯახი გამოიხსნა და საქართველოში დააბრუნა.

აღა-მაჰმად-ხანის მიერ დატრიალებულმა ცოდვა-ბრალმა ათქმევინა სახალხო მგოსანს: „ბატონი ცხენზე შებრძანდა, აირბინა ანანური. სად მიხვალ ჩვენო ბატონო, ქალაქი გვაქვს სანანური. თათრები ქალაქს ჩავიდნენ შიგ დაუკრეს სალაშური, ტურფები ბევრი წაასხეს, ბებრებია დადაღული“.* დიდი ღირს შემდეგ მარანდის სახანოში გაისმა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის ერთი ექო.

მარანლაში გადაკარგული ქართველი ქალის თავგადასავალზე შეაჩერა ყურადღება სოლომონ ხუციშვილმა. გამოიკვია, რომ ხსენებული თავგადასავალი უკავშირდებოდა 1832 წლის შეთქმულების მონაწილის სოლომონ რაზმაძის

* ქართული ხალხური სიტყვიერება. ქრესტომათია. (ქს. სიხარულიძის გამოცემა) თბ. 1970, გვ. 250-251.

მოდევანებობას. იმ წელს ს. რაზმაძე თეირანში ვაემგზავრა¹ რუსეთის სარწმუნებულო კანცელარიაში სამუშაოდ. მას კავშირი უნდა გაეზა ალექსანდრე ბატონიშვილთან, აგრეთვე უნდა გამოერკვია თეიმურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკისა და ზოგიერთი პიროვნების ადგილსამყოფელი. სოლომონ რაზმაძის ქალაღდებში შენახულია წერილი ქართველი ქალის — ქაიხოსრო ნახუცრიშვილის ასულის ნინოსი, გიორგი შალბელიქიშვილის მეუღლისა.

ამაზრზენია ნინოს ერთი წერილი: „ბედით შეწუხებული და უბედური ქალი გთხოვთ და გვედრებით ღვთისა და წმინდა სარწმუნოების გულისათვის დამეზმართ მე საცოდავს. ოცი წელიწადია, ბარბაროსთა ხელში ვარ გაწამებული და გთხოვთ, შემიშროთ სიმწრის ცრემლი, რასაცა ვღვრი ჩვენი წმინდა სარწმუნოებისათვის. ახლა მარანდელი ხანის სახლში ვიმყოფები, ვეწამები და უნუგეშოდ ვიწვი. ქრისტეს გულისათვის, ნუ დამაღდებთ ამ გენიაში, მიხსენით ამ ბოროტებისაგან, რათა ჩემი სიცოცხლე საქრისტიანოში დავამთავრო... ამ წერილს ვწერ ცრემლში დამზრჩვალი ქაიხოსრო ნახუცრიშვილის ასული ნინო“.* ნინოს ქმარს — გიორგი დეკანოზს ბვერი ღონე უხმარია, მაგრამ ვერაფერს გამზღარა. 1827 წელს ნინოს მეუღლე პასკევიჩის სახელზე დაწერილ თხოვნაში სწერდა: „1795 წელს ჩემი ოჯახობა ტყვედ წაიყვანეს, მპირღებოდნენ რომ ჩემს ცოლს, რომელიც მარანდელ ხანს ერგო, გამოისყიდნენ. ომარ-ხანს თავისი შვილისათვის უჩუქებია იგი და ახლა მას სერალში ჰყავს. მეჯერ სპარსეთის საზღვრისაკენ წავედი, მაგრამ არა გამოვიდა

* სოლ. ხუციშვილი, ამბავი ერთი ქართველი ქალისა — გაზ. „კომუნისტი“, 1970 წ. 15 ნოემბერი.

ზა. 1809 წელს ალექსანდრე პავლოვიჩს ვთხოვე, მან ტორმა-სოვს უბრძანა ღონისძიება, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია — შიხალი რომ მომკვდარა, მის სერალში მყოფი ქართველი ქალები თბილისში გამოესტუმრებინათ, ნინო ნახუცრიშვილის ქალი კი შიხალი ხანის დას, ჯაფარყულის ხანის ცოლს, თავრიზში წაუყვანია, გიორგი შალბელიქიშვილი ამ დროს ხანში ყოფილა შესული. „მართალია, ჩემგან მოცილებული მეორე ნახევარი ჩემი მეუღლე აღარ შეიძლება იყოს, მაგრამ ჩემი მოვალეობაა, მას საქრისტიანოში ცოდვათა მონანიები-სათვის ჩამოსვლის საშუალება მოვუპოვო. სინდისი ნებას არ შაძლევს, რათა არ ვიღონო მისი განთავისუფლება“, სწერდა გიორგი პასკევიჩს 1827 წელს, სექტემბერში, ტყვე ქალი ნინო ჯერ კიდევ მოძებნილი არ ყოფილა. რუსეთის აზიის დეპარტამენტმა 1828 წელს პირველ სექტემბერს ალექსანდრე გრიბოედოვს მისწერა ეზრუნა ნინოს საქმეზე, მაგრამ მალე ეს ელჩი მოჰკლეს და ნინოს ძებნა შეფერხდა. 1832 წლის შეთქმულების გამომჟღავნებასთან დაკავშირებით რაზ-შაძის საქმიანობაც თეირანში მალე აღიკვეთა. ასე გაქრა ნინო ნახუცრიშვილის კვალი სპარსეთში.

ერეკლე მეორის დაუძინებელმა მტერმა ავარეთის ხანმა ომარმა 1783 წელს თავდასხმა მოაწყო ვახანის ციხეზე და ევგენი აბაშიძეს მოსტაცა ორი ასული მათა და ელენე. მათა თვითონ შეირთო, ხოლო ელენე აბაშიძე მათხოვა თავის სიძეს იბრაჰიმ ხანს — ყარაბაღის მბრძანებელს (ეს იბრაჰი-მი, როგორც ცნობილია, ერთხანს იყო ერეკლეს მოკავშირე, შემდეგ განუდგა მას და მტრულად მოეკიდა რუსეთ-საქართველოს დაახლოებას: ბოლოს თავი გამოიჩინა, როგორც აღა-მაჰმად ხანის წინააღმდეგ მამაცურად მებრძოლმა). ამადელევებელია ელენე აბაშიძის ბიოგრაფია. აი, რას წერს

მაქსიმე ბერძნიშვილი მის შესახებ (ა. მ. ფადეევის წიგნზე დაყრდნობით): „ჯავაირ-ხანუშმა (ასე შეარქვეს ელენე აბაშიძეს უცხოეთში გათხოვების შემდეგ. დ. ჯ.). ციციანოვის წინადადებით ურჩია თავის ქმარს იბრაჰიმ-ხანს რუსეთში მფარველობა მიეღო. იბრაჰიმ ხან ყარაბაღელი მოკლეს შუშის ციხის (სახანოს რეზიდენცია. დ. ჯ.) აღების დროს, მასთან მოკლეს მისი და აბაშიძე ელენეს — ჯავაირ ხანუშის შვილი 11 წლის აბასყული. 1807 წ. ე. აბაშიძე ჰპირდება იმპერატორს, რომ თავისი ქალი გოუხარნისასთან (ჯაფარ-ყული ხან-შექელის ცოლთან) ერთად პეტერბურგს ჩავიდოდა და ქრისტიანობას მიიღებდა, თუ ის იხსნიდა მას და მის ქალს „უცხო ხალხისაგან“. ჯავაირ ხანუში ცხოვრობდა შუშაში, როგორც ხანის ქვრივი. იგი ინარჩუნებდა ზაჰის შესაფერ დიდებას. იყო მაჰმადიანი. მაგრამ ბოლომდე გულგრილად ვერ ისმენდა ეკლესიის ზარის ხმას. მსლებლების დიდა ამალით იყო თბილისში, ვორონცოვის მეუღლესთან სტუმრად.“*

როგორც აქ შოტანილი ცნობიდან ჩანს, ელენე აბაშიძე ვერა და ვერ შეუურიგდა უცხოეთს და გული მუდამ სამშობლოსაკენ მოუწევდა. მისი საბოლოო ბედი ჩვენთვის ცნობილი არ არის.

ხსენებული ფაქტების შემდეგ სავსებით სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ ზ. ჭიჭინაძის მტკიცება — ირანსა და სხვა ქვეყნებში ბევრი ქართველი უგზო-უკვლოდ დაიკარგაო. ამ მტკიცებას ეხმაურება ოსმალთა მწერლის ჰალდუნ თანერის განცხადებაც „ლიტერატურული საქართველოს“ კორესპონ-

* მაქსიმე ბერძნიშვილი. მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. თბ., 1980 გვ. 92-93.

დენტთან საუბარში. კითხვას, თუ რას იტყოდა საქართველოში თავისი სტუმრობის თაობაზე, ჰალდუნ თანერმა ასე უპასუხა: მე თითქმის ჩემს სამშობლოში ვარ, რადგან ჩემი დიდედა ქართველი ქალი, გვარად თავდგირიძე გახლდათ, მაგრამ განსვენებული ჩემი დიდედა და მე რა სახსენებელი ვართ, როცა ქართველი ქალები სათრაზამების (სარდლების) დედები გახლდნენ. რამდენი თურქი ფაშა, ან სხვა დიდი პიროვნება აღზარდეს ქართველმა დედებმა. ბებიაჩემმა ოჯახში ყველას ასწავლა ქართული ენა. იგი საკმაოდ გონებაგახსნილი ქალი გახლდათ და იცოდა როგორ გაეკეთებინა ეს — ბავშვების გამზრდელად და შინამოსამსახურედ სწორედ ქართველი ქალები დაიჭირავა — ბაბუა დიდგვაროვანთა წრის წარმომადგენელი იყო და საამისოდ საშუალებებიც გააჩნდა.

შინამოსამსახურე ქართველები დაბეჯითებით გვასწავლიდნენ ქართულ ენას. ჩემმა ბიძებმა და ბიძაშვილებმა კარგად ისწავლეს იგი. მაგრამ ჩემი ლინგვისტური მონაცემები მთლიანად შთანთქმეს ფრანგულმა და ინგლისურმა ენებმა, რომლებსაც ახალგაზრდობაში ვსწავლობდი. მერე ბებიაცა და ბიძაშვილებიც ჩემს გასაბრაზებლად ერთმანეთში ქართულად ლაპარაკობდნენ ხოლმე და ამით მაგრძნობინებდნენ რომ სიყმაწვილეში დიდი შეცდომა დავეშვი“.

ჰალდუნ თანერის ნაამბობი მეტისმეტად საინტერესოა. სამშობლოს სიყვარულით გულდადაგული ქართველი ქალი აიძულებს თურქ მეუღლეს თავისი სიმდიდრე მოახმაროს შვილებისათვის ქართულის სწავლებას და ამ პატრიოტულ წამოწყებაში დიდ წარმატებებს აღწევს. ქართველი ქალის ასეთი გავლენა თურქულ ოჯახში მით უფრო საყურადღებოა, რომ აქ მრავალცოლიანობის ატმოსფეროა. თანერის

ბებია აგრძელებდა უცხოეთში მყოფი ქართველი ქალების მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს. განა ფრანგი ბიოლოგი მეცნიერი ოლივიე, როგორც ზემოთ ითქვა, არ წერდა მე-18 საუკუნეში ბალდადის (ერაყი) ქართველ ქალთა არისტოკრატის კეთიშობილებასა და უდიდეს განსწავლულობაზე? განა რუსი პოლკოვნიკი ბურნაშოვი ხაზგასმით არ აღნიშავდა, თუ როგორ უყვარდათ საქართველო და როგორ სდებდნენ მისთვის თავს სტამბოლის სერალის ტყვეობაში გულჩაღამებული ქართველი ლამაზმანები, როცა ფარულად აგროვებდნენ ინფორმაციას ოსძალეთზე და ერეკლე მეორეს აწვდიდნენ? ასეთი ფაქტების შემდეგ ჩვენ არ გაგვიკვირდება თანერის ბებუის პატრიოტიზმი და ქართული ენისადმი სიყვარული. ფერეიდნელ ქართველ ქალთა ცხოვრების წესი და რიგიც კარგად ეხმაურება თანერის მართალ ნაამბობს.

ცნობილია, რომ ალექსანდრე გრიბოედოვი ირანში ელჩად ყოფნის დროს ქომაგობდა ქართველ ტყვე მზეთუნახავს — შემკვიდრე პრინცის აბას-მირზას ბიძის ალაირ-ხან ყაჯარ ასაფ ედ-დოულეს ცოლს — ძალად გამაჰმადიანებულ ქართველ ქალს, რომელსაც სულითა და გულით უნდოდა სამშობლოში დაბრუნება. სპარსული წყაროს „როუზეტ-უს-სეფას“ მიხედვით, ხსენებულ ალაირს ჰყავდა ორი შავთვალა ქართველი ტყვე ლამაზმანი.

თამილა ცაგარეიშვილი თავის გამოკვლევაში „ფერეიდნელები საქართველოში“ წერს: მართალია, შაჰმა წადილი შეისრულა, კახეთი დაამხო, წელში გაწყვიტა, მაგრამ ვერ გატეხა ქართული სული. ტყვეობის მძიმე უღელმა ვერ მოხარა თავისუფლებისმოყვარე ადამიანები, რომელთაც მამაპაპეულ ერთ მუჰა მშობლიურ მიწასთან, ქართულ პურის თესლსა და

ვაზის რქასთან ერთად თან მიჰქონდათ საწმობლოს, ქართული ენის ჩაუქრობელი სიყვარული და უკან დაბრუნების ფარული სურვილი“. ფერეიდნელი ქართველების ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი მკვლევარი ლადო აღნიაშვილი წერდა, რომ ფერეიდნელს პირველი ქართველი ჯერ თავისი თავი ჰგონია და მერე კი სხვები. ასე შესძლო მან ქართული ენისა და ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნება.

ამავეზე სწერდა ნოდარ კოჭლავაშვილი 1969 წელს ეურნალ „საბჭოთა ქალში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ფერეიდნელი ქართველები“: ქართველი ქალის დამსახურებაა ის, რომ ფერეიდნელმა ქართველებმა არ განიცადეს დენაციონალიზაცია, შეინარჩუნეს ეროვნული ჩვევები და სანუკვარი ქართული ენა, ქართველი დედების მონათხრობით იცის ყველა ფერეიდნელმა დაკარგული საწმობლოს ისტორია. „უცხო მიწაზე ქართველი ქალი ვაჟკაცურად ამოუდგა გვერდში მამაკაცს და დაიწყო სახლების შენება, ისეთივესი, როგორც მას „დიდ საქართველოში“ დარჩა... მომთაბარე ლორების, ქურთების, კაშკაელების და ბახტიარების თავდასხმების დროს მას ცალ ხელში იარაღი ეჭირა, მეორეში — ჩვილი. მომხვდურსაც იგერიებდა და ქართულ აკვანსაც უმღეროდა... ქართველმა ფერეიდნელმა ქალმა საძნახევარი საუკუნის მანძილზე ცოცხლად შემოინახა ბევრი რამ ისეთი, რაც ჩვენს წინაპრებს ჰქონიათ გეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში (აღათ-ჩვევები, სანახაობანი, დღეობანი) და რაც დღეისათვის ჩვენთვის დაკარგული და ისტორიულია... ფერეიდნელმა ქართველმა ქალმა შემოინახა ერთი საინტერესო დღეობა, რომელიც ჩვენში უკვე დაკარგულია და ქართული ეთნოგრაფიისათვისაც უცნობია, ეს არის „დედაკაცების დღეობა“. ამ დღეობას ყველა ფერეიდნელი ქალი იხდის სოფელ რუისპირში, თავის სალოცავზე“. ყვავი-

ლების გვირგვინდადგმულ ნეტეს დასვამენ ყვაილებით მორთულ ტახტზე და მთელ დღეს სიძღვრასა, ცეკვასა და შუშპრობაში ატარებენ. ამ დღეობაში ქალთა კრებული მამაკაცებს აწლოს არ იკარებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ბევრმა ფერეიდნელმა ქალმა ირანული ენა არ იცის, მას არც აქვს ამ ენის შესწავლის სურვილი, რადგან ირანული ენა მისთვის არა მარტო უცხოა, არამედ მიუღებელიცაა მისი ქართული ბუნებისათვის.

ფერეიდნელ ქართველთა გმირული ისტორია გრძელდება და ვინ იცის როდის დასრულდება იგი, ალბათ არასოდეს, ყველა ფერეიდნელიც რომ დაბრუნდეს საქართველოში, უკანასკნელ კაცამდე რომ აიკრან გუდანაბადი და კვლავ ჩაეკრან კახეთს გულში—თავდაჭირველ სააკენეს—შვილებისა, ენისა და რაჭულისათვის მრავალტანჯულ ედემს. ფერეიდნელი ქალის ამადლეგებელი ისტორია არ დასრულდება, არ მოკვდება არასოდეს. იცოცხლებს ქართველი ხალხის წარმოდგენაში, მის ფიქრებსა და სიზმრებში. როგორც საქართველოს რთულზე რთული ბიოგრაფიის განსაკუთრებული თავი.

1833 წელს ფრანგი მოგზაური შიშო წერდა: „შავი ზღვის სანაპირო საფაშოების მბრძანებლებს და საქართველოს მეზობელ ქვეყნებს უარი არ უთქვამთ ჩვეულებაზე — ლამაზმანები მიაწოდონ სულთნის ჰარამხანას... თუ ხელი არ შემოშალა დაღლილობამ, რასაც გამოიწვევს მანძილის გავლა და შავი ზღვის ქარიშხლებთან ბრძოლა, მოვინახულებ ჰალისის სანაპიროებს, ვეწვევი კოლხიდის ძველ ქვეყანას და მაშინ იქედან შოგწერ არა მარტო ადამიანებით ვაქრობის სავალალო სცენების შესახებ, არამედ მრავალ ისეთ ხალხსაც და ქვეყანასაც გაგაცნობთ, რომელთა თაობაზეც ჯერ

არაფერი სმენიათ მოგზაურებს! ტრაპიზონი დიდი ბაზარია, სადაც მონები ჩაჰყავთ. სტამბოლის ვაჭრები ზოგჯერ მიემგზავრებიან ბათუმის მდინარის შესართავამდე, ლაზების ქვეყანამდე და სამეგრელოს სანაპიროებამდე. ყველგან, სადაც იმ ვაჭრების შესაჩერებელი პუნქტებია, მათთან მოჰყავთ ნორჩი ყრმები და ნორჩი ასულები. ყველა ქვეყანაში, სადაც ეს უბედური ვაჭრობა ხდება, მოსახლეობა ზნეობითა და ჩვეულებებით ერთობ მკაცრი და მოუხეშავია. ერთნი დიდის ერთგულებით მისდევენ ბერძნულ რელიგიას, მეორენი — ისლამის რჯულს. როცა მათ მშობლის ვალის დავიწყებას უსაყვედურებენ, ისინი იმიზეზებენ ძველი დროიდანვე დამკვიდრებულ წესს და აგრეთვე შვილების გაზრდისათვის საჭირო სახსრების უქონლობას. ამავე დროს ეს მშობლები დარწმუნებული არიან, რომ მათი გაყიდული შვილების მომავალი ბრწყინვალე იქნება და უცხოეთში გაყიდვით იმ შვილებს ბედს სწევენ. თავის მხრივ, ნორჩი ყრმებიც და განსაკუთრებით ნორჩი ასულები, რომელთაც არწმუნებენ, რომ ოსმალეთის დედოფლები შეიქნებიან, მოუნანიებლად სტოვებენ დატაკ მშობლებს და სჯერათ, რომ მალე ბედი გაუღიმებთ*. სამეგრელოს და ჩერქეზეთის მოსახლეობა ტოპებად არის დაყოფილი. ამ ტომთა ბელადები თავიანთი მონების ბავშვებს ჰყიდიან. უნდა დავსძინოთ, რომ ისინი მუდამდღე ომობენ და მათი ტყვეები ავსებენ სტამბოლის, ალექსანდრიას და კვირის ბაზრებს. ყველა ეს ხალხი ინარჩუნებს ძველი დროის ზარბაზნოვან კანონებს, რომლებითაც და-

* ავტორი მიმართავს ტყვის სყიდვის ცალკეული ფაქტების განზოგადობას, თანაც ხალხის ზნე-ჩვეულებებიდან გამოჰყავს ეს ფაქტები. ერთიც და მეორეც დიდი შეცდომაა.

მარცხებულის უცილობელი ხვედრია გამარჯვებულის მონად გახდომა. აზრის ხალხთა უმრავლესობას სხვანაირად არ ესმის საერთაშორისო სამართალი. ბაღდადიდან მომავალმე ერთმა დერვიშმა ჰკითხა ჩემს თარჯიმანს — საფრანგეთში წონები თუ გყავთო? არაო, მიუგო ჩემმა თარჯიმანმა; აბა რას უშვრებთ თომში ტყვეებად ჩავარდნილებსო? ჰკითხა იმ დერვიშმა“.*

რუსეთის მზვერავი ოფიცერი თედორე ტორნაუ 1835 წელს შენიშნავდა: შავი ზღვის აღმოსავლეთით მდინარეთა — ბზიფსა და საშეს შორის მცხოვრები ხალხი ოსმალებს მატყლისა და აბრეშუმის ქსოვილებში, აგრეთვე — იარაღში, აძლევს გოგონებსა და ბიჭებსო.

მე-19 საუკუნის ბოლოს ა. ელისევი წერდა, რომ მან აკაბის ყურის მახლობლად ნახა ტყვე-ქალების ჯგუფი, გასაყადად რომ მიჰყავდა შეიხს და იმ ჯგუფში ერთი ყველაზე ლამაზი და ტურფად მოკაზმული ქალი ერია, რომელიც ელისევი ქართველს მიაგვანა. ეს რუსი მოგზაური (1858-1865) სინაის ნახევარკუნძულზე შეხვდა მონა ქალებით მოვაჭრე არაბებს. „ტყვე ქალები ოთხნი იყვნენ, ორი მათგანი 13 თუ 14 წლის არაბი გოგონები, არც თუ ცუდნი შესახედავად, მაგრამ — საშინლად ძალაგამოღებულნი. ეტყობოდა, მათ ჰკლავდა მონობის ჯავრი. ისინი მღეროდნენ და ცეკვავდნენ თვალღებზე ცოცხლმორეულნი. დანარჩენი ორი სხვა-რიგად ირჩებოდა, ერთი მათგანი ზანგი იყო მანდინგების, თუ იოლიანების ტომიდან, შედარებით გულგრილად იტანდა თავის ბედს და მყიდველებს უფრო ცნობისმოყვარეობით ათვალთვრებდა, ვიდრე შიშით. მეოთხე გოგონა ნამდვილი

* Michaud et Poujoulat. Correspondance... t. II, გვ. 29.

მზეთუნახავი იყო. ამიტომ იუსუფი (მათი პატრონი არაბი, დ. ჯ.) მას პოეტურად ეძახდა უდაბნოს ვარდს, იტყოდი — ბერძენია. ან ქართველიო. სულ მთლად ჩაფლულიყო მარგალიტის სამჯაღებში. ეტყობოდა, რომ პატრონი მას ყველასაგან გამორჩევი აფასებდა. ეს საინტერესო მონა ქალი, თუ შეიძლება ასე ეწოდო ამ უბედურ არსებას, იმყოფებოდა რაღაცნაირ მხიარულ და უკიდურესად აღგზნებულ მდგომარეობაში და ძნელი ჩანდა მისი სულიერი სტატუსის დადგენა: იგი ავიტონ ეჩრებოდა მყიდველს და ეტყობოდა, ცდილობდა, რომ ეკეკლუცა. ბებერი იუსეფი მასში უდიდეს ფასს (ხუთი ათას წანეთზე მეტს) მოითხოვდა. ამდენს ამ ქალში აღბათ ეგვიპტის ფაშაც კი არ გადაიხდიდა. სოკდაგართა და ჩემი გამცილებლების ნაამბობის მიხედვით შემძლო დამესკენა, რომ ვაჭრობა მონა ქალებით და ასე გასინჯეთ, ევნუხებითაც კი, დღემდე ფართოდ არის დამკვიდრებული პრაქტიკაში მეწამულ ზღვაზე, განსაკუთრებით — აკაბის ყურეში, სახელდობრ — არაბეთის სანაპიროებზე, სადაც უცნობი გაუვალი მთები მალავენ მონათა საზიზღარ სადგომებს. აქ ჩადიან თურქი და ეგვიპტელი ფაშების ადიუტანტები მზეთუნახავთა შესაგროვებლად. აქედანვე მიჰყავთ ეს უკანანასკნელი იმ ვაჭრებს, საქონლის გაყიდვას რომ აწარმოებენ. მონა ქალების კონტინგენტი მოტაცების გზით ჩამოჰყავთ: ბედკრულ გოგონებს და ახალგაზრდა ქალებს იპარავენ აფრიკიდან და აზიიდან, ზოგჯერ ევროპიდანაც*.

მეთვრამეტე საუკუნეშიც ევროპის სიტყვაკაზმული მწერლობა ქმნიდა ნაწარმოებებს სამშობლოდან გადაკარგულ ქართველ მზეთუნახავთა ცხოვრების თემაზე, აგრეთვე ბექდავდ-

* A. B. Елисеев. По Белу-свету. СПб. 1894, გვ. 258.

ნეს შესაბამის თარგმანებს აღმოსავლური ლიტერატურიდან.

ორმა მწერალმა — გალანმა და პტი დე ლა კრუამ 1707 წელს საფრანგეთში გამოსცა თურქული ზღაპრების კრებული, — „ორმოცი ვაზირის მოთხრობები“. მეცხრე ვაზირის მოთხრობაში გამოყვანილია ქართველი პრინცესა. მაგრამ მისი თავგადასავალი სრულიადაც არ არის დაკავშირებული საქართველოსთან და აღსავსეა უჩვეულო ამბებით.

განათლებით იურისტმა, მწერალმა და დრამატურგმა გიოლეტმა სახელი გაითქვა ზღაპართა კრებულებით. მათ გამოცემას იგი შეუდგა მეთვრამეტე საუკუნის ოციან წლებში. დიდი სერიიდან ყველაზე პოპულარულ ნამუშევართა რიცხვს ეკუთვნის „ჩინური ზღაპრები“, ანუ „მანდარინ-ფუმ ხომალის სასწაულებრივი თავგადასავალი“. ეს წიგნი ორ ტომად დაიბეჭდა პარიზში და შემდეგშიც არაერთხელ გამოსცეს. ინგლისში იგი 1725 წელს დაბეჭდეს და წილად ხედა დიდი პოპულარობა. 1785 წელს წიგნი ამსტერდამში გამოვიდა. „ჩინურ ზღაპრებში“ საქართველოსთან არიან დაკავშირებული ნაწარმოების მთავარი გმირები. კრებულში მოთხრობილია, რომ საქართველოს მეფე მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ აიძულა ქალიშვილთან ერთად სამშობლოს გარეთ დამალულიყო და ჩინეთში მოხვდა. ხელმწიფე ტონგლუკი გაუმიჯნურდა ქართველ პრინცესას და, მისი ტრფობა რომ დაემსახურებინა, ჯადოსანი ფუმ ხომალის დახმარებით საქართველოში გადაფრინდა, მოჰკლა უზურპატორი და ტახტს დაუბრუნა კანონიერი მბრძანებელი. ტონგლუკის ჩინეთში დაბრუნების შემდეგ გაიმართა ქორწილი, სადაც ათასგვარი გართობა უჩვენეს, ხოლო ფუმ ხომალს ორმოცდაექვსი სალამოს განმავლობაში ჰყვებოდა საკუთარ თავგადასავალს, რამაც კერძოდ შეადგინა კრებულის ძირითადი შინაარსი. ნაწარმოების ბოლოს

ირკვევა, რომ თვით ამბის მომყოლი ფუმ-ხოამი ყოფილა ქართველი ბატონიშვილი. იგი ახალგაზრდობის ასაკში მოუტაცნიათ მეკობრეებს. ქართველი ხელმწიფე ბედნიერებას ეწია, რომ იპოვა თავისი ვაჟიშვილი; მისი ასული ჩინეთში დარჩა, თვითონ კი საქართველოში დაბრუნდა. აქ ერთხანს იმეფა, შემდეგ კი ძალაუფლება მის ვაჟიშვილზე გადავიდა. უკანასკნელმა სახელი მოიხვეჭა, როგორც სამშობლო ქვეყნის ბრძენმა მმართველმა. გიოლეტის შეცდომა ის იყო, რომ მან ქართველი მეფე და მისი ასული გამოიყვანა ერთგულ მუსლიმანებად, რომლებიც არც კი ფიქრობენ ქრისტიანულ ეკლესიაზე დაუბრუნდნენ. ქართველი უფლისწული ამბობს: „მე სპარსი ვარ. დავიბადე თბილისში“. გიოლეტი არ გასცნობია შარდენს.“

1

1748 წელს გამოვიდა ფრანგი ექიმის ანტუან ლე კამიუსა წიგნი „აბდეკერი, ანუ სილამაზის შენარჩუნებისათვის საჭირო ხელოვნება“. ავტორი, როგორც იტყვიან, პირდაპირ ტყავიდან ძვრებოდა, რომ თავისი რომანი გაესაღებინა რომელიღაც არაბული ხელნაწერის თარგმანად. ფაბულა მარტივი იყო: სამშობლოში უკვე სახელგანთქმულმა მკურნალმა აბდეკერმა მსოფლიოში მოგზაურობა დაიწყო თავისი სამედიცინო ცოდნის გასაფართოებლად. სტამბოლში მოხვედრილმა, მძიმე სენისაგან განკურნა მუჰამედ მეორე. ამის შემდეგ მას ნება დართეს სულთნის ჰარამხანის ლამაზმანებისათვის ემკურნალა. აქ ახალგაზრდა ექიმზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველმა მზეთუნახავმა ფატმემ. მკურნალმა გამონახა საშუალება საათობით ესაუბრა ფატმესთან — სამედიცინო სიბრძნისა და სილამაზის შენარჩუნების ოსტატობის

• Н. Орловская, დასახ. მონოგრაფია, გვ. 93.

შესახებ. ბოლოს და ბოლოს გამოირკვა, რომ ფატმე მუჰამედ მეორის და ყოფილა. ეს მოხდა იმ დროს, როცა სულთანმა ის-ის იყო სიკვდილით დასაჯა ბერძენი ცოლი ირენი, რათა მოეგო ფატმეს გული; სულთანი გაახელა სინამდვილის გამჟღავნებამ და განიზრახა ფატმეს მოკვლა. მისი ბრძანებით ფატმეს საწამლავი მისცეს, მაგრამ აბდეკერმა იპოვა გზები — ეხსნა სატრფო და მიცვალებულის სახით სულთნის სასახლიდან გაეპარებინა. შემდეგ მიჯნურები დაქორწინდნენ და ცხოვრობდნენ იტალიაში. რომანის ავტორმა დაამახინჯა ფაქტები, რათა ხელოვნური კოლიზიები შეექმნა. „აბდეკერში“ საქართველო მოხსენებულია, როგორც ქვეყანა, სადაც აღიზარდა ფატმე, სადაც იბადებიან ულამაზესი ქალები და სადაც საჭურისები სულთნის ჰარამზანის გასამშვენიერებლად მზეთუნახავებს ეძებდნენ. ნაწარმოებში მოხსენებულია სამეგრელო. თვითონ ფატმე აღზრდილი ყოფილა ქუთაისში, რომელსაც ავტორი თვლის საქართველოს მთავარ ქალაქად და თბილისს არც კი ასახელებს. საინტერესოა ლე კამიუს მტკიცება, რომ ქართველებმა გამოიგონეს ყვავილის აცრა და რომ ეს მათ უკარნახათ აუცილებლობამ გადაერჩინათ თავიანთი ასულების სილამაზე: ამ ასულებს ხომ მათგან ყიდულობდნენ ირანისა და ოსმალეთის ძლიერი მბრძანებლები. ყვავილის ეპიდემიასთან ბრძოლის ქართულ საშუალებათა შესახებ ცნობები დაიბეჭდა მეთვრამეტე საუკუნის ევროპულ სამედიცინო ლიტერატურაში. კამიუს რომანი მოწმობს, რომ ამ საკითხით დაინტერესებულა ევროპის სიტყვაკაზმული მწერლობაც. ლე კამიუს წიგნი კარგად მიიღო პუბლიკამ. იგი რამდენიმეჯერ გამოიცა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევ-

რის საფრანგეთში. 1754 წელს გამოვიდა რომანის ინგლისური თარგმანი.*

ლე კამიუს რომანში დაშვებული შეცდომებიდან ყველაზე უფრო თვალში საცემია ბერძენი ირინეს მოკვლის ყალბი მოტივირება. ეს ცოლი მუჰამედ მეორემ მოაკვდინა იანიჩართა ატეგორიული მოთხოვნის შედეგად და არა ფატმეს გულსათვის. ცალმხრივია საქართველოში ყვავილის აცრის გარემოებათა ახსნა. ასულთა გაყიდვის ინტერესებით რიდი სუნთქავდა ქართველი ხალხი, როგორც ეს წარმოედგინა ზოგიერთ ევროპელ მწერალსა და მოგზაურს. ასულთა გაყიდვის ცალკეულ შემთხვევათა განზოგადება შეუფერებელი ბრალდებაა და დიამეტრალურად ეწინააღმდეგება ისტორიულ ჭეშმარიტებას. ქართველობა ისოცებოდა და გმირულად ეწირებოდა სწორედ ცოლ-შვილის დაცვისა და შენარჩუნების. კერიის ხელუხლებლობის წმიდათა-წმიდა ინტერესებს. შესანიშნავად ათქმევინებს გრიგოლ აბაშიძე ძველ ქართველ მეომრებს: „მთებში დაეხიზნეთ ქონება და წვრილი ბავშვები... და როცა ქართლში შემოვიდნენ ყიზილბაშები, კაცთა არ დახვდათ მორჩილი და ხარკის გამღები“-ო. რა ძვირფასად სწერდა დაუვიწყარი ალექსანდრე აბაშელი: „მტერთან ბრძოლაში თუ სისხლი ვღვარეთ, კერას ვიცავდით ამ სისხლის ფასად. მამა-პაპათა საფლავებს გარედ ჩვენ არ გვინდოდა სიცოცხლე არსად“. კარგია, როცა ევროპულ, აზიურ თუ აფრიკულ მწერლობაში ასახულია სამშობლოდან გატაცებული ადამიანების სულიერი და ფიზიკური სიღამაზე, სიმტკიცე და მხნეობა, სათნოება და კეთილშობილება, ჭკუა და გამჭკრიახობა, ცოდნა და განსწავლულობა, წიგნისა და

*• Н. Орловская, დასახ. მონოგრაფია, გვ. 120—124.

საკაცობრიო სიკეთის სიყვარული, მაგრამ ვერ მივიღებთ იმ უპასუხისმგებლო მტკიცებას, რომ თითქოს ქართველობის თუნდაც რაღაც ნაწილი (არა თუ ერი) ოდესმე დაინტერესებული ყოფილიყოს უცხოეთში შვილთა გაყიდვით, როგორც შემოსავლის წყაროთი. არა მარტო მეცნიერს, არამედ მწერალსაც ევალება ჩაუყვირდეს ისტორიას და იწამოს ერთადერთი, ნამდვილად საწამებელი ღმერთი — ქეშმარიტება.

ჩვენი ხალხის შვილები უცხოეთში სხვათა ასულებს პატრონობდნენ, მფარველობდნენ, საკუთარი სისხლის ფასად იცავდნენ მათ და ნუთუ შინ ან გარეთ ქართველები ასე აღვივდნენ, ლუკმა პურისათვის შეეღვოდნენ საკუთარ ღებს და ასულებს? ნამდვილად აბსურდულია ზოგიერთი ევროპელი მწერლის და მოგზაურის მტკიცება. რად ღირს მარტო ის ფაქტი, რაც მოხდა 1785 წელს ირანში და რასაც გვიყვება ობიექტური დამკვირვებელი — გრაფი ფერიერ დე სოვბეფი (ფრანგი მოგზაური და დიპლომატი). როცა ბრძოლის ველზე უეცრად გარდაიცვალა ტახტის მთავარი პრეტენდენტი ალი ნურად ისფაჰანელი და სპარსთა ბანაკში ატყდა საშინელი არეულობა, ორმოცდაათი ქართველი წრედ შემოერთყა გოლანელ პრინცესას და იხსნა იგი გაშმაგებული აღა-მაჰმადხანის ჯარისაგან, შემდეგ კი მრავალ ასეულ კილომეტრზე გადაატარა ეს ლამაზმანი და მშვიდობიანად და პატიოსნად მიჰგვარა მამას — გილანის ხანს ჰედაიათ ულა ხანს. ეს ფაქტი ქებათა ქებაა ქართველი ხალხისა, უცხოეთში გადაკარგული მისი ვაჟკაცებისა. ამ ვაჟკაცებმა მაღალი კეთილშობილების, ღირსი რაინდული ჯენტლმენობის ეტალონი დასტოვეს ისტორიაში, შესანიშნავი გაკვეთილი ჩაუტარეს მუსლიმან მეომრებს და აღტაცება მოჰგვარეს ფრანგ მოგზაურს და დიპლომატს. აი, რით სახელობდა ქართველი უცხოეთში. აი, რატომ არის სა-

ჭირო ჩენი ხალხის დაკარგული შვილების დრამატული წუთისოფლის გამოკვლევა. აი, როგორი ორიენტირებით უნდა ისარგებლონ მწერლებმა, თუ მათ სურთ — დავიწყების მოჩვენებაში არ ჩაიშარხოს მათი თხზულებანი.

ცნობილია, რომ ფრანგი მწერალი პროსპერ მერიმე ნოველაში „ორმაგი შეცდომა“ მოგვითხრობს მეგრელი მზეთუნახავის ემინეს თავგადასავალს ოსმალეთში (მოქმედება XIX ს. დასაწყისში ხდება). ემინემ თავისი თავი სამეგრელოს მთავრის ასულად გააცნო ფრანგი კონსულის მეუღლეს სტამბოლის ფრანგული საელჩოს მოხელემ ემინე გადაარჩინა ტრაგიკულ სიკვდილს და დაუბრუნა ქრისტეს რჯულს.* მერიმემ ისტორიული ფაქტი გადმოსცა, თუ — ფანტაზიით შეთხზული სიუჟეტი, ორივე შემთხვევაში ნოველა ჩვენთვის საინტერესოა: იგი მოწმობს უცხოეთში გადაკარგულ ქართველ მზეთუნახავთა ამბების ფართო ევროპულ რეზონანსს.

მერიმემ უთუოდ იცოდა კლოსტრეს და სხვა ევროპელ ავტორთა აზრი, მით უმეტეს, რომ იგი მკვლევარი ისტორიკოსიც იყო. კერძოდ, კლოსტრე წერდა: „ვის არ გაუგონია საქართველოს ქალთა სილამაზის ქება? დიდი ხანია, მათ აზრის ყველა ქალზე მადლა აყენებენ“.** კლოსტრეს წიგნი და სხვა ევროპული ლიტერატურა უთუოდ განდა პროსპერ მერიმეს შთაგონების წყაროდ, რათა მას გაეშუქებინა მეგრელი დედოფლის თავგადასავალი. საკვირველი ის არის, რომ მკვლევარი ი. ვიპპერი ზემოხსენებულ მეგრულ დედო-

* Prosper Mérimée, Nouvelles, 3^e Edition. Moscou. 1976. გვ. 216-224.

** A. de Clausre, Histoire de Thamas Kouli-chan roi de Perse. P., 1743, გვ. 292-293.

ფალს რატომღაც „ტურჩანკად“ (თურქის ქალად) თვლის.*
ეს აშკარა გაუგებრობაა, რასაც არასასიამოვნო დისონანს-
შეაქვს კარგად დაწერილ ნარკვევში.

განვავარძოთ სამშობლოდან გადაკარგულ ქართველ ლამაზ-
მანთა ბედ-იღბლის თაობაზე შექმნილი უცხოური ლიტერა-
ტურის მიმოხილვა.

მარმონ დიუ ოშანმა დასწერა „რეტიმა, ანუ მშვენიერი
ქროველი ქალი“. რომანი ორ ტომად დაიბეჭდა 1733-36
წლებში. რეტიმას ბავშვობაშივე მისი მშობლები იმერეთის
შინაფეოდალურმა ომებმა იმსხვერპლა. ნორჩი ქალწული წა-
იყვანეს საქართველოდან ოსმალეთში, რათა სულთნის ჰა-
რამხანაში ჩაერიცხათ. მაგრამ ობოლი რეტიმა აცდა ამ
ზნეღრს, მოხვდა ევროპაში, მთელი რიგი უცნაური ეპიზო-
დების შემდეგ ინგლისში დამკვიდრდა, შეიქნა დიდძალი სიმ-
დიდრის მფლობელი და ცოლად გაჰყვა ინგლისელ კაპიტანს.
ავტორი რომანის წინასიტყვაობაში აცხადებდა, რომ იმისათ-
ვის, რათა მხატვრულმა ნაწარმოებმა მკითხველებს შიანი-
ქოს კმაყოფილება, მათ საფუძვლად უნდა ედოთ ისტორი-
ლი ფაქტები და აღიდებდნენ სათნოებას. უკანასკნელ პირო-
ბას ავტორი ასრულებს, პირველს კი — ვერა: იმის მიუხე-
დავად. რომ რომანის ქვესათაურია „ნამდვილი ისტორია“,
იგი მთლიანად მოგონილ ამბებზეა აგებული, თანაც —
თვითონ საქართველოზე მაინცდამაინც ბევრ ცნობას არ იძ-
ლევა. ავტორი მიუთითებს, რომ რეტიმა დაიბადა საქართ-
ველოს სატახტო ქალაქ თბილისში. რეტიმას ფულადი სახს-
რებით აგებული ხომალდები ატარებენ სახელებს „ტეფლა-

* Ю. Виппер. Новеллы Проспера Мериме. (გერიმეს ნოველების
ზემოხსენებული გამოცემის შესავალი გამოკვლევა), გვ. 14.

ლი, „კონტაქტისი“. ინგლისელი კაპიტანი რეტიმასათვის იპყრობს მიწებს ამერიკაში და მათ რეტიმას პატივსაცემად სახელად არქმევს „ოქროს თბილისს“. თვითონ რეტიმას ჰქვია „მილედის, ოქროს თბილისის პრინცესა“. იმისათვის, რომ უფრო გაამართლოს რომანის სახელწოდება, მარმონ დიუოშანი წიგნს ბოლოში ურთავს საქართველოს შინაური ომების აღწერას და ამ მხრივ მთლიანად შარდენს მიჰყვება*.

გამოჩენილმა იტალიელმა დრამატურგმა კარლო გოლდონიმ დასწერა პიესა „მშვენიერი ქართველი ქალი“, სადაც მთავარი პერსონაჟია გურიელის ასული თამარი. გოლდონი ეხება საქართველოდან მზეთუნახავთა გატაცების შემთხვევებს და არაფერს ამბობს ვაყების ტყვეებად დატაცების თემაზე. მწერალი ამტკიცებს, რომ ქართველი ლამაზმანების ხელში ჩაგდებას ლამობდა აღმოსავლეთის ყველა მბრძანებელი — თურქების, ირანის, სათათრეთის და ჩინეთის ხაკანები. ქართველ ლამაზმანებს გოლდონი გვიხატავს ჰქვიან და გონიერ არსებებად.

ქართველი ასულების ტრაგედიის თემას გვერდი ვერ აუარა მეოთხამეტე საუკუნის მეორე ნახევრის სხვა გამოჩენილმა იტალიელმა დრამატურგმაც. მხედველობაში გვაქვს გოცის პიესა-ზღაპრები „გველ-ქალი“, და „ლურჯი ურჩხული“, განსაკუთრებით — პირველი, სადაც მოქმედება მეტწილად საქართველოში ვითარდება. ჩვენი თემისათვის მნიშვნელობა აქვს „ლურჯ ურჩხულს“. იგი იტალიის სცენაზე დაიდგა 1764 წ. 7 დეკემბერს. მოქმედება წარმოებს ნანკინში. მთავარი გმირია დარდანე, ქართველი პრინცესა — ნანკინის პრინცის ტაერის მიჯნური. ეს ტაერი საქართველოში ყოფილა.

* Н. Орловская, დასახ. მონოგრაფია გვ. 124-126.

იგი დარდანეს შესახებ ამბობს, რომ სილამაზით ეს ქალი მზესაც აბნელებდა. დარდანე, რომელიც ტაერს მოსწყვიტეს, მამაკაცის ტანისამოსში გამოწყობილი გამოცხადდებანანკინში — დ. თავს გაასაღებს საქართველოდან განდევნილ წარჩინებულ მოხელედ. გოცის პიესებში გამოყვანილია მშვენიერი კანცანდე — ფარსუჯადის და, აგრეთვე მძვინვარე მორგონი, რომელიც ეომება ქართველთა ჯარს. იგი ბრძანებს — არაფერი ავნონ ლომივით მებრძოლ მზეთუნახავ კანცანდეს, ცოცხლად შეიპყრონ და მიჰგვარონ მას.*

1764 წელს საფრანგეთში დაუდგამთ ორმოქმედებიანი კომედია „ქართველი ქალი“. მისი ავტორი იყო ფრანგი მწერალი ლოტელი. სამწუხაროდ, პიესის შინაარსმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.**

ევროპაში საკმაოდ გახმაურებულმა პრინცესამ ბელგიო-ჯოზომ 1858 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ოსმალეთის ცხოვრების სცენები“, სადაც მოათავსა ვრცელი დოკუმენტური მოთხრობა „ქურთი პრინცი“. აქ აღწერილია ქართველი ქალის აქტიას თავგადასავალი. ქურთ პრინცს ხუთი ცოლი ჰყავს და მათ შორის საპატიო ადგილი უკავია ქართველ დედოფალს: ავტორიც ხაზგასმით წერს, რომ საქართველო სამართლიანად იმსახურებს ლამაზი ქალიშვილების სამშობლოს; სახელს. ცხვარიც ჯიშინი იცის იმ ქვეყანაში. ქართველი ქალი ძვირად ფასობს და მისი შერთვა როდი ძალუძს ყველას, ვისაც სურს. „ქურთი პრინცის ქართველ დედოფალს ერქვა აქტია. იგი თავისი მეტოქე ფატმას პირდაპირ ბუხრის მეორე მხარეს იჯდა. ფატმა თავს იმით ინუგეშებდა, რომ მისი

* Н. Орловская, დასახ. მონოგრაფია, გვ. 98-99.

** იქვე, გვ. 89.

მეტოქე ჰემმარიტი ქართველი იყო და უბრალოდ შეუ-
დარებელი. მოსული ტანის და ჰემმარიტად მეფური იერის
ქალი ბრძანდებოდა აქტია. ყველაფერში ამყლავნებდა თავის
ქართულ წარმოშობას. სხეულა ალვას მიუგავდა. აქტია
მომნიბლაობისა და სიდიადის შეზავება იყო, მისი ხასიათიც
სავსებით ესადაგებოდა გარეგნობას. მშვიდი და სერიოზული
დიქცია ჰქონდა, რა რიგად გამოირჩეოდა მისი ხმა იმ საზიზ-
ლარი წივილ-კივილისაგან, რაც დღედაღამ განუწყვეტლივ
გაისმოდა მის გარშემო. დანარჩენ ცოლებს იგი არ უყვარ-
დათ, რადგანაც გრძნობდნენ მის უპირატესობას და მასთან
როგორაც დარცხვენილები სჩანდნენ. სამაგიეროდ გულს
იკვებდნენ მისი გაკილვით, როცა იგი მათ შორის არ იყო.
მათ არაფრად ეჭაშნიკებოდათ მისი სადედოფლო იერი. მჯდო-
მარე აქტია თურქულ ყალიონს რომ ეწეოდა, მთელი თავით
მალალი იყო მეტოქეებზე. მართლაც იგი გეგონებოდათ დე-
დოფალი, გარემოცული მოახლეებით“.*

როგორც ცნობილია, ალ. პუშკინმა ხარკი გადაუხადა გა-
ტაცებული ქართველი ლამაზმანების ტრაგედიას ჰოემით „ბახ-
ჩისარაის შადრევანი“, სადაც მოთხრობილია ქართველი ზა-
რემას თავგადასავალი ყირიმის ხანის სასახლეში. პუშკინი
ზარემას ქებას არ იშურებს: „...ყველაზე ბედნიერია და უსაზ-
ღვროა იმისი ღზენა, ვისაც, ზარემავ, როგორც ფერია, ჰა-
რამხანაში უზიხარ შენა. ასე მღერიაან. მაგრამ ზარემა სად
არის ახლა ვარსკვლავი ტრფობის? ვაგლახ, ფერმკრთალ-
მა და მწუხარემა არ მოისმინა სიმღერა მკობის. ალვას შეტე-

* Mme la Princesse De Belgiojoso, Scènes De la Turquie. P. 1858.

ვამ ქარიშხალისმა ზედ დააჩინა სასტიკი წყლული, სრულად დატოვა ქალი ხალისმა, როცა დაჰკარგა გირეის გული. მან გილაღატა! მაგრამ ვინ არი, რომ შეგედაროს შენ — ქართველ ქალსა! ეგ შენი შუბლი, შუქთა მფინარი, დაიჩნევს ორი ნაწნავის კვალსა, შენი თვალები — ცეცხლია მწველი დღეზე ნათელი, ღამეზე ბნელი, ხმა სხვას ვისა აქვს გულში მწვდომელი, რომ გამოხატოს მხურვალე ვნება? ბაგე ღაღნება კოცნით რომელი, ისე, ვით შენი ტუჩები დნება? სული ვით შეხეღდეს მეორეს ლხენით, თუ კი იქნება გავსილი შენით? მაგრამ გულგრილმან და ავმან ავზე, დასთმო გირეიმ შენი მშვენება და ღამეებმა იწყეს თენება, ძილგამტეხელის ჩაქინდრულ თავზე“.*

პუშკინი თავის პოემაში სამ ადგილას ეძახის ზარემას „ქართველ ქალს“. საინტერესოა, რომ გერმანულ თარგმანში (პარალელ რააბის გამოცემა) ზარემა მხოლოდ ერთხელ არის მოხსენიებული „ქართველ ქალად“,** რაც, ჩვენის აზრით. თარგმანის სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს. საჭიროა აღინიშნოს, რომ პუშკინი საუცხოოდ იცნობს დასაჯლეთვერობულ ისტორიულ წყაროებს, სადაც პარამხანის ცხოვრებაა ასახული.

როგორც ვიცით, ქართველი გატაცებული ქალის ტრაგედიას მიუძღვნა თავისი ისტორიული რომანი ანტონ ფურცელაძემ. ეს არის „მაცი ხვრტია“. რომანი მხატვრულად ასახავს მე-17-18 სს. ვითარებას, თანაც შეიცავს ზოგიერთ ანაქრონიზმს.

* ა. ს. პუშკინი. ოთხი პოემა. თბ., 1956, გვ. 33. თარგმანი კონსტანტინე ქიქინაძისა.

** Alexander Sergeiewitsch Puslkin, Poeme und Märchen. Berlin und Weimar. 1973. გვ. 159-181 (მარტინ რემანეს თარგმანი).

რთული და დრამატული, ზოგჯერ ტრაგიკულიც იყო ქართველ მზეთუნახავთა თავგადასავალი უცხოეთში. ისინი ხშირად პოლიტიკური მოვლენების შუაგულში ყოფილან. მათგან ბევრნი ცნობილი მონარქიების დედოფლებად მომკვდარან და სამეფო მავზოლეუმებში დასაფლავებულან, ზოგსაც — ტახტიდან ჩამოგდებულს, თუ შვილთა დაღუპვით სვეგამწარებულს — წუთისოფელი დილეგში დაბნელებია და სამარეც დაჰკარგვია. ზოგსაც, ტყვედ გატაცებისას, საწამლავის მიღება მოუსწრია და ოქროს ბორკილების ტარებას საფლავში მოწამებობრივი გვირგვინით ჩასვლა უმჯობინებია. ბევრ ქართველ მზეთუნახავს, ოსმალეთის სულთანთა სასახლეების ქონგურებიდან გადასროლილს, შავი ზღვის ტალღებში სამარადისოდ ჩასძინებია. ზოგიც მაჰმადიან დესპოტთა ჰარამსანებს გაქცევია და თავისუფალი სიყვარულის ელიზიუმს ზიარებია. მზეთუნახავთა შორის ყოფილან ისეთნიც, ვისაც ბედნიერი შემთხვევა ხელიდან არ გაუშვია — სანუკვარ სააკვანეს დაბრუნებია და უცხოეთში განცხრომით ცხოვრება უბრალო ქართველი მეთვისტომის თანამესაყდრეობაზე გაუცვლია რათა, სამშობლოში დამარხულიყო.

ცხრა მთის გადაღმა მოხვედრილი ბევრი ქართველი მზეთუნახავი ტყვე გურჯების გამოხსნის და რეპატრიაციის ორგანიზატორად გამოსულა, სამშობლოსთან და მშობლებთან კავშირი არ გაუწყვეტია და მთელი სიცოცხლე მათზე ზრუნვაურვაში გაუტარებია. ზოგსაც ქართველ მეფეთა დავალებით, თუ საკუთარი თაოსნობით, უცხოეთის სატახტოებში საიდუმლო ინფორმაცია უგროვებია, შემადრწუნებელი მამაცობის ბილიკი აურჩევია და სამშობლოს სიყვარულით თავი მომაკედინებელ საფრთხეში ჩაუგდია, ჰარამხანულ ცხოვრებას

ეჭვად გადაუგვარებია, მტრის წინააღმდეგ თავისებური დამატებითი ბრძოლა გაუმართავს.

ზოგი ქართველი მზეთუნახავი უცხოელ ამირათა საოჯახო კონფლიქტების მიზეზად გამხდარა. ზოგსაც სხვა ხალხების ტყვეთა გამოხსნა უთავებია. ჩვენი პირმშვენიერი ასულები, თავიანთი სულიერი სიმტკიცითა და გონებრივი გამჭირაობით აღმოსავლურ-დასავლური რომანების, მოთხრობების, პოემების, პიესების და ბალეტების პერსონაჟები გამჩადარან, სათნოების სარბიელზე უმუშაქანიათ, მშობლიური რჯულის, ენის, კულტურისა და სამშობლოს სიყვარულით უცხოელი ისტორიკოსები, დიპლომატები და მოგზაურები განუცვიფრებიათ, უსახელებიათ საკუთარი ჭილაგი და მოდგმა. სადაც კი ყოფილან — იემენის ოაზისებს, მემფისისა და გიზის პირამიდების ლოდებს, ბენდერ-ბუშირისა, თუ შირაზის, პერსეპოლისის, თუ ისფაჰანის, რანისა და მოვაკანის, მავენაპრისა, თუ ყაბულ-ყანდაარის, სტამბოლისა, თუ კაიროს, დიარბექირისა, თუ ბახჩისარაის, ტერმეზისა, თუ გურგანის მონარეთებს, როდოსისა, თუ პროვანსის ტევრებს, ნეპალ-ტიბეტის პაგოდების, თუ კელატისა და გვალიორის ციხეთა კაშემატების იატაკებს დაპყრებია მათი ობოლი ცრემლები. საქმე ეს წავიდა, რის უცხოელ მოგზაურებს, სადაც კი ტყვე მზეთუნახავს წააწყდებოდნენ, ყველა ქართველი ეგონათ.

ვინ მოთვლის, თუ რამდენი მოტაცებული ივერიელი ლამაზმანის ასავალ-დასავალი ჩვენ არ ვიცით და წარმოჩენას მოთმინებით ელოდება. მათზე ნათქვამ რექვიემად მიითვალოს მკითხველმა ეს უპრეტენზიო წიგნი, სადაც ავტორმა ვერ ჩაატია მეცნიერებისთვის ცნობილი ყველა ფაქტი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა თ კ მ ა	3.
I ლამაზი ლეგენდა	5
II ოქროს ბორკილებში	
III სატურნის დარტყმა	41
IV ტრიპოლიტანიით გურგანის ზღვამდე	120
და ს კ ე ნ ა	184.

რედაქტორი ზ. კუხიანიძე
მხატვარი ო. ჯანდარია
მხატვრული რედაქტორი დ. ღუნღუა
ტექნიკური რედაქტორი გ. კეიშვილი
კორექტორი მზ. ყურაშვილი
გამომშვები ა. გეგია

გადაეცა წარმოებას 8/VII-83
ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/X-83
საბეჭდი ქალაქი № 2 70X108¹/₃₂
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 8,23
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,04.
პირობითი საღებავგატარება 8,47
გარნიტური ჩვეულებრივი
ბეჭდვა მაღალი
უე 12 605, ტირაჟი 10 000, შეკვეთის № 8 152

ფასი 45 კაპ.

ს. ბ. № 3128

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
ქუთაისის ფილიალი, ქუთაისი, რუსთაველის 7.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის
ქუთაისის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33.

Кутаисское полиграфическое производственное объединение
Государственного комитета по делам издательств, полиграфии и
книжной торговли Грузинской ССР.
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 33.